

სხადი უმჯობესება

აპრილი 2013 №89
ფასი 7 ლარი



ისტორია ბაკურ სულაკაური

მეზო სამადაზილი

არტისტი ახლოდან

UTALEVAN

ნიმე ლომაძე

ინტერვიუ

ნილს-ჰიტარ

მოლვაერი

ქაზა თოლორდავა

საეხსაროეპტი

„მელანქოლია“

ბია ემბერაძე

საეფორო

აკა მორჩილაძე

ლაზა ბულაძე



elsiane

თბილისი ივენთ ჰოლი
Tbilisi Event Hall



სხალი
შოკოლადი
98.5 FM

კონცერტის გახსნის
მართული ჯგუფი

catch
the Clouds 

5 აპრილი

ბილეთების შეძენა შესაძლებელია
ფილარმონიის სალაროებში
MC Lab-ის კაფე-რესტორნებში
(ლოფტი, ბუფეტი, ვონგი, საკურა)
და რადიოს ვებ გვერდზე:
radio.shokoladi.ge/tickets

ბილეთის ფასი 50 ლარი

მელა მხარლამჭარი



მასპინძელი



სხანი შოკოლადი

N89, აპრილი 2013



ყდა: ბაკურ სულაკაური
ფოტო: ხათუნა ხუციშვილი

	06	რედაქტორის სვეტი
	08	ავტორთა სვეტები
ნარდგენა	10	თეა ჭყონია, ტექსტილის მხატვარი
	12	კავკასიელი „ტყვე“ ქალი დავით ბუხრიკიძე
ანონსი	14	8 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ სალომე აფხაზიშვილი
საავტორო სვეტი	18	ისტორიის გაკვეთილი ვაგა ნახუცრიშვილი
	20	იზოტოპების ინსტიტუტი მაია სარიშვილი
	22	მე, გებეტომატი თამთა მელაშვილი
წერილი ლაიფციგიდან	24	ქართული წიგნი საერთაშორისო ბაზარზე. ცდა მეორე. მამო სამადაშვილი
ისტორია	28	კასკადიორი მამო სამადაშვილი
სპექტროექტი	36	ლარს ფონ ტრიერის „მელანქოლია“ გია ეძვერაძე
ინტერვიუ	44	TIDELAND ნინო ჯაფიაშვილი
	56	საუბარი ნილს-პიტერ მოლვაერთან კახა თოლორდავა
არტისტი ახლოდან	50	დილოგი – UTALEVAN ნინო ლომაძე
ქუჩის არტი	62	ურბანული ნარატივი დათო აბრამიშვილი
ჩანახატი	70	ჩემი პროფესია და თავგები ნათია აბრამია
ლიტერატურა	74	საავტორო Djordjia Unchained აკა მორჩილაძე
	78	საავტორო ბიბლიოთეკის წმენდის მცდელობა ლაშა ბუღაძე
	80	ყოფითი გრამატიკა არსებითი სახელი – გული დიანა ანფიმიადი
	82	ლიტერატურული პროცესი წიგნების კოჰაბიტაცია ნინო ნატროშვილი
	86	მოთხრობა იდუმალი ხურა თამთა მელაშვილი
	92	პოეზია ბექა ახალაია, პოეტი
რეცენზია	94	ნინ ჰყვარებია ფიროსმანს და ვის უყვარს ფიროსმანი გიორგი ლოპუანიძე
	96	„ჩაიკა“ სახელად ელისაბედი დავით გაბუნია
წიგნები	98	მიმოხილვა
რეცენზია	104	როცა ღმერთებიც მღერიან Blue Valentines-ს დავით ბუხრიკიძე
	106	გაიღიმეთ, თორემ ჩიტი აღარ გამოფრინდება დავით ბუხრიკიძე
	108	ბერტოლუჩი ოთხ კედელში ნინო ჩიმაკაძე
სტილი	110	რედაქტორის სვეტი თამარ ალავიძე
	112	2013 წლის შემოდგომა მსოფლიო პოდიუმებზე გიორგი სარიშვილი-ვაზოვსკი
	116	კრისტიან ლუბუტანი და ფეხსაცმლის ფსიქოლოგია ლორენ კოლინზი



გამოიწერეთ ჟურნალი “ცხელი შოკოლადი”

შექმენით ქართული ფილმების უნიკალური კრებული

მიიღეთ ყოველთვიურად თქვენთვის სასურველ მისამართზე

www.shokoladi.ge

ონლაინ გამოწერა

მთავარი რედაქტორი

თამარ ბაბუაძე
აღმასრულებელი რედაქტორი

ნინო ჯაფარიძე
ლიტერატურა

ბექა ქურბული
სტილი

თამარ ალავეძე
რედაქტორის ასისტენტი

მარიამ სამადაშვილი
რედაქტორ-სტილისტი

რატი ქართველიშვილი
დიზაინი

თორნიკე ლორთქიფანიძე
კორექტორი

ნათია ორმოცაძე

წომარზე მუშაობდნენ:

ნინო ჩიმაკაძე, სალომე აფხაზიშვილი, დავით ბუხრიკიძე, ლაშა ბულაძე, დათო აბრამიშვილი, მაია სარიშვილი, გაგა ნახუცრიშვილი, მამო სადამაშვილი, კახა თოლორდვა, ნათია აბრამია, აკა მორჩილაძე, დიანა ანფიმიძე, ნინო ნატროშვილი, გიორგი ლობჯანიძე, თამთა მელაშვილი, დავით გაბუნია, გიორგი სარიშვილი-ვაზოვსკი, გვანცა ნემსაძე.

ფოტო:

ხათუნა ხუციშვილი, მაკა გოგალაძე
ილუსტრაცია:

თათია ნადარეიშვილი
გამომცემელი

შორენა შავერდაშვილი
ზიზანის განვითარების მენეჯერი

რუსუდან ფურცელაძე
გაყიდვების დირექტორი

ქეთევან ქვეთარაძე
დისტრიბუცია

მიხეილ მამუჩიშვილი



გამომცემლობა:

შპს „მედია ჰაუსი დეკომი“
მისამართი: თბილისი 0183, საქართველო
ულენტის ქ. 35, ტელ.: +995 32 247 10 05
სხვა გამომცემლობა:

„ლიბერალი“, „დილოგი“, „ქართული ღვინის გზამკვლევი“

სტამბა:

„სეზანი“, თბილისი, ნერეთლის 140,
ტელ.: 235 70 02

ჟურნალი გამოდის 2004 წლის
25 დეკემბრიდან

© „მედია ჰაუსი დეკომი“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

„ცხელი შოკოლადის“ რუბრიკის სპონსორი არ ერევა შინაარსის შექმნაში.



მე თამარ ბაბუაძე ვარ, ბაბუ. დავიბადე 2004 წლის დეკემბერში. ზუსტად იმდენი წლის ვარ, რამდენისაც – „ცხელი შოკოლადი“. ამ ჟურნალმა აღმომაჩინა, რისი და რა ზომის ნიჭი მაქვს, რამდენზე შემოიძლია გარისკვა და სად არის ჩემი გამბედაობების, კრეატიულობის ზღვარი. მისი ყველა ექსპერიმენტის მონაწილე ვარ, ყველა მიღწევის და გზის გახსნის.

როგორც ეს ჟურნალი ეძებდა თავის თავს, ცვლიდა გეზს, იმკვიდრებდა ადგილს, ისე – მე. თავიდანვე სწორედ ეს ექსპერიმენტები მიყვარდა მასში იმის და მიუხედავად, ვინ იყო ინიციატორი, რადგან ეს იყო ჟურნალი-მაგნიტი ავტორებისთვის, რომლებიც ინდომებდნენ, თავიანთი ყველაზე სანუკვარი, ყველაზე ორიგინალური იდეები „ცხელი შოკოლადის“ ფურცლებზე ქცეულიყო სიტყვად და ფოტოდ. ნებისმიერ ავტორს, რომელსაც გადაბმულად სამჯერ დაუწერა სტატია „ცხელი შოკოლადისთვის“, რაღაც უნიკალური მიუცია მისთვის; და რა გასაკვირია, რომ თითოეულ მათგანს ეს ჟურნალი თავისი ეგონა; მისი გულშემატკივარი ხდებოდა; ზოგჯერ – მიმდევარიც.

„ცხელი შოკოლადი“ ამ უნიკალური ხმების მთლიანობაც იყო ჩემთვის; სხვადასხვა ასაკის, გაქანების, სიღრმის, ცოდნის, ინტერესების მქონე ადამიანების მთლიანობა, რომელთა ნაზრევიც ერთად, სრულიად ახლებურ სააზროვნო სივრცეს აჩენდა დროში, როცა ეს ყველაზე მეტად იყო საჭირო. შიგნიდან ასე ჩანდა ჩემთვის – „ცხელი შოკოლადი“ იყო ზოგჯერ ემოციური, ზოგჯერ ზედაპირულიც კი, ზოგჯერ პირიქით – ძალიან ინტელექტუალური და სოლიდური, ვრცელი საკითხავი, რომელსაც იკითხავდი დიდხანს, გამოზოგვით, რომელიც დაგაფიქრებდა, ან კიდევ უკეთესი – შთაგაგონებდა. ამიტომ „ცხელი შოკოლადის“ არქივი, 2004-დან დღემდე, ყველაზე ნამდვილი ანარქიული მგონია რეალობებისა, რომლებიც გამოვიარეთ. ის ინახავს არა იმდენად ფაქტებს, თუ რა ხდებოდა ჩვენს ირგვლივ, არამედ ინახავს განცდებს და ფიქრებს; იმ წუთას, ჯერ კიდევ მოვლენების ეპიცენტრში მყოფი ადამიანების სპონტანურად გაჩენილ შეფასებებს და ემოციებს.

„ცხელი შოკოლადი“ ეს იყო ყველაზე ხანგრძლივი, ყველაზე შემეცნებითი, ყველაზე შემოქმედებითი კლასი, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, დამთავრდა. ამბობენ, რომ რაღაც ძალიან კარგი ყოველთვის მთავრდება იმისთვის, რომ დაიწყოს კიდევ უკეთესი. „ცხელი შოკოლადი“ გაგრძელდება. მე კი დღეიდან, რაღაც სულ, სულ, სულ სხვა უკეთესის ძებნას ვინეცბ.

**წარმატებებს გისურვებთ,
მადლობა წაკითხვისთვის,
თამარ ბაბუაძე**



CARTE NOIRE
Un café nommé désir

ყაფა, სანდოადაც უნდაცხებებს სანდოცხებს



ლიანა ანშინიძე

ჩვენი ახალი რუბრიკა „ყოფითი გრამატიკა“ სიტყვის ანკესის საშუალებით უძვირფასეს და უმნიშვნელოვანეს ადამიანურ ისტორიებს ამოიტანს დღის სინათლეზე, ამ მიზნის მიღწევაში კი, საოცარი ელექტრონული რესურსი – ქართული დიალექტური კორპუსი – „საქართველოს ლინგვისტური ატლასი“ და მესმარება ელექტრონულ მისამართზე – <http://www.mygeorgia.ge/gdc/Dictionaries/Default.aspx>

იცით, რა არის დიალექტური კორპუსი? „ქართული დიალექტური კორპუსი წარმოადგენს ქართული ლინგვოკულტურული სივრცის ელექტრონული პორტრეტის შექმნის ცდას“, – წერია ვებგვერდზე.

პროექტის ხელმძღვანელი ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატი, მარინე ბერიძეა, პროექტის წევრები, ძირითადად, ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები არიან, პროექტი სწორედ ამ ინსტიტუტის ბაზაზე ხორციელდება.

ჰოდა, მეც ასეთი რამ გადავწყვიტე: ყოველი მორიგი სტატიისთვის ელექტრონული კორპუსის საძიებელში ჩავწერ ახალ-ახალ გასაღებს – რომელიმე სიტყვას, ეს სიტყვა მიმიყვანს კონტექსტებამდე, კონტექსტები – ტექსტებამდე, ტექსტები გამომიჩენენ ადამიანებს, ადამიანები მომიყვებიან ისტორიებს და ამბებს, ეს ისტორიები და ამბები, თავისთავად, გაცოცხლებენ და დღის (გნებათ, ადამიანის თვალის) სინათლეზე გამოიტანენ დავიწყებულ, მიტოვებულ სიტყვებს – ზოგიერთს დიალექტურს, ზოგიერთს კი სიძველის არქივში შემონახულს.

ჩემი პირველი საძიებო სიტყვაა გ უ ლ ი.

არსებითი სახელი – გული
გვ. 80



გასმუ სამადაშვილი

არასდროს დამავიწყდება, როგორ მიხაროდა, როცა „ცხელი შოკოლადისთვის“ პირველ წერილს ვწერდი. მასხოვს, როგორი სიამაყით ვამბობდი, ამა და ამ რიცხვში დედლიანი მაქვს-მეთქი, ხოლო როდესაც მთავარმა რედაქტორმა, ნინო ლომაძემ მოთხრა, შენი მასალისთვის ფოტოგრაფი უკვე ვიპოვეო, პირველად ვიგრძენი, რომ ჟურნალისტი ვარ, დამწყებთა შორის დამწყები, მაგრამ მაინც.

მას შემდეგ ზუსტად ორი წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე „ცხელი შოკოლადის“ ჩვიდმეტი ნომერი გამოვეცით და ჩემი მუდმივი საზრუნავი ჟურნალი იყო. ამ გიჟურ და დაუსრულებელ მარათონს წუთითაც ვერ ვწყდებოდი, ხშირად მესიზმრებოდა კიდეც, როგორ უნდა გვექცია „ცხელი შოკოლადი“ უფრო საინტერესოდ, უფრო მიმზიდველად, უფრო ნოვატორულად – მოკლედ, უნიკალურად.

ეს ბოლო ნომერია, რომელსაც „ცხელი შოკოლადის“ ამ გუნდთან ერთად ვაკეთებ. იქნებ, ამის ბრალიცაა ჩემი არამოტივირებული შრომისმოყვარეობა, რომლის წყალობითაც ჟურნალში ჩემს გვარ-სახელს ორჯერ შეხვდებით – ჯერ ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე გიამბობთ და მეორე, უფრო ახლოს გაგაცნობთ ბაკურ სულაკაურს, ადამიანს, რომელმაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველმა დაიწყო წიგნის გამოცემა და ეს საქმიანობა მომგებიან ბიზნესად აქცია.

ეს ბოლო სვეტია, რომელსაც „ცხელი შოკოლადისთვის“ ვწერ, წერა ისევ ისე მახარებს და ამიტომ მჯერა, სადმე, მალე აუცილებლად შეგხვდებით.

კასკადიორი
გვ. 28



დათო ახანიანი

ხშირად როცა რაღაცას ამთავრებ, მერე აღმოაჩენ ხოლმე, რომ გაცილებით საინტერესო მაშინ იწყება, როცა შენ წერტილი დასვი. 23 მარტი ქართული საზოგადოების სირცხვილია, ეს ის დღეა, როცა შიმშილის გამო 1 წლის გოგიტა აბაშიძე გარდაიცვალა. ბავშვს მკვეთრი ჩამორჩენა ჰქონდა, იწონიდა იმდენივე კილოგრამს, რამდენსაც – დაბადებისას (არჩევნების შემდეგ ჩვენ ისევ მოვწყდით რეალობას და სოციალური პრობლემების გაუმჯობესების ნაცვლად, ახალი დაჭერების და სისხლის მოლოდინში, ეკრანთან პოპკორნს ვახრამუნებთ. ისევ გვავიწყდება, რომ ამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან თითოეულ ჩვენგანს თავისი წილი პასუხისმგებლობა აკავშირებს)...

გოგიტას გარდაცვალებიდან რამდენიმე საათში თბილისში, ფილარმონიის აივანზე გამოჩნდა ბანერი, წარწერით „HELPme 1 წლის ბავშვი შიმშილით მოკვდა! მე ვარ ამ ყველაფერში დამნაშავე და არავინ სხვა!“ რამდენიმე გაჩერების შემდეგ ბანერი სასტუმრო „Holiday Inn“-ის ლობეზე ეკიდა. ავტობუსის მინიდან კი დიდი და პატარა ყველა გაკვირვებით უყურებდა წარწერას.


გაიცანით თბილისელი HELPme და მისი ეკატერინბურგელი კოლეგა – ტიმა რადია, რომელთა ურბანული ნარატივიც ყოველთვის ყველაზე დროულად და მწვავედ ურტყამს ხოლმე სამოქალაქო სინდისს.

ურბანული ნარატივი
გვ. 62

DREAM პაკეტი

საუკეთესო ინტერნეტი შემოთავაზება

50 MB/წმ - 30 წერი



22 MB/წმ - 30 წერი

ჩართეთ
30 აპრილამდე!

+ ექსტრა 2 მბ/წმ ყოველთვიურად

სრულიად უფასოდ, 31 დეკემბრამდე



2 100 100

www.silknet.com

ოპტიკური ტექნოლოგიები



გვ. 72



გვ. 88



გვ. 88



გვ. 90

თეა ჭყონია

ტექსტილის მხატვარი

თეა ჭყონია ფობიების მხატვარია, თუმცა მის ნამუშევრებში სიმბოლის, დახურული სივრცის, მწერების, უცხო ადამიანების და სხვა ასეთი საყოველთაოდ ცნობილი შიშების კონკრეტულ მახასიათებელს ვერ იპოვით. ამბობს, რომ თავისი ნახატებით, ის ფობიისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი მდგომარეობის, მისგან გაქცევის გამოხატვას ცდილობს. ყველაზე მკვეთრად კი ეს განცდა მის ნამუშევრებში გიგანტური ფეხების დეტალებით შეიმჩნევა.

საკუთარ კონკრეტულ ფობიებზე არ საუბრობს, თუმცა მათი ამოცნობა რამდენიმე ნამუშევრიდან მაინც არის შესაძლებელი. ამ ნამუშევრებს ავტორის მინანქრებიც ახლავს: „მეშინია პეპლის, რომელიც 3 დღეს ცოცხლობს... ადამიანის დაკარგვის... მზის სხივების, რომლებიც დაბლა ჩადის...“

ახალგაზრდა მხატვარი აბრეშუმის ქსოვილზე მუშაობს. ამბობს, რომ გამოხატვითი მედიებს შორის, აბრეშუმში ყველაზე საინტერესო მასალაა, რომელიც დამატებით როლს თამაშობს, როგორც შემოქმედებით პროცესში, ისე ნამუშევრის აღქმაში. აბრეშუმის გარდა თეა თექასა და გობელენზეც მუშაობს. არის „ლურჯი სუფრების ლაბორატორიის“ წევრიც.

მის შემოქმედებაში ყველაზე მნიშვნელოვანი აბრეშუმის ლებვის სპეციფიკური ტექნოლოგიებით საღებავებით შესრულებული ნამუშევრების სერია – „Phobia“ გახლავთ, რაც საგრძნობლად განსხვავდება იმ ემოციებისგან, რომელიც აკადემიაში სწავლის პირველ წლებში განსაზღვრავდა თეას მხატვრულ სტილს. ფერადი, აღმოსავლური ხელოვნების სიმბოლოებით და აბსტრაქტული ობიექტებით დატვირთული ეს ნამუშევრები გამოხატავდა მხატვრის სპეციფიკურ შინაგან მდგომარეობას, რომელსაც თავად ნირვანას უწოდებდა.

სიახლის ძიებაში, თეა შიშით გამოწვეულ უსიამოვნო ემოციებამდე მივიდა, რაც საბოლოოდ თავის ძირითად სამაგისტრო თემად აქცია, კურსის დასასრულს კი, აბრეშუმზე შექმნილი კომპოზიციები, მისივე იდეით გადაღებული ვიდეო-არტის ფონზე, სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში წარადგინა. რამდენიმეწუთიანი ვიდეოში მხოლოდ ადამიანის ფეხები ჩანს, რომელიც ჰორიზონტალურ ზოლზე ჯერ ნელი ტემპით მოძრაობს, ბოლოს კი სირბილს იწყებს: „შიშისგან თავის დასაღწევად, მას გაჯურბივართ – ეს არის ის უპირველესი ინსტინქტი, რაც შიშის დროს გვეუფლება“, – ამბობს თეა „ფობიის“ სერიის შესახებ.

აბრეშუმზე მუშაობის გამო, თეამ გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების შექმნაც დაიწყო და ასე მიიღო დასრულებული სახე „თავსაფრების“ სერია. მცენარეებისა და ნაციონალური მოტივების თემაზე შექმნილ თავსაფრების სერიას ის „მოსიარულე ხელოვნებას“ უწოდებს, რომელიც, მისი თქმით, ყველაზე მარტივად შეიძლება სხვა ადამიანების ნაწილად აქციო. ამ სერიის მთავარ მოტივს მხატვარი ასე ხსნის – „უბრალოდ, მინდა, იყო ჩემში და მე ვიყო თქვენში“.

ადამიანების სივრცეში ყოფნის შიშისა და მათთან ურთიერთობის სურვილის ერთგვარი ნაზავია ის ახალი სერია, რომელზე მუშაობასაც თეა ჭყონია უახლოეს მომავალში დაიწყებს. იდეების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში მას ახალი შემოქმედებითი სივრცეც დაეხმარება. თეამ რამდენიმე დღის წინ, DAAD-ის ადმინისტრაციისგან დადებითი პასუხი მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ სამხატვრო აკადემიის შემდეგ, სწავლას გერმანიაში გააგრძელებს. პერსონალური გამოფენის მოწყობას გამგზავრებამდე თბილისში გეგმავს. მისი ნამუშევრების დათვალიერება ფეისბუქის გვერდზეც შეგიძლიათ: [Facebook/Art of Tea Chkonia](https://www.facebook.com/ArtofTeaChkonia)

განვადება

განვადების საუკეთესო პირობები ბანკ „რესპუბლიკისგან“



გრძელვადიანი 0%-იანი მომენტალური განვადების აქციები ტექნიკის მაღაზიათა ქსელებში, სარემონტო მასალებზე, სამკაულებზე და სამოგზაურო ტურებზე. 0%-იანი ავტოგანვადების ექსკლუზიური აქციები საჩუქრებით სხვადასხვა ავტოსალონში!

ყოველი ჩვენგანი მნიშვნელოვანია

 **ბანკი რესპუბლიკა**
BANK REPUBLIC



290 90 90

* 90 90

BR.GE

შაშვი სოსიძე შენარაღი

კავკასიელი „ტყვე“ ქალი ვლადიმერ ბარსკის ფილმი „ბელა“ (1927 წ.)

ავტორი ლევით ბუხრიძე

ქართული კინოს ისტორიაში, რეჟისორი ვლადიმერ ბარსკი ერთ-ერთი პირველია, ვინც ნიკოლოზ შენგელიას შემდეგ კავკასიის რთულ და „ეგზოტიკურ“ თემას შეეჭიდა. მიხეილ ლერმონტოვის რომანის – „ჩვენი დროის გმირის“ ეკრანიზაცია სხვადასხვა აქცენტებით სამჯერ მოახერხა. ჯერ გადაიღო „თავადის ასული მერი“ (1926), შემდეგ – „მაქსიმ მაქსიმიჩი“ და ბოლოს – „ბელა“ (1927). ეს ფილმი არამხოლოდ კინემატოგრაფიული თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი, არამედ დღევანდელი კონტექსტითაც, როცა კავკასიისადმი რუსეთის დამოკიდებულებას, მის კულტურას ხელახლა ვიზუალიზირებთ.

XIX საუკუნეში, როდესაც რომანი დაინერა და ამჟამადაც, რუსეთის ნეოკოლონიალური პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიაში ცხადი და შეუნიღბავია.

ამ თვალსაზრისითაც ბარსკის ფილმი „ბელა“, ბევრ საინტერესო და საგულისხმო დეტალს შეიცავს. თუმცა მთავარი აქცენტი მაინც პეჩორინის (ნიკოლოზ პროზოროვსკი), ბელას (თინათინ მაჭავარიანი) და ყაზბიჩის (ალექსანდრე თაყაიშვილი) ურთიერთობაზეა გადატანილი. ფილმი საბჭოთა ეკრანებზე 1927 წელს გამოვიდა კინოგაქირავებაში და საკმაო წარმატებაც ჰქონდა.

ბარსკის რეჟისურა ამ ფილმში განსაკუთრებულსა და ახალს ვერაფერს გვეუბნება. შესაძლოა იმიტომაც, რომ კავკასიის თემა მას გაცილებით მეტი დამაჯერებლობით და ფსიქოლოგიური სიზუსტით აქვს აღწერილი ფილმში „მოძღვარი“, რომელიც ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობის მიხედვით, 1923 წელს გადაიღო (სცენარის ავტორი და მთავარი როლის შემსრულებელი შალვა დადიანი).

ფილმში ბელას როლს არაპროფესიონალი, თინათინ მაჭავარიანი ასრულებს, რომელიც ბარსკიმ ნვეულებზე ნახა. არც მანამდე და არც შემდეგ მაჭავარიანი კინოში აღარ გადაუღიათ. ლერმონტოვის რომანისგან განსხვავებით, ფილმში ქალის როლი დამინებულია და მოკლებულია საბედისწე-

რო მისტიკურობას. მეტიც, ის ერთგვარად ვაჭრობის საგანი ხდება: ყაზბიჩი, რომელიც ბელაზე შეყვარებული, მის ძმას, აზამატს (ილიკო მერაბიშვილი) ცხენს ჰპირდება, თუკი იგი სანაცვლოდ, ქალს მოატაცებინებს. ამასობაში, რუსი ოფიცერი პეჩორინი დაპირებებით შეაცდენს ბელას, მაგრამ მალე მობეზრდება იგი. შურისძიებით ანთებული ყაზბიჩი ბელას მოკლავს, რუსი ოფიცერი კი მთიანი აულიდან მიემგზავრება.

კინემატოგრაფიული თვალსაზრისით, ყველაზე გამორჩეულია ვალერიან სიღამონ-ერისთავის მხატვრობა. სწორედ მისი ფანტაზიის ნაყოფია კავკასიური სოფლის ოდნავ ჰიპერბოლიზებული, გამხატვრული სახე, განსაკუთრებული ინტერიერები და შესანიშნავი რეკვიზიტი. აღსანიშნავია ეპიზოდი, რომელიც ბელას მამის სახლს, ინტერიერებს და ეზოს ასახავს. აგრეთვე, აულის საერთო ხედები, რომელიც ოპერატორებმა – ანტონ პოლიკევიჩმა

და ფერდინანდ გეგელემ უფრო მეტად თეატრალიზებულად გადაიღეს. თუმცა თავდაპირველად რეჟისორს გადაწყვეტილი ჰქონდა, „მოძღვარის“ ოპერატორი, უკვე ცნობილი, ალექსანდრე დილმელოვი მიენებია. ასეა თუ ისე, ფილმი იდეოლოგიურ დატვირთვას უმკლავდება, ხოლო ეგზოტიკას მისი მხატვრული ხარისხი ხელს არ უშლის.

ვლადიმერ ბარსკი მოსკოვში დაიბადა. დამთავრა მოსკოვის საიმპერატორო ტექნიკური სასწავლებელი, თუმცა ყოველთვის აინტერესებდა თეატრალური ხელოვნება და კინო. 1900-1917 წლებში რუსეთის სხვადასხვა თეატრში მოღვაწეობდა მსახიობად და რეჟისორად. 1917-1928 წლებში საქართველოში, კერძოდ, „სახკინმრეწვეში“ კინორეჟისორად მუშაობდა. გადაღებული აქვს ფილმები: „მოძღვარი“ (1922), არსენა ყაჩალი“ (1923), „შუქურას საიდუმლოება“ (1925), „თავადის ასული მერი“ (1926), „მეცხრე ტალღა“ (1927), „კაზაკები“ (1928).





ავერსის გათამაშება

ავერსის სააფთიაქო ქსელის დაგროვებითი "მტრედი ბარათი" უკვე 5 წლის გახლავთ. გარდა იმისა, რომ ბარათზე დაგროვილი თანხით მომხმარებელს სასაჩუქრე კატალოგიდან სასურველი პრიზის არჩევა შეუძლია, მას საშუალება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს წამახალისებელ გათამაშებაშიც.

"ავერსი" მეოთხე გრანდიოზულ გათამაშებას გთავაზობთ:

- ▶ ავერსის აფთიაქებში ყოველ გადახდილ 20 ლარზე საჩუქრად მიიღებთ გათამაშების 1 ბილეთს, ხოლო დახარჯული თანხის 10% -მდე კვლავ მტრედი ბარათზე დაგიბრუნდებათ.
- ▶ ბარათზე დაგროვილ 50 მტრედზე საჩუქრად მიიღებთ დამატებით გათამაშების 3 ბილეთს!
- ▶ 10 მტრედის სანაცვლოდ მიიღებთ გათამაშების 1 ბილეთს.

გათამაშება შედგება 19 ივნისს, საღამოს 19:30-ზე

თამაშდება:



5 x 5000 ლარი

5 x 10000 ლარი

20000 ლარი



ავერსი - ჯანმრთელობა და სულიერი სიმშვიდე!
WWW.AVERSI.GE

☎ 2-967 227



ქოტე სულაბერიძე, „დალტონიის თვალბაბით“, ფრაგმენტი, 2012

8 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ

ავტორი სალომე აფხაზიშვილი

ბამოფენა

„არაჩვეულებრივი გამოფენა“

სად: გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი

როდის: 2.04 – 16.04

დასაწყისი: 18:00

მისამართი: გ.ჭანტურიას ქ. №8

ეთერ ჭკადუას, კოტე ყუბანიევილის, დიმა ცუცქერიძის, გოგიტა ჭყონიას, გოჩა ჭკადუას და გიო ცუცქერიძის ნამუშევრების „არაჩვეულებრივი გამოფენა“ სხვადასხვა მედიაში მომუშავე არტისტების თანამშრომლობით მომზადდა. დამოუკიდებელი შემოქმედებითი პროცესი, მედიური მრავალფეროვნება, განსხვავებული გამომსახველობითი ენა და პოზიცია ერთ სივრცეში, ერთ გამოფენაში გაერთიანდა. ამ თანამშრომლობის საფუძველი ხელოვანების მრავალწლიანი მეგობრული ურთიერთობა და ემოციურ-ინტელექტუალური ურთიერთგავლენებია.

„არაჩვეულებრივი გამოფენა“ თანამედროვე ხელოვნების მნიშვნელოვან ასპექტს, ცხოვრებასა და ხელოვნებას შორის არსებულ საზღვრებს იკვლევს.

ისტორიული მემკვიდრეობა ხელოვნების სასახლეში

სად: საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი

როდის: 1.04 – 30.04

მისამართი: კარგარეთელის ქ. №6

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი სამეგრელოს ყოფილ მთავართა სასახლეში დაცული უნიკალური ექსპონატების გამოფენას მასპინძლობს. უნიკალურ ექსპონატიან გამორჩეული ექსპონატია ნაპოლეონ ბონაპარტის ბრინჯაოს ნიღაბი, რომელიც ერთ-ერთია ფრანგი მხედართმთავრის მემკვიდრეობიდან შემორჩენილი სამი ნიღბიდან.

გამოფენაზე ასევე იქნება წარმოდგენილი: სამეგრელოს დედოფლის, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის პირადი ნივთები, საფრანგეთისა და რუსეთის იმპერატორთა ძვირფასი ტილოები, ნიკოლოზ ბარათაშვილის კუთვნილი ღვინის სასმელი, ვერსალსა და ლუვრში დამზადებული ჭურჭელი, პირველი ქართველი მოჭადრაკის, ანდრია და-

დიანის ჭადრაკი, საფრანგეთის იმპერატორების მაგიდის გარნიტური და რუსეთის იმპერატორის ოქროს ალბომი.

ალსანიშნავია, რომ მსგავსი მასშტაბის გამოფენა ზუგდიდის დადიანების სასახლიდან ბოლო ათწლეულის განმავლობაში თბილისში პირველად ეწყობა. უნიკალური ნივთები, ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული ექსპონატები პირველად ტოვებს ზუგდიდის სასახლის საცავებს. გამოფენა თბილისში ერთ თვეს გაგრძელდება.

კოტე სულაბერიძის პერსონალური გამოფენა

სად: ბაია-გალერეა

როდის: 31.03 – 8.04

გახსნა: 19:00

მისამართი: შარდენის ქ. №10

ლონდონში, სოტბის გალერეაში გამართული გამოფენა-გაყიდვის „გზაჯვარედინის“ შემდეგ, ქართველი მხატვრის ახალი ნამუშევრების ხილვის საშუალება ქართველ დამთვალირებელსაც მიეცემა. თანამედროვე ხელოვნების სამყაროში ამ ერთ-ერთ

ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებაზე კოტე სულაბერიძის ნამუშევარი („დალტონიკის თვალებით“), სხვა ქართველ მხატვრებთან ერთად, მათ შორის, ირაკლი ფარჯიანის და მერაბ აბრამიშვილის ნამუშევრებთან ერთად გამოფინეს. გალერეაში მისულ ქართველ დამთვალიერებელს კოტე სულაბერიძის ნამუშევრების კატალოგის შექმნაც შეეძლება.

„ბრონეულების ბალი“

მალხაზ რუსაძის პერსონალური გამოფენა

სად: ბაია-გალერეა

როდის: 20.04

გახსნა: 19:00

მისამართი: შარდენის ქ. №10

აპრილის ბოლოს, ბაია-გალერეა თანამედროვე მხატვრის, დიზაინერისა და კინორეჟისორის – მალხაზ რუსაძის პერსონალურ გამოფენას უმასპინძლებს. ექსპოზიცია სახელწოდებით „ბრონეულების ბალი“ ბრონეულების თემაზე შექმნილ ფერად გრაფიკას აერთიანებს, თუმცა მათ გარდა, გალერეაში ბრონეულებით დეკორირებულ სარკეებსაც გამოფენენ.

„დროის მანქანები – მუზეუმები XXI საუკუნეში“

სად: გოეთეს ინსტიტუტი

როდის: 11.04

დასაწყისი: 19:00

მისამართი: ზანდუკელის ქ. №16

რა არის მუზეუმი? „გადაბერებული“ თუ ძალიან თანამედროვე ინსტანცია? რა შეუძლია მუზეუმს გააკეთოს საზოგადოებისთვის და პირიქით? – ეს ის ძირითადი კითხვებია, რომლებიც ბოლო პერიოდში გამართულ დისკუსიებზე ხშირად ისმის. ერთ-ერთია გოეთეს ინსტიტუტის ორგანიზებით შემდგარი პროექტი – „საუბრები მუზეუმზე“, რომლის ფარგლებშიც მარტიდან ოქტომბრის ჩათვლით რამდენიმე დისკუსია მოეწყობა.

დისკუსიების პირველი სერია 14 მარტს ხელოვნების ისტორიკოსმა ქეთევან კინწურაშვილმა გახსნა. მისი მოხსენება ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული საუნივერსიტეტო მუზეუმების მიმოხილვას წარმოადგენდა.

მუზეუმზე, როგორც სახლზე საუბარს, 11 აპრილს კურატორი ირინა პოპიაშვილი გააგრძელებს, თემით – „თანამედროვე მუზეუმი, როგორც იდეა: ფრიკის კოლექციიდან ნიუ მუზეუმამდე“.

დისკუსიაზე დასწრება თავისუფალია.

ამირ კაკაბაძის ნამუშევრების გამოფენა და წიგნის პრეზენტაცია

სად: გალერეა „ვანდა-ჰობი“

როდის: 5.04 – 11.04

გახსნა: 19:00

მისამართი: ჭონქაძის ქ. №14

ქართველი მხატვრის ამირ კაკაბაძის ნამუშევრების გამოფენას გალერეა „ვანდა“ უმასპინძლებს. საგამოფენო სივრცეში ფერწერული ტილოების, გრაფიკული ნამუშევრების, შერეული მასალით შექმნილი კოლაჟების გარდა, მხატვრის 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ალბომი-მონოგრაფიაც იქნება წარმოდგენილი, რომლის ავტორი ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, კრიტიკოსი დავით ანდრიაძე გახლავთ. ალბომი ორენოვანია და ავტორისეული შეფასებების და მხატვრის ბიოგრაფიის გარდა, ათობით ილუსტრაციასაც შეიცავს.

სხვადასხვა

ფრანკოფონიის დღეები საქართველოში

სად: რესტორანი „ტარტინ მეიდან“

როდის: 11.04

ხანგრძლივობა: 19:00-21:00

მისამართი: სამღებროს ქ. №6

დასწრება მოსანვევებით

აპროფიზა – ასე ჰქვია პოეტურ წარმოდგენას, რომელსაც საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე პროვინციული ქალაქის, რენის თეატრალური დასის – „ქარის სახელოსნოების“ წარმომადგენლები (სელინ ლეკორი, რეჟის გიგანი, ალენ ელუ, კრისტოფ ეკობიშონი) გამართავენ. ფრანგი მწერლის, ჟორჟ პეროსადმი მიძღვნილი წარმოდგენა რამდენიმე ნაწილისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთისგან მცირე ნახემსებითა და აფორიზმების გამოთქმებით გამოიყოფა. მსახიობები მსმენელებს შორის მოძრაობენ, ტექსტები დარბაზში მოგზაურობენ, ხმაუ-

რით გადაცემიან ერთი ადამიანიდან მეორეს და ექოს ინვევენ. თითოეული ნაწილი გარკვეულ თემას ეთმობა და მოიცავს ჟანრებს – „კლასიკური“ პოეზიიდან („ჩამოხრჩობილთა ბალადა“, „მთვრალი გემი“) ექსპერიმენტულ პოეზიამდე. მათ შორის არის, როგორც XX, ასევე XVI საუკუნის პოემები. თითოეული პიესა 8 სხვადასხვა ნაწილისგან შედგება, რომელიც ძირითადად სიყვარულის, ცხოვრებისა და პოეზიის თემაზეა.

აპროფიზამ 2007 წელს „პოეტების გაზაფხულის“ ჯილდოც დაიმსახურა. წელს, ის საქართველოში, ფრანგული კულტურის დღეების ფარგლებში, ფრანგული ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართება.

მორიგი ფილმი „ქართული ფილმების კრებულში“

DVD-ის პრეზენტაცია და ფილმის ჩვენება

სად: კინოთეატრი „ამირანი“

როდის: 3.04

დასაწყისი: 20:00

ჟურნალი „ცხელი შოკოლადისა“ და „ქართული ფილმის“ ერთობლივი პროექტი „ქართული ფილმების კრებულში“ მორიგი ფილმის ჩვენებით გაგრძელდება. ამჯერად, მაყურებელი ვლადიმერ ბარსკის რეჟისორობით 1927 წელს გადაღებულ ფილმს – „ბელას“ იხილავს. ფილმს საფუძვლად უდევს მიხეილ ლერმონტოვის რომანი „ჩვენი დროის გმირი“, რომლის სცენარი თავად რეჟისორს ეკუთვნის.

პროექტის სპონსორების – „ბანკი კონსტანტას“, „ავერსისა“ და „კაპაროლ ჯორჯიას“ დახმარებით, მაყურებელმა DVD-ის სახით, უკვე მიიღო შემდეგი ფილმები: „გოგი რატიანი“, „ქრისტინე“, „კომუნარის ჩიბუხი“, „ელისო“, „დაკარგული სამოთხე“, „საბა“, „ტარიელ მკლავაძის საქმე“ და „საკანი N79“. დაინტერესებულ კინომოყვარულებს მორიგი DVD-ის შექმნა ჟურნალი „ცხელი შოკოლადის“ ახალ, აპრილის ნომერთან ერთად შეუძლია. ჟურნალი დისკთან ერთად ასევე 3 აპრილს კინოთეატრ „ამირანი“ ფილმის ჩვენებაზე გაიყიდება.



როგორ მოვიყვანოთ გაზაფხული?

ავტორი: ელენე კანდელაკი

თუ გარეთ დათბა, კატები აკნავლდნენ, ჩიტებმა ფლურტული დაიწყეს და სამმა ფრენდმა დაპოსტა, რომ „დღეს გაზაფხულის სუნი ეცაო“, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თქვენს ქუჩაზეც გაზაფხულია. ერთი მერცხლის ჭიკჭიკი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიყვანს გაზაფხულს, თუ ეს მერცხალი თქვენ იქნებით. ნებისმიერ განწყობას პირველ რიგში შინაგანი მზაობა სჭირდება და გაზაფხულიც მაშინ დადგება, როდესაც თქვენ მისცემთ მას ამის საშუალებას.

არ გადადოთ ეს პროცესი. სინოპტიკოსების, ცვალებადი მარტის და მის მიერ აპრილისთვის ნასესხები დღეების იმედად დარჩენას, მე პირადად, არ გირჩევდით. თქვენი გაზაფხული მარტის პირველივე დღეებიდან უნდა დაიწყოს!

გახსოვთ შარშან ერთფეროვნად გატარებული გაზაფხულის მინურულს რას ამბობდით? თუ არ გახსოვთ, მე შეგახსენებთ. თქვენ ამბობდით: „აი, მომავალი გაზაფხულისთვის აუცილებლად მომავალი მანქანას!“, „ნინასნარ დავჯავშნი ბილეთებს და გაზაფხულზე სტამბოლში ან პრაღაში წავალ გოგოებთან ერთად!“, „მომავალ გაზაფხულზე არც ერთ შაბათ-კვირას თბილისში არ გავატარებ და სულ პიკნიკებზე ვივლი!“, „მომავალ წელს მთელი ზამთარი ვივარჯიშებ, ვიდიეტებ და გაზაფხულზე 90-60-90-ზე ვიქნები!“

გაზაფხული უკვე დადგა და თქვენ კი არც სტამბოლის ბილეთის ბრონი გაქვს,

ძველ მანქანაში აკუმულატორიც გამოსაცვლეულია და, ამ ყველაფერთან ერთად 90+60+90 კილო ხართ.

მაგრამ არც ამ განუხორციელებელი გეგმების თუ ოცნებების გამო ღირს გაზაფხულის გაფუჭება. ამის ფუფუნება ნამდვილად არ არის. ჯერ მხოლოდ მარტია და სწორედ ახლა გაქვთ last Call, რომ წელს ყველაზე მაგარი გაზაფხული მოიწყოს. ნუ დაელოდებით ფინანსური და სინოპტიკური სიტუაციის გაუმჯობესებას, თავად დაიზღვიეთ თქვენი გაზაფხული რუტინისგან. ჩვენ რამდენიმე რჩევას მოგცემთ.

1. ვიცი, ძალიან ბანალურია, მაგრამ სახლის დალაგება მართლა ამართლებს. ზუსტად ამ საქმით დაიწყეთ. ყველა ძველი ნივთი, რომელსაც არ იყენებთ, უყოყმანოდ გადააგდეთ. ზღვის ნიჟარების აცმა, რომელიც 97-ში ქობულეთში გაჩუქათ სიმპათიურმა ბიჭმა, რომელსაც, სავარაუდოდ, ვერასოდეს ნახავთ, ან თუ ნახავთ ვერ იცნობთ, მართლა არ გჭირდებათ. ერთ პოლივუდურ ფილმში მოვისმინე ეს ფრაზა – „ისწავლეთ დაემშვიდობოთ წარსულს და გადაადგეთ ძველი ნივთები, რადგან ისინი არ ტოვებენ თქვენს ცხოვრებაში ადგილს მომავლისთვის“. პათეტიკური კი არის, მაგრამ, მგონი, რაღაც სიმართლის მარცვალი უნდა იყოს.

სახლის დალაგებაზე კიდევ ერთი ისტორია მაქვს. ბავშობაში, ზამთრის მინურულს დედა ფანჯრების წმენდას

თუ იწყებდა, სიხარულისგან ცას ვენეოდი – ზუსტად ვიცოდი, მალე შალის კოლგოტების გახდის და სკოლაში გეტრებით სიარულის დრო დადგებოდა.

2. კომპეტენტური ტონით რომ გააფრთხილოთ, გაზაფხულზე ორგანიზმი ისედაც გამოფიტულია და დიეტა არავითარ შემთხვევაში არ დაიცვათ-თქო, დამიჯერებთ? პირადად ჩემს ცხოვრებაში, გაზაფხულს უდიეტოდ კარგა ხანია არ ჩაუვლია.

იჩქარეთ, იმიტომ რომ საზაფხულო კაბების ჩაცმამდე დარჩა ერთი თვე! მთავარია, სწორი დიეტა შეარჩიოთ. რაც შეიძლება მეტი ხილი და ბოსტნეული.

პ.ს. ეს რჩევა თქვენც (და პირველ რიგში თქვენ!) გეხებათ ლიბანო ქართველო კაცებო. მერე რა რომ საზაფხულო კაბა არ გელოდებათ.

3. მწვანე, ყვითელი, სტაფილოსფერი – ამბობენ, რომ ეს ფერები განწყობაზე კარგად მოქმედებს. არ არის აუცილებელი ამ ფერის ტანსაცმელი ჩაიცვათ, თუკი ვერ იხდენთ. შეგიძლიათ ფორთოხლებით, ვამლებითა და ლიმონებით სავსე დიდი კალათა დაიდგათ ოთახში. თანაც ხელი ნავიცდებთ და გაზაფხულზე რაც უფრო მეტ ხილს შეჭამთ, მით უკეთესი.

4. სახლი ხომ დაგალაგებინეთ და ახლა კიდევ ერთი საქმე უნდა დაგავალოთ – ბოსტნეულის სუპის გაკეთება. თქვენი არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის ერთი სიამოვნებაა. სამზარეულოში ფანჯა-

რას რომ გამოვადებ, მწვანელებით და ბოსტნეულებით რომ ავავსებ იქაურობას, ცივი წყლის შხეფები რომ ესხმება ახალგაზრდა სალათის ფოთლებს და ირგვლივ ტარხუნის სუნი ტრიალებს... აუცილებლად გააკეთეთ ბოსტნეულის სუპი! მაგალითად, მჟაუნას, ტარხუნის ან აკროშკა. იფ. პროცესი პროცესად და მერე ვიტამინები?!

5. მზე, მზე და მზე! რაც შეიძლება დიდხანს იყავით გაზაფხულის მზეზე. ჩემს პირად გამოცდილებას გაგიზიარებთ – კომპიუტერთან მუშაობით ძალიან რომ გადაიღლებით, გადით ოფისის აივანზე, დახუჭეთ თვალები და გაზაფხულის მზეს ხუთიოდე წუთი მიეფიცხეთ. ალბათ, რომელიმე თანამშრომელი უცნაურად შემოგხედავთ, მაგრამ, დამიჯერეთ, ეს ხუთწუთიანი მზის აბაზანა ამდ ღირს.

6. ლანჩისთვის ღია კაფე შეარჩიეთ. მართალია, ჯერ ისე არ თბილა, მაგრამ პლედში რომ გაეხვევით და ცხელ ყავას დალევთ, არ შეგცივდებათ. სამაგიეროდ, ერთ საათს ჰაერზე დაჰყოფთ და უფრო ხალისიანად გააგრძელებთ მუშაობას.

7. ფიტნეს კლუბები შემოდგომამდე მოიცდის. გაზაფხულზე ფორმაში ჩასადგომად დილაობით სუფთა ჰაერზე სირბილი ან სწრაფი სიარული ჯობია. რაც შეიძლება მეტი დრო გაატარეთ ჰაერზე, პარკებში. ამისთვის ცოტა დრო გაქვთ, ძალიან მალე ისეთი პაპანაქება იქნება, გარეთ ცხვირს ვერ გაყოფთ.

8. რა შეიძლება იყოს უფრო გაზაფხულური, ვიდრე პიკნიკი? აიყოლიეთ მეგობრები და ქალაქგარეთ გადით. ოღონდ ხინკლისა და მწვადის ჭამისგან სუნთქვა-შეკრულები ნუ დაბრუნდებით. გახსოვდეთ თქვენი ლამაზი კოპლებიანი საზაფხულო კაბა, რომელშიც ვერ ეტყვიან!

9. სპონტანურობა! – აი, რა მოუხდება თქვენს საგაზაფხულო დღეებს. რა მოხდება, ერთ პარასკევს სამსახურიდან სახლში კი არ ნახვიდეთ, არამედ ბათუმში. გიჟურ, დაუგეგმავ და მოუშზადებელ უიკენდზე. მაგრამ, ერთი ჩემი მეგობარით არ დაგემართოთ, რომელიც მძიმე სამუშაო დღის შემდეგ პირდაპირ ლოპოტისკენ გაემგზავრა და ცოტა ხანში შუა კახეთიდან დარეკა, მანქანა გამიფუჭდა და მიშველეთო. ვიდრე ასეთი სპონტანური გახდებით, გირჩევთ მანქანა დააზღვიოთ. აღდაგს სპეციალური სა-

გაზაფხულო ავტოაქცია აქვს, რომელიც პროფილაქტიკაში ნანწალსა და დაუგეგმავ ხარჯებს აგაცილებთ თავიდან. გახსოვდეთ, რომ სპონტანურობი თქვენ უნდა იყოს და არა თქვენი მანქანა.

10. იპოვეთ ახალი ჰობი. მე, მაგალითად, ფოტოგრაფიაზე ვაგვიყვით. გადავიკიდებ ფოტოაპარატს და ვიღებ ათას გაზაფხულურ ამბავს – აყვავებულ ყლორტებს, შეყვარებულ წყვილს, ქვიშაში მოთამაშე ბავშვებს.

11. თუ გარდერობის განახლების შესაძლებლობა არ გაქვთ, ძველმანების გადაკეთებაც არ არის ცუდი იდეა. ცოტა ფანტაზია და მობეზრებული კაბა საგაზაფხულო გარდერობის მთავარ ჰიტად შეიძლება იქცეს. არ გადადოთ ეს საქმე – გადმოალაგეთ თქვენი კარადა, გადა-



არჩიეთ რისი გადაკეთებაც შეიძლება და მკერავს მიუტანეთ. საგაზაფხულო ფეხსაცმელებიც დროზე უნდა მოაწესრიგოთ – იქნებ რომელიმეს ქუსლი აქვს გაცვეთილი და მენაღესთანაა წასაღები...

12. ფეხსაცმელზე გამახსენდა. უბრალოდ დაჟინებით მოგინოდებთ, ქუსლიანი ფეხსაცმელები ატაროთ. გაზაფხული ის დროა, რომელსაც ასფალტზე კეკლეუცად მოკაკუნე ქუსლების ხმა ყველაზე მეტად უხდება. თქვენივე ფეხსაცმელების კაკუნე კარგ გუნებაზე დაგაყენებთ.

13. კოსმეტოლოგთან ვიზიტები თქვენი გადაღლილი კანისთვის აუცილებელია. თუ ვერ ახერხებთ, არც ეგ არის პრობლემა. პილინგი სახლის პირობებშიც შესაძლებელია. დილით, სახლიდან გასვლის წინ კი, გვირილას ნაყენისგან გამზადებულ ყინულებს თუ გადაისვამთ სახეზე, გაზაფხულის მოსვლა მერე ნახეთ!

14. და კიდევ – მე თქვენს ადგილას აუცილებლად წავიდოდი სალონში და თმას შევიჭრიდი, ან თმის ფერს შევიცვლიდი. უფრო თამამად საკუთარ გარეგნობასთან! ერთმა ჩემმა ნაცნობმა, რომელსაც მთელი ცხოვრება გრძელი თმა ჰქონდა, ცოტა ხნის წინ თმა მოკლედ შეიჭრა. ახლა წუნუნებს – რამდენი დრო დაეკარგე, სანამ ჩემს სტილს ვიპოვიდიო... თქვენც ნუ კარგავთ დროს. ჭკვიანი ქალი ყველანაირ ვარცხნილობას მოიხდენს.

15. დაბოლოს – რა ენაზეც არ უნდა დაგუგლოთ „გაზაფხული“, აუცილებლად ამოაგდებს სიტყვას „სიყვარული“. ამბობენ, რომ გაზაფხული ყველაზე ხელსაყრელი დროა იმისთვის, რომ ვინმე შეიყვარო – კოლეგა, შემთხვევითი გამგელი, საკუთარი ქმარი... მე პირადად სეზონური სიყვარულების არ მჯერა, მაგრამ ფლირტისთვის გაზაფხული მართლა მისწრებაა. სცადეთ! ბედნიერ გაზაფხულს გისურვებთ და გამიხარდება, თუ ამ სიას თქვენი გამოცდილებით შეავსებთ.

რუბრიკას წარმოგიდგინთ „აღდაგი ბისიანი“





ისტორიის ბაკვეთილი

ბაბა ნახუსარიშვილი

თებერვლის ამინდი იყო, რუხი, უყ-
მური, ქარიანი. დაღლილი, უხალისოდ
სახლში ვბრუნდებოდი. უეცრად, ქუ-
ჩაში ჩემი ისტორიის მასწავლებელი,
ოთარ ამალღობელი შემხვდა. პირველ-
მა შემამჩნია და შემაჩერა.

– ოთარ მასწ!..
– როგორ ხარ, ბიჭო!... მეც არამიშა-
ვს! – არ დამაცადა პასუხი.
– ვარ, ვუძლებ...
– ამ იდიოტობას, ხო?!.. მეც! – გა-
ეცინა.

– ხო, აღარ შეიძლება ამდენი იდიო-
ტობა... სხვადასხვანაირი ფორმით...
მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება...

– ეგრეა, ეგრე. გამიხარდა, რომ მი-
ცანი.
– რას ამბობთ, ოთარ მასწ, თქვენ
ჩემი ფერადი ბავშვობის უდიდესი ნა-
წილი ხართ! – ვუთხარი სულელური
პათეტიკით. სრულიად ფხიზელი, შე-
ზარხოშებულოვით ავლაპარაკდი, ისე
გამიხარდა მასთან შეხვედრა.

– მაშაყირებ ხო, შენებურად? შენ რა
გითხარი, – გაეღიმა.

– არა, „მასწ“, რას ამბობთ, – გამე-
ცინა მეც, – ისევე „ტრენიში“ ასწავლით?
– ახლა „ბრიტანულ გიმნაზიაში“
ვარ... გახსოვს, კედელზე რომ ლექსი
დამინერე?

– როგორ არა...
გამახსენდა და ცოტა შემრცხვა. ბა-
ვშვობაში ხეირიანს რას დაფუნერდი,
რალაც ბავშვური, ამპარტავნული სი-
სულელე იქნებოდა, თანაც ცოტა გა-
დაკრული მექნებოდა.
– ახლაც იქ წერია შენი ლექსი...
გული ამიჩუყდა.

– დიდი მადლობა, ერთი დავსხდეთ
რა ჩვენებურად, მე ვიკისრებ! – შევთა-
ვაზე.

ოთართან ბიჭები სკოლის დამთავრე-
ბის შემდეგაც ავდიოდით. ყოველთვის
კარგი ლეინო ჰქონდა, თავისი დაყენე-
ბული. ლეინო ხომ ყოველთვის თავის
შემოქმედს ჰგავს. ჰოდა, ისიც გვეხ-
მარებოდა, რომ მოგონებების ზღვაში
ჩაგვეყვინთა.

– აუცილებლად, თქვენ გამომი-
რეთ და დანარჩენი მე ვიცი – მითხრა
ოთარმა. ერთმანეთს გადავხვებით და
დავემშვიდობეთ. მერე მხარზე ხელი
დამარტყა და სწრაფი ნაბიჯით წავიდა.
უკან აღარ მოუხედავს. მე გავჩერდი და
თვალი გავაყოლე. დამენანა რომ ერთ-
მანეთს ასე ცოტა ხნით შევხვდით.

ოთარის დამსახურებაც არის, რომ
ისტორიულზე ჩავაბარე. თუმცა რას
ვტრებახობ, ჩემგან ხომ დიდი ვერაფე-
რი უამთაღმწერელი გამოვიდა.

* * *

უკვე 25 წელი გავიდა, რაც სკოლა
დავამთავრე. მერე სიყმაწვილე, ახალ-
გზრდობა... როგორ ვცხოვრობდით.
როგორ ლაღად, სპონტანურად, უფრო
კი გიჟურად. როგორი ალალი იყო ეს სი-
გიჟე. არაფერი ჰქონდა საერთო პოზას-
თან, თვალთმაქცობასთან, მეტიჩრობას-
თან. ყველაფერი ნაღდად ხდებოდა და
დღევანდელ ვირტუალობასაც სრულიად
არ ჰგავდა. არა, ტექნიკური პროგრესის
წინააღმდეგი არ ვარ, უბრალოდ მძულს.
თითქოს, ვირტუალურ ქსელებში ერთ-
მანეთს ვკარგავთ. თითქოს მარტოობას
მარტოობით გაუფრთხილდით.

* * *

25 წელი გავიდა... ჩვენ არ ვიცოდით,
რა სიურპრიზებს გვიმზადებდა ბედი.
რა ვიცოდით, რომ ჩინური წყევლა
ავიხდებოდა და საინტერესო, ძალიან
საინტერესო დროში ვიცხოვრებდით.
იქნებ ეს ყველაფერი სიზმარი იყო ან
ახლაც სიზმარში ვარ და მგონია, ვფ-
ხიზლობ. იქნებ თქვენი გაკვეთილებიც
დამესიზმრა, ოთარ მასწ? მაშინ, რატომ
მახსოვს ასე ნათლად, ცხადად, რო-
გორც ნამდვილი, ლამაზი ამბავი.

„ოთარ მასწ“ ყველასაგან გამო-
ჩეული გაკვეთილი ჰქონდა. ეს მართლაც
სხვანაირი 45 წუთი იყო.


ვიხსენებ. მოდის ცნობიერების ნაკა-
დივით: კრწანისის ბრძოლა, გაფუჭე-
ბული ზარბაზნები, ერეკლეს ხრიკი,
ლალატი, ანექსია, აჯანყებები, 60-ია-
ნელები, სხვა გზა, ილიას მკვლელობა,
ბოლშევიკები, ნითელი ჭირი, ოქტომ-
ბრის რევოლუცია, 26 მაისი, 25 თებერ-
ვალი, გაქცეული მენშევიკები, ქაქუცას
აჯანყება, ჩაკლული იმედი, სტალინი,
რეპრესიები, II მსოფლიო ომი, მავნე
ხრუშჩოვი, სისხლიანი 9 მარტი, გა-
მოქლავებული ბრეჟნევი, აორთქლე-
ბული ანდროპოვი, ჩერნეხოვს მძორი,
„გარდაქმნის გარიჟრაჟი“, გორბაჩოვი
„გარდაქმნის პროექტორით“... ველარ
გაგვაბითურებთ, თავისუფლების მო-
ლოდინი, ჯიმ მორისონი, ჰიპები, ფრენკ
ზაპა, ნონკონფორმიზმი, „ვილაცამ გუ-
გულის ბუდეს გადაუფრინა“, შემოლილი
ბობი ფომერი, ასკეტი სელინჯერი...

არა, ეს არ იყო ჩვეულებრივი ისტო-
რიის გაკვეთილი. ეს იყო „თამაში ჭვა-
ვის ყანაში“.

გაზაფხული ალერგიის გახეშე



აი იწვევს ძირიანობას და მოთენთიღობას



ეს გახგია გაზაფხული
აღეგობის გაღეშე

ღოგეგია სნაღფად და ეფეგეგად მოგობსნოთ აღეგობოთ გამონვეულ შემღეგ სომგკომებს:

- ცემინებს
- ცხვიოღდან გამონადენს და ცხვიოის დაცობას
- ცხვიოისა და თვადების ჭავიღს, ცხემღღენას
- გამონაყახს, ჯანის ჭავიღს და სინოთღეს

ღოზიღება: მზოღოღ 1 ტაბღეტი ღღეში

თბღიღისი, სანაპიოის ჯ. N^o 6



იზოტოპების ინსტიტუტი

ბაია სარიშვილი

ქავთარაძის ქუჩაზე იზოტოპების ინსტიტუტია, ძალიან მაღალი შენობა და იქვე, მის გვერდით სკოლა, რომელიც მე დავამთავრე. ვინაიდან ჩემი მშობლები გვიანობამდე მუშაობდნენ, იძულებული ვიყავი, გაკვეთილების შემდეგ გახანგრძლივებულ ჯგუფში დავრჩენილიყავი, მაგრამ არ მიყვარდა იქ დარჩენა და ხშირად ვიპარებოდი. სკოლის გვერდით საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა მიმდინარეობდა და ამ სამშენებლო მასალებსა და სამშენებლო ნაგვის გროვებზე დავძვრებოდი და ვმღეროდი. თუ სახლში ვინმე მივიდოდა, დახურული ფარდები გადაინეოდა და ეს იყო ნიშანი, რომ შემეძლო სახლში დავბრუნებულიყავი. თან დავბოდილობდი, თან ჩემი კორპუსისკენ ვიხედებოდი ხშირად და დღესაც არ ვიცი, მიხაროდა თუ არა, როცა ფარდა გადაინეოდა და მეძახდა სახლი... გახანგრძლივებული კლასის მასწავლებელს ასია ერქვა, მსუქანი ქალი იყო, მუდამ თავშალი ჰქონდა ბეჭებზე მოხურული და მუდამ სურდო ჰქონდა – ასე მასსოვს. ცხვირს ძალიან აკურატულად და ძალიან ლამაზად ინმენდდა ხოლმე გატყინებული ცხვირსახოცებით და როცა სახლში მასწავლებლობანას ვთამაშობდი, მეც მუდამ შალი მქონდა მოხვეული, ზუსტად ასიანაირად ვინმენდდი ცხვირს და საშინლად მომწონდა ასეთი „დიდობა“...

ამ გახანგრძლივებულ ჯგუფში გავიცანი ჩემზე პატარა გოგო, ელისო. რაც გავიგე, რომ დედა არ ჰყავდა,

ვერიდებოდი მასთან ურთიერთობას, რადგან ყოველდღე აუხსნელი შიში მქონდა უდულო ბავშვების მიმართ. უცხოპლანეტელების ნახვა არ დამაბნევდა ისე, როგორც უდულო ბავშვების სიახლოვე მაბნევდა. ელისო კი სულ მე დამდევდა, მიყვებოდა უამრავ უცნაურ ისტორიას და ამით კიდევ უფრო მაფრთხობდა და მაიძულებდა, გავრიდებოდი. ჩემი კარადის უკან მოჩვენება ცხოვრობს და ყოველ ღამე მწვანელებს ვაჭმევო – მიყვებოდა. თუ კარადა ბოლომდე არაა კედელზე მიდგმული, მოჩვენებები იბუდებენ იქო – და გაცეცხულ დედაჩემს ყველა კარადა მაქსიმალურად მივანევი კედლისაკენ... მკვდარი ჭიამაია რომ ვიპოვე ეზოში, ისიც ელისომ დამამარხინა და წითელ პასტას რომ სხვანაირი სუნი აქვს, ესეც მან აღმომაჩენინა. დღემდე თვალდახუჭულს შემიძლია მივხვდე, წითელი პასტითაა დაწერილი ფურცელზე, თუ ლურჯით... ერთხელ საიდუმლოდ მითხრა: იზოტოპების ინსტიტუტში შევიპარე, ბოლო სართულზე ავედი, სახურავზე ავძვერი და იცი, იქ რა ვნახე? მუხლებამდე მკვდარი ჩიტები ყრიაო... ამ იზოტოპების ინსტიტუტზე ისედაც სულ საშინელებები მესმოდა: რომ საიდუმლო რალაცები მზადდებოდა იქ და რომ კვამლი, რომელიც მისი საკვამურიდან ამოდიოდა, საშინლად მომწამლავი იყო. ამიტომ მაშინვე დავიჯერე, რომ სახვებით შესაძლებელი იყო, ინსტიტუტის სახურავი ამ შხამიანი გამონაბოლქვის გამო დახო-

ცილი ჩიტებით ყოფილიყო სახვე. მუხლებამდე მკვდარი ჩიტების წარმოდგენამ ისე შემზარა და ისე შემაძულა ეს ისედაც უცნაური შენობა, რომ ჩვენი მეზობელი მარინაც კი მაფრთხობდა, რომელიც ამ ინსტიტუტში მუშაობდა.

ერთ ზამთარს, როცა უმზეო, ჩამობურული და ყოველდღე უსიხარულო დღე იდგა, საოცრება მოხდა. ვხედავ, ამ საზარელი იზოტოპების ინსტიტუტიდან გამორბიან და გამორბიან ბავშვები ფერადი ბუმბუტებით ხელში. თურმე იქ ჰელიუმი ჰქონიათ და ბავშვებს ჩვეულებრივი ბუმბუტები საჰაერო ბუმბუტებად გადაუქციეს. ეს ულამაზესი კადრი იყო. რამდენიმე წუთში გავრცელდა ხმები, რა ჯადოქრობაც ხდებოდა იზოტოპების ინსტიტუტში. ბავშვების უსასრულო ნაკადი შეედინებოდა შენობაში და იქიდანაც უსასრულო ნაკადი გამოედინებოდა, ოღონდ ფერადი ბუმბუტებით ხელში. ზოგს გაექცა კიდევ ბუმბუტი და უფერული ცა საოცრად აჭრელდა. არავინ ღელავდა, რომ გაკვეთილები ცდებოდა, მგონი, არც მასწავლებლები...

ვერ გავბედე, მეც მეყიდა ბუმბუტი ჯიხურში და ჰელიუმით გამებერა, მაგრამ გაოგნებული ვიდექი და ვხვდებოდი, რომ აღარასოდეს შემეშინდებოდა ამ შენობის, რომელსაც მუხლებამდე მკვდარი ჩიტებიც კი ვაპატიე წამით და ვხვდებოდი, რომ ვუყურებდი კადრს, რომელიც სამუდამოდ ჩამრჩებოდა გულის მეხსიერებაში...



ევროპული სვეტი განახლებულ **პაპილონი**





მე, გებეტომათი

თამაზ მელაშვილი

ეს არის!
ჩემგან მარცხნივ კუთხეში დგას, ფოიეში. თუ ჩემნაირი უყურადღებო ხარ, შეიძლება ვერც კი შეამჩნიო. ახლა უკვე ვიცი სადაცაა – წინასწარ მოეძებნე. მოეძებნე, რადგან დამჭირდა. რადგან მივხვდი – ძალიან დამჭირდა.

გარეთ ნაცრისფერი და უღიმღამო დღე დგას, სევდიანი. ასეთ დღეებში მეტი მიზეზი გაქვს, ოთახში გამოიკეტო და არაფერი აკეთო ინტერნეტში სერფინგის გარდა, მითუმეტეს, თუ უცხო ქალაქში სრულიად მარტო ხარ. არადა იქ, ვირტუალურ სივრცეში, კარგი არაფერი ხდება. ბოლო ერთი საათია, მხოლოდ ნიუსებს ვკითხულობ. ცუდ ნიუსებს სათაურებით: „ნიგვზიანში მართლმადიდებლები მუსულმანებს ლოცვის უფლებას არ აძლევენ“, „რელიგიური დაპირისპირება ნიგვზიანში“, „ნიგვზიანში სიტუაციის დაძაბვის საშიშროება არსებობს“.

ნიგვზიანი ერთი პატარა სოფელია. მისი სახელი აქამდე არასოდეს გამიგია. იქ ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობა ადგილობრივ მუსულმანებს საჯარო ლოცვის უფლებას არ აძლევს. თავს ცუდად ვგრძნობ. უცებ, რამდენიმე დღის წინ გადათვალთვლებული მუზეუმების კვარტალის ბუკლეტი მახსენდება. იქ გებეტომათს მოგკარი თვალი. გებეტომათი ინსტალაციაა, ან გამოგონება – გარეგნულად ფოტოჯიზურს ნააგავს. რეალურადაც ყოფილი ფოტოჯიზურია, სიტყვა-სიტყვით – თარგმანით სალოცავი ჯიზური, პანანინა სპირიტუალური სივრცე, სადაც შეგიძლია ლოცვებს

მოუსმინო. გებეტომათში სამასზე მეტი ლოცვაა მსოფლიოს სამოცდახუთ ენაზე, – ვკითხულობ ბუკლეტში.

სწრაფად ვიცვამ და გავრბივარ. მუზეუმების კვარტალი ჩემი სტუდიიდან ძალიან ახლოსაა.

აი, ეს არის! ჩემგან მარცხნივ, კუთხე-

**ამ დროს თვალებიც
კი შეგიძლია დახუჭო
მეტი სიმშვიდისთვის.
მითუმეტეს, თუ იმ
ადგილიდან შორს ხარ,
სადაც არ უყვართ
განსხვავებულები
ადამიანები სხვა
მრწამსით, სხვა
ფერით, სხვა
ქცევით.**

ში დგას. მის დანახვაზე ფოტოჯიზურზე მეტად რატომღაც ჩემი ღრმა ბავშვობისდროინდელი საბჭოთა მულტფილმი მახსენდება. იქ მსგავსი მონყობილიდან მგელი, სანამ კურდღელს გაეკიდებოდეს, ლიმონათს ასხამს და სვამს. გებეტომათს სქელი შალის ფარდა აქვს ჩამოფარებული. „აღბათ, მეტი მყუდროებისთვის“, – ვფიქრობ. ფარდას ვწვევ, პატარა სკამზე ვჯდები და ჩემს წინ გაშლილ ეკრანს ვაცქერდები. ციფრულ ეკრანზე სიას ვშლი. სია გერ-

მანულადაა, მაგრამ ენის ცოდნა სულ არ გჭირდება გებეტომათისთვის. მერე ვხვდები – არც ლოცვისათვის.

ეკრანზე გაშლილ სიას ვკითხულობ:

ბუდიზმი
ქრისტიანობა
ინდუიზმი
ისლამი
იუდაიზმი
სხვა

თითქოს ქრისტიანობაზე ვჩერდები, აშკარად თვითიდენტიფიკაციის ამბავია, მაგრამ აზრს ვიცვლი. ხელს „შემდეგს“ ვაჭერ, ცოტა ხნის შემდეგ – „სხვა რელიგიებს“, შემდეგ ინტუიციით – **par-sen gujarath**-ს. არ ვიცი, რა ლოცვაა, რა ენაზე, რომელი ქვეყნიდან, მაგრამ ისეთია – ნამებში მშვიდდები. მშვიდი ხარ. შესაბამისად, ცოტა ბედნიერიც. ამ დროს თვალებიც კი შეგიძლია დახუჭო მეტი სიმშვიდისთვის, მეტი ბედნიერებისთვის. მითუმეტეს, თუ იმ ადგილიდან შორს ხარ, სადაც არ უყვართ უმრავლესობისგან განსხვავებულები ადამიანები – ადამიანები სხვა მრწამსით, სხვა ფერით, სხვა ქცევით. სადაც „სხვად“ ყოფნა ავტომატურად ნიშნავს ჩაგვრას ან ჩაგვრის საფრთხეს, სადაც „სხვა“ შიშია და არა მრავალფეროვნება.

Parsen gujarath სხვაა, მაგრამ ჩემია. ჩემია გებეტომათის სამასი ლოცვა სამოცდახუთივე ენაზე.

იმ ღამით სიზმარს ვნახულობ. ადგილს ვერ ვცნობ, მაგრამ ვიცი, ეს ნიგვზიანია. რომელიღაც დიდი და მწვანე ხის ძირში ვდგავარ ქუჩის განაპირას.

სიზმარში მე გებეტომათი ვარ.

creative home

დეკორატიული აქსესუარები თქვენი ინტერიერისათვის



თბილისი, ჭავჭავაძის 34 , სავაჭრო ცენტრი პიქსელი
ტელ: +995 32 2183507
ქავთარაძის 1, ჰიპერმარკეტი გუდვილი
ტელ: +995 32 2145014

ბათუმი, მემედ აბაშიძის 44
ტელ: 422 2359004

 <http://www.facebook.com/pages/Creative-Home/>

ქართული წიგნი საერთაშორისო ბაზარზე. ცდა მეორე.

ავტორი მამო სამადაშვილი



„თამთა მელაშვილი, ეკატერინე ტოგონიძე და ნინო ხარატიშვილი – მინდა წარმოგიდგინოთ სამი ახალგაზრდა ქართველი ავტორი. მათი მოთხრობები აი, ამ ანთოლოგიაში შეგიძლიათ წაიკითხოთ“, – საზეიმო ტონით წარმოთქვამს გერმანელი ლიტერატორი და გერმანულ ენაზე გამოცემული კრებულის რედაქტორი, იოსტ გიპერტი, და მაღლა სწევს მაგარ ყდაში ჩასმულ სქელტანიან წიგნს, რომელზეც მერაბ აბრამიშვილის ნახატი, კუდაპრეხილი იაგუარია გამოსახული. ლაიფციგის წიგნის საერთაშორისო ბაზრობა ქართული დელეგაციისთვის გახსნილად ცხადდება.

ყველაზე ძველ და ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ წიგნის ბაზრობაზე წელს 7 ქართველი მწერალი იყო ჩასული – ნინო ხარატიშვილი, თამთა მელაშვილი, ანა კორძაია-სამადაშვილი,

ეკატერინე ტოგონიძე, დავით ტურაშვილი, ზაზა ბურჭულაძე და ბონდო მაცაბერიძე. ქართული დელეგაცია წიგნის ამ უძველეს ბაზრობას მეორედ ესწრება. ქართველი მწერლებისა და გამომცემლობების წარმომადგენლები ლაიფციგში პირველად შარშან, კულტურის სამინისტროს ინიციატივით, ჩავიდნენ. ყოფილი მინისტრი, ნიკოლოზ რურუა ამბობდა, რომ ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებაში მონაწილეობით საქართველო საჯაროდ აფიქსირებს ამბიციას, შევიდეს წიგნის მსოფლიო ბაზარზე და რომ ამისთვის მზადაა, როგორც ფინანსურად, ისე ინტელექტუალურად.

ნიკოლოზ რურუას პირადი ინიციატივის გასაგრძელებლად კულტურის ახალმა მინისტრმაც გამოყო ფინანსური და ინტელექტუალური რესურსი. გურამ ოდიშარია, რომელიც წელს

თავად ხელმძღვანელობდა ქართულ დელეგაციას, ამბობს: „ამ ინიციატივის გაგრძელება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ლაიფციგში შევხვდი ბაზრობის დირექტორს, ოლივერ ცილეს, რომელსაც სურს, ლაიფციგში შემდეგ წლებში საპატიო სტუმრის სტატუსითაც ჩავიდეთ. კვლავ გვაქვს გეგმაში, ვიყოთ 2015 ან 2016 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის სტუმარი ქვეყანა და ამ საკითხზე პასუხი აპრილში უკვე გვეცოდინება. წელს პირველად წავალთ ლონდონის წიგნის ბაზრობაზეც ჩვენი სტენდით. ვფიქრობთ, უნდა შევისწავლოთ წიგნის აზიური ბაზარიც. ძალიან საინტერესო ბაზრობაა ჩინეთშიც, ვფიქრობთ მასში მონაწილეობის მიღებას“.

ლაიფციგის წიგნის ბაზრობა ქალაქიდან მოშორებით, სპეციალურად ბაზრობისთვის აშენებულ ხუთ უზარმა-

ზარ შემინულ პავლიონში ტარდება. სწორედ ამ თვალწინდელ ფართობზე ირეოდა 4 დღის განმავლობაში საქმიანი და ცნობისმოყვარე სახეებით 168 ათასი მკითხველი და 50 ათასამდე აკრედიტებული ჟურნალისტი, გამომცემელი, ლიტერატურული აგენტი და სხვა საქმიანი სტუმარი. ათობით სამკითხველო კუთხეს და 2069 გამომცემლობის სტენდს შორის მოკრძალებული ფართობი ეკავა საქართველოს. თუმცა თავისი ორიგინალური და ეფექტური დიზაინით, ისრაელის, რუსეთის, ლიტვისა და ხორვატიის კუთხეებს შორის მოქცეული საქართველოს სტენდი თვით გიგანტური გამომცემლობების, Suhrkamp-ის თუ Fischer-ის სტენდებსაც კი სჯობდა. თითქოს, საერთაშორისო ლიტერატურულ ასპარეზზე უკვე დამკვიდრებული და სახელმძღვანელო ქვეყნების გვერდით ახლადგამოჩენილი საქართველო სტენდის გამორჩეული დიზაინითაც კი ცდილობდა, თვალში მოხვედროდა შემთხვევით ჩავლილ ლიტერატურულ აგენტებსა და გამომცემლებს.

ნიგნის ბაზრობის დაუნერვლი კანონის თანახმად ხომ ნებისმიერი ქვეყნის სტენდთან რიგით მკითხველზე მეტად, სწორედ ამ საქმიანი სტუმრების გამოჩენას ელიან. ოფიციალურ კოსტიუმებში გამოწყობილი აგენტები და გამომცემლები მუშტრის თვალით აკვირდებიან ხელში ალაღებულ მოხვედრილ ნიგნს, მაშინვე ხვდებიან, ღირს თუ არა ავტორის თარგმნა და იქვე, სასაუბროდ განკუთვნილ მაგიდასთან სხდებიან მოსალაპარაკებლად.

ამ გაცხოველებული ვაჭრობის დროს გადამწყვეტ როლს თამაშობს ქვეყნის და მწერლის სახელი და სწორედ ამ მიზეზით, ორჰან ფამუქის გამო – თურქეთის სტენდთან, ეტგარ კერეტის გამო კი – ისრაელის სტენდთან, ის თურქი და ისრაელელი მწერლებიც ინვედენ აგენტების დაინტერესებას, რომლებიც უცხოურ გამომცემლებს ჯერ არ გამოუციათ. მეორე გადამწყვეტი ფაქტორი ნიგნის თარგმანია. ყველა გამოცდილ აგენტს თუ გამომცემელს უიოლდება გამოსაცემი ლიტერატურის შერჩევა მაშინ, როცა გადანყვებილების მიღების დროს ტე-

ქსტს პირადად, მისთვის გასაგებ ენაზე ეცნობა. თანამედროვე ქართული ლიტერატურის ყველაზე დიდი ხარვეზი კი სწორედ ბევრი და ხარისხიანი თარგმანის არარსებობაა.

ლაიფციგის ქართულ სტენდზე წარმოდგენილი ნიგნების დიდი ნაწილი ქართულ ენაზეა. თვალს ვავლებ და სულ რამდენიმე ინგლისური გამოცემა მხვდება – კრებული Contemporary Georgian Fiction, დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“, ზაზა ბურჭულაძის „ადიბასი“, ლაშა ბუღაძის „ლიტერატურული ექსპრესი“, ალბომი „საქართველოს ასი მხარე“, „Dagny or a love feast“ – ზურაბ ქარუმიძის ინგლისურენოვანი რომანი, „ქართული სამზარეულო“, რამდენიმე საბავშვო ნიგნი და დასურათებული ალბომი (მიხილ კალატოზიშვილის, გიგო გაბაშვილის თუ შუა საუკუნეების ქართული ხატურის შესახებ).

გერმანულენოვან ნიგნებში არჩევანი კიდევ უფრო მცირეა: კრებული „იაგუარების ტექნი“ და თამთა მელაშვილის რომანი „გათვლა“, საბავშვო ნიგნებიდან – ბონდო მაცაბერიძის „ზღაპრები ბეკნა ბიჭზე“ და „ზღაპრები თეკლა გოგოზე“; ესაა და ეს. ამიტომ სტენდთან გამუდმებით ისმის ცნობისმოყვარე დამთვალეირებლების კითხვა – არის თუ არა რამე სხვა, ინგლისურ ან გერმანულ ენაზე თარგმნილი?

რა თქმა უნდა, მოვიხდომე თვალის გადამეწელო სტატისტიკისთვის – რამდენი უცხოენოვანი თარგმანი წავიღეთ ლაიფციგის ბაზრობაზე შარშან და რამდენი გვექონდა წელს. თუმცა ნიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციაში, რომელიც ქართული დელეგაციის ნიგნის ბაზრობებზე გამგზავრებას უზრუნველყოფს, მეუბნებიან, რომ ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს. არადა ქვეყანას, რომელსაც ნიგნის საერთაშორისო ბაზრის ექსპანსია აქვს მიზნად დასახული, სულ მცირე, გამართული სტატისტიკა არ აწყენდა.

უკვე თბილისში კულტურის მინისტრი მეუბნება: „წელს შედარებით მეტი ნიგნი ითარგმნა, ვერ ვიტყვი, რომ ყველა – კულტურის სამინისტროს დაფინანსებით, თუმცა მაქსიმალურად

ეუწყობთ ხელს იმ ავტორებს, რომლებსაც სხვადასხვა გამომცემლობასთან კერძო ხელშეკრულებები აქვთ. თარგმნა ხანგრძლივი და რთული პროცესია და ჩვენ ყველა გზა უნდა მოვინახოთ, რათა რაც შეიძლება მეტი და კარგად შერჩეული თარგმანი გვექონდეს. გარდა თანამედროვე ლიტერატურისა, მნიშვნელოვანია, ჩვენი მემკვიდრეობის ჩვენება – საიდან მოვივივართ, როგორ ვვითარდებით“.

ნიგნის ბაზრობაზე წარმატების მოპოვების მეორე შანსი ე.წ. კითხვებია. ოთხი დღის განმავლობაში, დილიდან საღამომდე, პავლიონების სხვადასხვა კუთხეში მოწყობილ სამკითხველო ოთახებში ავტორები და მთარგმნელები თავად უკითხავენ დაინტერესებულ პუბლიკას ნაწყვეტებს ახალი ნიგნებიდან.

კითხვები ერთდროულად მიმდინარეობს. ამიტომ ის, თუ რამდენი ადამიანი დაესწრება შეხვედრას ამ მწერლის პოპულარობაზეცაა დამოკიდებული. შორს არ წავსულვარ – იქვე, „მეზობლად“, ისრაელის სტენდთან, ეტგარ კერეტის მოსასმენად გრძელ რიგში ჩამდგარმა ადამიანებმა დამარწმუნეს ამაში. თუმცა ლაიფციგში იმასაც მივხვდი, რომ დასკვნა – მწერლის ავტორიტეტი განსაზღვრავს ყველაფერს – საკმაოდ ზედაპირულია. სინამდვილეში, რა ლოგიკა მუშაობს წარმატებული კითხვის დროს, ბუნდოვანია. აი, მაგალითად, ერთმანეთის მიყოლებით, ჯერ ზაზა ბურჭულაძე ხვდება ლაიფციგის ნიგნის ბაზრობაზე შეკრებილ საზოგადოებას, შემდეგ – დათო ტურაშვილი. პირველ შეხვედრაზე ქართული დელეგაციის წევრების გარდა, დარბაზში მხოლოდ ერთი-ორ უცხო სახეს ვამჩნევ. შექმნილი უხერხულობის განტვირთვას მოდერატორი ლაშა ბაქრაძე ირონიანარევი ხუმრობით ცდილობს. თუკი დარბაზში ერთი უცხოელი მაინც არის, ჩვენ მაინც ბოლომდე უნდა დავინარჯოთ მისთვის, – ამბობს და ზაზა ბურჭულაძის ბოლო რომანის „გასაბერი ანგელოზის“ გერმანულენოვან თარგმანს სხვა ქართველებთან ერთად გულისყურით უსმენს. თარგმანი მაია თაბუკაშვილს ეკუთვნის. გერმანული ტექსტიც ორიგინალივით

ცოცხლად და რიტმულად ისმინება. თუმცა, ჯერჯერობით უფლებები ამ წიგნზე არც ერთ უცხოურ გამომცემლობას არ უყიდა.

მეორე შეხვედრა დათო ტურამვილთანაა – ლაიფციგის ბაზრობაზე შეკრებილი საზოგადოებისთვის ზაზა ბურჭულაძესავით უცნობ მწერალთან, უცნობი, პატარა ქვეყნიდან. თუმცა ამ ლონისძიებაზე დარბაზი სავსეა. მართალია, სივრცე პატარაა, მაგრამ ხალხი ფეხზეც კი დგას. ჯერ ზაზა რუსაძის ფილმს „ბანდიტებს“ უყურებენ, შემდეგ კი დათო ტურამვილს უსმენენ ინტერესით. თემა – საბჭოური სისტემა, ცენზურა და დიქტატი, „თვითმფრინავის ბიჭების“ ისტორია – როგორც ჩანს, ჯერ კიდევ მარკეტინგულადაც მომგებიანია დასავლეთ ევროპაში. ამას დათო ტურამვილის ემოციური, ცოცხალი თხრობის მანერაც ემატება და შეხვედრა ქართველ მწერალთან წლებადნელ ბაზრობაზე ყველაზე წარმატებული ქართული დელეგაციისთვის.

2013 წლის ლაიფციგს და იქ გამართულ საინტერესო შეხვედრას დათო ტურამვილის „ჯინსების თაობის“ ბედი არ გადაუწყვეტია, მაგრამ საბოლოოდ, სწორედ იქ გაფორმდა, რომ ნიდერლანდელი გამომცემელი კრისტოფ ბუხვალდი „ჯინსების თაობას“ ჰოლანდიაში გამოსცემს. მან ტურამვილის კინორომანის ინგლისური გამოცემა თბილისის წიგნის მაღაზიაში იყიდა. მიამბო, რომ თვითმფრინავშივე წაიკითხა სულმოუთქმელად და მისი გამოცემა გადაწყვიტა. ლაიფციგში კი ავტორს კიდევ ერთხელ შეხვდა. ასე რომ, „ჯინსების თაობა“ – თავისი ინგლისური, რუსული, ხორვატიული, პოლონური, თურქული, იტალიური და ახლა უკვე ნიდერლანდური (და მალე გერმანული) თარგმანებით – ის წიგნი იქნება, რომლის მიხედვითაც შეგიძლია, შევადგინოთ ქართული ლიტერატურისთვის მსოფლიო ბაზარზე წარმატების მიღწევის ფორმულა.

გადაჭედილი დარბაზით და ცოცხალი კითხვა-პასუხით ჩაიარა ლაიფციგის წიგნის ბაზრობის დღეებში ქალაქის ცენტრში, კაფე-რესტორან „ტილეგრაფში“ გამართულმა შეხვედრამ ქარ-

თველ მწერლებთან. ლონისძიების ორგანიზატორი მანანა თანდაშვილი და გერმანული გამომცემლობა Frankfurter Verlag-ი იყო. სწორედ ამ გამომცემლობამ, წელს, გერმანიაში ქართველი მწერალი ქალების გერმანულენოვანი ანთოლოგია „იაგუარის ტექნო“ გამოსცა მანანა თანდაშვილის და იოსტ გიპერტის რედაქტორობით. კრებულის სახელწოდებად ნესტან ნენე კვინიკაძის მოთხრობის სათაურია აღებული და მასში, კვინიკაძის გარდა, ანა კორძია-სამადაშვილის, ნინო ხარატიშვილის, თამთა მელაშვილის, ეკატერინე ტოგონიძის, მაკა მიქელაძის და ეკა თხილავას მოთხრობებია შესული. მა-

სის გახსნას და წიგნის ბაზრიდან საქართველოში გადღის გადმოსვლას სხადია, არ ველი. თუმცა მაინც განუხავს კითხვა: ხომ არ შეიძლება ასეთი ლონისძიებების უფრო შედეგად გამოყენება საქართველოსთვის?

ნანა თანდაშვილმა მითხრა, წიგნის გამოცემით პროცესი არ სრულდება, პირიქით, ეს კრებული ახლა იწყებს სიცოცხლეს და ასეცაა. პრეზენტაციაზე ძალიან ბევრი ადამიანი მოდის, ქართველი გულშემატკივრების ადგილი დარბაზში არც რჩება, რადგან მათ სტუმრები იკავებენ, ჩემთვის ნაცნობ რამდენიმე სახეს ვხედავ, მათ შორის – რამდენიმე გერმანელ გამომცემელს, ლიტერატურის აგენტ რახელ გრაცფელდს და ტელეარხ MDR-ის კულტურის ჟურნალისტს.

თითქოს, ყველაფერი ანალოგიურად მიმდინარეობს, როგორც ბაზრობის პავილიონებში გამართულ კითხვებზე,

მაგრამ სინამდვილეში ბევრი განსხვავებაა – დარბაზი გაცილებით ყურადღებიანი და მობილიზებულია, მწერლებიც მეტად კონცენტრირებულები და კომუნიკაბელურები არიან. შეხვედრის ბოლოს მსმენელებს ხვდებიან და პირადი საუბრები გრძელდება.

რამდენიმე საქმიან შეხვედრას მეც ვესწრები. ერთ-ერთ მათგანზე ანა კორძია-სამადაშვილის მოთხრობების კრებულის „მე, მარგარიტას“ ბედი ნყდება. ანას გერმანული გამომცემლობის Schiller Verlag-ის წარმომადგენელი ტიმ მიუკე ხვდება. მიუკეს ეს კრებული გერმანულად უკვე წაკითხული აქვს, რადგან წიგნი შარშან, თბილისურ მთარგმნელობით სახელოსნოში, საცდელად, ახალგაზრდა მთარგმნელმა სიბილა ჰაინცემ თარგმნა. ახლა მიუკეს სურს, პირადად გაესაუბროს ავტორს და გადაწყვეტილება მიიღოს. მწერალი და გამომცემელი თანხმდებიან, რომ „მე, მარგარიტას“ სრულ თარგმანზე მუშაობა მალე დასრულდება და წიგნი გერმანიაში ამ ზაფხულს გამოვა.

ბაზრობა დასასრულს უახლოვდება. ქართველი მწერლების 7-კაციანი დელეგაცია, თავისთვის თუ საჯაროდ, შედეგებს ანალიზებს. ურიგო მიღწევა არაა – ბაზრობის მერე 3 შეთანხმება თარგმანსა და გამოცემაზე. მე, ლიტერატურის დიდი გულშემატკივარიც კი, ლაიფციგის ბაზრობისგან ამაზე მეტს – ცის გახსნას და საქართველოზე მაღლის გადმოსვლას არ ველი. თუმცა მაინც მანუხებს კითხვა: ხომ არ შეიძლება ასეთი მასშტაბური, საერთაშორისო ლონისძიებების უფრო შედეგად გამოყენება საქართველოსთვის? იქნებ, კულტურის სამინისტრომ პირველ პრიორიტეტად მსგავს ლონისძიებებზე მასშტაბურად მეტი თარგმანის წაღება უნდა აქციოს?

...ლაიფციგის წიგნის ბაზრობის მესამე დღეს, ქართული სტენდიდან წიგნი დაიკარგა, თამთა მელაშვილის „გათვლა“ ვილაკამ უკითხავად გააყოლა ხელს. ეს პირდაპირ მიინებება იყო ჩემთვის: წიგნის ბაზრობაზე მისულ დამთვალიერებელს ამა თუ იმ ქვეყნის სტენდიდან (მით უმეტეს, თუ ეს ქვეყანა უცნობია) თარგმნილი ლიტერატურის ხილვა ურჩევნია ყველაფერს.

50 ახალი
უაჩუარი კლიპი

Georgian
Dreamer

ორშაბათი 23:00

დოკუმენტური



წინადადება

ორშაბათი 23:00

ორშაბათი 22:00

URBAN
STORIES



TV


www.gdstv.ge

facebook.com/GDSofficial



კანკადიორი

ავტორი მამო სამადაშვილი



ალმაშენებლის გამზირზე, ვინრო ჩიხში, ახლად აშენებულ, ნახევრად ცარიელ შენობებს თუ გაუყვები და ოღროჩოღრო გზაზე ხელმარცხნივ შეუხვევ, აგურის ორსართულიან, თანამედროვე შენობას გადაწყდები. კიბის დასაწყისში ვერტიკალური, სტაფილოსფერი ტრაფარეტია მიკრული: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.

ეს გამომცემლობა 1999 წელს დაარსდა. დღეს ის წელიწადში 300 წიგნს გამოსცემს და რამდენიმე მილიონიანი ბრუნვა აქვს. ასეთი მსხვილი ბიუჯეტით ლუდის ჩამოსასხმელი ქარხნის, ან რძის პროდუქტების საწარმოს გამართული მუშაობა საქართველოში ადვილად წარმოსადგენია; წიგნის გამომცემლობისა კი – არა.

„წიგნის დაბეჭდვა შეუძლია ყველას, ეს მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა, თუმცა მთავარი წიგნის გაყიდვაა, ეს კი მთელი ხელოვნებაა, მხოლოდ ამის გააზრების შემდეგ იწყება ნამდვილი გამომცემლობა“, – ამბობს რბილ სავარძელში ოდნავ გადაწოლილი 49 წლის გამომცემელი.

პირველ ინტერვიუს 9 საათზე მინიმანავს. „სულ საათნახევრით მცალია“, – მიზუსტებს. განათლებით მათემატიკოსი, მუდამ რიცხვებით აზროვნებს. არგუმენტებს მათემატიკური ფორმულებით ალაგებს. გახუმრება დროული და მოზომილი აქვს. ახალგაზრდული, რბილი, კეთილგანწყობილი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა, პირველი შეხვედრისთანავე, ხვდები, რომ პრინციპული და აზარტული მოკამათეა, რომელიც ბოლომდე ეცდება, საკუთარი პოზიციის სისწორეში დაგარწმუნოს.

„პირველი დიდი შეცდომა, რომელსაც დღესაც ხშირად უშვებენ ახალბედა გამომცემლები, ჩვენც დაუშვით. ისე, რომ არც შეგვისწავლია წიგნის ბაზარი, დასაბეჭდად ის წიგნები შევარჩიეთ, რომლებიც ჩვენ მოგვწონდა – ჯემალ ქარჩაძის „იუპიტერის სინანული“ და ასტრიდ ლინდგრენის „ცეროდენა ნილს კარლსონი“, – იხსენებს ბაკურ სულაკაური დროს, როდესაც მეგობრის, გია ქარჩაძის ინიციატივით, წიგნების გამოცემა გადაწყვიტეს.

ეს 1993 წელს იყო, როდესაც კერძო საგამომცემლო სახლი არ არსებობდა, ყველაზე სარფიანი ბიზნესი კი „ნაპოლეონის“ და „ეკლერის“ ჩაბარება იყო. ბაკურ სულაკაური სკოლაში დანყებითი კლასების მასწავლებლად მუშაობდა. „ხელფასი დღევანდელი კურსით ნახევარი დოლარის ეკვივალენტი მქონდა“, – ისევ თავისებურად, შთამბეჭდავად „ითვლის“ ბაკური. „თუ ეს მომგებიანი საქმე აღმოჩნდა ხომ კარგი, თუ არა და ჩავთვალოთ, რომ რამე ვისწავლეთ“, – უთხრა გია ქარჩაძემ.

საკუთარი ნაშრომებისთვის ასეთი კონცეფცია შეარჩიეს: მაღალმხატვრული ნაწარმოებები მაღალი ხარისხის წიგნებად უნდა ექციათ. ორი წიგნის დასაბეჭდად 500 დოლარი იყო საჭირო, ბაკურმა მშობლებს 200 დოლარად პიანინო გააყიდინა, გიამ 200 დოლარი ისესხა, 100 დოლარი კი საერთო მეგობრმა მუსიკოსმა, ვახო ბაბუნაშვილმა დაუმატათ – ასე დაბანდა პირველი კაპიტალი გამომცემლობაში.

წიგნების დაკაბადონებაში 5 დოლარი გადაიხადეს კომპიუტერულ ცენტრ „ვესტაში“. ძლივს იშოვეს მოსაწონი ქალაქი. საბოლოო ჯამში, წელიწად-ნახევარი მონადომეს იმას, რასაც „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ ახლა ერთ დღეს ანდომებს.

პირველი საწყობი ბაკურმა სახლში მოაწყო და ერთი ოთახი მთლიანად წიგნებით გაავსო, მეორე დღეს რამდენიმე ათეული წიგნი ჩანთაში ჩააწყო და მაღაზია „აკადემიურ წიგნში“ წაიღო, არჩევანი მაინცდამაინც არც ჰქონდა – ეს ჯერ კიდევ პირველ კერძო წიგნის მაღაზიამდე – „პარნასამდე“ – ხანაა.

გამყიდველებმა წიგნები ჩაიბარეს და თანხის მისაღებად ახალბედა გამომცემელი ერთ თვეში დაიბარეს. ერთი თვის თავზე კი განუცხადეს, რომ ჩაბარებული ასი წიგნიდან მხოლოდ ერთი გაიყიდა. ალბათ, სწორედ მაშინ გაიაზრა, ბაკურ სულაკაურმა, რომ საგამომცემლო სისტემაში, რომელსაც აბსოლუტურად ყველა საჭირო რგოლი აკლდა – კერძო გამომცემლებით, გამართული კომპიუტერული ცენტრებით, მაღალპოლიგრაფიული სტამბებით, თანამედროვე წიგნის მა-

ლაზიებით – თვითონ, პირველს უნდა მიეღო მონაწილეობა წიგნის ბაზრის შექმნაში: ფასების დადგენაში, დისტრიბუციის ალტერნატიული საშუალებების მოფიქრებაში. ეს იყო პირველი ნაბიჯები სფეროში, რომელიც უბრალოდ არ არსებობდა.

იმავე პერიოდში, საერთო მეგობრებმა, თამარ ლებანიძემ და ოთარ ყარალაშვილმაც დაიწყეს წიგნების გამოცემა, მაგრამ მალევე აღმოაჩინეს, რომ არც მათი წიგნები იყიდებოდა. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საბჭოთა წიგნის მაღაზია იყო, დახლს უკან განლაგებული წიგნებით, ხშირად აგრესიული და გულგრილი გამყიდველებით, რომლებიც მოჭრილ ხელფასს იღებდნენ და სულ არ აინტერესებდათ, წიგნი გაიყიდებოდა თუ არა.

„მთავარია, მკითხველს როგორმე წიგნი ხელში ააღებინო, თუკი ამას მიაღწევ, ის მაშინვე პოტენციური მყიდველი ხდება, მხოლოდ წიგნის დანახვით ამ ეფექტის მიღწევა შეუძლებელია“, – ახლა უკვე ზუსტად იცის, მაშინ კი მხოლოდ ხვდებოდა ბაკურ სულაკაური და ამიტომ ძალიან მოეწონათ თამარ ლებანიძის იდეა, წიგნები ჩვენ თვითონ გაყვიდითო.

ასე გაჩნდა რუსთაველის გამზირზე, ამჟამინდელი იუსტიციის სამინისტროს წინ, წიგნის პირველი დახლი. როდესაც ბაკურს ვეკითხები, არსებობს თუ არა ამ აქციის ფოტოები, გულიანად ეცინება: სად იყო მაშინ ფოტოები!

ქუჩაში დადგმულმა დახლმა გაამართლა. „ცეროდენა ნილს კარლსონი“ 75 ცალი გაიყიდა. 1996 წელს, წინასახალწოდ, აქცია მოაწყვეს. სამ განსაკუთრებით ხალხმრავალ ადგილას (მეტრო „თავისუფლება“, ფილარმონია, მეტრო „დელისი“) დახლები დადგეს, მათ მიერ გამოცემული ყველა წიგნი დაალაგეს, წინასწარ რამდენიმე ადამიანი დაიქირავეს, რომელთაც ტრენინგები ჩაუტარეს, როგორ გაეყიდათ წიგნები და დადებითი შედეგიც მიიღეს – ორი კვირის მანძილზე, სხვა გამოცემებთან ერთად, 1000 ცალი საბავშვო წიგნი გაიყიდა. შემოსული თანხით არათუ ყველა ვალი დაფარეს, მოგებაც კი დარჩათ. გაიაზრეს, რომ ბევრისთვის უტოპიური იდეა არაწამ-

გებთან პროექტად აქციეს, გადანყვიტეს, რომ საქმე, რომელიც აქამდე უბრალოდ მოსწონდათ, რეალურ ბიზნესად ექციათ. ასე დააარსეს საერთო გამომცემლობა „დიოგენე“ ბაკურ სულაკაურმა, გია ქარჩხაძემ, თამარ ლებანიძემ და ოთარ ყარალაშვილმა. გამომცემლობის დირექტორად მეგობრებმა ბაკურ სულაკაური აირჩიეს.

თუმცა, „დიოგენე“ ორ-სამ წელნადაც საბოლოოდ დაიშალა. მიზეზი, გადანყვიტელების მიღების დროს თანხმობის მიღწევა, ბიზნესის განსხვავებული ხედვა გახდა.

„მე და გია ვამბობდით, რომ წიგნი უნდა გაძვირებულიყო, რათა წიგნის გამოცემა ბიზნესად ქვეულიყო, ჩვენი მეგობრები კი ამბობდნენ, რომ წიგნს სიმბოლური ფასი უნდა ჰქონოდა და ყველასთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო, საფასო პოლიტიკაზე ვერაფრით შევთანხმდით“.

ბაკურმა დათვალა – წიგნი რომ მომგებიანი ყოფილიყო, მინიმუმ 1000 ცალი უნდა დაბეჭდვა, რადგან მაღალი სასტამბო ხარჯის გამო სხვაგვარად ბეჭდვა არც ღირდა. ამიტომ მოიფიქრა, რა უნდა ყოფილიყო მისი გამომცემლობის ის პირველი წიგნი, რომელსაც ათასი ადამიანი მაინც აუცილებლად იყიდდა.

მართლაც, „ვინ ვინ არის საქართველოში“ – ცნობარი იმ დროს მოღვაწე პოლიტიკოსების, ლიტერატორების და სპორტსმენების შესახებ – 1996-1997 წლების ყველაზე სრულყოფილი საცნობარო გამოცემა – დაბეჭდვამდე თითქმის სრული ტირაჟით გაიყიდა ხელმომწერებზე. მოგებული ფული პირველი საბრუნავი კაპიტალი გახდა.

საკუთარი გამომცემლობა 1998 წელს დააარსა. ყოფილ მასწავლებელს და დამწყებ გამომცემელს ქალაქში ბევრი არ იცნობდა, თუმცა კომპანიას მაინც საკუთარი სახელი დაარქვა. როგორც მიხსნის, ესეც კარგად მოფიქრებული გადანყვიტილება იყო იმიჯის შესაქმნელად – ბაკურს შეიძლება სახეზე დღესაც ბევრი ვერ ცნობდეს, მაგრამ წიგნის მაღაზიასთან ჩავლილმა თითოეულმა ადამიანმა იცის მისი გამომცემლობის სახელი.

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას“ მრავალფეროვანი თემატიკის წიგნები უნდა გამოეცა. გუნდში აღარ ჰყავდა ოპონენტები და ამიტომ თავისუფლად გარისკა – თავის წიგნებს იმ დროისთვის ძალიან ძვირი ფასი – 3 ლარი დაადო. ამან, ბევრის აღშფოთება გამოიწვია.

„ზოგიერთის თვალში „სისხლისმემელი კაპიტალისტი“ ვიყავი, თუმცა მართლა რომ ვყოფილიყავი, წიგნებს 5 ლარს დავადებდი, აი, ეს იქნებოდა ადეკვატური ფასი“, – ამბობს და ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე ამა-

**„ელექტრონული
წიგნები ნახაჭდს ისე
აეუქრება, როგორც
ლიფტი კიბას,
ბინახავთ სახლი,
რომელსაც ლიფტი
აქვს და კიბე არა? კიბე
აუსილებლად დარჩება.
ელექტრონული
წიგნები ჩემი
ბამოცხემლობისთვისაც
მეტი მკითხველის
შეძენის საუკეთესო
შესაძლებლობაა“**

ტებს, რომ დღეს წიგნებზე არსებული ფასების დამკვიდრება მისი დამსახურებაა:

„ერთხელ შალვა რამიშვილმა მითხრა, ნამდვილი კასკადიორი ხარ, ადამიანმა საქართველოში წიგნით ფული როგორ უნდა იშოვოსო. მე კარგად ვიცოდი, რომ წიგნი არის ძალიან სპეციფიკური ბიზნესი: აწარმოებ წიგნს, რის გამოც გაქვს სოციალურ-კულტურული პასუხისმგებლობა. ხოლო იმისთვის, რომ ამ კულტურულმა პროდუქტმა იარსებოს, ის უნდა მართო, როგორც ბიზნესი. შენ არ უნდა პასუხობდე ბაზრის მოთხოვნებს, სწორედ იმიტომ, რომ კულტურული პასუხისმგებლობა გაქვს, თვითონ უნდა ქმინდე მათ“.

პირველ წლებში იძულებული იყო, გამომცემლობის სარჩენად, პარალელურად, შვედური ენიდან მთარგმნელად ემუშავა. თუმცა, ზუსტად ამ პერიოდში ბაკური ნამდვილ გამომცემლად ჩამოყალიბდა – მან ავტორების აღმოჩენა დაიწყო.

დათო ტურაშვილი, გიო ახვლედიანი, ანა კორძაია-სამადაშვილი – ყველაზე ცნობილი და ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი გაყიდვების მქონე ავტორების პირველი გამომცემელი ბაკურ სულაკაურია.

ჯერ კიდევ „დიოგენეში“ მუშაობისას, გამომცემლებმა დეტექტივების კონკურსი მოაწყვეს. ბაკურს კარგად ახსოვდა საკონკურსოდ შემოსული ნაწარმოებები, მათ შორის, პირველ რიგში, აკა მორჩილაძის რომანი „ხაფო სიყვარულის მევახშე“ და მისი დაბეჭდვაც სურდა.

აკა მორჩილაძე – ეს ფსევდონიმი – თბილისელმა მკითხველმა მანამდეც იცოდა. რამდენიმე ხნით ადრე, მისი მდარე ხარისხით დაბეჭდილი „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ 90-იანებში დაწერილ პირველ ქართულ რომანად იქცა, რომელმაც წიგნს მკითხველი დაუბრუნა.

ბაკურმა იცოდა, პოპულარული ავტორის დაბეჭდვა ფინანსურადაც მომგებიანი საქმე იქნებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ მიზანზე, თანამედროვე ქართული მწერლობის ახალი ხმები ეპოვა.

ბაკურის ინიციატივით, გიო ახვლედიანმა რომანს სათაური შეუცვალა. „გადაფრენა მადათოვზე“ პირველივე ტირაჟით წარმატებულად გაიყიდა. ალბათ, ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც, სულაკაურის გამომცემლობა მის ახალ რომანს ერთხანს ყოველ მომდევნო წელიწადს ბეჭდავდა. „ახლაც სულ ვცდილობთ, აკა მორჩილაძე გვეკონდეს გაყიდვამი“, – ამბობს ბაკური მწერალზე, რომლის 21 წიგნიც აქვს დასტამბული.

ეს მწერლისა და გამომცემლის ისეთი ხანგრძლივი ურთიერთობაა, მემუარებისა და ქრესტომათიების საგანი რომ ხდება ხოლმე საზღვარგარეთ. ურთიერთობა მწერლებთან კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ისეთ პატარა

ისტორია

ნიგნის ბაზარზე, როგორც საქართველოშია. ამიტომ, ბაკური ამბობს, რომ ცდილობს, ზედმინევენით დაიცვას მთავარი პრინციპი:

„გამომცემელმა ავტორთან ურთიერთობისას სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რადგან მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კარგი ავტორის ყოლა, რადგან მთლიანად მასზე და მის ტექსტზეა გამომცემლის წარმატება დამოკიდებული. ავტორთან იმპერატიული ტონით ვერ ილაპარაკებ და როცა რაღაცაზე ვერ ვთანხმდებით, საბოლოო არჩევანს ყოველთვის მწერალი აკეთებს – ესაა მთავარი პრინციპი“.

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის კიდევ ერთი უკონკურენტო ვარსკვლავი დათო ტურაშვილია. ბაკურმა ისიც ზემოთ ხსენებულ დეტექტივების კონკურსში აღმოაჩინა, შემდეგ, გიო ახვლედიანივით დაუმეგობრდა მას და პირველი ნიგნიც დაუბეჭდა. ტურაშვილის „კატმანდუ“ სულაკაურის მიერ გამოცემულ პირველ ექვს ნიგნს შორისაც ყველაზე წარმატებული გამოდგა. წლიდან წლამდე ტურაშვილის ყოველი ახალი ნიგნი ბესტსელერი ხდებოდა.

2002 წელს, გაზეთ „24 საათში“ ბაკურ სულაკაურს ვინმე სოფიო კირვალაძის მოთხრობა მოეწონა. გაზეთის რედაქტორს დაურეკა და ავტორთან შეხვედრა სთხოვა, ავტორი კი მისი კარგი ნაცნობი, ანა კორძაია-სამადაშვილი აღმოჩნდა. ბაკურმა მისი მოთხრობების პირველი კრებული 2003 წელს დაბეჭდა, ბოლო რომანი „ვინ მოკლა ჩაიკა“ კი – დაახლოებით ერთი თვის წინ.

ამბობს, რომ თუკი „ახალ ხმებს“ ადრე თვითონ ეძებდა, ახლა პირიქით ხდება, რადგან მწერლები უკვე თვითონ ცდილობენ, ბაკურ სულაკაურმა დაბეჭდოს მათი ნიგნები.

„მართალია, დამწყები მწერლის ტექსტებს დრამატულად ცოტას ვიღებთ, მაგრამ ზოგჯერ კარგი ნაწარმოების და მომავალი მწერლის აღმოჩენა მაინც შესაძლებელია“, – მეუბნება და ამატებს, რომ მალე მეთერთმეტეკლასელი ბიჭის რომანს გამოსცემს. თუკი, ეს მისთვის დიდი რისკი და ფუფუნება იქნებოდა ათი წლის წინ, ახლა ბაკურს

შეუძლია, თავს უფლება მისცეს, დე-ბიუტანტის რომანიც დაბეჭდოს, რადგან დიდი ალბათობით იცის, რომ დროთა განმავლობაში მასაც წარმატებულ ავტორად აქცევს.

დასაბეჭდი ნიგნების ნუსხას, რედაქტორებთან ერთად, ძირითადად, ბაკურის მეუღლე, გამომცემლობის დირექტორი, თინა მამულაშვილი არჩევს. თინა მართავს მუშაობის ყოველდღიურ პროცესს, ანაწილებს დავალებებს, ხვდება მენეჯერებს, გეგმავს ახალ პროექტებს – უკვე კომპანია ისეა გამართული, რომ დამფუძნებლის მუდმივი ჩარევა აუცილებელი აღარ არის. თინას ინიციატივა იყო პროექტი, რომლის შემდეგაც ბაკურ სულაკაურის ნიგნები amazon.com-ზე იყიდება. ზოგჯერ ხდება ხოლმე ისეც, რომ ბაკური მხოლოდ დასასტამბად გამზადებულ ნიგნს თუ შეავლებს თვალს – „მახვილი თვალი მაქვს და ბოლო კორექტურას ვაკეთებ, – ამბობს ღიმილით და ახსენდება, – ამას წინათ, ამელი ნოტომის „მოკალი მამა“ მხოლოდ მას შემდეგ წავიკითხე, რაც ნიგნი გამოვიდა. ძალიან აღვშფოთდი, ეს რამ გამომაცემინა-მეთქი“.

ცოტა ხნის წინ, საქართველოს „ნიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციამ“ კვლევა ჩაატარა, რომელშიც ბევრ სხვა პრობლემებთან ერთად, მკითხველის ასეთი პრეტენზიაც გამოიკვეთა – ქართველი გამომცემლები კომერციული ლიტერატურის გამოცემაზე არიან გადასულნი და სულ უფრო ცოტა მაღალმხატვრულ ნიგნს გამოსცემენო. როდესაც ბაკურ სულაკაურს ვეკითხები, იღებს თუ არა ამ კრიტიკას საკუთარ თავზე, მპასუხობს:

„ამაზე სულ ვფიქრობ, არცერთი ბესტსელერი ავტორი, მათ შორის სტიგ ლარსონი, სიუზენ კოლინზი და სტეფანი მეიერი, კომერციული მიზნით არ გამოგვიცია. ესეც კულტურული პრინციპია, რასაც თანამედროვე მსოფლიოში კითხულობენ, ქართველი მკითხველისთვისაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს“, – მეუბნება, თუმცა, ზუსტად იცის, როგორ მოარგოს ქართულ კონტექსტს უცხოური, თუნდაც დაბალხარისხიანი ლიტერატურა. ძირითადად,

ბიზნესმენის ალღო უმართლებს, ვიცი, რომ მაგალითად, სტიგ ლარსონის სამტომეული ოცი ათას ეგზემპლარზე მეტი გაიყიდა.

„ამას წინასწარ ვერ გავთვლიდით, მაგრამ ასე მოხდა – როდესაც მაღალხარისხიანი და ძვირადღირებული ილუსტრირებული ნიგნების ბეჭდვა დავიწყეთ სხვადასხვა თემაზე, მათ შორის კულინარიაზე, აღმოჩნდა, რომ ყველა ჩვენს ნიგნს შორის ყველაზე წარმატებულად სწორედ ეს კულინარიის ნიგნები იყიდება. რა არის ეს კომერცია, თუ კულტურა?“ – კითხვითვე მპასუხობს გამომცემელი, რომელიც კარგად ხედავს ნიგნის პოტენციურ მყიდველებს. მისთვის ადამიანი, რომელსაც ნიგნი არ „ესადაგება“ არ არსებობს. ცდილობს, მკითხველის თითოეულ ტიპს მოუფიქროს საკუთარი საკითხავი. ეს ორმაგად სასარგებლოა. ერთი მხრივ, ნიგნის კითხვა სულ უფრო მოდური ხდება, მეორე მხრივ, მეტი მკითხველი კომპანიისთვის მეტ ფინანსურ მოგებას უდრის.

„მთავარია, სწორედ შეარჩიო ტირაჟი, გამოცემის დრო და აუდიტორია, რომლისთვისაც ამ ნიგნს ქმნი, თუკი რეპრინტის დროს ხელახალი დაფინანსება არ დაგჭირდება, მიზანი მიღწეულია“.

ეს რეცეპტია გამომცემლისგან, რომელიც ნოვატორია თავის ქვეყანაში, თუმცა წარმატებული დასავლელი გამომცემლის ქრესტომათიული გზით ვითარდება. დაუნერული კანონივითაა, გამომცემლების ბედს ესა თუ ის საეტაპო ნიგნი წყვეტს ყოველთვის. ბოლო ათწლეულში ასეთი გარდამტეხი მნიშვნელობის ნიგნი გამომცემლებისთვის ჯ.ქ. როულინგის „ჰარი პოტერი“ იყო, რომლის ყველა ტომიც, 2011 წლის მონაცემებით, 450 მილიონი ეგზემპლარია გაყიდული.

დღეს, ბაკური ნანობს: მეგობარმა მითხრა, სისულელეა ეგ ნიგნიო და ამიტომ ერთი წლით დააგვიანა მისი გამოცემა. თუმცა, შემდეგ, მომავალმა მთარგმნელმა, მანანა ანთაძემ ათხოვა „პოტერის“ პირველი ნიგნი, „ფილოსოფიური ქვა“; დასასვენებლად, ოჯახთან ერთად, ზღვაზე მიდიოდა და თან წაიღო. ისე გაიტაცა კითხვამ, შუათანა

შვილმა, ნიკამ სთხოვა, მომიყვი, რა ხდება ასეთი ნიგნო, მოუყვა და შეატყო, რომ ბავშვზე მონათხრობმაც კი საოცარი გავლენა იქონია. უმალ გადათვალა, ამ ნიგნით რამდენი ახალი მკითხველის შეძენას შეძლებდა და დაუყოვნებლივ შეუკვეთა თარგმანი.

სლოგანიც გამორჩეული შეურჩიეს: „ნიგნი, რომელსაც ელოდით“. 5 ათასი ცალის დაბეჭდვა გადაწყვიტეს, რაც იმხანად ძალიან დიდი ტირაჟი იყო. პრეზენტაცია წინასახალწლოდ გამართეს და ნამდვილი საგამომცემლო სასწაული მოხდა – მთელი ტირაჟი ნახევარ საათში გაიყიდა.

ამ ყველაფერში იყო რაღაც ჯადოსნური, – ამბობს ბაკურ სულაკაური. „ბავშვები დაჟინებით ითხოვდნენ საახალწლო საჩუქრად „ჰარი პოტერს“, დიდები გამალებით ღვიძლობდნენ ნიგნის ეგზემპლარები ეშოვათ, გადაწყვიტეს სტამბებთან დილიდან საღამომდე იდგნენ და დამატებითი რაოდენობის ბეჭდვას ელოდებოდნენ, თუმცა თბილისში დიდი ტირაჟის მოკლე დროში დაბეჭდვა შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომ 31 დეკემბერს გაფორმებული სტამბოლოში, ნაჩქარევად შერჩეულ სტამბას 2 დღეში 15 000 ეგზემპლარი დავაბეჭდინე, 3-ში უკან დავბრუნდი და უკვე 4 იანვარს ნიგნები აქ იყო. იანვარში მთლიანად 23 000 ნიგნი გაიყიდა“.

კომპანიისთვის ეს იყო პირველი გრანდიოზული მოგება, რომელიც ასე მოკლე დროში მიიღეს. შესაბამისად, მეორე ტომსაც განსაკუთრებული ენთუზიაზმით ამზადებდნენ, უნდოდათ, ხარისხიანად გამოეცათ, ფილმებისთვის გაეხსნათ და ფეხდაფეხ მიყოლოდნენ უკვე გამოცემულ ტომებს. ამჯერად პირდაპირ 15 000 ნიგნი დაბეჭდეს, პრეზენტაციაც მოამზადეს, ისევ რაღაც ტრიალებდა ჰაერში, თუმცა გული საწინააღმდეგოს მიგრძნობდაო, – ამბობს ბაკური, მისი მოლოდინი ისევ გამართლდა: პრეზენტაციაზე 10-მდე ადამიანი მოვიდა, ნიგნის მაღაზიები უარს ამბობდნენ ნიგნის მიღებაზე ან მაქსიმალურად მალავდნენ. მიზეზი სასულიერო პირთა გარკვეულ წრეში აგორებული კამპანია გახდა, რომელიც საზოგადოებასაც გადაედო.

სკოლებში მასწავლებლები ბავშვებს აგიტაციას უტარებდნენ – ეს ნიგნი არ ნაიკითხოთ, თქვენთვის დამლუპველი იქნებაო.

„ჰარი პოტერის“ მეორე ტომი ჩავარდა, მსოფლიოს მეგა-ბესტსელერის ფენომენმა საქართველოში ვერ იმუშავა, რამაც უცხოეული გამომცემლების გაკვირვება, ხოლო ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის კინაღამ გაკოტრება გამოიწვია. მეორე ტომის ბედი გაიზიარა ყველა შემდეგმა ტომმა, თუმცა გამოცემა არ შეუწყვეტიათ.

„რომ არა ეს კამპანია, დღეს ნიგნის

**„მთავარია,
მკითხველს როგორც
ნიგნი ხალხი
ააღვიწიო, თუკი
ამას მივლევ, ის
გაშინავს პოტენციური
მყიდველი ხდება,
მხოლოდ ნიგნის
დანახვით ან
ეფექტის მიღწევას
შეუძლებელია“**

ბაზარი სრულიად სხვანაირი, ძალიან განვითარებული იქნებოდა. როგორც ევროპაში მოხდა, მეორე ტომი – 30 ათასი, მესამე კი – 40 ათასი გაიყიდებოდა, რაც ნიშნავს, რომ სამი ათასის ნაცვლად, 40 ათასი ბავშვი დაინწყებდა ნიგნის ნაკითხვას. ახლა რომ ვამბობთ, მკითხველი არ გვეყავსო, აი, ის მკითხველი გვეყოლებოდა“, – მეუბნება ბაკურ სულაკაური.

დღეს, რა თქმა უნდა, უფრო მეტი მკითხველია საქართველოში, ვიდრე იმ დროს, როცა ბაკურსა და მის მეგობრებს „დახლების იდეა“ გაუჩნდათ. ალბათ, ამ იდეის გაგრძელება ბაკურ სულაკაურის ნიგნის მაღაზია „სანტა-ესპერანსა“, სანქტ-პეტერბურგის ქუჩაზე. კიდევ ერთი მაღაზია გამომცემლობის ოფისში აქვს. საშუალო და მაღალშემოსავლიან პოტენციურ მყიდ-

ველებს მომსახურების სხვა, თანამედროვე და კომფორტულ ფორმასაც სთავაზობს. შეგიძლიათ, მისი გამოცემების ბინაზე მიტანის სერვისით ისარგებლოთ, შემდეგ კი მიიღოთ სატელეფონო ცნობები ახალი ფასდაკლებების შესახებ. თითქოს, ბაკურ სულაკაური თავის ყველა პოტენციურ მყიდველთან მუდმივ კონტაქტზეა.

ბაკური მეუბნება, რომ საქართველოს ნიგნის ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდია მსოფლიოში. მისი გამომცემლობა კი ბაზარზე ერთადერთი წარმატებული კომპანია უკვე აღარაა. „დიოგენეს“ თავდაპირველი ოთხეულიდან ორი სხვა დამოუკიდებელი და წარმატებული გამომცემლობა ჩამოყალიბდა. ახალი „დიოგენე“ თამარ ლებანიძის ხელმძღვანელობით და „ქარჩხაძის გამომცემლობა“.

თუმცა, განვითარებულ ნიგნის ბაზარზე ვერ შორია. შესაბამისად, შორია იმ დრომდე, ვიდრე საქართველოში გაჩნდებოდა მსოფლიო ბესტსელერის ავტორი. „ვიდრე ბაზარი ძალიან არ განვითარდება და მოსახლეობის ათი პროცენტი მაინც არ იქნება აქტიური მკითხველი, ანუ დაახლოებით 400 ათასი ნიგნი არ გაიყიდება ქვეყანაში, ეს მანამ არ მოხდება, – ანგარიშობს ბაკური და კიდევ ერთ პრობლემას გამოჰყოფს, – ის რომ საქართველოში ნიგნები არ იყიდება, მსოფლიოში ქართველი ავტორების გაყიდვასაც ძალიან აფერხებს. რადგან არცერთ გამომცემელს არ უნდა, შეიძინოს იმ ნიგნზე უფლებები, რომელიც მწერლის სამშობლოში 1000-ზე მეტი არ გაიყიდა. მართლაც, არ შეიძლება მილიონობით უცხოელმა მკითხველმა ის ნიგნი წაიკითხოს, რომელიც ათასმა ქართველმაც კი არ წაიკითხა“.

ერთ-ერთი ბოლო პროდუქტი, რომელსაც გამომცემლობა ახლა ამზადებს ონლაინ მაღაზია lit.ge-სთან ერთად, ელექტრონული ნიგნი „სათაგურია“, ვაჟა-ფშაველას მიხედვით. ბაკური, რომელმაც წლები დახარჯა ნაბეჭდი ნიგნის ბიზნესის განვითარებაზე, ამბობს, რომ მალე საქართველოშიც კი, ელექტრონულ ნიგნებზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზრდე-





ბა. თუმცა, ვფიქრობ, ის ამჯერადაც იმ პრინციპით მოქმედებს, რომლის მიხედვითაც მოთხოვნა ახალ კულტურულ ფასეულობაზე თვითონ უნდა შექმნას.


„სათაგური“ – ეს არ იქნება მხოლოდ მოთხოვნა, წიგნს ექნება თამაშის ფუნქციაც, ბავშვი შეძლებს წიგნს მოუსმინოს – პერსონაჟები აამეტყველოს, თანდათან დაეუმატებთ საგანმანათლებლო მოდულს, ბავშვი შეძლებს ივარჯიშოს წერა-კიხვაში, მათემატიკაში“, – ამბობს ბაკური.

მათ ერთი ასეთი წიგნი უკვე მომზადებული აქვთ – „შოშიაც“ ნაბეჭდ წიგნს ეფუძნება და უკვე განთავსებულია Google play-ზე.

„ელექტრონული წიგნები ნაბეჭდს ისე ემუქრება, როგორც ლიფტი კიბეს, გინახავთ სახლი, რომელსაც ლიფტი აქვს და კიბე არა? კიბე აუცილებლად დარჩება. ელექტრონული წიგნები ჩემი გამომცემლობებისთვისაც მეტი მკითხველის შექმნის საუკეთესო შესაძლებლობაა“, – მეუბნება ბაკურ სულაკაური, რომელსაც საკუთარი კომპანიის ამ მიმართულებით გადამწყობა უკვე დაწყებული აქვს. ელექტრონული გამომცემები და ონლაინ-აპლიკაციები – ეს მისი უახლოესი მომავლის გეგმებია; ისევე, როგორც გამომცემლობის ოთხჯერ გაზრდა კიდევ უფრო ეფექტური მენეჯმენტისა და სტრუქტურის გადახალისების ხარჯზე.

ოფიციალურად ბაკურ სულაკაური საკუთარი გამომცემლობის თანამშრომელი არ არის. ყოველდღიურ სამუშაო პროცესში დიდი ხანია, აღარც ერთვება. საბოლოოდ კი, სურს დაწყებული რეორგანიზაციის შედეგი იყოს სისტემის ისე გამართვა, რომ ის ერთ ადამიანზე, პირველ რიგში კი, დამფუძნებელზე მორგებული არ იყოს.

„ისე მინდა, ყველაფერი ავანყო, ერთი წლით სადმე სასწავლებლად რომ მომინდეს წასვლა, გამომცემლობამ სრულყოფილად იმუშაოს“, – ამბობს ბაკურ სულაკაური და სავარაუდოდ, ახლაც მორიგ უტოპიურ იდეაზე ფიქრობს, რომელსაც უახლოეს მომავალში, რა თქმა უნდა, რეალობად აქცევს.



ბიკ ექვერეკი და მისი მემკობარი მხებერეკის ჯბუფის "EVERYTHING IS ALL RIGHT" კერფორმანსების საღამო ღიუსელღორჟის კუნსტ პალუსტ მუზეუმში 2003 წელს. მუზეუმის მესასემღლის თეაზე ბეკრულ ტრანსპერანსე ნერეკი: „მეიღო, ბასმოდღს, ყვეღე მვენი კემღებე ვეზღის მვენისბან, ვეზღის მვენი კი კემღებე კერტოფიღის მვენისბან...“

ღერს ფონ ტრეერის „მელანქოლია“

ავტორი ბიკ ექვერეკი

მევი სვრელები და ბანეითერეკბელი ქვეყნების სნოზიერეკის კორიზონტი

მიშე სუნღედიხე და გიე ექვერეკის საუბარი

მ.ს.: ტრეერის „მელანქოლიაზე“ როცე ნერღი, რემე თვალსაზრისით ხომ არ გულისხმობღი ქერთულ რეე-

ლობასაც? ტრეერი ხომ მონტოლოგიური თემეებით დაკევებული კაციე, რაც აქტუელურ სოციელურ საკითხებთან მინცღემინც არ იკევებე – განსაკუთრებით აქ, ჩვენში.

გ.ე.: ერთხელ ჰეიდგერს უცნაური/ჰიპოტეტური შეკითხვე დაუსევე: ვინ იყო სოკრატე?

მისი პასუხი იყო: სოკრატე იყო კაცი

რომელიც დეიბედა, იზროვნე და მოკვდე.

უეკ ღერიდე ამ ეპიზოდს ასეთ კომენტარს უკევებს:

ღანარჩენი ყვეღეღერი ანეკდოტიე! ჰო, ასე ანეკდოტში ვცხოვრობთ ვნებებს აყოლილები – სოციელური, სექსუელური, ფიზიკური გეღარჩენის...

როგორც ვიცით, ჰეიდგერი აზროვნე



ნებას მხოლოდ „მოაზროვნე აზროვნებას“ უწოდებდა, ანუ ისეთს, რომელიც საკუთარი თავის ეჭვქვეშ დაყენების განუწყვეტელ დინამიკაშია; სამყაროს მოხმარების პოტენციალს კი არ ხედავს, არამედ მხოლოდამხოლოდ ერთ უწყვეტ კითხვის ნიშნად აღიქვამს; გარედან შემოთავაზებულ არანაირ მორალურ, ეთიკურ და სინტაქსურ კლიშეებს არ ეფუძნება და არ ისაზღვრება; ეგზისტენციის დაძლევის ისახავს მიზნად და არა მის მორგებას, ან მასში რაიმე სახით დაფუძ-

ნებას. ამ ჩამოთვლილთან კავშირში და ჩვენთვის გასაოცრად, არსებობს ჰაიდეგერის კიდევ ერთი „მწარე“ გამონათქვამი: „არ ეძებთ ფილოსოფია (ანუ „მოაზროვნე აზროვნება“ – გ.ე.) უნივერსიტეტებში“. იგი კრიტიკულად უყურებდა გერმანულ უნივერსიტეტს – როგორც ინსტიტუციას (!) და მიაჩნდა, რომ ის „მოაზროვნე აზრით“ ვერ უზრუნველყოფს გარემოს.

ასეთი, უმკაცრესი მოთხოვნებით განაცალკევებენ აზროვნებას და ანეკდოტს არა მარტო ჰაიდეგერი და დერიდა, არამედ კაცობრიობის ყველაზე „მცირე უმცირესობის“ გონსმოგებელი წარმომადგენლები.

მ.ს.: რა განაპირობებს ამ ანეკდოტის ასეთ მჭიდრო მარწმუნებს, რა გვხდის მის ასეთ ყურმოჭრად მონებად, რა ხიბლი აქვს მას ჩვენთვის, რომელიც არ გვაძლევს საშუალებას, დავინახოთ მისი მანკიერი ხასიათი, რამაც ასე გადაფარა ადამიანის ძირეულად თავისუფალი ბუნება? ხომ თქვა მოციქულმა „როგორ მიყვარხარ, ადამიანო და როგორ მძაგს შენი ქმედება“, – აქაც ხომ ანეკდოტზეა ლაპარაკი.

გ.ე.: ამ აზროვნებასა და ყოველგვარ აზრს მოკლებულ ანეკდოტში ვცხოვრობთ და მისივე ნაწილი ვიქნებით მანამდე, სანამ ერთმნიშვნელოვნად და ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ ჭეშმარიტება კომუნალური სივრცის პროდუქტია, რომ ის სწორედ იქ იქნეს ფორმას და ამ სივრცის განუყოფელ საკუთრებას წარმოადგენს. ამიტომაც ასე მარტივად ვბარდებით ამ სოციალურ სფეროს, მასში განთავსებულ „ჭეშმარიტებას“ და ყველანაირად ვცდილობთ, რაიმე სახის შესატყვის-სობაში ვიყოთ მასთან (სულ მცირე, ფეისბუქის მეშვეობით) – ასე ვთქვათ, გვწამდეს და ვემსახუროთ რაიმე, გარეთ არსებულ ავტორიტეტს(!). სწორედ ამგვარი შეგნებით გვზრდიან (და ვზრდით) და ამის შედეგია ის (ფროიდისეული) „ზე-ეგოს“ მექანიზმი ჩვენს ცნობიერებაში, რომლის მეშვეობითაც საზოგადოების „პატიოსან და ქმედით ნევრებად“ ვყალიბდებით – ბევრს ვყიყინებთ (სხვებთან ერთად) ამა თუ იმ ჭეშმარიტებაზე ასეთი კომუნალური „ჭეშმარიტების“ გრძნობით შე-

პრობილემები და ასე, ბიუტური ყიყინით ვამთავრებთ სამყაროში არსებობას.

მიქელანჯელო ანტონიონის ფილმში, ბალში მოყიყინე ბავშვების შემყურე უცნობი მოხუცი კაცი უეცრად ასე მიმართავს ჯეკ ნიკოლსონის გმირს – „ასეა მოწყობილი სამყარო – ეს ბავშვებიც გაიზრდებიან და ჩვენს ილუზიებს და შეცდომებს ესენიც ზუსტად ჩვენსავით გაიმეორებენ“. აქ მთავარი ის არის, რომ ფილმის ეს მიზანსცენა ჩაჭრილია კადრებით – აფრიკული შავი რევოლუციების „კეთილშობილი“ რწმენით შეპყრობილ გმირებს გმირულად ხვრეტენ. ანტონიონი მიგვანიშნებს – ასე, ბავშვებივით არიან ახალგაზრდა „განვითარებადი ერებიც, იმავე გზას გადიან, იმავე ილუზიების მსხვერპლი ხდებიან და ბოლოს... იმავე გამძლარ ანეკდოტს იცხოვრებენ – პრივატულს, სოციალურს, საჯაროს, ინტიმურს თუ სხვას...

მ.ს.: ანტონიონი ჩაკეტილ წრეს აღწერს, დერიდა ანეგდოტს უწოდებს, ინდუიზმს და ნიცშეს სიტყვა „მაია“ მოსწონთ, სვე ტკიოდა ბარათაშვილს. ეს ტკივილი, ეს ყველაზე კეთილშობილი და ერთადერთი სწორად მიმართველი ქმედითი ძალა (როგორც ეს ტრიერის „მელანქოლიაში“ მოტანილი) დღეს ჩვენს გარემოში არანაირად არ არის აქტუალური – საჯარო სივრცეს არც კი ვგულისხმობ, მას ჩვენთან ვერ იპოვი ვერც ფილოსოფიაში და, რასაკვირველია, ვერც რელიგიურ დისკურსში.

ეს ტკივილი, ალბათ, სწორედ ისაა, რაც „მოაზროვნე აზროვნებას“ ამზადებს, მაგრამ რას ემსახურება „მოაზროვნე აზროვნება“? ვინ არის მისი ადრესატი?

გ.ე.: ჩვენი ყოფიერი (პრაგმატული) წარმოდგენებით არც არაფერს და არც არავის ემსახურება – იგი აზროვნებს; უპირველეს ყოვლისა, აცნობიერებს ანეკდოტს, შემდგომ ამ ანეკდოტის კანონებს ადგენს, შეიმეცნებს და მერე მის გადაძლევის მცდელობას – მის დესტაბილიზაციას და შემდგომ – დეკონსტრუქციას.

„გადახსნილი უსაფუძვლობაში არსებობა“ – დაახლოებით ასე შეიმეცნებს დღევანდელი სამყაროს „მოაზროვნე

აზრი“ ანეკდოტის მიღმა მყოფი ცნობიერების ფორმას.

...ციური სხეულები საქმიანად მოძრაობენ, ორბიტებს ქმნიან ერთმანეთთან კავშირში. კომუნიკაციის მანიით შეპყრობილები სხვადასხვა ფიგურებს და კონსტალაციებს ადგენენ და აფიქსირებენ ურთიერთმართებაში. დაულალავად დულან და ბუტბუტებენ ვარსკვლავების მოუსვენარი სხეულები, უზარმაზარ ენერგიებს ისვრიან ბნელ სივრცეებში; ერთმანეთს ეჯახებიან, ფეთქდებიან, ქრებიან, მერე სხვები ჩნდებიან. ასეთი გაშმაგებული ფუთფუთი დგას უკიდევანო, უკუნეთ სიბნელეში – აქ ყველაფერი არსებული ცდილობს, გამოვლინდეს, დაარსდეს, დამყარდეს, დაფუძნდეს როგორც... არსებული. მაგრამ ეს მნათობელა მეჯლისი და მოყიყინე ალღუმი, როგორც ბადეზე განთავსებული და მოჭიმული, ისე უჭირავს არგამოვლენილს, უკუღმად მსუნთქავ, სამყაროს უკან ჩატრიალებულ თვალებს – შავ ხვრელებს. მათი სამყაროს გამოვლენის საპირისპიროდ მიმართული ძალისხმევა სწორედ ის მარილია, რომელიც სამყაროს ალტყინებულ, ყბადაღებულ (თუ პირდაფრენილ) დღესასწაულს გემოს სძენს და ხედვადს ხდის. შავ ხვრელს ანეკდოტს ვერ დასწამებ, ანეკდოტი კოსმოსია მოფუთფუთე სხეულებით, შავი ხვრელი კი სწორედ ის არის, რასაც ანეკდოტი არ ეკარება და არასდროს მიჰკარებია.

ასეთი შავი ხვრელები აქ, ჩვენს შორისაც არსებობენ, მაგრამ მათ უხილავ, ჭეშმარიტი არსის განმცხადებელ არსებობას გამორჩეული ნიჭის შემოქმედი თუ შეამჩნევს მხოლოდ და, რაც მთავარია, გამორჩეული მისწრაფებების მქონე.

**ჯასტინი.
სამყაროში დაუბრუნებელი
სასწაული.
(ლარს ფონ ტრიერის
„მელანქოლია“)**

პატარძალ ჯასტინის ბარბაროსულმა ძალისხმევებმა ქორწილი საბოლოოდ ჩაშალა.

კეთილმოსურნე სტუმრები, უმიზეზოდ შეურაცხყოფილი, აღშფოთებით და ფაციფუცით ტოვებენ ჯასტინის ახლობლების მიერ დიდი მზრუნველობით მომზადებულ სადღესასწაულო ნადიმს. ისტერიკაში, უკანმოუხედავად გარბის ნეფე. პატარძალი კი ცივად, ნაჩქარევად, იქვე ეზოში, სხეულით აკმაყოფილებს მისადმი აღტყინებულ უწვერულ ბიჭს. გარშემო სრულიად სასონარმკვეთი განწყობა სუფევს. ფილმის ბოლოს შეუქცევადად და საბოლოოდ ჩანაგდება ჩვენი სამყაროც. ალბათ, ძნელია რამე უფრო ნეგატიური წარმოიდგინოს კაცმა...

მაგრამ უცნაური ისაა, რომ ფილმი სულაც არ გტოვებს დათრგუნულს – პირიქით, სადღაც სულის სიღრმეში შვებასაც კი გრძნობ.

რა ჩაიძინა ტრიერმა? როგორ და რისთვის გაახერხა ასეთი ამბივალენტურობის შემოტანა? რაზე მიგვანიშნებს?

მისი დონის პიროვნებები ხომ კლინიკურ შემთხვევებზე თხრობით თავს არავის აწყენენ. მათი ნარატივი ხომ ყოველთვის უზოგადეს კითხვებს სვამს, ადამიანების სტატუსზე და მათ პერსპექტივებზე სამყაროში. მერე, ასეთი შემოქმედნი საკუთარ კითხვებსაც ეჭვქვეშ აყენებენ და მათი გადაფასების მცდელობასთან გვაქს-ხოლმე საქმე.

ჯასტინი – პატარძალი – ყოველ მხრივ მიმზიდველი, ვიტალური, თვითმყოფადი, სამყაროსადმი ძლიერი და მომთხოვნი ნების მატარებელი, ბედნიერებისა და სიყვარულის ადვილად მომხვეჭი; თავისი შარმით და ნიჭით ირგვლივმოფთა თავყანისცემას ადვილად მოიპოვებს. ჯასტინის უფროსი, უამრავი კომპლიმენტების თანხლებით, მას საქორწინო საჩუქრად სამსახურში მაღალ თანამდებობას სთავაზობს (მაგრამ მალე ისიც აღშფოთებული და თავზარდაცემული გარბის). ჯასტინის სიმპათიური საქმრო მასში ყურებადგა შეყვარებული, ნაზი და ვნებიანი გრძნობით. ჯასტინის და – კლეა – ქრისტიანი ადამიანის იდეალური მოდელი, უსასრულოდ თავს ევლება ჯასტინს. კლეას მეუღლეც – როგორც ნამდვილი და

კეთილშობილი, შეძლებული „სახლის მეპატრონე“, ყოველგვარ დიდსულოვნებას იჩენს ჯასტინის მიმართ. უკეთეს გარემოებებს, ალბათ, კაცი ვერც ინატრებს.

მაშინ რა ხდება? რატომ და როგორ ახერხებს ასეთი ბრწყინვალე მონაცემების და შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდა ქალი, ერთი საზეიმო საღამოს განმავლობაში (რომელიც მის მეხსიერებაში შესაძლოა ცხოვრების საუკეთესო მოგონებად დარჩენილიყო) გააპარტახოს და გააცამტვეროს ყველაფერი!

პირველი და დაუყოვნებელი რეაქციით კაცი იფიქრებს, რომ ჯასტინი ავადაა. ეს დასკვნა, როგორც უკვე ითქვა, ტრიერის კონტექსტისთვის შეუთავსებელად ტრივიალურია, აი ჩვენთვის კი, ძალიან კომფორტულია – ჩვენს მყუდრო სიზმრებს/ილუზიებს არ აკრთობს. სიზმრებს და ილუზიებს, რომელთაც ჩვენ ასეთი მზრუნველობით ვზრდით, ამდენს ვზრუნავთ მათზე და ამდენი რამ გავწირეთ/დავთმეთ მათში მონაწილეობისათვის. ჯასტინი ჩვენ ამაში არ გვგავს, მას სიზმრები არ ესიზმრება და მათთვის არაფერს წირავს, ამიტომაც არ იზიარებს მათ ჩვენთან – თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ამ ახალგაზრდა ქალს ასეთი სახარბიელო პერსპექტივები ესახებოდა!

მაგრამ, რაც უნდა შესთავაზოს სამყარომ, ვერაფერი ხიბლავს მას, ვისაც კომუნალური სივრცის პერსპექტივების და სიამის მიღმა, საკუთარ სულში არგაცხადებულისკენ ლტოლვის ნიჭი აღმოაჩნდა. ამ არგაცხადებულს სახელად „აბსოლუტური სხვა“ ჰქვია და თავის სრულ გადახსნილობაში მოუხელთებელია ცნობიერების ყოველგვარი ფორმისთვის. ჯასტინი – მარადი ქალწულია, ვისშიც სული საკუთარი სუვერენობის უმანკო სტატუსის ღალატს ტრაგიკულად ეწინააღმდეგება და არ სურს სამყაროზე ქორწინება!

სწორედ ასეთი, სამყაროსთან სიმბოლური ქორწინების შესაძლებლობით ინყება ფილმი. სიმბოლურად იჭედება საქორწინო ლუქსუს-ლიმუზინი სოფლის გზაზე – ჯასტინის შინაგანი მისწრაფება სამყაროზე განუზომლად დიდია, ისევე როგორც, ლიმუზინი სო-


ფლის გზებისთვის – მისი ქორწინება წუთისოფელზე შეუძლებელია.

ამ სიმბოლური ქორწილის კრიტიკულ მომენტში თავს იჩენს ჯასტინის უნიკალური ნიჭი – მისი ჟინი ისეთი უკომპრომისო განდგომისკენ, რომელიც არანაირ ალტერნატივას არ უშვებს. ჯასტინი ქორწინამდე სოციალური ცხოვრების დაწესებულება და მომთხოვნმა წესმა მიიყვანა – ამ თბილმა და მთვლემარე მონსტრმა, რომელიც ისე ღუპავს ყველა ჩვენგანს, რომ აზრზეც ვერ მოვდივართ.

ამ უცნაური კინოგმირის შინაგანი თვალები ნათლად ხედავენ იმ ილუზორულ/პირობით ფორმებს, რომელშიც ჩვენ ასე უდარდელად ვცხოვრობთ და რომელთაც ასე ამაყად „ადამიანის ეგზისტენციას“ ვუნოდებთ (მისი სანყისით, ბოლოთი და გაუთავებელი ჩასწორებებით). სწორედ ამ პირობითი კულტურული ფორმებისათვის ვიღვნი. გვინდა: შევეგუოთ, გავითავისოთ, მოვიხელოთ, მივუერთდეთ, რომ წარმატებით განვხორციელებდეთ იმაში, რაზეც ასე ვოცნებობთ – წყნარად და უდრტივინველად ვაგროვოთ კენკრა „სრულყოფილად დარეგულირებულ ვნებათა ბაღში“ (ჩვენში ატავისტურად ჩარჩენილი და უკვე გახრწნილი სამოთხის იდეა), როგორც ამას აკეთებს რელიგიური რწმენის თვალსაჩინო სუბიექტი კლეა (ჯასტინის და) რომელიც სიკეთის, კეთილშობილების, გარემოზე და სხვებზე მზრუნველობის ყველა იდეალს ესატყვისება.

კლევას შესწევს უნარი, უყვარდეს (ქრისტიანულ-ეკლესიურად – მოყვასი). ის გულითადი, მგძნობიარე, მზრუნველი და ერთგული ადამიანია – დოდოს პროტოტიპი ტრიერის სხვა ეკრანული შედევიდან „ტალღების გაპობა“. ამ კეთილისმყოფელი ადამიანის (ქრისტიანული იდეალი) არსის ღრმა და აბსოლუტურად ორიგინალური გააზრება ლარს ფონ ტრიერის შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამსახურებაა.

მისი ფილმებიდან ცხადდება, რომ ეს, ეკლესიის მიერ ჩვენს ცნობიერებაში საუკუნეების განმავლობაში წინ წამოწეული და მონიავე სტატუსში დაფიქსირებული ადამიანის იდეალუ-



"I am already forty..." მიუნხენი, 1991

კლავატა, რომლის ხელში უჭირავს მსაგვარს, გაკრული ხელთ წარმოადგენს: "I AM ALREADY FORTY - I DIDN'T UNDERSTAND ANYTHING. MAY BE SOMEBODY CAN HELP ME..." (უკვე ორმოცი წლის ვარ და დღემდე არაფერი ვიცი, იქნება, დამხმაროთ ვინმე).

ამ სიტყვებს არაკატეხურად არაფერს კითხულობდა და მხოლოდ ფულს სთავაზობდნენ მსაგვარს.



რი ტიპი, ჭეშმარიტად შემოქმედებით, სულიერ პოტენციებთან მიმართებაში უბრალოდ უკმარია – ასეთია დოდო, ასეთია კლეა. პირველის მსახურებითი კეთილშობილება შორს დგას ბესის სინათლით სავსე, შემოქმედებითი რწმენის ცეცხლოვანი სიმშაგისგან („ტალღების გაპობა“), კლეასთვის კი ჯასტინის მაგიური ტროფობა განუცხადებელთან სამუდამო საიდუმლოდ დარჩება. ვინც ადამიანებისა და სამყაროს კეთილისმყოფელია, ღმერთების მსახურებაში (საკუთარი თავის მსხვერპლად სრულ გაღებაში) დიდად ვერ გამოირჩევა, ხოლო ღვთაებრივს კი ნამდვილად ვერანაირად ესატყვიებება.

ასეთი „გაადამიანურებული“ რელიგიურობით განსწავლილები ჯასტინის პიროვნებაში სულიერ გმირს დღეს ვერ ცნობენ. ახლომხედველთა თვალისათვის ასეთი უშოვიათესი არსებები მიუწვდომელი არიან.

და აი, კლეას ეს ყველა კეთილშობილური თვისება, რომელიც ჩვენ ასე

გულწრფელად გვიზიდავს ფილმში, სრულიად გამოუსადეგარი ხდება სიტუაციაში, როდესაც უზარმაზარი, ტრანსცენდენტური ხიბლის მატარებელი პლანეტა „მელანქოლია“ („desert of real“ – ჟიჟეკი რომ დავიხმაროთ) იწყებს მოახლოებას, შემოჭრას და დედამიწის შთანთქმას ლამობს. ამ პლანეტას წინ ჩვენი კეთილად მოკამკაშე მზე ედგა და მის არსებობას ჩვენგან ფარავდა – დასკვნის კლეას პატარა ბიჭუნა მისი ჯერ კიდევ შეუწყვენილი გონებით. ასე გვაბრმავებს ის ბანალურად – მზიარული მზის ნათება, რომელიც ახლომხედველთათვის სინათლეა.

პლანეტა „მელანქოლიას“ გამოჩენასთან ერთად, ამ ახალ, რადიკალურად დრამატულ სიტუაციაში, გულუხვი და კეთილი „სახლის მეპატრონე“ კლეას მეუღლე თავს საჯინობოში იკლავს ცხენების თანდასწრებით – მისთვის სამყარო სამყაროს გარეშე არ არსებობს, ზუსტად ისე, როგორც ცხენებისთვის (უფრო სწორად მთელი ფაუნისთვის). ამიტომაც მიაყარეს ცივად

თივა და არც არავის უდარდია ამ სწორი და დადებითი ნებით შეპყრობილ მოფუსფუსე „სახლის მეპატრონეზე“. აქ კიდევ ერთხელ უღერდება ტრიერის ცენტრალური თემა – მიწიერი/კეთილი/წესიერი/კეთილშობილი/თადარიგიანი, შორს დგას ჭეშმარიტებასთან შეხებისგან. სიტუაციაში, როცა „რეალური“ (რეალ – ლაკანისეულ ინტერპრეტაციაში) სამყაროში შემოჭრით იმუქრება, რა მანიფესტაციითაც არ უნდა იჩინოს მან თავი, სიკვდილი იქნება ეს, არარა, თუ რაიმე სხვა გაუმჟღავნებელი – ჩვენს ადამიანურ სიკეთეს, ჰუმანიზმს და მზრუნველობას ხვედრად მხოლოდ გოდება (ბიბლიურად – კბილების ღრჭიალი), გულისწყრომა და გულდანყვეტა დარჩენია „დიდებულ ცხოვრებაზე“, იმ მომხიბვლელი თავგადასავლის „შანსზე“, რომელიც ასე გულგრილად წაართვის. ჩვენ ხომ სწორედ ამ „დიდებულ ცხოვრებას“ ვენდეთ და გულდადებით ვემსახურეთ. ვემსახურეთ სწორედ იმას, რასაც ასეთ რადიკალურ უნდობლობას უცხა-

დებდნენ რელიგიების დამაარსებლები (არა გამგრძელებლები), ჭეშმარიტი ფილოსოფოსები (არა შკოლარები) და არამინიერი სიბრძნის მოგვები.

განდგომის ნიჭმა ჯასტინში მისი პარალელური არსებობის ხაზი შექმნა. კლეა სწორია, როცა ჯასტინს საყვედურობს, რომ ის ყოველთვის თვალთმაქცობდა. დიახ, ჯასტინი არ იღებს გულწრფელად სამყაროს, სა-მყაროსთან ურთიერთობა მისთვის ყოველთვის ტკივილის მატარებელი კომპრომისი იყო და ეს, მისი თანდაყოლილი თვისებაა; მას სამყაროზე გული არ აცრუებია, ის უკეთეს სამყაროზე არ ოცნებობს. მისი პროტესტი აბსოლუტურად ფუნდამენტურია, მისთვის ყოველგვარი გარეთ არსებული ფასეულობა მხოლოდ და მხოლოდ არსსგამოცლილ საფუძველზე დგას: გაუგებარი სიტყვა „სიყვარული“ – რომელიც ასე უმონყალოდ და უზნეოდაა ხმარებაში, მოქოქილი რობოტების ჟინი – სექსი და კარიერა, სოციალური ცნობიერების ტერიტორია გატენილი დროებითი და წარმავალი ფასეულობებით, შეყვარებულის წამიერი სინაზე – რომლის ჭეშმარიტი მიზეზი საკუთარი ტკბობის სურვილია და ა.შ. ყველაფერი ეს, მხოლოდდამხოლოდ აბსოლუტურად პირობით/წამებთან თამაშებს ამრავლებს. სწორედ ამიტომ, სექსუალური ლტოლვის (და ასევე ოჯახური ერთგულების) უფასურობის დასტურად სრულიად დაუინტერესებლად ჩუქნის ჯასტინი საკუთარ სხეულს მისდამი ჟინით შეპყრობილ უცნობ ახალგაზრდა კაცს, რითიც ასევე აბუჩად იგდებს კომუნალურ სივრცეში დამკვიდრებულ დირექტივას ოჯახურ ბედნიერებასთან დაკავშირებით. ასევე უმონყალოდ ამსხვრევს ის საკუთარი პროფესიული კარიერის პერსპექტივას, რომელიც მისთვის უკედლებო ციხეა მხოლოდ.

ოდესღაც თავზე ძალდატანებით და საკუთარ ბუნებაზე გადაბიჯებით, ჯასტინიც ცდილობდა პატიოსნად ეთამაშა აბსურდული თამაშები. ეპოვა მათში თავისი როლი და გულდადებით შეესრულებინა ის. მაგრამ მისთვის შემზარავი გახდა ის პერსპექტივა, რომ

ასე შეიძლება დაასრულოს ცხოვრება: უგუნურებაში, რიტუალების აღსრულებაში და სიმბოლურ რიგთან შერწყმაში, თუნდაც ეს ყველაფერი ღმერთისაგან იყოს თავსმოხვეული(!), მაგრამ ნამდვილად თავსმოხვეული! (...Till you're so fucking crazy you can't follow their rules... J.Lennon / 'Working class hero')

ჯასტინის შიში პირობით სივრცეში ჩარჩენის შიშია. შიში, რომ გარედან, დროითა და სივრცით შემოთავაზებული როლების მორგება იქნება მისი ხვედრი, რომ ცხოვრება ვაშლის ბაღში, ინფანტილურ ვნებებზე ბანალურ ოც-

ჯასტინისთვის ყოველგვარი გარეთ არსებული ფასეულობა არსსგამოცლილ საფუძველზე დგას: გაუგებარი სიტყვა „სიყვარული“ – რომელიც ასე უმონყალოდ და უზნეოდაა ხმარებაში, მოქოქილი რობოტების ჟინი – სექსი და კარიერა, შეყვარებულის წამიერი სინაზე – რომლის ჭეშმარიტი მიზეზი საკუთარი ტკბობის სურვილია და ა.შ. ყველაფერი ეს, მხოლოდდამხოლოდ აბსოლუტურად პირობით/წამებთან თამაშებს ამრავლებს. სწორედ ამიტომ, სექსუალური ლტოლვის (და ასევე ოჯახური ერთგულების) უფასურობის დასტურად სრულიად დაუინტერესებლად ჩუქნის ჯასტინი საკუთარ სხეულს მისდამი ჟინით შეპყრობილ უცნობ ახალგაზრდა კაცს, რითიც ასევე აბუჩად იგდებს კომუნალურ სივრცეში დამკვიდრებულ დირექტივას ოჯახურ ბედნიერებასთან დაკავშირებით. ასევე უმონყალოდ ამსხვრევს ის საკუთარი პროფესიული კარიერის პერსპექტივას, რომელიც მისთვის უკედლებო ციხეა მხოლოდ.

ნებაში უნდა გაატაროს. ასეთი ბალის ფოტოს მას მისი საქმრო უჩვენებს, ეს ბალი საქორწინო საჩუქარია – მომავალი მეუღლე, ჯასტინს ამ „ედემის ბაღში“ გამომწყვდევეს უპირებს.

როგორც ითქვა, ჯასტინის სულიერი სტატუსის განმსაზღვრელი ის არის, რომ მას არა აქვს პრეტენზიები სამყაროსთან (იგი სუბსტანციურ ფორმაში არსებობის კონცეფციას ვერ ეგუება საერთოში). მისთვის შინაგანი სივრცის გარდაუვალი სოციალიზაცია შემზარავ-

ვია – მის სულს არ სურს არანაირი ლოკალიზაცია.

სამყაროზე ჯასტინის დედაა გაავებული – სოციალურ სამყაროზე. ეს მას აქვს 60-იანების თაობის მწარე გამოცდილება. ამ ეპოქის, კომუნალური სიყვარულის გზით კომუნალური გადარჩენის ფრივოლური პერფორმანსი ჩაიშალა და ამ პროექტიდან დარჩენილი ყველაზე უბოროტო მაგალითი მხოლოდღა ჯასტინის მამაა, რომელიც იაფფასიანი კალამბურებით ცდილობს იდიოს შური იმ დამთრგუნავ ფაქტზე (ბედისწერაზე), რომ იდეა რომლითაც იცხოვრა და რომელსაც ემსახურა მთელი მისი თაობა, სიცრუე გამოდგა. გააგება და მიზანდასახულად უფიქრელი ცხოვრების წესი, – ესღა დარჩათ იმ თაობის ადამიანებს იმ ფართო და იმედისმომცემი სოციალური პროექტებიდან, რომელიც ამ მონაკვეთზე ისტორიამ კაცობრიობას შესთავაზა.

ინდუსტრიული რევოლუციის დამთრგუნავი ხუთი ნიშნით ხასიათდება – როგორც ყველაზე ლამაზი, ყველაზე მდიდარი, ყველაზე ბრძენი, ყველაზე ძალაუფლებიანი და ამავდროულად... სრულიად განდგომილი. სწორედ ეს, ამ რიგში ბოლო თვისება, ხდის მას ღმერთად, ეს არის მისი ღვთაებრიობის გარანტი. ეს უსასრულო განდგომა აძლევს მას საშუალებას იყოს ჩაბმული სამყაროს ილუზორული მანიფესტაციების თამაშში ისე, რომ არ დაკარგოს სამყაროს მიმართ აბსოლუტური განყენება. ჩვენ ყველანი (მის მსგავსად შექმნილნი), უსასრულო ალტყინებით ვცდილობთ განვხორციელებდეთ პირველ ოთხ თვისებაში და ვერაფრით ვერ შეგვივინია, რომ ამ მეხუთე თვისების გარეშე სხვა ოთხზე მხოლოდდამხოლოდ სიბეცედ, სიხარბედ, თვითკმაყოფილებად, ფარისევლობად (და ა.შ.) იქცევა და მხოლოდდამხოლოდ „გადადამიანურების“, ანუ ცოდვათა ცოდვის გამრავლების გზაა.

ჯასტინის ცხოვრების წარმართველი სწორედ ეს მეხუთე თვისებაა, სწორედ ეს თვისება იცავს ასე კარგად ჯასტინის ეგზისტენციას ტრაგიკული კომპრომისისგან სამყაროსთან მიმართებაში. ჯასტინისთვის – ცხო-

ვრების მიერ ყოფიერების დაკნინება – ფუნდამენტური დრამა; ანუ როცა ყოფიერების უსასრულო სისავსის ჩანაცვლება სოციალური კოდეზით ამოვსებული ცხოვრებით ხდება. ჯასტინი უპირობო თავისუფლების შვილია, ანუ არა ქმედების თავისუფლების, არამედ თავისუფლების სკუთარი თავისაგან – ჩვენს ცნობიერებაში განშენებული საკუთარი თავის შგრძნებიდან (“მე” და „ჩემი“), რომელსაც ჩვენ, დიდი სითბოთი – „ადამიანის არსებობას“ ვუნოდებთ.

აი, რატომ არის აბსოლუტური არარა და მისი გზავნილი – პლანეტა „მელანქოლია“ – ჯასტინის ერთადერთი შეყვარებული. უშედეგოა კლევას მცდელობა ჯასტინი წყლით მონათლოს (თბილი წყლის მოალერსე კომფორტით მოხიბვლის სცენა აბაზანაში) – ეს ნათლობა ჯასტინისთვის მხოლოდ ნამებაა. ნათლობა ჩვენებურად, ე.ი. ადამიანურად, ნიშნავს სამყაროსათვის აზრის მინიჭების რაიმე კონცეფციის აღიარებას – სწორედ ეს არის ჯასტინისთვის აუტანელი ნამება (ეს მიზანსცენა ფილმის დიდი წარმატებაა).

ინგმარ ბერგმანის ფილმში „მარწყვის მდელო“ ცოლის შეკითხვას, თუ რა სურს მას სინამდვილეში – ქმარი ასე პასუხობს: სრული და აბსოლუტური სიკვდილი. ბერგმანის გმირის ასეთი პასუხის მიზეზი ცხოვრების უსასრულოდ პრობლემური ბუნებისგან სასონარკვეთა რომ არ იყოს, იგი იოლად გასაღებოდა ჯასტინის ღვიძლ ძმად, მაგრამ მას არ გაუმართლა; ჯასტინი ბევრად წინაა – მისი აბსოლუტურთან მიჯნურება, აბსოლუტურ ერთგულებას ითხოვს, ასეთი რამ კი „საიდანმე“ და „რაიმეს გამო“ არ იზადება. ასეთია მისი კავშირი ღვთაებრივთან, ასეთია მისი ღვთაებრივი მოლოდინი; და ფილმის ბოლოში მისი ღვთაებრივი არ-არსებობა.

თუ კლევას „მინიერი საქმეები ემარჯვება“ და ფილმის პირველ ნახევარში ის ერთგულად უვლის და ამხნევეს ჯასტინს, რომლის განდგომილ ბუნებასაც სოციალური სამყაროს შიგნით არსებობა ასე სტიკია, ფილმის მეო-

რე ნაწილიდან, როდესაც სამყაროს „რეალობის უდაბნო“ (პლანეტა მელანქოლია) მოველინება, სრული დეზორგანიზაციის და მავანთა სრული განწირულობის სიტუაციაში, უკვე ჯასტინი ხდება სიტუაციის მეგზური და მკვლევარი. აქ, მისი უცნაური ბუნება უღრან ტყეში ნაპოვნ ბილიკად იქცევა.

ჯასტინი ყველა ჩვენთაგანის სიღრმეში მყოფი და სრულიად მივიწყებული ულამაზესი ლტოლვაა – ალვსრულდეთ როგორც შიშველი ჭრილობა მოუსაზღვრავის შიგნით. ეს ის სულის მოძრაობაა, რომელსაც სწადია რადიკალური გადაძლევის ვნების აღს-

ამ აზროვნებასა და ყოველგვარ აზრს მოკლებულ ანაკლოტში ვსხოვრობთ და მისივე ნაწილი ვიქნებით მანამდე, სანამ მიგვაჩნია, რომ ჭეშმარიტება კომუნალური სივრცის პროდუქტია, რომ ის სწორად იქ იქნის ფორმას და ამ სივრცის განუყოფელ საკუთრებას წარმოადგენს.

რულეზულ (ნიცმესეულ) მსხვერპლად იქცეს...

შიშველი ჯასტინი მთვარიან ღამეში ბალახზე წევს წყლის პირას. ფსიქოანალიტიკური დისკურსის ენით რომ ვთქვათ – აქ დეცენტრალიზებული ეროსი განიცდის თვითტკბობას აბსოლუტური განსხვავებისგან. ჯასტინის ფალუსი სამყაროში არ იმყოფება, იგი მის მიღმა განთავსებული. ამიტომაც, ფილმი „მელანქოლია“ არ წარმოადგენს რომანტიზმის რეტროსპექციას (მიუხედავად იმისა, რომ ამ იდეას თავ-

ვად ტრიერიც ეთამაშება). რომანტიკულ იდეას აზრადაც არ მოსვლია, არსებობის გაუქმება. სიკვდილის განდიდება რომანტიზმში ყოველთვის მხოლოდდამხოლოდ უზოგადეს ბინარულ წყვილში (სიცოცხლე/სიკვდილი) დაშორებული ბინარული ბოლოს (სიკვდილის) შემოზიდვის და თანატოსის გათავისების მცდელობაა.


ჯასტინი კი დაწდილი და საბოლოო ექსპატოლოგიური ლტოლვაა არარსებულისკენ (არარა) – ამ პათოსშია ჯასტინის უნიკალური ორიგინალობა/ღვთაებრივობა (ამას, ფილმის დასაწყისში კადრები გვიცხადებენ და შემდეგ მთელი ფილმის განმავლობაში იმავს გულმოდგინედ გვიმტკიცებს ტრიერი).

ტყეში, ჯასტინის წინ, კლევას პატარა ბიჭუნა თლის ხის ტოტებს – ასუფთავებს კორძებისა და სხვა მომცრო, კეკლუცად დაგრეხილი ტოტებისაგან. ამ გათლილი ტოტის ზედაპირი, გლუვი და აბსოლუტურად ერთიანი ხდება. სწორედ ამ ერთმნიშვნელოვანი სიცხადისთვის დამუშავებული ტოტებისაგან აშენებს (ფილმის ბოლოს) ჯასტინი ისეთ თავშესაფარს, რომელიც არ ფარავს ზეცას და არ გვმალავს ჩვენშივე მარადიულად გადახსნილი არსებობიდან. ეს სწორედ ის ერთადერთი თავშესაფარია, რომელიც ჩვენი სამყაროს დატოვების დროს გამოდგება.

ფილმის ბოლოს ჯასტინის ცარიელი სისავსის განდგომილი მზერა ტრიერის საბოლოო და ჩვენთვის სრულიად მიუწვდომელი რეზიუმეა – უხმო, უმოდრაო და უხილავი აღსრულება.

ჩვენი სამყარო, ამ უხილავი აღსრულების ჯასტინის ფენომენს შეუმჩნევლად, მაგრამ ძალიან მტკიცენულად განიცდის. ფენომენის, რომელიც „დაუგეგმავი მომავლის ტერმინთა განმარტებით ლექსიკონში“ ნიცმეანური გარდასვლის სრულ და არაუკუქცევად იმპულსადაა მოხსენიებული.

«...oh Justine,
You came and you gave without taking
But I sent you away, oh Justine
You kissed me and stopped me from shaking
And I need you today, oh Justine...»
The pop song



მხატვარი ვიქტორიუს ჯიბ კუნსისა და მირილინას სახლის წინ მიუხედავად, 1989 წელი – ტრანსპარანტო მერი: „მირილინა, მიეცი ახალგაზრდა საზოგადოებას მხატვარს პანსი გაკოსოს ტრაქა – ეს იქნებოდა დიდი სარეკლამო და მხატვრობის საზოგადოებასთვის“.





TIDELAND

ინტერვიუ პოეტ მაია სარიშვილთან

ავტორი ნინო ჯაფიაშვილი
ფოტო ლევან ხარხაულიძე

*„მამა ჩაუყვება შორეულ, ჩამარხულ
სანაპიროს, მთლიანად დაფარულს
დამსხვრეული ოცნებებითა და იმე-
დებით. ეს მარტოსული კენოტაფები;
გარდასულ დროთა რელიკვიები,
წყალში ჩაძირულ მელანქოლიურ
მინაზე რომ ასვეტილან“.*

*ჯელიზა-როუზი ტერი გილიამის
ფილმიდან Tideland*

მაია, თქვენ შესახებ, სამი წლის წინ, სა-
ლომე კიკალეიშვილი წერდა:

„მაია არის ორი. პირველი – ეს არის
დედა და პედაგოგი, რომელიც ყოველ დი-
ლით, 4 შვილთან ერთად ყვითელი ავტო-
ბუსით მიდის სკოლაში. დანყებობებში
ქართულს ასწავლის. მერე შვილებთან
ერთად, ისევ იმ ყვითელი ავტობუსით
ბრუნდება სახლში და დიასახლისობის
რუტინაში ერთვება. ზოგჯერ, ძალიან
იშვიათად, გადის ხოლმე სტუმრად და,
როგორც წესი, ოთხივე შვილს ბოშასავით
აჩონჩხილი დააპრონიალებს. მეორე
– ეს არის პოეტი. დაუნდობელი და სას-
ტიკიც კი. პოეზიაში ის ყოველდღიურ-
ობისგან თავის დაღწევას კი არ ცდილობს,
არამედ კიდევ უფრო ამძიმებს მას და
ძლიერად მოქნეული ნაჯახივით გიპო-
ბს გულს, საიდანაც ამოტივტივებული
ხატები განსაკუთრებული სიმძაფრით
იხრწნებიან სტროფებში. ის არასდროს
კეკლუცობს სიტყვებით და ლექსებს დიდ
პარკებში ინახავს. ზოგჯერ ტანსაცმლის
კარადაში ძვრება, რომლის გამოკეტი-
ლი ჰაერი მისი ერთადერთი მეგობარია.“

მაია, შეიცვალა თუ არა თქვენი ცხოვრე-
ბა მას შემდეგ რაც ეს ისტორია დაიწერა?

ვფიქრობ, რომ შეიცვალა, თანაც
ძალიან ბევრჯერ და მნიშვნელოვნად.
შეიძლება მე მეჩვენება, მაგრამ ამ სამი
წლის განმავლობაში ყოველი წუთი და
ყოველი წამი ძალიან რთული იყო. ში-
ნაგან მდგომარეობას ვგულისხმობ.

შეიძლება გარეგნულად ეს დიდი ცვლილებები არც კი მეტყობა, მაგრამ ბევრი რამ იყო დასაფიქრებელი, გადასალახი, შესაგუებელი.

სანამ მომდევნო კითხვას დაგისვამდეთ, ერთი ფრაგმენტი მინდა წავიკითხო თქვენი საავტორო სვეტიდან, რომელსაც „სიცილის ოთახი“ ერქვა: „... ბილეთები იყიდა და სიცილის ოთახში შეგვიყვანა, პირველად ვიყავი და გავოგნდი, ამდენნაირი საკუთარი თავი რომ დავინახე, თან ხარხარის ფონზე. მეგონა, ეს ხარხარი ბრეცდა სარკეებს, მეგონა, ხარხარი რომ შეწყვიტათ, სარკეებიც ჩვეულებრივნი გახდებოდნენ, მერე მომეჩვენა, რომ ბავშვებთან ერთად სარკეებიც ხარხარებდნენ, საშიშად, არაჯანსაღად, ისე, როგორც შეშლილები იცინიან ხოლმე. რა შემზარავია, როცა ზღვარგადასული სასონარკვეთა ვერაფერში ეტევა და იცინი, რადგან ტკივილს რა ადგილიც აქვს გამოყოფილი, იქიდანაა შენი სათქმელი ამოვარდნილი. ჰოდა, ვიდრეც ამ სიცილის საუფლოში თავბრუდახვეული პატარა „მე“ და ვიცინოდი, უცებ ჩემი ყოფილი მუსიკის მასწავლებელი დავინახე, გამხდარი, ცისფერთვალა ნათელა მარკოზია, ქალი რომელიც არასდროს მიყვარდა. გავექანე და სასონარკვეთილი ჩავეხუტე. ის არ იცინოდა, ზღურბლთან იდგა, ვილაცას ელოდებოდა, ალბათ. ჩავეხუტე და ვტირი, ვტირი, გულსაკლავად ბედნიერი რომ ამ ჯოჯოხეთში ვილაც ვიპოვე, მაგრამ მან მომიშორა უცებ და გაოცებულ თვალბრუნებით რომ ჩავეხედე, მივხვდი, რომ სხვა იყო, სხვა. და მას მერე, რაც ამ სამყაროს გაუგებარი ხარხარიდან თავის დაღწევას ვცდილობ, და მშველელს ვეძებ, სულ ასეა. ვისკენაც საასონარკვეთილი გაქცეულვარ და ჩახუტებივარ, როცა ამიხედავს, არ ყოფილა არც დედა, არც ნათელა მარკოზია, არც ღმერთი“.

მაია, როგორ ძლებთ, როგორ არსებობთ ამ სამყაროში, სადაც ერთი შეხედვით ყველაფერი კარგადაც რომ იყოს, მაინც ასეთი მძაფრი, ასეთი ტრაგიკული განცდები გაქვთ?

შეჩვეული ვარ, ასეთი დავიბადე. ეს ყველაფერი მე რომ ცხოვრების რომელიღაც ეტაპზე შემყროდა, ანუ ეს ხედვა

მოგვიანებით რომ აღმომეჩინა საკუთარ თავში, ალბათ, ძალიან გამიჭირდებოდა. მაგრამ, რაც თავი მახსოვს, ჩემი სამყაროს აღქმა ყოველთვის ასეთი მძაფრი იყო. რაც სხვისთვის უმნიშვნელო და უბრალო ჩანდა, ჩემთვის ძალიან ფესვებგადგმული, სადაც ძალიან შორსმიმავალი იყო. შეჩვეული ვარ ამ შეგრძნებების ტარებას. ასე ცხოვრება, ერთი მხრივ, საინტერესოა – სამყაროს სხვა რაკურსით ხედავ და, მეორე მხრივ, რთულიც არის. აი, სწორედ ეს ამოვარდნილი ტკივილები, რომლებიც ნორმირებულ უჯვრედებში თუ თავის გრაფებში აღარ ეტევიან, გარდაიქმნება ლექსებად.

თქვენ ამბობთ, რომ ეს მდგომარეობა თან მოგყვებათ იმ დროიდან, როცა გარემოს აღქმა დაიწყეთ. და თუ არ ვცდები, თქვენი ამქვეყნად არსებობა დაბადების მომენტიდან გახსოვთ.

არ ვიცი, ჩემი ფანტაზიის ნაყოფია თუ არა, მაგრამ ძალიან მეეჭვება, რომ ეს ფანტაზია იყოს: მახსოვს ერთი ძალიან ძველი მოგონება – მკვეთრი ნათება, ძლიერი შუქი და სულ მეგონია, რომ ეს სწორედ დაბადების მომენტი უნდა ყოფილიყო.

ახლა ასეთი რამე თქვით – „არ ვიცი, ჩემი ფანტაზიის ნაყოფია, თუ მართლაც მახსოვსო,“ ჰოდა, როდესაც თქვენს საავტორო სვეტებს ვკითხულობ სულ იმაზე ვფიქრობ, ნეტა, ეს ყველაფერი სინამდვილეში მოხდა თუ მაიამ გამოიგონა?

არა, მე არაფერს ვიგონებ, ეს აბსოლუტური სიმართლეა, დეტალებსაც კი არ ვალამაზებ, სახელებს და გვარებსაც ვტოვებ, მხოლოდ იმას აღვწერ, რაც მოხდა.

თქვენი მისვლა ანა კალანდაძესთან ზამთარში, ნახევრად ფეხშიშველი... ეს სინამდვილეა?

რა თქმა უნდა! როცა ვკითხულობ ხოლმე, მე თვითონაც მიკვირს. ძალიან განსხვავდება ჩემი სვეტები ჩემი ლექსებისგან, იმ თვალსაზრისით, რომ სვეტებში უფრო ადამიანური ვარ, უფრო რბილი. ლექსებში მეტი დაუნდობლობაა. არ ვიცი რატომ და როგორ ხდება ეს, მაგრამ ასეა.

თუმცა რაღაც მსგავსება თქვენს სვეტებსა და ლექსებს შორის მაინც არის და ეს „რაღაც“ – თითქოს სიგიჟის ზღვარზე სიარულია; წარმოდგენილია იმ სამყაროებში ნორმალური არსებობა, რომელიც თქვენს სვეტებსა და ლექსებშია აღწერილი.

კი, ეს არის სიგიჟის ზღვარზე სიარული. ერთი ნაბიჯით ნორმალურობისკენ ხარ გადახრილი, მაგრამ თუ გადაგიცდა ფეხი, უცებ სიგიჟეში ხვდები. საკმაოდ მძიმეა, თუმცა გარეგნულად ძალიან იშვიათად ჩანს, შეიძლება მხოლოდ რამდენიმე უახლოესმა მეგობარმა იცოდეს ეს მდგომარეობები. არ ვიცი, რა მებმარება იმაში, რომ ძალიან უბრალო, არადამლელი და ჩვეულებრივი ვიყო ურთიერთობაში, მაგრამ ამის გამო, ამ ფარული სიგიჟის ტარება, კიდევ უფრო რთულდება. თუმცა თავისებური ხიბლიც აქვს ამ სიგიჟეს, რაღაცას ქმნი მისი წყალობით და ეს რომ არ შემეძლოს, ალბათ ბევრად უფრო გამიჭირდებოდა.

ხანდახან, როდესაც ვფიქრობ ხოლმე იმაზე, რასაც თქვენ წერთ და იმაზე, როგორ წერთ, მეჩვენება, რომ ჩვენ მაია სარიშვილის შესახებ, შესაძლებელია, უფრო მეტიც კი ვიცით, ვიდრე ჩვენი ახლობელი ადამიანების შესახებ. როგორ შეგიძლიათ ასეთი გულწრფელობით, ასეთი დაუცველი გახადოთ საკუთარი თავი?

სხვა კარი არ აქვს ამას გარეთ გამოსასვლელად გარდა ერთისა, რომელიც გულწრფელობაზე გადის. მე არ ვდგავარ არჩევნის წინაშე, ჩემს ცნობიერებაში, ჩემს არსებაში მხოლოდ ერთი კარია, ეს არის გულწრფელობა და აქედან ვეკონტაქტები სამყაროს.

ამავე დროს, გაქვთ დაუცველობის განცდა?

კი, მაქვს.

იყენებენ ადამიანები, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ თქვენს სიშიშველს იმისათვის, რომ ტკივილი მოგაყენონ?

ვერ გეტყვით დანამდვილებით, მაგრამ მექონია შემთხვევები, როდესაც ამ დაუცველობის გამო საკმაოდ სერიოზული ტრავმები მიმიღია.

მაია, თქვენი სიტყვები, აზრები, სემანტიკური კავშირები ერთი შეხედვით სრულიად შეუსაბამო სიტყვებს შორის, ბავშვების ლაპარაკსა და აზროვნების სტილს მახსენებს ხოლმე, რომელიც არ არის დაშტამპული სამყაროს იმ ალქმით, დიდებს რომ გვაქვს. ეს მოულოდნელი აღმოჩენები ჯადოსნობას ჰგავს. თუ მეთანხმებით ამ შეფასებაში, მანტიერებს, როგორ მოახერხებთ, არ გაზრდილიყავით?

არ ვიცი, თვითონ მოხერხდა რაღაცნაირად. იყო პერიოდი, როდესაც ვებრძოდი ამ ბავშვს, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ჩემ გარდა არავინ ჰყავს პატრონი, ამიტომ ისევე მე უნდა მიმეხედა იმ მეორე მაიასთვის, რომელიც ჩარჩენილია ბავშვობაში გარკვეულ მიზეზთა გამო. ვერ ვეტყვი უარს, ვერ ვეტყვი – „შენ არ არსებობ“, რაც უნდა დიდი ტკივილი მომეყენოს მისდაუნებურად. მეტიც, მგონია, რომ დაემგებობოდა, მე და ის მაია.

მაია, რამდენადაც დაუცველი და ღია ხართ ცხოვრებაში, მგონია, რომ იმდენად სასტიკია თქვენი ლექსები, მეჩვენება ხოლმე, რომ არის მათში შურისძიების გარკვეული ელემენტი ამ სამყაროზე, ამ მექანიკურ, დაცლილ ადამიანებზე. გაქვთ თუ არა შურისძიების განცდა, როდესაც ასე დაუნდობლად ეუბნებით სათქმელს მკითხველს?

კი, ეს ლექსები ზოგჯერ ჰგავს ხოლმე სამაგიეროს გადახდას. ამას ვერ გავეცქევ, თუმცა ეს მუხტი არ ჩანს „ცხელი შოკოლადისთვის“ დაწერილ სვეტებში. იქ არ არის სამაგიერო. ლექსებზე კი, სხვათა შორის, ისიც უთქვამთ, რომ ისინი სიყვარულითაა სავსე... ვიღაცები ასეც ხედავენ. მაგრამ, მე მანც ვფიქრობ, რომ ეს არის სამაგიერო, სამაგიერო – ტკივილზე.

კიდევ ერთი ფრაგმენტი მინდა წავიკითხო თქვენი სვეტიდან. ესეც ბავშვებს უკავშირდება: „სკოლაში ვმუშაობდი, დაავიანდა ერთხელ მშობელს, პირველკლასელი ანა ფონია მიმყავდა სახლში გადამწვარი რუსთაველის გავლით და ნატყვიარ სახლებზე მკითხა: ჩუტყვიავილა სჭირთ, მასწავლებლო, სახლებს? ასე მტკივნეულად არცერთი პოლიტოლოგის შეფასება არ მომხვედრია გულზე და

მაშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ არავისიანი არ ვარ – და მხოლოდ ამათიანი, ბავშვების პარტიას ეკუთხენის ჩემი არსება და გული“. ბავშვები, როგორც ტკივილის და შთაგონების წყარო, ეს თქვენი აღმოჩენა იყო თუ ეს არის რაღაც მოცემულობა, რაღაც ხაფანგი, რომელსაც ვერ აღწევთ თავს?

ბავშვებისადმი ჩემი ასეთი განსაკუთრებულად მტკივნეული დამოკიდებულება, ცხადია, ჩემი ბავშვობიდან მოდის. ძალიან მძაფრი შეგრძნებები მქონდა და ვერ გამოვხატავდი ამას.

კი, ჩემი ლექსები ზოგჯერ ჰგავს ხოლმე სამაგიეროს გადახდას. ამას ვერ გავიქსავი. ისიც უთქვამთ, რომ ისინი სიყვარულითაა სავსე, ვიღაცები ანაც ხედავენ. მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს არის სამაგიერო, სამაგიერო – ტკივილზე.

იმის გამოხატვა, რასაც განვიცდი და ვფიქრობ, მხოლოდ შემდეგ შევძელი, მანამდე ეს აბსოლუტურად დაფარული იყო ყველასგან. მე ისე ვარსებობდი, რომ ყოველთვის ვცდილობდი, მეკონტროლებინა საკუთარი თავი, რათა ვყოფილიყავი ყველასნაირი. ამ ყველაფერს კი ვატარებდი ისე „მოხუფულად“, რომ არაფერი ჟონავდა ჩემგან. როდესაც გავიზარდე, უცებ მივხვდი, რომ რაღაც არხები გამეხსნა შიგნით, ნელ-ნელა ვისწავლე, სად, რა დოზით შეიძლებოდა, გამოემევა ეს ნიაღვარი. ბავშვმა ხომ არ იცის, სად წაიღოს ის, რაც ტკივა? ვინაიდან ძალიან ტკივილიანი ბავშვობიდან მოვდივარ, ამიტომ, არანორმალურად მესმის მათი, უთქმელად, ჟესტებით, მიმიკებით, ყოველი მოძრაობა, ყველაფერი ვიცი მათ შესახებ, როცა ვუყურებ. ამიტომ, ძალიან ვცდილობ ხოლმე, რომ დავეხმარო. მე

რაც განვიცადე, ამის ფონზე მიადვილდება მათთან ურთიერთობა. აბსოლუტურად სხვა ადამიანი ვარ, როცა ვარ ბავშვებთან, იქ არის სიხარული, იუმორი, სიცილი, ძალიან დიდი ღიაობა და ეს კიდევ სხვა, მესამე მაიაა. ამას თავად ბავშვები აკეთებენ და ეს კიდევ სხვა ჯადოქრობაა.

მაია, მასწავლებლობას თავი დაანებეთ? აღარ აპირებთ სკოლაში დაბრუნებას?

ვფიქრობ ვერ შევეშვები. მხოლოდ დროებით შევეჩერდი, იმიტომ, რომ ცოტა ამოვვარდი კალაპოტიდან. გაკვეთილზე არ უნდა შეხვიდე, როცა საკუთარ სიმძიმეებს ვერ აკონტროლებ. მგონია, რომ საკმარისად მოვძლიერდი და უკვე შემიძლია ბავშვებთან ურთიერთობა, მომავალი წლიდან აუცილებლად უნდა დავუბრუნდე მათ, იმიტომ რომ მონყენილი ვარ ბავშვების გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ ოთხი მყავს სახლში, სხვებიც მინდა.

რატომღაც მგონია, რომ თქვენ გაქვთ უნარი, ისევე გიყვარდეთ სხვა ბავშვები, მაგალითად, თქვენი მოსწავლეები, როგორც საკუთარი შვილები.

კი, სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ ასეა. ერთგვარი ტესტია ჩემთვის, ძალიან ცუდად ვარ თუ არა, ამით ვხვდები: თუ ქურაში შემთხვევით შეხვედრილმა ბავშვმა არ გამიღიმა ე.ი. ძალიან ცუდად ვარ. ყველა ბავშვი ჩემიანია – ყველა ქვეყნის, აქამდე მცხოვრები, უკვე გარდაცვლილი, დაუბადებელი. არ ვიცი, ეს რატომ და როგორ მოხდა, არ ვიცი, სადამდე წამიყვანს ეს ყველაფერი. სკოლაში რომ ვმუშაობდი, ბავშვების ძალიან საინტერესო ნაწერებს ვინახავდი სახლში და მინდოდა წიგნად გამოემეცა. ძალიან მინდა, ეს ჩანაფიქრი განვახორციელო და არ ვიცი, რამდენად შევძლებ. ჩემს უსაშველო სიყვარულს, ყველა რადიოდან, ყველა ტელევიზიოდან, ყველა ლექსიდან, ყველა წამიდან, რომლითაც ვიარსებებ და აქამდე მიარსებია, ბავშვებს ვუძღვნი.

მაია, რატომ ვერ მოაბით, ან რატომ არ მოაბით თავი თქვენი ახალი წიგნის, ახალი ლექსების კრებულის გამოცემას?

იმიტომ, რომ ბევრს არ ვწერ, არ განვეკუთვნები იმ პოეტების კატეგორიას, რომლებიც ბევრს წერენ. ცოტას ვწერ და იმას, რაც გროვდება, ძალიან სერიოზულად ვცხრილავ, თითოეულ ლექსს ვაპატარავებ და ძალიან ბევრ მათგანს ვინუნებ. ამიტომ მრჩება ხოლმე ძალიან ცოტა ლექსი. თანაც ძალიან მწარე გამოცდილება მაქვს წინა ორი კრებულისგან გამომდინარე, ძალიან განვიცადე ეს კრებულები. იმიტომ, რომ როგორც კი გამოვიდა წიგნები, გაუცხოება და მენყო ჩემს ლექსებთან და მომეჩვენა, რომ ვიჩქარე.

მკითხველის რეაქციის გამო, თუ ამისგან დამოუკიდებლად?

ვერ გეტყვი, რომ მკითხველის რეაქცია მაინცდამაინც მშველის. რა თქმა უნდა, მიხარია, როდესაც უცნობი ადამიანები მეუბნებიან, რომ მოეწონათ ჩემი კრებული, მაგრამ ჩემი ლექსების შეფასებაში ეს ვერ მეხმარება. ვინც არ უნდა მითხრას, თუნდაც მთელმა სამყარომ, რომ ჩემი კრებული გენიალურია, თუკი მე ვგრძნობ, რომ – არა, იქ მთავდრება ყველაფერი. პირველი კრებული „ცხადის გადაფარვა“ ბესტსელერთა სიაში მოხვდა, მხოლოდდამხოლოდ იმიტომ, რომ ნახევარი ტირაჟი მამაჩემმა იყიდა. უხაროდა, ნათესავებს რომ დაურეგა. მეორე ნახევარი კი მე ვიყიდე, რომ გამენადგურებინა. მეორე კრებულს ვერ ვიყიდე იმიტომ რომ ძვირი ღირდა და სრულ ტირაჟს ვერ ამოვწურავდი, მაგრამ ამის სურვილი მქონდა. ძალიან გულწრფელად ვამბობ, სულ რომ აორთქლდეს ყველა ლექსი, რაც აქამდე დამინერია, გული არ და მწყდება. თუმცა წერის პროცესში ძალიან ძვირფასია ეს ლექსები. ძალიან ხშირად მითქვამს, რომ როცა ვწერ (ლამით ვწერ ძირითადად), ვცდილობ, გადაჯღაბნილი არ დავტოვო, რადგან რომ მოვკვდე-მეთქი ამაღამ, და მერე არასწორად ამოიკითხონ ან არასწორად დაიბეჭდოს, რა მეშველება. აი, ასეთი დოზით მიყვარს და მეძვირფასება ეს ლექსები. ხოლო როცა ვებეჭადე და ჩემგან მიდის, რა მემართება არ ვიცი. უკვე აღარ არის ჩემი და არანაირად, არც შვილებივით მიყვარს და არც ახლო თუ შორეული ნათესავებივით.

რა მოხდება, თუკი ერთხელაც აღმოაჩენთ, რომ ვეღარ წერთ ლექსებს?

დავუკრავ. ზოგს ჰგონია, რომ ძალიან თავმდაბალი ადამიანი ვარ, სინამდვილეში კი არ არის ასე. ხანდახან ვფიქრობ, შეიძლება იმიტომ ვერ ვებეჭადე საკუთარ თავს პოეზიაში, რომ მუსიკისთვის ვიყავი გაჩენილი. ის რაც დაკვრის დროს მემართებოდა (ახლა ვეღარ ვახერხებ ხშირად დაკვრას) იყო ისეთი დიდი სიგიჟე, მგონი, იქამდე ვერ მიდის ეს ლექსები. ისე მოხდა, რომ ვერ გავაგრძელე სწავლა, მასწავლებელი გავხდი და კონსერვატორიაში აღარ ჩამიბარებია. ესეც იმის გამო, რომ იმდენად ძვირფასი და საოცარი მეგონა ეს, საკუთარი თავი ღირსად არ ჩავთვალე, გამებეჭდა და გავყოლოდი მუსიკას. თუკი ვეღარ დავწერ, ვფიქრობ, მუსიკას დავუბრუნდები და დაკვრას დავიწყებ.

მაია, ის უხილავი დეტალები, რომლებსაც თქვენ ამჩნევთ, ამ ძალიან ტრივიალურ და ნაცნობ რეალობაში, მგონია, რომ საშუალებას გაძლევთ შეცვალოთ სივრცე და დრო. მაგალითად, მეჩვენება, რომ კარადა, რომელშიც შეიძლება შეიკეტოთ და ლექსები წერთ, მთელი სამყაროა; რომ წუთი შეგიძლიათ უსასრულოდ აქციოთ და შესაბამისად, მოსაყოლი ამბებიც უთვალავი გაქვთ, არასოდეს დაგლევათ. მაინტერესებს, მართლა გაქვთ თუ არა დროით და სივრცით მანიპულირების უნარი, თუ ეს მხოლოდ ჩემი წარმოდგენაა?

ყველაზე მეტად რაც მაკვირვებს, არის ფრაზა, რომელიც ხშირად მემის – „სიცოცხლე არის ხანმოკლე“. ვუკვირდები ხოლმე საკუთარ თავს და ვეკითხები – იქნებ მართლა ხანმოკლეა სიცოცხლე. და ვერანაირად ვერ მივხვდი, რას ნიშნავს ეს იმიტომ, რომ ჩემთვის სიცოცხლე უსასრულოა. ამდენი ამბები, ისტორიები, შეგრძნებები მიქმნის უსასრულობაში ცხოვრების განცდას. ალბათ იმიტომ, რომ ყოველი წამი, ყოველი უჯრედი ამოვსებულია გრძნობით, ყველა წამში ჩანვეთებულია ემოცია და ეს მერე უწყეტ ჯაჭვად მიდის, შესვენებების გარეშე, ამოსუნთქვის გარეშე, როცა გძინავს, მაშინაც კი ამით ხარ ამოვსებული, ეს ბადებს შეგრძნებას, რომ ხარ უსასრულობაში.

სათქმელი მართლა უამრავია და ძალიან ღრმად დევს. ხანდახან მეუბნება ხოლმე ჩემი მეუღლე, ნუ წერ სულ ერთი სტილის ლექსებსო. მას უყვარს ექსპერიმენტები, ხან რითმიანს დაწერს, ხან ურითმოს, ცვლის სტილს და ძალიან ბევრი პოეტისგან გამიგია, რომ ეს კარგია იმიტომ, რომ არ იკეტები ერთ ფორმაში, მაგრამ მე ეს არ გამომდის. მე ვჯიუტად, ჩემდაუნებურად, თითქოს მიხორცებული ვარ ასფალტის სათხრელ მანქანასთან, მიჭირავს ეს საზიზღარი, მიძიმე მანქანა და მივდივარ და მივდივარ თხუნელასავით – სიღრმეში, ერთი მიმართულებით; თითქოს საკუთარ სხეულს ვგრძნობ, როგორც რალაც მოქნიულ ნივთს, რომელიც მიეჩანება სადღაც და ამის გაჩერება შეუძლებელია.

ბოლო თხოვნა, შესაძლებელია, რომ თქვენი რომელიმე ახალი ლექსი წაგვიკითხოთ.

აქ მაქვს ჩემი ბოლო ლექსი, რომელიც ჯერ არავის წაუკითხავს და არც დამიბეჭდავს. გუშინდელია და ვიდრე მასთანაც გაუცხოება დამმართინა და ჯერ კიდევ ცოცხალია ჩემთვის, იქამდე წაგიკითხავთ.

„როგორ ყველას გისწავლიათ, დღეები წელზე იტრიალოთ ჰულა-ჰუპებით და არ ჩამოგივარდეთ.

ხელჩაკიდებულთ თქვენ-თქვენს ამბებს აყენებთ წრეზე. რომ რგოლის ფორმა მიეცეთ დღეებს,

პლასმასის რგოლების.

მეც მიწადასე, რელსები დავჭრა,

მოვამრგვალო, წელი მქონდეს უდარდებო, ფიქრებდათხრილი,

რომ გაუძლოს ამ სიმძიმეს და გზა წელზე მიტრიალებდეს.

მაღე ვისწავლი ასეთ სიტყვებს,

ვანილივით რომ ექნებათ გარეული მცირედი სევდა.

არაფრით მეტი და ხელს მოვანერ სიცოცხლის ქვემოთ, რომ ის არსებობს, დავადასტურებ“.

ინტერვიუ ჩანერილია რადიო „ცხელი შოკოლადის“ გადაცემისთვის „ცხელი შოკოლადის ისტორიები“. 11.12.12

FUTU RESH ORTS

ბაზანდუხეილის კინოფესტივალი
თბილისი 2013 - მაისი 2013

Future Shorts საერთაშორისო მოკლემეტყველებიანი ფილმების ფესტივალია, რომელიც 90 ქვეყანაში გლობალური კინოპრომოქამით სეზონურად, წელიწადში 4-ჯერ ტარდება.

ტყაღოციუღი კინოფესტივაღებისგან განსხვავებით Future Shorts-ის იღვნტი აღამაღტო კინოჩვენებაა აღამედ კინოს, მეღიკის, ვიზუალუღი სეღოვნების უღი საღამოში გაუღითანებით, აუღიღოღიას დაუღიღყაღ შითაბეჭღიღებას სითავაზობს.

www.futureshorts.com
[facebook/Futureshortsgeorgia](https://facebook.com/Futureshortsgeorgia)

არტისტი ახლოდან



დიპლომი – UTALEVAN

ავტორი ნინო ლომაძე
ფოტო მაკა გობაღაძე



გალერეა გადაჭედლია. ლევან მინდიაშვილის ხუთწლიან ემიგრაციას ექსპოზიციით – „ზენრებში გახვეული“ ჯამდება. ნამუშევრებში ინტიმურის საჯარო სივრცესთან გადაკვეთის ნერტილის ძიების მცდელობა ჩანს. პრივატული საგნები, გარემო და ქალაქის ფრაგმენტები გალერეის ინტერიერში პერსონალური მეხსიერების ერთიან სტრუქტურას ქმნის. ექსპოზიცია უტა ბექაიასთან ერთად მომზადებულ პერფორმანსსაც წარმოადგენს, რომელიც ყველაზე მკაცრად და ემოციური გამოცდილებების ვიზუალური ინტერპრეტაციაა. არტიზტი დუეტი **UTALEVAN 2011** წლიდან არსებობს. ისინი სხვადასხვა მედიაში მუშაობენ. აკეთებენ ქანდაკებებს, რომელიც შეგიძლია ატარო, ვიდეოს, ფოტოს, ფერწერას და მულტიმედია ინსტალაციებს. უტა ბექაია – არტიზტი და მოდის დიზაინერი. ლევან მინდიაშვილი – მულტიმედია არტიზტი, კურატორი და პერფორმერი.

დიალოგი ლევანსა და უტას შორის „ცხელი შოკოლადისთვის“ ექსპოზიციის შემდეგ, მათ სახელოსნოში ჩაიწერა.

უ: მოდი, დავიწყეთ ისევე სახლით. თუ გახსოვს, სულ თავიდანაც ამაზე ვლაპარაკობდით. გეოგრაფია, საზღვრები და სახლი. სად არის ფიზიკურად ეს სივრცე, რა არის სახლი?

ლ: მაშინ მქონდა ამაზე პასუხი – ბუენოს აირესი. დღეს ყველაზე მეტად ეს კითხვა მაფიქრებს. სად უნდა ვიყო, რა იქნება მომავალი. იმის გაცნობიერება, რომ აღარ ვცხოვრობ ბუენოს აირესში, გულს მიხეთქავს. უბრალოდ ეკონომიკური თუ სოციალური ვითარება, საუბედუროდ, ფიზიკურად შეუძლებელს ხდიდა იქ ცხოვრების გაგრძელებას.

ბუენოს აირესში, სამი წლის მერე მივხვდი რას ნიშნავს – გქონდეს სახლი. მანამდე მიმაჩნდა, რომ ყველაფერი პირობითი და დროებითია. არ მინდოდა ფიზიკურად მივჯაჭვოდი ადგილებს, ნივთებს. მინდოდა სულ მოძრაობაში ვყოფილიყავი, ასპექტით მეცხოვრა. პირველად ბინაში სულ მარტო რომ გადავედი, ვფიქრობდი, რომ არ შემეძინა ავეჯი, მეყიდა მხოლოდ ის, რაც იმ მომენტისთვის მჭირდებოდა. ახლა მგონია, რომ ეს აბსურდია. სახლი არ არის მხოლოდ სულიერი მდგომარეობა. ეს არის ფიზიკური სივრცეც. ეს არის ნივთები, რაც განწყობას, სიმყუდროვეს



და კომფორტს ქმნის. სხვათა შორის, ეს შენგან ვისწავლე. როცა ჩემთან ჩამოხვედი და ვნახე, როგორ მოიწყვე შენი სამუშაო სივრცე, მივხვდი, რომ ამის უფლება მეც მაქვს. მეც მჭირდება გარემო, რაც ცხოვრების რალაც მომენტებს მაქსიმალურად შემაგრძობინებს და შთამაგონებს კიდევ.

უ: ზუსტად იგივე პრობლემა მაქვს. ვერ გადავწყვიტე, სად უნდა იყოს საყრდენი. ადრე ეს იყო ნიუ იორკი. ახლა აღარ ვიცი.

ბავშვობაში ვცხოვრობდი ბუდასავით. რალაც ასაკამდე, არც კი ვიცოდი რომ ცუდი რალაცები ხდებოდა სამყაროში. ვცხოვრობდი ნამდვილი ბედნიერების ბუშტში და არაფერი ნეგატიური არ შემოდიოდა შიგნით. ეს იყო თავიდან სახლი.

ლ: ქვეცნობიერად, მგონი, ახლაც ეძებ ამ სახლს.

უ: კი, ვეძებ.

ლ: და პოულობ?

უ: ვპოულობ. მაგრამ მენატრება რალაც „კომფორტები“. მენატრებიან ადამიანები. ბავშვობაში სახლი იყო არა ფიზიკური სივრცე, არამედ ურთიერთობები. ბევრი ქალი – ორი და, დედა და ბებიები. მგონი, არასდროს ვტოვებ სახლს. სადაც კარს მოვიხურავ, იქ ვიქმნი ამ ბედნიერების ბუშტსაც. ფიზიკურად ვქმნი სივრცეს, სადაც ყველაფერი იმ განწყობას მიბრუნებს, რაც თავს ისევე სახლში მაგრძობინებს.

ლ: შენს ნამუშევრებში ეს თემა ჩნდება ხოლმე?


უ: არა. ჩემს პირად ცხოვრებას ნამუშევრებთან ვერ ვაკავშირებ. ერთი პერიოდი მქონდა გადაჯაჭვული ერთმანეთთან. მაშინ ეზოთერიაში გავიჭერი, მოვწყდი ადამიანებს. ამაში მეხმარებოდა ფსიქოტროპული სუბსტანციები (სულიერებაში რელიგიას არ ვგულისხმობ. არც ერთს). გარშემო მყავდნენ მეგობრები, რომლებიც ასევე მოწყდნენ საზოგადოებას. ვხატავდი ბევრს. მგონი, აქედან დაიწყო ძიებაც. ჩემი ნამუშევრები უფრო მედიტაციურია, გამტარი, განმეორებითი დეტალებით, ფორმებით.

ლ: ჩემთვის შენს ნამუშევრებში ჩანს ციკლურობა, ბუნებასთან კავშირი, სანყისებთან დაბრუნების მცდელობა, თითქოს იკვლევ ისტორიასაც, გვხვდება რეფერენსებიც. ყველაფერი – ამ ყოფითი და პირობითი ელემენტების გარეშე. მგონი, ამიტომ არ აკავშირებ ყოველდღიურობასთან. ისეთი შრეების გამოტანას ცდილობ, რაც გაცნობიერებული ფიქრის ნაწილი არ არის. ასეა?

უ: კი, ზუსტად ასეა.

ლ: საიდან მოდის იდეები? ცალკეულ კოსტიუმზე ფიქრით იწყებ, თუ ერთიანობაში ხედავ ყველაფერს?

უ: ერთიანად, პერფორმანსად წარმოვიდგენ. ეს არის მოძრაობა, საუნდი,



მულტიმედია ერთად. ბოლოს, მოეუფიქრე სახელი ჩემს ხელოვნებას ARTWEAR – ქანდაკებები, რომელიც შეგიძლია ატარო. თავიდან ფერები და გმირები ჩნდებიან. პირველადი ინსპირაცია შეიძლება იყოს ველასკესის ინფანტა, გრის ჯონსი, ბოსხი და ა.შ. საბოლოოდ, არც ინფანტა გამოდის და არც ჯონსი, მაგრამ დასაწყისისთვის რაღაც სახე, ხატი მჭირდება.

ლ: არ გაქვს-ხოლმე გეგმა, რომელსაც თანმიმდევრულად მიჰყვები?

უ: ხომ იცი, ძალიანაც რომ ვეცადო, არ გამოიძვას. ერთადერთი, რასაც ყოველთვის ვაკეთებ – მასალებს ვალაგებ ერთად. ასე ვინყებ. მერე თვითონ მიდის. ადრე ვცდილობდი, მქონდა გეგმა, დამენუსებინა ვადები. ძალიან საშიში რაღაცები გამომდიოდა-ხოლმე. როცა ამ დაძაბულობისგან ვთავისუფლდები, ბევრად უფრო საინტერესოა შედეგი.

ლ: მე ოცდაშვიდ წლამდე ვიცხოვრე ასე – საკუთარ თავს მხოლოდ მაქსიმალურს ვთხოვდი. ბევრი უნდა მემუშავა, მემუშავა ყოველდღე, წარმატებისთვის მიმეღწია. და ერთ დღესაც გავაცნობიერე, რომ ამხელა ძალისხმევაში ვკარგავ დღევანდელი მშობლის მომენტს. მინდა მივალწიო რაღაცას ხვალ და ზეგ, მაგრამ სადაა „ახლა“? ამ დროს, დღეს შემიძლია ავიღო წიგნი, წავიდე პარკში, მდინარის პირას დავჯდე და ამ მომენტით ვისიამოვნო.

უ: მგონი, რაღაც ასაკის მერე ხვდები, რას ნიშნავს ეს წამი. ხვდები, რომ მარტო ესაა მნიშვნელოვანი და არაფერი სხვა.

ლ: ისეთი სიმწვიდე შემოიტანა ჩემში... კარგია, იარო წინ, გინდოდეს მაქსიმუმი, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ავტომატური ქცევა, მექანიკური ინტერესი. როდესაც ამ სპონტანურობას უშვებ, მგრძობელობაც გიმძაფრდება. აი, ბუენოს აირესში, ერთი წლის მერე მქონდა ასეთი მომენტი, როდესაც თბილისში უნდა დავბრუნებულიყავი და უეცრად, უვადოდ დარჩენა გადავწყვიტე. ვგრძნობდი, რომ რაღაც მნიშვნელოვანი პროცესი მიდიოდა და უნდა მიმეშვა. მაშინაც დავფიქრდი იმაზე, რომ აუცილებელი არ არის ცხოვრებაში გქონდეს დროში ზუსტად გათვლილი გეგმები. არის რაღაც შინაგანი პროცესები, რომელსაც თავისი ვადები აქვს, რომელიც არ ემთხვევა გარეგნულ დროს. ესეც ბუენოს აირესში ვისწავლე.

უ: მე ყოველთვის ასე ვიყავი. თითქოს დავყვები რაღაც დინებას, ტალღას რომელმაც აქამდე მომიყვანა. ამ დინებას გავყვები ოცდაერთი წლის ასაკში ნიუ იორკშიც.

ლ: როგორი იყო ნიუ იორკი მაშინ, გახსოვს, რას გრძნობდი, რას ფიქრობდი?

უ: ნიუ იორკი საგაღმდებლო ჯარით იყო. მაშინ წავედი იმისთვის, რომ ფიზიკურად გადავრჩენილიყავი. ეს იყო ველური

ოთხმოცდაათიანები. 2001 წლის ტერაქტის მერე, კიდე ბევრი რამე შეიცვალა. სხვანაირად უყურებენ ყველაფერს. თითქოს დამოკიდებულებები შეიცვალა. მე რომ ჩავედი, დამხვდა დიდი კორპორატიული ცხოველობა. მართლა უნდა „გეჭიდავა“ და მორეოდი ვილაცხვებ. თბილისში დავტოვე კომფორტის ზონა, რომ მესწავლა პასუხისმგებლობის აღება საკუთარ ცხოვრებაზე. მქონდა განცდა, რომ ვტოვებდი სამოთხეს, მაგრამ დარჩენა ფიზიკურად შეუძლებელი იყო. ძალიან გამიჭირდა. თავიდან ვერ ვხვდებოდი, რა სარგებელი შეიძლება ჰქონოდა ამ გამოცდილებას. მაგრამ მერე მივხვდი, რომ ეს გამოცდილებები მყალიბებდა პიროვნებად. დღეს რომ მკითხო, ის პერიოდი იყო ყველაზე მაგარი საჩუქარი, რაც საკუთარი თავისთვის შეიძლება გამეკეთებინა. შენ გახსოვს ეს მომენტი, როდის დატოვე კომფორტის ზონა?

ლ: მე — ცოტა გვიან. სიტუაცია ამისთვის დიდხანს მწიფდებოდა. ჩვენს სულ პირველ გამოფენას გერმანიაში ძალიან კარგი გამოხმაურება ჰქონდა (ფიგურატიული ხელოვნების სახელოსნო – ტატო ახალკაციშვილი, ლევან მინდიაშვილი, მალხაზ დათაშვილი და ირაკლი ბუგაინიშვილი, 2003 წელი. – ნ.ლ.). თითქმის ყველაფერი გაიყიდა. ამის მერე, ყოველ წელს გვექონდა გერმანიაში გამოფენები. ყოველ მომდევნო გამოფენაზე ვხვდებოდი, რომ თავს წარმოვაჩენ ისე, როგორც მიცნობენ, უკვე ვიცი, რა აინტერესებთ და რა უფრო იყიდება. შევატყვე, რომ ამ ფაქტორებს ჰქონდა გავლენა ჩემზე. 26 წლის ვიყავი, ჯერ საკუთარი შესაძლებლობების მხოლოდ 1 პროცენტი თუ მქონდა გამოყენებული. ამ დროს, განვითარებისთვის სულ სხვანაირი სივრცე მჭირდებოდა. სტუმრის სტატუსიც აღარ მაკმაყოფილებდა. ამიტომ გადავწყვიტე, ისეთ ადგილას მეცხოვრა, სადაც ჩემზე არავითარი მოთხოვნა არ იარსებებდა, ნამუშევრებიც იქაური გამოცდილების შედეგად შემექმნა. და ეს იყო ბუენოს აირესი.

უ: რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ბუენოს აირესში?

ლ: თუკი რამე ყოფილა მნიშვნელოვანი ჩემს ცხოვრებაში, ეს ქალაქია. ყველაზე დიდი გარდატეხა, ცვლილებები იქ მოხდა. პირველ რიგში, ვიცოდი – მივდიოდი იმისთვის, რომ დავმორებოდი მშობლიურ კერას



და საკუთარ თავთან პირისპირ დაემდგარიყავი. მაინტერესებდა, რისი გამკეთებული ვიყავი მარტო, უენოდ, ყველას და ყველაფრის გარეშე. იქ არავინ იცოდა ლევან მინდიაშვილი და მისი საყვარლების სერია. ეს იყო სუფთა ფურცელი, საიდანაც შემედლო ყველაფერი დამეწყო თავიდან. მეკეთებინა ის, რაც მინდოდა და აღარ მეფიქრა იმაზე, კომერციულად იქნებოდა წარმატებული თუ არა. ვგრძნობდი, რომ ყველაზე მთავარი მაშინ ამ წონასწორობის პოვნა იყო.

უ: რა იყო ყველაზე საინტერესო მიგნებები შენთვის?

ლ: ადამიანის სხეულთან მუშაობა, სხეულით მეტყველება ვისწავლე. მივხვდი, რომ ყველაფერი, რასაც აქამდე ვხატავდი, შე-

მედლო სხეულით გამომეხატა. ორი წლის განმავლობაში არაფერი დამიხატავს, მხოლოდ პერფორმანსებზე ვმუშაობდი. ახლა ვხვდები, რომ ამით ჩემი წარსულის გაანალიზებას ვცდილობდი. მინდოდა მთელი კულტურული და სოციალური გამოცდილება, სქემები და პირობითობები მეკვლია. ბუენოს აირესის ბოლო გამოფენაში მარტო ბოლო სამი წელი კი არა, მთელი ცხოვრება თავიდან გავიხსენე.

უ: როგორ ინახავენ საგნები ისტორიას – შენ გაინტერესებს მესხიერება, რომელიც ვიზუალურად შეუმჩნეველია. ყოფითი საგნები, როგორც ზარდახშები, რომლებშიც ჩვენი ისტორია ინახება.

ლ: ჰო, ეგრეა. ამაზე ბევრი ვიფიქრე,

როგორ შეიძლება ისტორიის, მოგონებების მატერიალიზება. რა არის ეს ისტორია ფიზიკურად. რა მექანიზმით იმასოვრებს კანი მოფერებას? რა ფორმით რჩება მესხიერება საგნებზე – აი ეს მაინტერესებს.

უ: ბუენოს აირესში შენი პირველი პერსონალური გამოფენის მერე დაინყო სერიოზული გარდატეხა შენს ნამუშევრებში, არა? უცბად გახდა ძალიან პერსონალური და ინტიმური. როგორ მოხდა ეს?

ლ: რალაც კითხვები ახლაც მანუხებს. რამდენად საინტერესოა პირადის ასეთ დონეზე გასაჯაროება? მეშინოდა კიდევ, ზედმეტად გულახდლი ვყოფილიყავი. რატომ შეიძლება შენი გამოცდილება სხვებისთვის საინტერესო იყოს?



უ: იმიტომ, რომ ეს ყველას ეხება. შენი ნამუშევრები ძალიან პოეტურია და არ არის ეგოისტური, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ შენი პირადი გამოცდილება გამოგაქვს. შენ ხსნი საკუთარ თავს ყველასთვის. პერსონალურის გასაჯაროება ისე, როგორც ამას შენ აკეთებ, ჩემი აზრით, საჩუქარია კაცობრიობისთვის. შეგიძლია შენს თავზე ილაპარაკო ყოველგვარი ეგოცენტრიზმის, ძალდატანების გარეშე.

ლ: არ არის შანსი რომ ეს გამოიშვლება ვულგარული გახდეს?

უ: ვულგარული ხდება, როდესაც სათქმელია ნაძალადევი. ვულგარულია, როცა რაღაცას გიმტკიცებენ. შენი ნამუშევრები კი, ჰაიკუებივითაა. თავისუფალი, ძალიან მსუ-

ბუქი. შენი აზრით, მაინც რით განსხვავდება „სანოლების“ სერია „წყვილებისაგან“?

ლ: „წყვილებში“ ორ ადამიანს შორის ურთიერთობა მაინტერესებდა. არის თუ არა ეს ერთიანი კონსტრუქცია, მთელის ნაწილების ურთიერთობა? როგორია ეროტიკულად დამუხტული ორი სხეული? ბევრმა ეს აღიქვა, როგორც ქალსა და კაცს შორის ურთიერთობა. ამ დროს გენდერი ყველაზე ნაკლებად მაინტერესებდა. ორ პიროვნებას შორის კავშირზე ვფიქრობდი. ბოლოს მივხვდი, რომ რაღაც ეტაპზე ეს თემა ამოწურე, მაგრამ ინტიმურობის, იდენტობის იდეა ყოველთვის მრჩებოდა ფონად. უბრალოდ, სხვადასხვა ფორმას იღებდა.

კიდევ რა იყო, იცი? „წყვილები“ ჩემი იდეები, ჩემი დამოკიდებულებები იყო და არა პირადი გამოცდილების შედეგად მიღებული ცოდნა. მაშინ ვიფიქრე, რომ პირადი გამოცდილების საფუძველზე რაღაცის თხრობა ბევრად უფრო საინტერესოა, ვიდრე ჰიპოთეტური, თეორიული ცოდნის ბაზაზე. ვინ ვართ სინამდვილეში. რა დონეზე შეიძლება ვიყოთ გულახდილები და გახსნილები. პირადი და საზოგადო ცხოვრება. ეს თემები მაინტერესებდა. მერე გაჩნდა განმტობებები.

უ: ურბანულ სერიაშიც ხომ ინტიმურობას და საზღვრების თემას ეხები?

ლ: ბუენოს აირესში არქიტექტურის მიმართ ძალიან სპეციფიკური დამოკიდებულება აქვთ. სახლების გვერდითა ფასადებს იქ მედიანერა ჰქვია. სხვა ქალაქებში სახლები ერთმანეთზეა მიბჯენილი და ერთიან სილუეტს ქმნის. იქ კი, მაღალი შენობების გვერდით ან დაბალი ნაგებობა გვხვდება, ან საერთოდ არაფერი. გვერდითა კედლები სააშკარაოზეა გამოტანილი. მათზე ფანჯრების გაჭრა კანონითაა აკრძალული. მაგრამ მაცხოვრებლები მაინც ცვლიან ექსტერიერს და სხვადასხვა ზომის ფანჯრებს ჭრიან. ტრადიციული, კლასიკური ფასადია, გვერდიდან კი უცბად ხედავ სრულიად ეკლექტურ კედელს, აბსოლუტური ქაოსია. ვიცოდი, რომ ამ ქალაქს, რაღაც განსაკუთრებული ნიშანი ჰქონდა, რაც ყველაზე მეტად მხიბლავდა. რა იყო ეს ნიშანი, ამას მხოლოდ რაღაც პერიოდის მერე მივხვდი. არქიტექტურის ყველაზე ინტიმური მხარეა გამოიშვლებული. იქ თითოეული მაცხოვრებლის ხასიათი, დამოკიდებულება ჩანს. მათ ჰყო-

ფნით გამბედაობა, მთლიანად შეცვალონ ქალაქის იერსახე. ფანჯრებს ქალაქში ადამიანების ანაბეჭდებად აღვიქვამდი. ამ ქალაქების პარალელურად გაჩნდა „სანოლების“ სერიაც, სადაც ყველაზე პირადი და ინტიმური სივრცე იხსნება. ამ სერიებში მაინტერესებდა, როგორ ხდება საზოგადო ასეთი პირადი და პირიქით – ყველაზე ინტიმური როგორ შეიძლება საჯარო გახდეს.

უ: მთავარი ალბათ ისაა, შენს ნამუშევრებში ვილატებმა საკუთარი თავი დაინახონ. ამ თემების გახსნა არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ შენს ისტორიას ჰყვები. მთავარია, დიალოგი შედგეს – ვილატას გაახსენდეს, თქვას, დაფიქრდეს... იცი რა მაინტერესებს, კოლაბორაციაზე რას ფიქრობ? შეგიძლია თქვა, რა განუხებს და რა მოგონს ჩემთან ერთად მუშაობის დროს?

ლ: არაფერი მანუხებს. როდესაც პროექტის კეთებას ვიწყებთ, უკვე განსაზღვრული გვაქვს როლები. თავიდან მქონდა მომენტები, როცა ვფიქრობდი, რომ ჩემი ხმა იკარგებოდა.

უ: მეც მქონდა ეს განცდა.

ლ: იმიტომ, რომ ორივეს გვაქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულებები და ჩვენი სამეცხველო ენა. მაგრამ ახლა ველარ ვხედავ ამ კონფლიქტს. შენთვის განსხვავდებიან ერთმანეთისგან უტა რომელიც, მუშაობს უტალეგანისთვის და უტა, რომელიც მუშაობს უტასთვის?

უ: არა. იმიტომ, რომ კი არ ვეჩრებით, თითქოს ვავსებთ ერთმანეთს. უტა მარტო არ ვიცი. ადრე ვიყავი ხესავით. კოლაბორაციაში უფრო მოქნილი გახვდი. „ფერომონი“ ჩემთვის დღემდე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტია, ყველაზე დამუხტული ენერგიით.

ლ: იმიტომ, რომ პირველი იყო. და ბოლომდე დავიხარჯეთ. თითქოს ერთმანეთს საკუთარ შესაძლებლობებს ვუმტკიცებდით.

უ: ახლაც მახსოვს შენი ნამუშევრები პირველად ფეისბუქზე რომ ვნახე. როგორი დღეები მქონდა, გახსოვს მაშინ? ნიუ იორკში ძალიან დიდი თოვლი მოვიდა. ქალაქი პარალიზებული იყო. მაშინ ოკეანის პირას ვცხოვრობდი. ვიჯექი ფანჯარასთან, ვუყურებდი ვერაზანოს ხიდს და თოვლის ხმას ვუსმენდი. აი, ეგრე გაგიცანი. 30 თებერვალი არ იყო?

ლ: არა, 30 იანვარი, 2011.

საუბარი ნილს-პიტერ მოლვაერთან

ავტორი კახა თოლორდავა
ფოტო გიორგი გომავა

სიმართლე რომ გითხრათ, არ ვაპირებდი ჩვენს საუბრის ამ შეკითხვით დაწყებას, მაგრამ სულ რამოდენიმე დღის წინ, როდესაც ჯონ კეიჯზე ტელეგადაცემის მზადების პროცესში ვიყავი, მის ორ ძალიან საინტერესო ციტატას გადავანყდი და პირველი, რაც გავიფიქრე – ოჰ, ეს ციტატები აუცილებლად უნდა წავუკითხო ნილს-პიტერ მოლვაერთა და ვთხოვო მათი კომენტარება-თქო. აი პირველი: „მე უარს ვამბობ იმ მოარული აკადემიური იდეის მიღებაზე მუსიკის დანიშნულების შესახებ, რომლის მიხედვითაც მუსიკის ერთადერთი დანიშნულება კომუნისტური იდეაა და ამის მიზეზი ისაა, რომ ყოველთვის, როდესაც რაიმე ნაღვიანს ვწერ, მსმენელი და კრიტიკოსები იცინიან ხოლმე... მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქე შვებით, როდესაც ინდოელი მუსიკოსების და მუსიკის თეორეტიკოსების ნაშრომებს გადავყვარე. მათთვის მუსიკის ძირითადი დანიშნულება გონების გამოფხიზლებასა და დაოკებაშია, რაც ნიშნავს იმას, რომ მუსიკის მეშვეობით ამ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი მზადაა ღვთაებრივის მისაღებად!“ რას იტყვი?


პირველად მიხდება კეიჯის ციტატის კომენტარება, ამიტომაც ფრთხილად ვიქნები! მიმაჩნია, რომ მუსიკა ორივე ზემოთ ხსენებულ ფუნქციას ასრულებს. ის კომუნიკაციაცაა და გონებასაც აფხიზლებს. ჩემთვის, და იმედი მაქვს, ჩემი მუსიკის მსმენელისთვისაც, მუსიკა, თუ მასში შენობის ხანძარი მოსურვებს, მედიტაციასავითაა, რადგანაც ამ დროს არ ფიქრობ არც წარსულზე და არც მომავალზე, შენ ასე პროცენტით აქ ხარ, მოცემულ მომენტში. ამ მხრივ მეც ინდოელი მუსიკოსებივით ვფიქრობ, რადგანაც გონების გამოფხიზლება და დაოკება მხოლოდ მოცემულ მომენტშია შესაძლებელი. ასეთი მდგომარეობა პატარა ბავშვის

მდგომარეობაა. როდესაც მუსიკა ხდება, ვგულისხმობ, როდესაც მუსიკას შენში შედის და ის საშუალებას აძლევს და შენივე, მაგალითად, ტექნიკასთან დაკავშირებული პრობლემებით არ ებრძვი, მაშინ ტოტალურად მოცემულ მომენტში იმყოფები და ჩემთვის ეს მდგომარეობა ზედმიწევნით ლამაზი და სასუსაა.

კარგი, აი მეორე ციტატაც: „სიმართლე რომ ვთქვა, მრცხვენია, მთელი ცხოვრება ახალი (მუსიკალური) მასალის ძიებაში რომ დავხარჯე. ჩვენს კულტურაში ითვლება, რომ ახალი მასალის ღირებულება ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობია რამის აღმოჩენა. ეს რაღაც უცნობი ჯერ კიდევ მაშინ გვიზიდავს, სანამ მას აღმოვაჩენთ, ხოლო როდესაც აღმოვაჩენთ ინტერესს ვკარგავთ მის მიმართ და ახალი უცნობი რამეების აღმოჩენისკენ ვისწრაფვით. ახლის აღმოჩენის ეს და უოკები ელი სურვილი ჩვენსავე კულტურაზე აისახება, რადგანაც ჩვენს კულტურას, სულის მშვიდ შუაგულში ყოფნის კი არა – სრულქმნისთვის, ჩვენი სურვილების მუდმივად ოპტიმიზმურ მდგომარეობაში შეჩერებისა სწამს.“

ჰო, ეს უფრო რთული ციტატაა კომენტარისთვის, ძალიან რთული! კეიჯი მართალია, თუმცა გაუგებარია, როგორ ახერხებდა ეს კაცი, მუსიკის შესახებ თავისი აზრების ასეთ ზუსტ არტიკულირებას. ალბათ, ის ამიტომაც უყვარდათ ასე იმ მუსიკოსებს, ვისაც მასთან უმუშავია. ზოგიერთ მათგანს ვიცნობ და მიმუშავია კიდევ, რობინ შულკოვსკი მაგალითად, დრამერი ქალბატონი, ის აღმერთებს კეიჯს! კარგი, კითხვას დავუბრუნდეთ, – გულზე ხელის დადებით ვიტყვი, რომ არა მგონია, მუსიკაში რამე ახალი არსებობდეს. ნებისმიერი მუსიკა სხვა მუსიკაზე მიუთითებს. ყოველთვის! ჰო, მუსიკა შეიძლება

ჟღერდეს ახლებურად, იყოს რაღაცით ცინცხალი, განსხვავებული, მაგრამ სინამდვილეში, მუსიკაში არაფერი ახალი არ არსებობს. მაგალითად, როდესაც იმპროვიზირებულ მუსიკაში ბასის გარეშე, მხოლოდ ფორტეპიანოს, ვოკალის და პერკუსიების მეშვეობით დაკვრა დაიწყეს, იმ დროისათვის ეს ახალი იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამის მეშვეობით თვითონ მუსიკა გახდა ახალი. მეორე მხრივ, რაც შემეხება მე, ვფიქრობ ჩემთვის უცნობი, შესაბამისად ახალიც, ჯერ კიდევ ბევრია მუსიკაში, ამიტომაც იმ ახალი ტერიტორიების მონახულება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა, იქ მოხვედრისას, ვხვდები, რომ ის ტერიტორიები სხვა, უფრო ადრეული მუსიკალური ტერიტორიებისკენ მიმითითებენ. სწორედ ამ დროს ვცდილობ, ჩემთვის გამოსადეგი კონტრასტული მდგომარეობის დაძებნას, რადგანაც მხოლოდ ასეთ სიტუაციებშია შესაძლებელი კონტრასტის ფარგლებში მოცემული დაპირისპირებების ამეტიყველება და მათთვის გამოხატვის უნარის მიჩიჭება. მაგალითისთვის, ჩემი ადრეული ალბომის „ხმების“ შემთხვევაში ეს იყო ელექტრონიული საუნდი; საუნდი, რომელსაც ბუნებრივი გზით ვერ მიიღებ, მაგრამ ამ დროს ვცდილობდი, ამ საუნდის ბუნებრივად გამოხატვის საშუალებები დამეძებნა, ისეთი გზები, რაც ამ საუნდს გააცოცხლებდნენ და ბუნებრივად სუნთქვის საშუალებას მისცემდნენ. კონტრასტის შემადგენელი ნაწილი ხახუნია, ხახუნი კი ენერჯიაა. ძალიან მძლავრი ენერჯია სხვადასხვა კულტურების, ერთი შეხედვით, დაპირისპირებული ელემენტების ხახუნის შედეგად შეიძლება გაჩნდეს და ამ დროს მუსიკა შეიძლება მოულოდნელად მოხდეს და ერთდროულად ბევრი რამე იყოს. ოთხმოცდაათიანების ბოლოს, ორი



თვე დაგყავი ზამბიაში, თეატრალურ სემინარზე. იქ ყოფნისას ტანზანიელ დრამერებთან ვუკრავდი ყოველ სალამოს. ისინი კი მხოლოდ სუაჰილიზე ლაპარაკობდნენ, მე – მხოლოდ ნორვეგიულზე. ერთ ღამეს ცეცხლთან ვისხედით და დრამერებმა დაკვრა დაიწყეს, მე პატარა საყვირი (აი, ისეთი, დონ ჩერი რომ უკრავდა) მქონდა თან და რა თქმა უნდა, ავყევი მათ დაკრულს. იმ სალამოს ჩვენს შორის რაღაც მოხდა! მე ასე ვიტყვოდი – მუსიკა მოხდა! მეორე დღით, კარზე კაკუნმა გამაღვიძა; ერთ-ერთი ტანზანიელი დრამერი იყო. ნიშნებით ამისხნა: ნამო, გავისეირნოთო. გავეყვი. იმან ჩემი ენა არ იცოდა, მე კი – მისი, მაგრამ წინა ღამით მომხდარმა მუსიკამ რაღაც უხილავი ძალების მეშვეობით დაგვაახლოვა, ეს კი, თუ კვიჯის პირველ ციტატას დავუბრუნდებით, უკვე კომუნიკაციაა, არა? მუსიკა სალაპარაკო ენის მიღმა ფუნქციონირებს და ყოველგვარი პათეტიკის გარეშე ვაცხადებ, რომ ის უმაღლესი სულიერი კომუნიკაციის საშუალებაა! რაც შეეხება იმას, როგორი მონდობით და შემართებით ვეძებ პირადად მე იმ უცნობის აღმოჩენას, რაზეც კვიჯი საუბრობს, გეტყვით, რომ დიახ, ვეძებ ხოლმე, თუმცა ძალიანაც არ ვიკლავ თავს მის ძიებაში.

მოდი ახლა ცოტა იმ ინსტრუმენტზე ვისაუბროთ, რაზეც თქვენ უკრავთ. დარწმუნებული ვარ, როდესაც საყვირი აიღეთ ხელში, უკვე იცოდით მისი მდიდარი მემკვიდრეობის შესახებ. საყვირი, მუსიკის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი იმპროვიზატორების თვითგამოხატვის საშუალება იყო და, საინტერესოა, გეშინოდათ თუ არა როდესაც ასეთი მემკვიდრეობის, და როგორ შეიცვალა თქვენი დამოკიდებულება ინსტრუმენტისადმი დაწყებული პირველი ნაბიჯებიდან ვიდრე დღემდე?

ის რომ დღეს მე საყვირზე ვუკრავ შემთხვევითობაა, რამაც, თავის მხრივ, გარკვეული თვალსაზრისით, განსაზღვრა ჩემი საუნდი ამ ინსტრუმენტზე. ექვსის თუ შვიდის ვიქნებოდი მამამ ძველი პატეფონი რომ იყიდა და იმ პატეფონისთვის სამი ალბომიც შეიძინა: ლუი არმსტრონგი, ბილი ჰოლიდეი და

რომელიღაც ბიგ-ბენდი. სამიდან, ყველაზე უფრო ბილი ჰოლიდეი მომწონდა. იმ დროს, ინგლისურად ჯერ ვერ ვლაპარაკობდი, მაგრამ „სამათაიმ“ ზეპირად ვისწავლე და სულ მგონია, რომ შეიძლება სწორედ მაშინ, ქვეცნობიერად გაჩნდა ჩემში რაღაც უცნაური ლტოლვა ადამიანის ხმის მიმართ, რამაც მოგვიანებით, საყვირზე ჩემი ბგერის „ჭუმანური“ ტონი, ადამიანის ხმასთან მიახლოებული ბგერა განაპირობა. ადამიანის ხმა ყოველთვის იყო ის, რისკენაც საყვირზე დაკვირვება ვისწრაფოდი. რაც შეეხება იმას, მეშინოდა თუ არა საყვირის მდიდარი მემკვიდრეობის, ჩემი პასუხი იქნება — არა, არასდროს შემშინებია. არ ვიცი, რატომ. თავიდან, საყვირზე დაკვრა რომ დავიწყე, სასულე ორკესტრებში ვუკრავდი, მერე კი, ერთ მშვენიერ დღეს, საერთოდ მივაგდე საყვირი და როკ-ბენდებში დავიწყე ბასზე დაკვრა. საყვირს რომ დავუბრუნდი, დაკვირვება კლასიკური სკოლა გავიარე. რა თქმა უნდა, ჯაზსაც ვუსმენდი. სამოცდაათიანებში ფრედი ჰაბარდი და ვუდი შოუ მომწონდა ძალიან. გეცოდინებათ, საყვირი ძალიან მომთხოვნი ინსტრუმენტია, ძალიან ჭირვებული და „მყვირალა.“ მისი ლითონის ბგერა ხშირად მალიზიანებდა ხოლმე, დღესაც მალიზიანებს, პერიოდულად. თავიდანვე მინდოდა მისი სხვა ბგერაზე „მორჯულება“, მერე კი, ერთ მშვენიერ დღეს, ჯონ ჰასელი მოვისმინე და როგორც ჯონ კვიჯმა ამოისუნთქა შვებით, როდესაც ინდოელი მუსიკოსების აზრი მოისმინა მუსიკის დანიშნულებაზე, ისეთივე შვებით ამოვისუნთქე მეც. ჰასელმა მიმახვედრა, რომ სრულიად შესაძლებელია კარგად იგრძნო თავი შესავე მიერ შექმნილ საუნდში და ამის არასდროს უნდა გეშინოდეს. არაა აუცილებელი მაინცდამაინც ვინმეს მიბაძო. სწორედ ამ მომენტიდან დავიწყე ჩემს საკუთარ საუნდზე მუშაობა და დღეს ვარ იქ, სადაც ვარ.

ერთხელ, თავის ერთ-ერთ ინტერვიუში, ჰასელმა საჯაროდ გადაუხადა მაღლობა მაილზ დევისს იმისთვის, რომ ამ უკანასკნელმა საშუალება მისცა მას, თავიდან აღმოეჩინა საყვირის შესაძლებლობები. ჰასელმა, თავის მხრივ, თქვენ

გაგისნათ გზა ამ შესაძლებლობების აღმოჩენისკენ. ამ მხრივ, ის ერთადერთი იყო თქვენთვის, თუ ვინმეს კიდევ დაასახელებდით?

არა, არა, ჰასელი ერთადერთი არ ყოფილა. ჰასელმა ინსტრუმენტის თავიდან აღმოჩენისკენ მიბიძგა, მაგრამ იყვნენ ისინიც, ვინც ზოგადად მუსიკალური მასალის ორგანიზაციაზე მასწავლეს ბევრი. ასეთები ძალიან ბევრნი არიან, აზრი არა აქვს მათი სახელების ჩამოთვლას, რადგანაც ვინმე გამომჩნება და დანაშაულის შეგრძნება გამიჩნდება. ამ სახელების დიაპაზონი ფართო და მრავალფეროვანია, დაწყებული „ბინკ ფლოიდის“ დევიდ გილმორით (მაგალითად, როგორ იყენებს ის საუნდის შორის გაჩენილ პაუზებს) და დასრულებული – დონ ჩერით, ჯონი მიტჩელით და თუ ახალგაზრდებსაც მოვიხსენიებთ, მაგალითად, ბონ ივერით. ყველა ეს მუსიკოსი მუსიკის ღიაობაში არსებობს.

მუსიკის ღიაობა ისაა, რასაც თქვენ ძალიან ხშირად ახსენებთ ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკოსი არ ვარ, მგონი მესმის რასაც გულისხმობთ, მაგრამ საინტერესოა, რა გინდათ რომ მოხდეს იმ ღიაობაში, რომელსაც თქვენი მუსიკის მეშვეობით აჩენთ? ღიაობა ხომ შემთხვევითობასაც გულისხმობს? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ თქვენ ამ შემთხვევითობასაც მოიხმართ მუსიკის კუთებისას?

აბსოლუტურად! ეს განსაკუთრებით ასეა ჩემი ახლანდელი ტრიოს შემთხვევაში, რომელიც, სხვათა შორის, შემდეგი ალბომისთვის სრულიად შეიცვლება, რადგანაც ჩემი ამჟამინდელი გიტარისტი თავისი გზით მიდის, მაგრამ ჯერჯერობით, სანამ ჩვენ ერთად ვართ ღიაობა, მუსიკის ღიაობა, მისი გახსნილობის ხარისხი ძალიან მაღალია. თუ ლიდერი ხარ და კარგი მუსიკის დაკვრას აპირებ, შენივე ბენდის წევრები დახვეწილი და ძლიერი მუსიკოსები უნდა იყვნენ. არ უნდა გეშინოდეს, რომ რომელიმე მათგანს შენი დაჩაგვრა შეუძლია. პირიქით, შენ აუცილებლად უნდა მისცე მათ იმის შანსი, რომ ის ველი შექმნან, სადაც შენ მაქსიმუმს უჩვენებ. ეს გამოწვევაა, რაც კარგ ფორმაში გამყოფებს. ასეთ მუსი-

კოსებს გამოხატვის მრავალფეროვანი უნარი აქვთ და შენ, ასე უბრალოდ ვერ ეტყვი მათ – მიდი, ახლა ეს გააკეთე, ახლა კი – ის. გამიგეთ? ასეთი მიდგომა ძალიან შეზღუდვად მუსიკას და მუსიკოსების გამოხატვის საშუალებებს. თუ ამ მხრივ ყველაფერი კარგადაა, მაშინ შემდეგი მნიშვნელოვანი თემაა, თუ როგორი ინტერაქცია აქვთ ამ მუსიკოსებს. ინტერაქცია მთავარია, რადგანაც ის მუსიკის ინტერპრეტაციის ძირითადი მამოძრავებელი ელემენტია. ჯონ კეიჯი თავის მუსიკას ნოტებში აფიქსირებდა, მაგრამ მისთვის მუსიკოსების იმპროვიზაციის უნარიც მნიშვნელოვანი იყო, რაც ნიშნავს იმას, რომ მასაც ხეირიანი მუსიკოსები ესაჭიროებოდა თავისი მუსიკის ადეკვატური ინტერპრეტაციისათვის. კარგი მუსიკოსი უკვე ღიაობაა და ამ დროს ჩემი, როგორც ლიდერის, ძირითადი ფუნქციაა, მივანოდო მათ ისეთი აკუსტიკური სამყარო, რომელშიც ჩვენ ერთად მოვახდენთ რაიმე მნიშვნელოვანს. ხშირად ეს სამყარო თავისი საკუთარი „წესებით“ მოდის შენთან და ჩვენ, ყველა ცალ-ცალკე, მაგრამ იმ მუსიკის სასარგებლოდ, რის დაკვრასაც ვაპირებთ, ვცდილობთ, შევეპასუხოთ მას. პირადად ჩემთვის, ამ დროს, ყველაზე მნიშვნელოვანია საყვირის ბგერა მოვარგო იმ აკუსტიკურ მდგომარეობას, რომელშიც ვაბიჯებთ. ჩვენი და ჩვენს მიერ გაჩენილი აკუსტიკური მდგომარეობის (რომელიც, როგორც ვთქვი, თავისი წესებით მოდის ჩვენთან) შეხვედრის შედეგად იქმნება კონტრასტული მდგომარეობა, ხახუნის ენერგია, რომელიც თავისთავად უკვე სხვა სახის ღიაობაა, რადგანაც ის აჩენს კონტრასტების მოსახდენად აუცილებელ სივრცეს და აი, ამ ღიაობაში ჩნდება ძლიერი მუსიკაც, რომელიც ხშირად, დაგეგმილი, დეტერმინებული კი არა, სრულიად სპონტანურია.

რამდენად თანამედროვე შეიძლება იყოს ის მუსიკა, რასაც თქვენ უკრავთ? ვგულისხმობ, და ამ შეკითხვას ხშირად ვუსვამ ხოლმე მუსიკოსებს, რამდენადაა ინსტრუმენტული მუსიკისათვის შესაძლებელი აირეკლოს, ასახოს ის რეალობა, ის დრო, რომელშიც ის იქმნება? არჩი

შუბი, ამერიკელი მუსიკოსი და საქსოფონისტი, მიიჩნევს, რომ მისი მუსიკა პოლიტიკურია. რამდენადაა შესაძლებელი „პოლიტიკური“ ინსტრუმენტული მუსიკის დაკვრა?

მესმის, რასაც მეკითხებით, თუმცა არა მგონია მოვახერხო ამ შეკითხვაზე პასუხის ამომწურავად გაცემა. პირველ რიგში თანამედროვე მდგომარეობას უკვე იმ ინსტრუმენტების ხმოვანება განსაზღვრავს, რასაც მუსიკოსები მოვიხმართ; ამას ემატება ტექნოლოგიური მიღწევების მუსიკაში შემოტანის პროცესიც, თუმცა ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მუსიკა, რომელიც ამ

ერთ ღამეს, ზამბიაში ყოფნისას, სეხსლთან ვისხალით და დრამერებმა დაკვრა დაიწყეს, მე კატარა საყვირი მქონდა და ავყვირი მათ დაკრულს. იმ საღამოს ჩვენს შორის რატანს მოხდა! მე ასე ვიტყვოდი – მუსიკა მოხდა! ...მუსიკა სალაპარაკო ენის მიღმა ფუნქციონირებს და ის უშაღლესი სულიერი კომუნიკაციის საშუალებაა.

ინსტრუმენტების მეშვეობით იქმნება, რამენაირად ასახავს დღევანდელობას. ეს განსხვავებულია სხვადასხვა მუსიკოსების შემთხვევაშიც. მე შემიძლია ადვილად გაეფუგო ისეთ მუსიკოსებს, როგორებიც არიან არჩი შუბი ან მირიამ მაკება, სამხრეთ აფრიკელი მომღერალი ქალი, რომლებიც კანის ფერის გამო, ან იმის გამო, რომ დიქტატორულ რეჟიმში უწევდათ ცხოვრება, თავს დაჩაგრულად გრძობენ და ეს შეგრძნება მათ მუსიკაშიც შეედინება. ამ დროს ისინი თავის დროს დაეპოქა

ს უკრავენ და მღერიან, თუმცა მათი შემთხვევა ბოლომდე ვერ პასუხობს თქვენს შეკითხვას, რადგანაც მათი მუსიკა შეიძლება ერთდროულად ასახავდეს დროს და ამავე დროს, დროის მიღმა იდგეს. ამას წინათ ერთ საოცარ მავრიტანელ მომღერალ ქალს ვუსმენდი (დამავინწყდა მისი გვარი), ის რომელიც ძველ ხალხურ სიმღერას მღეროდა და ვერ წარმოიდგენთ, როგორი ბლუზი იყო ის, რასაც იგი მღეროდა. არ დაგავინწყდეთ, ვლამპარაკობ მუსიკაზე, რომელიც ამერიკის აღმოსავლეთ ნაწილში გაჩნდა, შესაბამისად მანამდე, ვიდრე ბლუზი მოეწვინა ქვეყანას. შესაბამისად, სიმღერა, რომელსაც ის ქალი მღეროდა, დროის მიღმა იდგა, რადგანაც სრულიად შესაძლებელია, რომ რასაც ის მღეროდა, სხვა ტერიტორიიდან ყოფილიყო წამოსული.

ტერიტორიის ხსენებაზე გამახსენდა, თქვენს მუსიკას „სახლის“ შეგრძნება აქვს, იმ სივრცის (თუ გნებავთ, სივრცეების), სადაც გაიზარდეთ და ცხოვრობთ. რამდენიმე თვის წინ თქვენ თქვით, რომ მშობლიური ტერიტორიები სულ უფრო და უფრო ახლობელი ხდება თქვენთვის და დაუმატეთ: „ჩვენ, ნორვეგიელები, პატარა საზოგადოება ვართ, მაგრამ ამ საზოგადოებას საკმაოდ ძლიერი მუსიკალური ტრადიციები აქვს, რომელსაც არანაირი კავშირი არა აქვს, მაგალითად, ამერიკულ მუსიკასთან. ჩვენ სხვადასხვანაირად ვრეაგირებთ მუსიკალურ სიტუაციებზე, ჩვენ სხვადასხვა ადგილებიდან მოვდებით.“ წმინდა მუსიკალური თვალსაზრისით, რაა დღეს ტრადიციული ნორვეგიული მუსიკალური კულტურის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები, რომელსაც მოიხმართ და დღესაც აქტუალურად მიგაჩნიათ?

სახლის განსხვავებული შეგრძნება ასაკთან ერთად მოდის. ახალგაზრდა რომ ვიყავი, თექვსმეტის, მე სიხარულით გავექეცი იმ ადგილს, რასაც სახლი ეწოდება! უკანმოუხედავად! მერე კი, ერთ მშვენიერ დღეს, დავბრუნდი და ძალაუვნებურად შევიგრძენი იმ ადგილის სილამაზე და მნიშვნელობა. რაც შეეხება განსხვავებულ მუსიკალურ პლატფორმებს და ნორვეგიულ მუსიკას, შეიძლება ვცდები, მაგრამ დიდ

ქვეყნებში მუსიკა ძალიან დანაწევრებული და ერთმანეთისგან იზოლირებულია. ყველა მუსიკას თავისი იარაღი აქვს მირტყმული და თავისი მსმენელი ჰყავს – ჯაზს, როკს, ფსიქედელიას და ა. შ. . ისინი თითქოს ოკეანეში მიმოფანტული კუნძულებივით არიან, მაგრამ ნორვეგია ძალიან პატარა ქვეყანაა, რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანების ინტერაქციის თვალსაზრისით, ის ზედმინდევით გამჭვირვალეა და ეს, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ასეთი მჭიდრო ურთიერთობებისას, ადამიანები, ისევე როგორც მუსიკალური ჟანრები, ერთმანეთთან მიიხილება ათვის მზადყოფნაში არიან. ყველაფერი ამის მეშვეობით, ხშირად, ძალიან საინტერესო თანამშრომლობის შესაძლებლობები ჩნდება ხოლმე. ჩემთვის ასეთი საინტერესო თანამშრომლობა ერთ ნორვეგიელ ტრადიციულ სინგერ-სონგრადითერთან იყო. ნორვეგიული ტრადიციული მუსიკა უცნაური, ხშირად, ტრანსული განწყობის მატარებელი აკუსტიკური მოვლენაა. ის სულ რაღაცის, ან ვიღაცის მიმართულებით ილტვის, იქნება ეს ღმერთის სიყვარული, ადამიანებს შორის სიყვარული, მშვიდობა, თუ როგორ უშველო შენ ავადმყოფ ძროხას. მოკლედ, ტრადიციული ნორვეგიული მუსიკის ტრანსული მდგომარეობა სწორედ ლტოლვითა განპირობებული! ყველა ამ შემთხვევაში, ნორვეგიული ტრადიციული მუსიკა მინორულ განწყობას ეყრდნობა და როდესაც ეს მინორული მდგომარეობა ადამიანის ხმაში იბუდებს, ის სრულიად უნიკალური ხდება, განსაკუთრებით ჩემთვის, რადგანაც მე ამ მუსიკაში ჩემი მუსიკალური ხედვით, იმ ღიაობით ვცდილობ შევებავო, რაც წლების განმავლობაში, სხვა მუსიკალურ ტერიტორიებზე გამოცდილებით დამიგროვდა. ამ დროს ორი, ზოგჯერ მეტი, მუსიკალური სამყარო ეჯახება ერთმანეთს და მათი შერწყმის შედეგად წარმოქმნილი მუსიკა ყოველგვარ ჟანრს მიღმა იწყებს არსებობას. სწორედ ამიტომაცაა, ასე რომ არ მნამს ჟანრული მიკუთვნებულობის. რა თქმა უნდა, მე ძალიან მიყვარს ჯაზი, მაგრამ საშინლად ვლიზიანდები, როდესაც მეუბნებიან, რომ ჯაზი ერთადერთი მუსიკალური ჟან-



რია, რაც უნდა გიყვარდეს! ეს სისულელეა! მუსიკასთან ასეთი ურთიერთობა არ შეიძლება! და კიდევ, უბრალო, ტრადიციულ მუსიკალურ ფორმებთან ურთიერთობა იმასაც გასწავლის, რომ ხშირად, დაკვრის დახვეწილი ტექნიკა, შეიძლება, ხელშემშლელი უფრო აღმოჩნდეს, ვიდრე ხელშემწყობი. დაკვრის ტექნიკაზე გარკვეული მუსიკალური მდგომარეობის შექმნის მცდელობამ შეიძლება მუსიკისკენ კი არა, არამედ საკუთარი ქედმაღლობის მიმართულებით მოგისროლოს. ამ დროს მუსიკას კი არ ემსახურები, არამედ საკუთარ თავს, შესწავლი მუსიკალურ ქედმაღლობას. მეორე მხრივ, შეუძლებელია არ აღიარო, რომ ჯაზმენების გარკვეული ნაწილი, ამე-

რიკელები განსაკუთრებით, საოცრად დახვეწილი და გახსნილი მუსიკოსები არიან და სწორედ საუკეთესოებთან თანამშრომლობისას მივხვდი, როგორი შეზღუდული თვალსაზრისი აქვთ მათ, ვინც ჟანრულ არტახებში ახვედრებს მუსიკას. მუსიკა, როგორც ასეთი, მსოფლიოში არსებული მუსიკა, შენი მუსიკისათვის გამოსადეგი მასალაა და ვერავინ აგიკრძალავს ამის გაკეთებას. ამიტომაც არა აქვს მნიშვნელობა, ვის ირჩევ თანამშრომლობისათვის, ამერიკელ ჯაზმენს თუ დროუნ მეტალისტს, მთავარია ისინი გახსნილი მუსიკოსები იყვნენ. ის ნორვეგიელი ტრადიციული მომღერალი, ზემოთ რომ ვახსენე, სონდრე ბრატლანდი, უკვე სამოცდაათ



წელს გადაცილებული ბატონია, მაგრამ მან საოცრად დიდი გავლენა იქონია ჩემზე. ერთ დღეს, სტუდიაში მუშაობისას, მან მკითხა: როდის გინდა მე რომ გავჩნდე მუსიკაში? ამის აუცილებლობას რომ იგრძნობ, მაშინ, – ვუპასუხე, და მართლაც, რანამს მან ეს მომენტი შეიგრძნო, ისეთი რამ იმღერა, რაც ფოთოლიდან თოვლის ჩამოცვენიის ხმასავით გაისმა. სრულიად გამაოგნებელი რამ! ეს დაგეგმილი არ ყოფილა, ეს თავისით მოხდა!

მგონია, რომ სწორედ სახლის ასეთი შერწყმვა განაპირობებს თქვენი მუსიკის უცნაურ ვიზუალურ ხარისხს. როგორც წესი, ვცდილობ ხოლმე მუსიკას „ვიზუა-

ლურად“ არ ვუხმინო, მაგრამ ერთხელ, როდესაც ოლაგ ჰაუგეს ვკითხულობდი, მივხვდი, რომ მის ლექსებში თქვენი მუსიკა „ისმოდა“ და პირიქით, ლამის ყოველთვის, როდესაც თქვენს მუსიკას ვუსმენ ოლაგ ჰაუგეზე „მეფიქრება.“

ყველაფერს მოველოდი, მაგრამ აქ თუ ვინმე ჰაუგეზე ჩამოაგდებდა სიტყვას, ნამდვილად არ მეგონა. ჰაუგე! დიდი პოეტია, არა? ისევე, როგორც შვედი ტომას ტრანსტრომერი! მათ ლექსებში იგრძნობა თუ როგორი და რომელი ტერიტორიების შვილები არიან. შვეიცდები, რადგანაც მკითხეთ და საუბარში ჰაუგეს სახელი შემოვარდა, აგისხნათ, თუ როგორია მისი გავლენა ჩემს მუსიკაზე. მისი პოეზია მკაცრი და

სიტყვაძუნწია, როგორც ძველი ჩინური ლექსები ან იაპონური ჰაიკუები (სიცოცხლის ბოლოს ჰაუგე ძირითადად ჰაიკუებს წერდა! იგივეს აკეთებს ტრანსტრომერიც). ის, თითქოს რაღაც ისეთს უსმენს, რაც პერიოდულად შედის მისი თვალთახედვის არეში და ლამის ძალით აიძულებს მას დააფიქსიროს ის. ამ გზაზე დგომა ნებისმიერი ხელოვანისათვის რთულია, რადგანაც შენ თითქოს სიბნელეს ართმევ ისეთ რაღაცებს, რაც სიბნელეშივე დარჩებოდა შენ რომ არ მოვლენოდი ამ ქვეყანას. სულ მგონია, რომ მეც ჰაუგესავით სიბნელეს ვართმევ რაღაცას და ეს გზა ნებისმიერ ხელოვანს მარტო აქვს გასავლელი. გახსოვთ მისი ეს ლექსი: „არავის მოუნიშნავს გზა, რომელსაც უნდა დაადგეს მხოლოდ შენი გზაა. მხოლოდ შენ უნდა გაიარო ის. უკანმოუხედავად!“ არა, მაინც უცნაურია ჰაუგე რომ ასენეთ! იცით, ერთხელ ტელეფონით ვესაუბრე მას. ერთ პროექტში ვიღებდი მონაწილეობას ნორვეგიელ მსახიობებთან და მუსიკოსებთან ერთად (ეს პროექტი არ შედგა!) და ვინაიდან სწორედ ჰაუგეს ლექსები უნდა გამოგვეყენებინა ერთ-ერთ მუსიკალურ ნომერში, დავურეკე და მისი ლექსების ინგლისურ თარგმანებზე ვესაუბრე. უბრალო კაცი იყო! მთელი ცხოვრება ერთ პატარა სოფელში გაატარა და მხოლოდ იმ გარემოზე წერდა, სადაც ცხოვრობდა, – ფერმერულ ცხოვრებაზე, ჩანჩქერზე ფიორდებთან, რომელსაც შორიდან ხედავდა, მაგრამ მისი ხმა არ ესმოდა. ჰაუგე დიდი გავლენაა ჩემზე! ერთხელ, ტურნეში ყოფნისას, ისე გადავიღალე, რომ მეგონა გავრეკავდი. ხდება ხოლმე ასე მოგზაურობისას, როდესაც სახლის შერწყმვას კარგავ. სასტუმროს ნომერში ჩავიკეტე, ვცდილობდი თავი ხელში ამეყვანა და სწორედ ამ დროს გამახსენდა, რომ ჰაუგეს ლექსების კრებული მქონდა ჩემოდანში. სწორედ მისმა ლექსებმა დამიბრუნეს სახლის შერწყმვა, ფოკუსი. ძალიან უცნაურია მისი სახელი რომ ასენეთ! ამ თვალსაზრისით მესმის, როცა მეკითხებით ჩემი მუსიკის ვიზუალიზაციის შესაძლებლობებზე! თუ ეს შესაძლებელია, მაშინ ჩემი მუსიკა, ჰაუგეს ლექსებივით ადგილითაა განსაზღვრული.

ურბანული ნარკოტიკი

HELP ME, ტიმა რაღია

ავტორი, ფოტო: ღათო აბრამიშვილი

„ხელოვნება არ არის სარკე, რომელიც რეალობას ირეკლავს.
ხელოვნებაა ჩაქუჩი, რომელიც ფორმას აძლევს მას“, – ბერტოლდ ბრეხტი.







ვწერ ჩემს ორ ვირტუალურ მეგობარზე, რომლებიც თავთავიანთ ქალაქებში ყველაზე არავირტუალურ კვალს ტოვებენ – ისინი ქუჩის არტს ქმნიან – მესიჯებს გვიტოვებენ ქალაქის ფასადებზე და სწორედ მაშინ გვაიძულებენ ფიქრს მათთვის სასურველ თემებზე, როდესაც ყველაზე რუტინულ ფიქრებში ვართ ჩაძირულები.

ტიმა რადია ეკატერინბურგიდანაა, ჰელფში თბილისში ცხოვრობს. ამ ორ პოსტსაბჭოთა არტისტს მსგავსი პრობლემები აერთაინებთ. განსხვავება მათ შორის გამოსახვის ფორმაში, კონტექსტსა და გამოცდილებაშია.

აბჯავი პირველი. თბილისი

რადგან არ მყავს ავტომობილი და ხშირად არც ტაქსის ფული მაქვს, სამსახურ-

რამდე 100 ნომერი სამარშრუტო ხაზით ვმგზავრობ. გლდანიდან საბურთალომდე საშუალოდ 1 საათი მჭირდება და ამ გზაზე თბილისის ურბანულ ცვლილებებს ფანჯრიდან ყოველდღე ვაკვირდები. ქალაქის ყველაზე ბინძური ადგილი ცალსახად ელიავას ბაზრობაა. სამტრედიის ქუჩის კუთხე კი ის ადგილია, სადაც მგონი, ჩვენს ქალაქში ყველაზე მეტი ნაგავი ყრია. ნლების მანძილზე დაგროვილ უსარგებლო ნივთების გროვას ერთ დღეს სიმბოლურად ვილაცამ HELPme („დამეხმარე“) დაანერა. მეორე დღეს, სამარშრუტო ტაქსის ფანჯრიდან ნავით სავსე მოედანი უკვე ვეღარ შევამჩნიე, იქ მხოლოდ უშველებელი წარწერა იყო დარჩენილი – HELPme.

...16-სართულიანი შენობის წინ ვდგავართ. ურბანული არტისტი, სახელად

HELPme ლაპარაკს მანყვეტინებს და მაღალ კორპუსზე მანიშნებს:

– აი, იქ ხედავ, 3-ჯერ დავწერე და 3-ჯერ წაშალეს, ესე იგი, ვილაცას ვაღელვებ და ახლა მეოთხედ უნდა დავწერო. შენ ჯობია, შორს, გზის იქით დამელოდო, ფაქტზე თუ დამიჭირეს შეიძლება, შენც მაგარ შარში აღმოჩნდე.

უსიტყვოდ გზის მეორე მხარეს გადავიდვარ. ნამდვილი პარტიზანივით HELPme ჯერ ტერიტორიას ზვერავს მონკურული თვალბით, შემდეგ ქუჩის კამერებს აკვირდება, სადმე ხაფანგი ხომ არაა დაგებული. ბოლოს კი რამდენიმე ნაბიჯით უკან იხევს და ორმეტრიან ლობეს სწრაფი მოძრაობით ახტება – ეკლიან მავთულს ეჭიდება და ეზოში ძვრება. რამდენიმე წუთს ვეღარ ვხედავ და ეს დრო ყველაზე დიდხანს



ინელეზა. შემდეგ HELPme შენობის მეექვსე სართულზე ჩნდება და საქმის კეთებას იწყებს. დროს ვინიშნავ. ზუსტად 23 წამი სჭირდება იმისთვის, რომ შენობა ახალი სპაით დანაღმოს. ზუსტად ამდენივე დროს X-ობიექტიდან გამოსვლას ანდომებს.

– ხელზე რა გჭირს?
– ხელი გავიფუჭე, ეკლიან მავთულზე რო დავეკიდე.

სახეზე ეტყობა, რომ ხელი მაგრად სტკივა, სისხლი ჯერ წვეთებად იწყებს დენას, შემდეგ კი ტემპი მატულობს.

– არაფერია, გამივლის. მთავრია, გასაკეთებელი გავაკეთე. უნდა მიხვდნენ, რომ რამდენჯერაც წაშლიან HELPme-ის, იმდენჯერ ახალი გაჩდება.

მეუბნება, რომ წარწერა HELPme ერთგვარი „სპამია“ ამ საზოგადოებაში. თვი-

თონ კი, როგორც სპამერი, HELPme-ის ვირუსით ურბანულ სივრცეს ითვისებს. არ აქვს მკაფიოდ გათვლილი პოლიტიკა – სად, როდის და როგორ დანეროს. მთავარია, ამ წარწერამ საზოგადოების თავდაცვითი მექანიზმი გააღიზიანოს.

“ჩემი ნამუშევრების დიდი ნაწილი მალე ქრება, მათ ჩქარა ანადგურებენ, ან სიტუაციის გამოსწორებას ცდილობენ, ან უკიდურეს შემთხვევაში, ლებავენ. ჩემი მთავარი მიზანია ამ უკუმოქმედების, საპასუხო რეაქციის გამოწვევა. მე არ უნდა გავჩერდე და უფრო მეტი ადგილი „დავბომბო“, რადგან პრობლემები ყველა ასპექტშია, HELPme კი ერთგვარი უტოპიური სლოგანია იმ საზოგადოების, რომელშიც ჩვენ ვარსებობთ; ჩემთვის ეს არის სლოგანი, რომელიც

თითოეულ ჩვენგანს საკუთარ თავთან გვაბრუნებს“.

HELPme-ის არსებობის შესახებ თითქმის 2 წლის წინ გავიგე. ერთი შეხედვით, კინგსტონში დაბადებულ იამაიკელს ჰგავს. კანის ფერი, ჩაცმის სტილი, დრედები და მარისუანა. ვერაფრით იტყვი, რომ იმ ძირძველი დიდუბელების შთამომავალია, მუშთაიდის ბაღში რომ იკრიბებოდნენ Советский спорт-ის განსახილველად. იამაიკური „ნესი“ ასეთია – ახალგაზრდები ვალდებულები არიან, საკუთარ სახელსა და მამის სახელს ადგილები შეუტყვალონ. ან უფრო მეტიც – თუ მამის სახელი არ მოეწონებათ, თვითონ დაირქვან რამე სხვა. აი, ზუსტად ამიტომ იქცა ის HELPme-დ.



„უკვე მესამე წელია, იუსტიციის სამინისტროში უშედეგოდ მივიღივარ, მილიმიან, მეც ერთსა და იმავეს მესაუბრის: ქალბატონო, მე ვარ ესა და ეს, იქნებ ჩემს საკუთარ პირადობაში სახელი help-ით, გვარი კი me-ით შემიცვალათ. ჯიუტად, ყოველ ჯერზე, უარს მიუბნებთან“, – იცინის.

მაგრამ HELPme პირველი არ ყოფილა ვინც თბილისის ურბანულ სივრცეში სოციალური აქტივობის ნარატივი შეიტანა. „Sorry, Where is the Contemporary Art Museum???“ („ბოდიში, მაგრამ სადაა თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი?“) „მონა არა! მუშა“ და კიდევ უამრავი სოციალური მნიშვნელობის სტენსილი თბილისის ქუჩებში კარგა ხანია, გამოჩნდა. ნიკო ჭუმანოვი და ანუკ ბელუგას შესახებაც გექნებოდათ გაგონილი. პირადად მე ეს ორი არტისტი ყველაზე მეტად მომწონს და ცალსახად მიჩვენებია ვეტერან ქუჩის არტისტს – მიროს, რომლის ლამაზ ნამუშევრებშიც ქალაქის კედლებზე ვერასდროს ვპოულობ საზოგადოებრივ თემატიკას (გერქვას ურბანული პარტიზანი, ცხოვრობდე დღევანდელ საქართველოში და კედე-

ლებზე უბრალოდ ლამაზად ხატავდე – ეს ჩემთვის უფრო ფეხბურთის უბურთოდ თამაშს გავს). ბელუგას და ჭუმანოვის კონკრეტული სოციალური მნიშვნელობის სტენსილები კი უბრალოდ არასდროს აგვიანებს. ისინი ყოველთვის თანმიმდევრულად მიყვებიან მათთვის საინტერესო თემის არსს, მნიშვნელობა არ აქვს, საიდან იწყება პრობლემის ვერტიკალი. მაგალითად, სტენსილმა „I'm NOT A NIGGER!“ სულ 2 დღეს იარსება თბილისის მიწისქვეშა გადასასვლელებში, მაგრამ საჭირო დროს კი გამოჩნდა: „ჩვენ რა ზანგები ვართ?! თუ ველურები...“ – ის პრეზიდენტ სააკაშვილის ამ გამონათქვამს ეხმაურებოდა.

HELPme-მ კი სხვა ქართველი არტისტებისგან განსხვავებით კიდევ უფრო მეტი მოახერხა – საკუთარი სახელი ურბანულ ბრენდად ექცია. უფრო სწორად, პროტესტისა და ნარატივის ერთგვარი შტრიხკოდი შექმნა, რომელიც კონკრეტულ სოციალურ სივრცეს მთავრად.

კითხვაზე, რატომ არ გიცდია, დარჩენილიყავი ბოლომდე ანონიმად, HELPme მპასუხობს, რომ ჩვენში ძალიან პატარა სოციუმია და ძნელია, წლების განმავლო-

ბაში ბენქსივით, ან მისტერ ფრიმენივით ვინმეს დაემალა. იმის გაუთავებელ მკითხაობას, თუ ვინ გააკეთა ეს ნარწერა, ურჩევნია, მოქალაქეები საკუთარ ჩანაფიქრზე დააფიქროს. „ამდენი სოციალური და ყოფითი პრობლემა როცა არსებობს, აზროვნებაც სხვაგვარად ფორმირდება, სათქმელიც დანასავით ბასრი ხდება“, – ამატებს. ჩემთვისაც ნარწერა HELPme საზოგადოების ინერტულობის ტესტია: დანგრეული კედელი, დაყრილი ნაგავი, ან სულაც გაპრიალებული ფასადი ძალიან დიდხანს შეიძლება არსებობდეს სხვებისთვის შეუმჩნეველად, მერე კი გაჩნდება ზედ ერთი, მარტივი ნარწერა და მოქალაქეების გაზარმაცებულ ტვინებშიც ფიქრების ახალი ნაკადი ჩნდება.

ძირითადად ღამე მუშაობს, დილით რომ მოქალაქეები გააკვირვოს. პირველი, მის ნამუშევარს პოლიციელები, დაცვის წევრები და დარაჯები ამჩნევენ. შემდეგ უკვე ქალაქში მიმოფანტული უშეველებელი ნარწერა HELPme – ბერესთვის უხმო, სასონარკვეთილ კვილად რომ იკითხება – თითოეული გამვლელის თანმდევი ყოველდღიურობა ხდება.

HELPme მიუბნება: „პირველ რიგში, ურ-



ბანული პარტიზანი ქალაქს კარგად უნდა იცნობდეს. კონკრეტულ ადგილებზე შენს კვალს ტოვებ და ზუსტად უნდა შეგეძლოს, ქალაქში გამოჩენილი ახალი ობიექტების გამოყენება. ანუ შენი ტილოც და ფუნჯიც ქალაქის არქიტექტურაა. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერ ადგილას შეიძლება დაწერო ის, რაც მოგინდება. სტრიტ-არტიდან ვანდალიზმამდე ერთი ნაბიჯია“.

სტრიტ-არტის კონცეფციის განსაკუთრებულობა სწორედ ესაა. ურბანული სივრცე თამაშის წესებს თვითონ ადგენს, მნიშვნელობა არ აქვს, უნდათ მასში ჩართვა რიგით მოქალაქეებს, თუ არა. ანუ სტატისტიკური სამუზეუმო სივრცის რიტუალი, როცა ჩვენ მივიღვართ ნამუშევრის სანახავად ესთეტიკური ტკობისთვის, სტრიტ-არტში არ არსებობს. ზოგჯერ ისიც მგონია, გასული საუკუნეების რომელიმე მხატვარს, რომ ენახა, თუ როგორ გამოიყურება მისი ტილო სამოზეუმო ექსპოზიციაში, დაუყოვნებლივ გაანადგურებდა მას. დროთა განმავლობაში ხომ ნახატი ძველდება, ის კარგავს თავის პირვანდელ ფორმას და ხდება მატერიალური ფასეულობა.

HELPme მეთანხმება: „პირადად ჩემთვის, გულახდილობაა, ვაკეთო რაღაც ცოცხალი, თუნდაც ვერ გაძლოს 100 წელიწადს, ერთ თვეს, ან თუნდაც ერთ დღეს. სრულიად არ მანაღვლებს, რომ ჩემი ნამუშევრები მალევე უჩინარდება. თუ გაქრა, ე.ი. რაღაც შეიცვალა. ის რეალურ ცხოვრებაში არსებობს, და სულაც არ აქვს ამბიციია, განასახიეროს მარადიული ფასეულობა“.

ამბავი მიორი. ექატერინბურგი

2011 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტია „ედინაია რასიამ“ რუსეთის მასშტაბით ეკატერინბურგში ხმების ყველაზე დიდი რაოდენობა დააგროვა. არჩევნებიდან მეორე დღეს კი ქალაქში მაღალ შენობებზე გაჩნდა ბანერი: „თქვენ გაგჟიმეს. დიდი მადლობა ყველას, თავისუფლები ხართ“.

მამინ, როცა სპექტაკლში პირველი მოქმედება იწყება და მთავარი როლის შემსრულებელი არ ჩანს, დაუნერული წესია, რომ გამირის როლის შესრულება სხვამ უნდა აიღოს საკუთარ თავზე. „ფუსი რაიოტი“ ციხეშია, არტ ჯგუფ „ვიანას“ კი რუსეთში ყოველგვარ შემოქმედებით

პროცესში მონაწილეობა ეკრძალება. ამ პირობებში თანამედროვე რუსეთის ურბანულ ლეგენდად ტიმოფეი რაღია იქცა.

ტიმა შარშან შემთხვევით აღმოვაჩინე facebook-ზე. უფრო სწორად, მისი ნამუშევარი სახელწოდებით „თქვენ გაგჟიმეს“, ჩემს თითქმის ყველა მეგობარს ელო facebook-ის საკუთარ კედელზე. ერთი, რაზეც ყველა თანხმდებოდა, იყოს ის, რომ ვილაცამ ძალიან კრეატიულად იმუშავა ფოტოშოპში. თუმცა, რუსულ ბლოგებზე წერდნენ, რომ ურალში ახალი ბენქსი დაიბადა. იქვე საუბარში თავად ტიმა რაღიაც ერთვებოდა და ახალგაზრდებს პარტიზანული შეტევისკენ მოუწოდებდა.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ტიმა რაღია ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო ვირტუალური მეგობარია, ისიც კი არ ვიცი, როგორ გამოიყურება ის, მასთან ინტერვიუც ჩვეულებრივი სოციალური ქსელის მეშვეობით ჩავწერე.

„გსწავლობდი ურალის უნივერსიტეტში ფილოსოფიას. მე-4 კურსზე კი, ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. ერთ დღეს, ეკატერინბურგის ქუჩაში, ორ ერთმანეთის პირისპირ მდგარ კედლებზე, ძალიან საინტერესო სტენსილები



შევამჩნიე. ერთზე, ბომბი ესახა, მეორეზე კი, წარწერა – „გაჟიმე სისტემა“. როდესაც ყველაფერი გავაანალიზე, ცეცხლმოდებული პატრუქივით ააღდა ჩემშიც ყველაფერი. სწავლას თავი დავანებე და მეგობრებთან ერთად მცირე ზომის სტენსილების კეთება დავიწყე. ტრაფარეტები სულ უფრო რთულდებოდა, სულ უფრო მეტი გვინდოდა. ამ პროცესში მიეხვდი, როგორ უნდა შემექმნა არტ-ობიექტები. ჩემს ჯგუფში 6-7 ადამიანია. ძალიან მინდა, ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდოს და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში გაჩნდნენ უზრანული პარტიზანები“.

სამუშაოს დაწყების წინ, როგორც წესი, არჩევენ ადგილს, წინა დამით კიდევ ერთხელ გადიან დეტალებს და

რამდენიმე საათში, საღებავებით, ძალაყინებითა და თოკებით ყველანი ობიექტზე ცხადდებიან. ჯგუფში პრაქტიკული თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია ალპინისტს აკისრია. აინტერესებთ მხოლოდ სოციალური კონტექსტი. ცდილობენ არ გასცდნენ საკუთარი ქალაქის და ქვეყნის პრობლემებს. ამბობენ, რომ სწორედ ამ პრობლემების გაცნობიერების გამო, საკუთარი სამოქალაქო პოზიცია არ აძლევთ უფლებას, კედლებზე მხოლოდ ლამაზი ფიგურები ხატონ.

თუმცა, ტიმა მეუბნება, რომ პროტესტის ასეთი სუბვერსიული ფორმის გაჩენა არარაციონალური ტოტალიტარიზმის პირობებში საკმაოდ სიმპტომატურია. „ხალ-

ხი ძირითადად ხელისუფლებისადმი ჩემი კრიტიკული დამოკიდებულებით უფრო მიცნობს. მას შემდეგ, რაც პროექტები – „თქვენ გაგჟიმეს“, „აზრზე მოდი“, „ხვალ მნიშვნელოვანი დღეა“ და „სტაბილურობა“ – გავაკეთე, გაცნობიერებული მაქვს, რომ შენელებული მოქმედების ნაღმზე ვზივარ. ხელისუფლებას და საპატრიარქოს არ ალღევებს არტისტული კონცეფციები. გავისხენოთ 90-იანების მოსკოვური აქციონიზმის წარმომადგენლები – ალექსანდრ ბრენერი, ოლეგ კულიკი, ოლეგ მავრომატი, რომელსაც 10 წლის წინ ჩატარებული აქციის გამო დღეს დაუწყეს დევნა (მავრომატი 10 წლის წინ ქუჩაში ჯვარზე გაეკრა). დღევანდელი რუსეთი და პოსტსაბჭოთა სივრცე არაა



„შენი სვლა“ – ხიდის ბჟენეზი ლოჟინოს ქვევალ

ჰუმანური ადგილი არტის საკეთებლად. აქ, ასეთ ადამიანებს ერთ იარაღს აკრავენ – „ხულიგანი“.

„მარადიული სეხსლი“ – ხატვა მოლოტოვის კოქტილით

„მხატვარი, რომელიც ცეცხლს ეთამაშება. რუსმა მხატვარმა ომის გმირების საოცარი სერია შექმნა, მოლოტოვის კოქტილის გამოყენებით“, – წერს „დეილი მელი“ ტიმას პროექტზე.

ტექნიკური რეალიზაციის მხრივ ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული პროექტი იყო. რადიამ მოლოტოვის კოქტილის დახმარებით შექმნა დიდ სამამულო ომში მებრძოლი ურალის გმირების პორტრეტები. ნამუშევრები ომის დროინდელი

და ახლა მიტოვებული სამხედრო ჰოსპიტალის ფასადზე გამოსახა. მოლოტოვის კოქტილის ცეცხლში გახვეულმა შენობამ და აფეთქებების ხმამ ქალაქში დიდი ხმაური გამოიწვია. მეორე დღეს ეკატერინბურგელებს საავადმყოფოს შენობაზე ურალის გმირების გამოსახულებები დახვდათ. „ცეცხლი სიმბოლოა იმის, რომ ადამიანებს ხშირად ავიწყდებათ, თუ როგორ იწყებოდა ომები. მეომართა სახეები და გულები, ომის დროს ცეცხლმა შთანთქა. თუმცა მე ვაბრუნებ მათ ისევ ცეცხლიდან, როგორც ფენიქსის ჩიტებს“.

„სტაბილურობა“


„უკვე რამდენიმე თვეა, აქტიურად დავინყე, ვიდეოპერფორმანსების გადაღება. როცა ტოლოკონნიკოვა ციხეშია, „ვანისა“ კი არ აძლევენ თავისუფლად მოქმედების საშუალებას, მე არ მაქვს უფლება, ვიყო მხოლოდ რამდენიმე ქალაქის თუნდაც კარგი არტისტი, ვხატო კედლებზე და ვაკეთო ტრაფარეტები, თანამედროვე სამყაროში მედია უდიდესი მედიუმიანა, საჭიროა, მისი სწორად წარმართვა ვისწავლოთ“, – მწერს ტიმა.

პერფორმანსი სახელწოდებით „ფიგურა ნომერი – 1 სტაბილურობა“, youtube-ზე 15 დეკემბერს, ღამით აიტვირთა და 150-ათასზე მეტი მნახველი ჰყავს. ერთნუთიან ვიდეოში ჩანს, თუ როგორ აშენებენ პოლიციელები საკუთარი ფარებისგან პედესტალს, სადაც მეფე-მმართველი უნდა დაბრძანდეს.

„ძალაუფლებაზე დაფუძნებული მმართველობა ადრე თუ გვიან აუცილებლად ჩამოიშლება, შეიძლება დღეს უბრალოდ დაბზარულია და მაინც ამაყად დგას, მაგრამ მალე მას პატარა სიოც ბოლოს მოუღებს. არ არსებობს პატრიარქსა და პრეზიდენტზე უფრო დიდი სინმინდე რუსეთში. იერარქიულად მათ ქვემოთ „მენტები“ დგანან, რომლებიც მზად არიან, დაიცვან ისინი საკუთარი ხალხისგან“.

ტიმოფეი რადიას ნამუშევრების ნახვა დღეს შესაძლებელია ეკატერინბურგში, პერმში, ვლადიკავკაზში, კიევში, ჰელსინკიში და ოსლოში.

T'respass – ეს ქუჩის ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მსოფლიო კატალოგია, მასში კი ერთადერთი რუსული ნამუშევარია შესული – ტიმოფეი რადიას „შენი სვლა“, რომლის გამოც ტიმამ ხიდის ბჟენები ერთ ღამეში დომინოს ქვებად გარდასახა „პროექტის კონცეფცია ერთი შეხედვით მარტივია, თუმცა მისი შესრულება ტექნიკურად საკმაოდ რთული აღმოჩნდა. „ყველაფერი ადრე თუ გვიან გაქრება. ეს ქალაქი, ქუჩები, სახლები მათ შორის ჩვენც და ჩვენი შვილებიც. არც ამ ხიდის რკინა-ბეტონის კონსტრუქციას მარადიული. გაივლის დრო და ამ მონუმენტური ხიდის საძირკველიც მოირყევა. სწორედ მაშინ მასიური ბოძები, როგორც დომინოს ქვები, ყანყალს დაიწყებს. ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ მათი მარადიული სტრუქტურა. ბოლო სვლა ყოველთვის ჩვენზეა დამოკიდებული“.



ჩემი პროფესია და თავი

ავტორი: ნათია აბრამია
ილუსტრაცია: თათია ნაღარაიშვილი

ბი-ბი-სი არის ყველაზე დაბალანსებული, ობიექტური, საინტერესო, ინფორმატიული, შემეცნებითი და კრეატიული მედია საშუალება.

თავად ბი-ბი-სი ამ წინადადებაში მინიმუმ სამ პრობლემას აღმოაჩენდა.

1. არ შეიძლება თქვა „ყველაზე“ – აბსოლუტურად ყველა მედია საშუალებას შეადარე და ისე მიხვედი ამ დასკვნამდე? იქნებ რომელიმე გამოგჩა?

2. არ შეიძლება იხმარო ზედსართავი სახელი და სუბიექტურად შეაფასო მოვლენა ან საგანი.

3. უნდა დააკონკრეტო, ზუსტად ვინ ამბობს ამას, რომელ კვლევას ან მტკიცებულებას ეყრდნობა ეს მოსაზრება და რატომ. შენ თვითონ ამბობ? ეს ცუდია. ბი-ბი-სის ჟურნალისტი საკუთარი აზრების გამოხატვისგან თავს უნდა იკავებდეს.

მოკლედ, ბი-ბი-სის არ მოეწონებოდა, რაც ახლა ვთქვი, მაგრამ მსოფლიოში უბრალოდ არ არსებობს უფრო დაბალანსებული, ობიექტური, საინტერესო, ინფორმატიული, შემეცნებითი და კრეატიული მედიაორგანიზაცია. მე ამას კიდევ ბევრჯერ გავიმეორებ.

ამას მაშინაც ვამბობ ხოლმე, როცა 12-საათიანი სამუშაო დღის მერე ძალაგამოცლილი მივდივარ სახლში.

ბუშპაუსი – ბი-ბი-სის ყველაზე გამორჩეული შენობა – ისტორიული, ლამაზი, მრავალფეროვანი.

ბუშპაუსში თითქმის ექვსი წელი ვიმუშავე.

ამ შენობიდან მსოფლიო ახალი ამბების სამსახური ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს მაუწყებლობდა. იქ ყოველთვის უამრავი რელიგიისა და ეროვნების ჟურნალისტი მუშაობდა.

ბუშპაუსი განსაკუთრებულად მიყვარდა იმ დღემდე, როცა ოფისში თავი დავეინახე.

თავიდან ვიფიქრე, მომეჩვენა-მეთქი. დაძაბული დღე იყო, გადაცემამდე საათი რჩებოდა.

პატარა შავი არსება გამოძერა კუთხიდან, გადაირბინა მთელი ნიუსრუმი და დაიძალა. სხვა რა უნდა მეფიქრა, თუ არა ის, რომ სტრესის გამო მომეჩვენა.

პირველად ჩემმა იტალიელმა თანამშრომელმა წამოიკვილა, მერე სხვები შეიშმუშნენ, მეც აზრზე მოვედი და სკამზე შევხტი. ეს იყო პირველი დღე, მაგრამ მას მერე ეს ჩვეული სურათი გახდა და ბუშპაუსში ყველა შეეჩვია თავგებთან თანაცხოვრებას.

„ჩვენი შენობა ძალიან ძველია და მიღების გამოცვლა ვერ მოხერხდება. თავგები ყველა ძველ შენობაში არიან, ჩვენ ვეცდებით მათგან ჰუმანური მეთოდებით გავთავისუფლდეთ, მაგრამ ამას დრო დასჭირდება.“ – ასეთი შინაარსის მეილი მივიღეთ შენობის მენეჯმენტისგან, რამაც ყველა დაამშვიდა ჩემსა და ანჟელინას გარდა. თავგის გამოჩენისას, ინგლისელი თანამშრომლები მას უბრალოდ თვალს არიდებდნენ და მშვიდად იღებდნენ ტელეფონის ყურმილს. ბი-ბი-სი-ზე შემოიღეს ახალი შიდა ნომერი (047), რომელიც უნდა აგეკრიფა თუკი

თავგს დაინახავდი. ამ ნომერზე ოპერატორი მშვიდად გამოგკითხავდა, სად ნახე თავგი, რომელ ოთახში, რომელ კუთხეში, და შემდეგ, მითითებულ ადგილას სათაგური იდგმებოდა. თუმცა, ჩვეულებრივი, მამაპაპური კი არა, რალაცნაირი, პატარა შავი ყუთის მსგავსი. ამ სპეციალურ სათაგურში, წესით, თავგი უნდა შევიდეს და ვეღარ გამოვიდეს, მაგრამ თავგები მას, უბრალოდ, ზემოდან ახტებოდნენ.

წრუნუნების გამოჩენისას ყველა მხოლოდ იმმუშნებოდა და ისევ მარტო მე ვხტებოდი სკამზე, ისევ მხოლოდ ანჟელინა გარბოდა ოთახიდან და დერეფნიდან ყვიროდა... მო-კა-ლიიიიიით! მოკალით!!!

მე უკვე აღარც ობიექტურობა მანალვლებდა და აღარც ბალანსი, ვეღარც ბუშპაუსის განსაკუთრებულ შარმს ვგრძნობდი. სულ იმის მეშინოდა, რომ თავგი ფეხებთან გამირბენდა.

თავგების ბავშვობიდან მეშინია.

როცა 13 წლისამ განვაცხადე, ექიმი უნდა გამოვიდე-მეთქი, მამაჩემმა მითხრა, ვერ გამოხვალ, იმიტომ, რომ თავგების გეშინია და ზიზღიანი ხარო. მეც თინეიჯერულად ავიჩემე, ჩემს პროფესიას თუ დაჭირდა, თავგს გავკვეთ და მასზე ექსპერიმენტებსაც ჩავატარებ-მეთქი. ჰოდა, ერთხელაც, როცა ზაფხულში, დიდი ხნის პაუზის მერე აგარაკზე ჩავედით, ჩვენს სამზარეულოში დაგხვდა თავგი. მამამ ეგრევე სათაგური დადგა (ოღონდ ისეთი, ჩვენებური, მამაპაპური).

მე ტელევიზორს ვუყურებდი, როდესაც მამაჩემი ოთახში შემოვიდა, სათაგურში გაბმული, ცოცხალი, შეშინებული თავგი სახესთან ახლოს მომიტანა და მშვიდად მკითხა: დარწმუნებული ხარ რომ გაკვეთ?

ახლა რა აზრი აქვს, რომ ავლწერო, რა მომივიდა. ფაქტია, რომ მას მერე ექიმობაზე აღარ მიფიქრია.

თუმცა, ბოლოს მაინც ისე მოხდა, რომ ჟურნალისტიკამ, მსოფლიოში საუკეთესო ბი-ბი-სიმ და განსაკუთრებული აურის მქონე ბუშპაუსმა თავგებისგან ვერ დამიცვა.

ჩემზე მეტად იტანჯებოდა ანჟელინა, რომელსაც, აღმოჩნდა რომ, თავგების ისე ეშინოდა, მათ სახელსაც კი ვერ უხსენებდი. ჩვენ გარდა ყველა შეეჩვია წრუნუნებს, ზოგიერთი თანამშრომელი გვეუბნებოდა, რა დაგემართათ, ვირთხები ხომ არ არიან, თავგი საყვარელი არსებააო.

ერთი კოლეგა ჩემი მერხის გვერდით, საკუთარი მაგიდის ქვეშ შოკოლადის ნატეხს ტოვებდა-ხოლმე, მუსიასაც ხო უნდა ჭამაო (არ ვიცი, რუსულ ზღაპრებში არის მუსია-თავგი თუ ეს სახელი მან რალაც სხვა მიზეზის გამო შეარჩია, მაგრამ ფაქტია, რომ თავგს მუსია დაარქვა).

ინგლისელმა რედაქტორმა მითხრა: თავგები მიყვარს, აი, ჩიტების კი ძალიან მეშინიაო. მერე ამისხნა – როცა ისტერიკაში ვარდები, წარმოვიდგენ, რომ ჩვენს ოთახში ჩიტი შემოფრინდა და ასე ვცდილობ თანაგრძნობა გამოვხატო შენი ფობიის მიმართო. საუბრისას ჩვენი რუსი თა-

ნამშრომელი შემოგვიერთდა და შეეცადა დავერწმუნებინე, რომ მინაზე პანანა რალაც რომ დაცუნცულეხს, იმის ამხელა ქალს არ უნდა მეშინოდეს, ისიც ღმერთმა შექმნა და იმასაც ჩემსავით უნდა სიცოცხლე და საჭმელი.

მისმა ოდნავ დამცინავმა ტონმა და თავუნია-მუსიას გამოკვების რიტუალმა ისე გამაღიზიანა, რომ „კრისობა“ ჩავიდინე! 047-ზე დავრეკე და დავაბეზლე ჩემი მეზობელი (ანჟელინა დამეხმარა, გვერდით მედგა და მამხნევებდა, როცა ოპერატორს ველაპარაკებოდი).

ოპერატორი: გისმენთ, სად დანახეთ თავი?

მე: ყველგან! 530-ე ოთახში, მაგიდის ქვეშ გინახავთ რა ხდება? თქვენი ლამაზი სათაგურები არ შევლის საქმეს, იქნებ კატა მოიყვანოთ! (და შემდეგ, უკვე ერთი ტონით მაღლა და მკაცრად) აქ მუშაობა შეუძლებელია!

ოპერატორი: გმადლობთ, რომ დარეკეთ, მესმის თქვენი (ოპერატორი, სავარაუდოდ, ინგლისელია), ვწუხვართ რომ პრობლემა შეგექმნათ. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ თავგებისგან გავწმინდოთ შენობა (აშკარად, „რთულ

კლიენტებთან ურთერთობის“ ტრენინგი აქვს გავლილი). სამწუხაროდ, კატას ვერ მოვიყვანთ, რადგან შეიძლება რომელიმე თანამშრომელი კატების მიმართ ალერგიული იყოს და უფლება არ გვაქვს ასეთ რისკზე წავიდეთ.

მე: მე რომ გული წამივიდეს სამსახურში, ამ რისკზე რატომ მიდიხართ? რაიმე უფრო ძლიერი მეთოდი გამოიყენეთ, ნამდვილი სათაგური დადგით, სპეციალური ნებო დაასხით კუთხეებში, თავგი მიეწებება და მოკვდება.

ოპერატორი: (ისევ მშვიდად) ქალბატონო, ეს არაესთეტიკური და არაჰუმანური იქნება, ჩვენ ჩვენი მეთოდებით ვმუშაობთ, მაღლიერი ვიქნები, თუკი შანსს მოგვცემთ და მუშაობას გვაცლით.

გავბრაზდი, თუმცა ჩემზე მეტად ანჟელინა გაბრაზდა. მას ხომ ჩემზე უფრო ეშინოდა „იმათი“ (როცა ანჟელინას ოპერატორთან საუბრის შინაარსს ვუყვებოდი, სიტყვა „თავგი“ გამოვტოვე). გადავწყვიტეთ, აქტიურ მოქმედებაზე გადავსულიყავით. ანჟელინამ წერილობითი საჩივრით ბი-ბი-სის გენერალურ დირექტორს მიმართა. შედეგად შავი სათაგურების რაოდენობა მის ოთახში გააორმაგეს და თავად ის კი ფსიქოლოგთან გაუშვეს, თან დაამშვიდეს, სეანსების ფულს ბი-ბი-სი გადაიხდისო.

ერთხელ, სანამ ანჟელინა მორიგ სეანსზე იმას არკვევდა, როდიდან ეშინია „იმათი“ და არის თუ არა ამაში დამნაშავე მამამისი, საიდანლაც გამოძვრა თავგი (მუსია). დარეტიანებულმა ჩემი მაგიდის ირგვლივ წრიალი დანიწყო. ავხტი მაგიდაზე, ვაკაკუნებ და ვაბრაზუნებ, ვისვრი კალმებს, მაგრამ რად გინდა – წრეზე დარბის, თავის სამალავში დასაბრუნებელ გზას ვერ პოულობს... ალბათ მთვრალია, ალბათ ლიქიორიანი შოკოლადი დაუდო ჩემმა მეზობელმა. უკვე თითქმის „განწირულმა“, ტელეფონზე სასრაფოდ ავკრიფე ირაკლის ნომერი და დავურეკე (რა ბედნიერებაა, როცა შენი მეორე ნახევარიც ჟურნალისტიკა, იგივე შენობაში მუშაობს და თანაც, თავგების არ ეშინია).

ჩემი რაინდი თვალის დახამხამებაში გაჩნდა ჩემთან, პირდაპირ მაგიდიდან ამიტაცა და ბუშჰაუსიდან გამომიყვანა.

მეორე დღით ჩემმა კოლეგა-მეზობელმა მითხრა: „მუსიო უბილი“-ო. ვილაცამ საშინელი მახე ზუსტად იქ დააგო, სადაც თავუნას შოკოლადი ეგულეობდაო...

მუსია დღით უნახავთ, მაგიდის ქვეშ, არაჰუმანურ სათაგურზე დანებებული.

არ ვიცი, მენეჯმენტის „ჰუმანურმა მეთოდებმა“ გაჭრა დაგვიანებით, თუ თავგებს ხმა მიუვიდათ – ერთი „გრუზინი“ არაესთეტიკური საშუალებებით ხოცავს ჩვენებსო, ფაქტია, რომ მას მერე, მე და ანჟელინას ბუშჰაუსში თავგები აღარ გვინახავს.

ამ ამბებიდან ერთ წელიწადში დაიხურა ბუშჰაუსი და ჩვენ ახალ შენობაში გადავედით სამუშაოდ, თუმცა ბი-ბი-სის სხვა შენობებში თავგები კვლავაც არიან.

<http://www.bbc.co.uk/news/uk-21248739>

ბალერა



თვა ქყონია

სხიანი ფიქრის ლიტერატურა

მოთხრობა
DJORDJIA
UNCHAINED

აკა მოჩილაძე

ბიბლიოთეკის
წვედის მცდელობა

ლანა ბუაძე

მოთხრობა
იღუმელი ხურა

მარსიანი

პოეზია
ბექა ახალანი



DJORDJIA UNCHAINED

აკაკი მორჩილაძე

ასე მეგონა, რომ ჯანგო ბორკილე-ბაყრილი მაგარი რამე იქნებოდა. ჯერ გამოსული არ იყო და უკვე მეგონა. მერე პრემიერაც გადაიდო, ამერიკაში მორიგ სკოლაში შევარდნა მოხდა და კიდევ ერთმა გადარეულმა ბავშვები დახოცა. სწორედ მაგის ფონზე ლონდონში მყოფ ტარანტინოს ჟურნალისტი აუტყდა, რას იტყვი იმაზე, რომ შენი ფილმები ძალადობის, სისხლის და რევოლუციის პროპაგანდას ახდენენო. ტარანტინო აყვირდა, თუმცა მანამდე თქვა, ეგ მხოლოდ გასართობია, უაზრობამდე მისული სისასტიკე სასაცილო ხდებაო. დაახლოებით ასე იყო.

მოკლედ, დიდი მზადება იყო ამ ჯანგოს სანახავად და მეც როგორღაც ისე ველოდებოდი, ბავშვობაში რომ ველოდებოდი ხოლმე ვესტერნებს.

ან სად იყო ჩემს ბავშობაში ვესტერნები. ერთი-ორი. დანარჩენი ისტერნები იყო. ასეც, მგონი, მერე დაარქვეს ამ გედერის ფილმებს: ინჩურუნის ვაჟის ამბავი, ოცეოლა.. დაახლოებით ისეთი რამე იყო სტალინისდრონდელ, ომამდელ პლაკატზე რომ ეწერა: ნაშ ატვეტ ჩემბერლენუ! და თვითმფრინავები ეხატა. ჩემბერლენი კი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი იყო, ვითომ ის ემუქრებოდა საბჭოთა კავშირს.

ჰო, მოკლედ, ველოდებოდი და ალ-

ბათ ბევრი რამე დაემთხვა ამ ლოდინში ერთმანეთს და პირველი, ალბათ, თვითონ ტარანტინო, რომელიც ყოველთვის რაღაცას ისეთს გამოაძრობს, სხვას რომ გაუჭირდება.

მეორე, რომ ამერიკის სამხრეთის ფილმები მიყვარს, თავისი როდ სტაიგერებით, სიდნეი პუატიეებით, ბრანდოებით, ჯინ ჰეკმანებით და ასე დაუსრულებლად, ბოლოდროინდელ ფილმზე, მოახლეებზე და სამხრეთის ნიგნებზე რომ აღარაფერი ვთქვა.

გამოცხადებულიც ეგრე იყო, რომ ტარანტინომ თქვაო, ესო, ვესტერნი კი არა, საზერნიაო. საზერნს კი სხვა გემო და ტკივილი აქვს. საზერნი – მონები და პლანტატორებია, დანგრეული ცხოვრებანი და ლამაზი მიდამოები, ეპიკა და სულის შემძვრელი ტრაგედიები, ტეხასელი რეინჯერები, გაქცეული, ნატანაჯი ზანგები და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი რამ. ისეთი იარებია, დღემდე რომ ცოცხლობს.

მესამე მიზეზი კი ალბათ ის იყო, რომ ეს საზერნი, მაინც ვესტერნი იყო და ვესტერნს კიდევ, ყველანაირს ვუყურებ, გინდა ოლტმანის იყოს და გინდა ფლეიშერის. თანაც ვესტერნი ხო ძაან ამერიკაა. რობერტ დიუვალმა რაღაც ამის მსგავსი თქვა, იმათ ჰყავთ ლეონარდო და ვინჩი, იმათ – პიკასო, იმათ – ის, ამათ – ეს, ჩვენ კიდევ, ვეს-

ტერნი გვაქვს, ჩვენი ეგ არიო.

უფრო კონკრეტულ მიზეზთა შორის კი, ალბათ, კრისტოფ ვალტცი იყო მთავარი, რადგან ამხელა სიცოცხლე, ამ კაცს რო მოაქვს ეკრანზე, მე კარგა ხანია არ დამინახავს და ამნაირი ვინმე კინოში კი დიდი ხალისია.

მაგრამ, ეგ იქით იყოს. გამოვიდა ჯანგო და გადმოაფრქვია ყველაფერი.

იმ ტყვიების წუილში, იმ სამხრეთულ სიფართოვეში, იმ სერჯიო კორბუჩის პატივისცემაში, იმ დოქტორ შმიდტის ლაბადასა და განუმეორებელ აქცენტში, ასეთი დამაჯერებელი და ასეთი მართალი ტყუილი რომ ასაბუთებს აუცილებელ მკველობებსაც და კეთილ საქმეებსაც; მთელ იმ სახალისო და მახვილგონიერ სესხებაში – გეინზბოროდან ჩარლზ ბრონსონამდე; იმ სიყვარულსა და სიძულვილში მონილი ამბის სინამდვილე რომ გვიჩვენებს; იმ საზიზღარი კონტრაქტის ხელმოწერისას აჟღერებულ არფაში; იმ სროლის კინოების ფანდებში, პლანტაციების სილამაზეში და თოვლის სინმინდებში; თავდაყირად დაკიდებულ და ცოცხლად დამარხულ მონებში და მოულოდნელ გერმანულში; მოსალოდნელ ჩათლახ მაჟორდომოში; კბილებჩაშავებული პლანტატორის ვითომგანათლებლაში; თავის ქალების ზომვაში და რა ვიცი, კიდევ რაში აღარ,

ჯანგო ბორკილებაცარილი, თუ გათავისუფლებული, მაინც არ იყო მხოლოდ ფიქრების და დიდი და ოსტატური აფეთქება.

მე რომ მკითხო, ეგრე დარქმეული, მესიჯიანი ფილმებიც მიყვარს და ყოველთვის ვუყურებდი-ხოლმე, მაგრამ ჯანგოს რასაც ვერ დაარქმევ ერთი შეხედვით სწორედ მესიჯიანი ფილმია, თუმცა მალევე ირკვევა, რომ ჯანგო სწორედ ეგ არის. დიდი მოულოდნელობა ტარანტინოსგან, დიდი.

ყაჩაღებსა და მკვლელებზე ლიცენზიით მონადირე კბილის ექიმი ზანგ მონას პირადი საჭიროებისთვის მიაგნებს და მერე მას ყოველგვარი სიმძიმეების გარეშე დაუმეგობრდება. ეგებ ისიც ვთქვათ, რომ იშვილებს კიდევ, თუმცა ამგვარი სენტიმენტი არ ეტყობა. საბოლოოდ, დოქტორი სწორედ ამ ზანგი მონის ბედნიერებას გადაყვება, მანამდე კი მას თავის მეორე და მთავარ ხელობას ასწავლის და იმასაც მიახვედრებს, რომ თუნდაც ყაჩაღების კვლავ არანაირი სისუფთავე არ რჩება და თუ მოსაკლავია, კაცი ეგრევე უნდა მოკლა საკუთარი შვილის თვალწინაც და მხოლოდ იმიტომაც, რომ ის სალონში ზანგის შესვლას ენინაღმდეგება. სხვანაირად, იმ ისტორიაში, რომელშიც ხარ, თავს ვერ გაიტან, იმიტომ, რომ ყოველთვის გამოჩნდება ვიღაც ვირიშვილი, რომელიც სავალ გზას შემოგიტრიალებს.

ჯანგო არც ჩე გევარა გამოდის და არც სიმონა დოლიძე, იმას ყაჩაღთა კვლის ქალაქიც კი აქვს. ის არც აპირებს რომ ჩე იყოს, არც დიდი შურისმძიებელია და არც იმას დარდობს, რომ უთვალავი ზანგი მონად რჩება, როცა ისა და მისი ცოლი, ბრუნვილდა, აღმოდებულ კენდილენდს ტოვებენ.

მანამდე ჯანგო ცივად და მოკლედ ემშვიდობება დოქტორ შულცის გვამს და საერთოდაც გასაგებია, რომ ამ კაცის გულში მხოლოდ ერთი დიდი სიტბოა – ეს ნანამები, ნატანჯი, ხმა და სუნთქვადკარგული ბრუნვილდა. საბჭოთა დროს ვინმე კრიტიკოსი ალბათ დაწერდა რომ, ჯანგო სოციალურად ჩამორჩენილი ადამიანია და ვერ გრძნობს კლასთა ბრძოლის აუცილებლობას.

კლასთა ბრძოლის აუცილებლობას ვერც არსენა ოძელაშვილი გრძნობდა, რომელიც დაახლოებით ჯანგოს მსგავსად, ცოლის გამო გაიჭრა ტყე და თავისი დროის საქართველოს იმხელა მაგალითი მისცა და იმხელა სახალხო ნდობა დაიმსახურა, რომ მანამდე, სანამ ჩვენში ლენინის ტომების მრავლათასიანი ტირაჟები დაიყრებოდა, არსენას ლექსი ყველაზე ხშირად გამოცემული და ტირაჟიანი წიგნი იყო.

ხო, ეგ უცნაურობა დამემართა, რომ ჯანგოს ყურებისას ჩვენი ამბები გამახსენდა. ესლა ეგ გასაგებია, რომ ჩვენთან მონობა არ ყოფილა და საერთოდაც, თეთრის და შავის ამერიკული ისტორია სხვაა და სხვა კუთხით განიხილება ხოლმე, მაგრამ სადაც არსენა ჰგავს ჯანგოს და სადაც ჩვენი მეცხრამეტე საუკუნის ბატონ-ყმობა ასე ჰგავს იმ სამხრეთულ მონობას, ისტორიების ერთად ხსენება შესაძლებელიცაა და, მგონი, სავლადებულოც.

რა ვიცი, მე ასე მგონია. იყო ეგეთი ამბავი, რომ სამხრეთელი პლანტატორებიც აუპატიურებდნენ თავიანთ მონა-ქალებს და ამას, ლამის, კონვეიერული წესი ჰქონდა და მრავლათაგან ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ამით უფასოდ ამრავლებდნენ მონებს თავიანთ პლანტაციებში და ქართლელი ბატონებიც არ ერიდებოდნენ თავიანთი გლეხი ქალების გაუპატიურებას. ეგ ეგრე იყო.

არსებობს სქელი წიგნი, რომელიც ზაქარია ჭიჭინაძემ შეადგინა ძველ ყმათა მოგონებისაგან. არსებობს არა ერთი ასეთი ამერიკული წიგნიც, რომლებიც მონათა მონათხორბით აცოცხლებს წარსულს. უბრალოდ ჩვენ ხელახლა აღარ გამოვცემთ ხოლმე ეგეთი წიგნებს და ისინი გამოსცემენ.

რაც საქართველოში, კერძოდ კი, ქართლში ხდებოდა სწორედ იმ დროს, როცა ჯანგოს მოქმედება მიმდინარეობს, დიდად არაფრით განსხვავდება იმისგან, რაზეც ჯანგო მოგვითხრობს.

იყო ასეთი ბიზნესი მაშინ, იმერელი აზნაურები მწვერებს აშენებდნენ და ქართლში გადმოჰყავდათ გასაყიდად, ძალიან ხშირად ამ მწვერებს ადამიანებშიც ცვლიდნენ. ახლა აღარ ვიცი და ბავშვობაში, დასავლეთ საქართვე-

ლოში ბევრჯერ გამიგონია ხუმრობა, შე მწვერები გაცვილილო. ამას ისეთი გვარის კაცს ეტყოდნენ, რომლის გვარიც რეგიონისას არ შეესაბამებოდა.

არსენა ჯანგოზე კიდევ მეტად სოციალური იყო, ასეთ მწვერებზე გაყიდვებს უდარაჯდებოდა და ათავისუფლებდა. გლეხები კლავდნენ თავადებს უარესადაც, ვიდრე ჯანგომ ამოწყვიტა კელვინ კენდის ოჯახი. სუმბათთან ჩვილი ბავშვებიც კი დაუხოცეს სიმონისაგან. ეს ყველაფერი იყო, იყო.

მერე ლინკოლნმა სამხრეთელები დაამარცხა. სწორედ იმ დროს რუსეთში ბატონ-ყმობა გაუქმდა. ამერიკა კიდევ ას ნელინადს მოუნდა ამის მკურნალობას და დღემდე ეს ისტორიები მაინც ცოცხალი ჭრილობაა. რუსეთის რევოლუციებმა ისე დასაჯა თავდაზნაურობა, რომ გაუთავებელი მსხვერპლისა და ადამიანური სიმდაბლების სამინელი ისტორია თითქოს მოკვდა. საბჭოთა დროის კულტურულ-სოციალურმა პროპაგანდამ იმდენი წერა და ილო ამ თემაზე, რომ ტარანტინოსი არ იყოს, საერთოდაც კარიკატურად აქცია იგი და რაც მახსოვს, მთელი ამ უბედურებიდან დარჩა მხოლოდ კანტი-კუნტად ნახმარი სახუმარო ფრაზა: მე ის თამრო აღარ ვარ!

ეს არ იყო სახუმარო ფრაზა. ეს მეძავად გაყიდული, მანამდე კი გაუპატიურებული გლეხის გოგოს ფრაზა იყო. რამხელა იყო ეს თემა, იქიდანაც ჩანს, თუ რამდენი დაწერა ამაზე ილია ჭავჭავაძემ.

მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ვითომ მკვდარია. დღესაც უამრავი ადამიანია, რომელსაც მონები და ყმები სიამოვნებით ეყოლებოდა. ბატონობა ტკბილი საზიზღრობაა. რამე კორპორაციულ მონობაზე კი არ ვამბობ, კაპიტალიზმი და ამბავიო. არა, უბრალოდ, მონები. მინახავს ასეთი, უუ, ჯერ კიდევ როდის, 1980-იან წლებში.

ერთ ხანს, საქართველოს სოფლებში ასეთი ამბავი იყო, რომ რატომღაც ჩვენი ქვეყნისკენ უსახლ-კარონი თუ ბოგანონი დაძრულიყვნენ საბჭოეთის უკიდევანო სივრცეებიდან. ასეთი ორჯერ მინახავს, ერთი აღმოსავლეთ

და მეორე დასავლეთ საქართველოში. ისინი მუშაობდნენ გასამრჯელოს გარეშე, ეძინათ ხუხულებში, ელოდნენ არყის პორციას და თუ ბატონი კეთილი იყო, საჩუქარსაც, ხოლო თუ ბოროტი - პანდურს, თავში ნათაქებას და დაცინვას. მუშაობდნენ მუხლჩაუხრელად. თითქოს თავიანთი ნებით შემოდოდნენ ამ სამსახურში, მაგრამ მათი არ გამკვირვებია, ეგ ეგეთი ცხოვრებაა. მე ბატონების მიკვირდა, კარგისაც და ცუდისაც. და ეგ ამბები კი ვერ დავივიწყე. არც მიცდია დავიწყება.

აგე, ილია რომ ამბობს, ბატონიო, კარგი რა არი, ცუდი რაღა იქნებაო. ბატონი ბატონია, ყველაზე კეთილიც კი.

საქართველოში ბატონ-ყმობა მეტად გასასტიკდა რუსების შემოსვლის შემდეგ, იქაური წესი მოვიდა. მანამდეო, ასე არ იყო. ძველი კარგი ბატონების ნათქვამია, მართლა კარგი ხალხის, იმათი, ვინც ახალი რუსული წესები ვერ მიიღო, ჩვენთან, შვილოო, ბატონ-ყმობა მამაშვილობა იყო. მართლაც იყო, ბევრ შემთხვევაში. მაგრამ, აბა, მამაშვილობა იოლია?

საქართველოს ისტორიაში არ შემორჩენილა ამბავი, რომ რუსთა შემოსვლამდე ან გლეხობა აჯანყებულებიყოს, ან რამე მსგავსი მომხდარიყოს. უტუ მიქავამ თქვა, ეკატერინე ჭავჭავაძის ყმამ და მოჯანყემ, ისეთ სამშობლოს რა ვუთხარი, კაცმა თავი ვერსად შეაფაროსო. ჰარი მორგანმა თქვა, კონტრაბანდისტმა ჰემინგუეის წიგნიდან, არ ვიცი კანონები ვინ მოიგონა, მაგრამ ისეთი კანონი – უნდა იშინებოო, არავის მოუგონიაო.

ამდენი დრო გავიდა და კიპლინგის თეთრი კაცი კი ისევ ცოცხალია. თეთრი კაცი ჩვენებურად ბატონიც შეიძლება გამოდგეს. ცოტა მაქმანები შეიცვალა, რამე-რუმეები ისწავლა, რო უფრო მოხერხებულად იმოქმედოს. აფრიკა დღესაც ტანჯავაშია. იმ ქირურგიის მერე, რაც იქ მოახდინეს. დღესაც სადღაც ამოხეთქავს ნავთობი, ამოიყრება ოქრო, ან რამე სხვა ამ უბედურ კონტინენტზე და დამკავებელი არავინაა. მიიწვევენ. იქ ომებია. იქ, დელტაში უკვე ბავშვთა ჯარები დგას, იქ გენოციდებია, იქ ბრილიანტებია.

იქ სიცოცხლე ისევ იაფია. სხვანაირად, სხვა სურათში, მაგრამ იგივეა. დღეს არავინ ჩაადგებს გემის ტრიუმში ბელად ტამანგოს, მაგრამ ტამანგო დაბნეული, გამწარებული, გასასტიკებული, თვითონ იზამს უარესს და არ ეცოდინება – რატომ.

წავიდა ესპანური ფეხსაცმლის დრო, წავიდა კუდიანების ცოცხლად დაწვის დრო, წავიდა წამების, როგორც დაკითხვის მთავარი იარაღის დრო. მაგრამ წავიდა? მგონი, ამდენი ჯალათი ახლა რომაა, მთელს შუა საუკუნეებში არ ყოფილა. შუა საუკუნეებში ჯალათი ცოლსაც ვერ ირთავდა. ახლა ჯალათს და მწამებელს ტრენინგი აქვს გავლილი, სპეციალისტია ინფორმაციის მოპოვების, თუ რაღაც ამგვარის. კუდიანებზე ნადირობაც არსად გამქრალა. ფორმებია სხვა. ეს სული, რალაცნაირი უსახელო სული, სიავის, საკუთარი კეთილდღეობის დაცვის და საკუთარ ძალაში დარწმუნების, თუ სხვათა ჩაგვრით საკუთარი შესაძლებლობებით ტკობის სული ახლაც ცოცხალია. სადაც გაუვა, იქ ისეთია, რომ იმ მისისიპელ პლანტატორებს შემურდებათ და სადაც არა და – ერგება, მაგაზე იოლი რა არის. სისასტიკე არსებობს აშკარა და ფარული. ეგრე ყოფილა. აშკარას მეტი გემო აქვს, მაგრამ ფარულზეც არავინ ამბობს უარს.

ჯანგო ცივია. თავიდან ეგებ გგონია, რომ უბრალოდ გულჩახვეული და წარსულით დამძიმებული ბიჭია, მაგრამ სინამდვილეში ის ცივია. ასე მგონია, რომ ჯანგო წავა ბრუნშილდასთან ერთად და იცხოვრებს. იმას წარსული არ დაამძიმებს.

გტკივა, გტკივა, გტკივა, და ერთ დღესაც აღარ გტკივა. სწორედ ისეა, კრივში ვარჯიშს რომ დაიწყებ და ყველა დარტყმა რომ მომაკვდინებელი გგონია. მერე კი თითქოს არაფერი, როგორი უნდა მოგხედეს, რომ წაგახდინოს. ჯანგოს ეგა აქვს გავლილი და, ალბათ, დოქტორ შულცსაც ეგა აქვს გავლილი.

ჯანგო მონა იყო და უსაზღვრო თმენა შეეძლო. დოქტორი შულცი ვერ მოითმენს და კვდება. ჩამოართვი ხელი და წავიდეთ, რა - არ გამოსდის.

არა იმიტომ, რომ ჟანრის კანონია ასეთი და იცი, რომ ის უნდა მოკვდეს, არამედ იმიტომ, რომ დოქტორ შულცს ბევრად პატარა რამისთვისაც მოუკლავს კაცი, იმისთვისაც, რომ იმ კაცს მისი თანმხლები ზანგი არ მოსწონებია. ეს არის სამყარო, რომელშიც ის ცხოვრობს და მთელი დახვეწილობისა და მკვეთრი და ზუსტი ნაბიჯების მიუხედავად, ის ვერ ითმენს იმას, რისთვისაც ამხელა კომედია ითამაშა.

სამყარო დოქტორ შულცის თვალთ საინტერესო იქნებოდა. კაცმა უნდა წარმოიდგინოს ეგ სამყარო. ჯანგოს რომ გამძლე თვალი და გაქვავებული გული აქვს, ეგ გასაგებია და ხომ ასეთივე აქვს დოქტორ შულცსაც? მაგრამ ორივენი სუსტნი არიან ნამდვილი რამეების წინაშე, რომელთა სახელებიც უძველესია: სიყვარული, მეგობრობა, ნდობა, უბრალო ადამიანური სიძარბო.

ასეა და ასე იწვის კენდილედი, როგორც ქაჯეთის ციხე. და ასე მოჰყავს ჯანგოს თავისი მიჯნური, ასეთი წვალებით ნაპოვნი, ნატანჯი ნესტან-დარეჯანი. დადის ჯანგო ამ გზებზე და უყურებენ პირდაღებული, გასაცოდავებული მონები. ის არც უყურებს მათ, ვერც გაიგებს, საით იყურება იმ შავი სათვალის იქიდან. ქაჯები კი არ ქრებიან, უბრალოდ, ჯანგომ მოახერხა და მათ მიჯნური გამოგლიჯა. ქაჯთა ქალაქი კი ალბათ ისევ აღსდგება, ოღონდ ჯანგო უკვე შორს იქნება. რაღა დაამარცხებს ამ ბიჭს.

აჯანყდა ერთი მოკრივე მონა, სახელად დ'არტანიანი, მაგრამ ის ძალღებს შეაჭამეს. თუმცა არც აჯანყებულა, სასიკვდილო კრივი არ უნდოდა. იმ საბრალოდ არ იცოდა, რომ ბატონს არაფერი არ უნდა სთხოვო.

ყველა იმ საწყალ მონას არ გაუღიმა ბედმა ისე, რომ ისინი დოქტორ შულცს დასჭირებოდა. და რომც გაუღიმა ბედს, მაქედან რა? თავისუფლებას მიიღებდნენ? საქმეც ეგ არის, რომ თავისუფლება ხშირად იმას ჰგავს, ლაგერიდან გაქცეული პატიმარი რომ უკან მობრუნდება ხოლმე, ვიარე და ვიარე და ვერსად მივედიო და ერთადერთი ადგილი, რომელიც ვიცოდი,



ისევ ეს ლაგერი იყო. რალაცა ამის მსგავსი მრავალს განუცდია და უნახავს, მარტო კაცს კი არა, ხალხს, ქვეყანას, მგონი კონტინენტებსაც. ჯანგომ კიდევ ზუსტად იცის, რა უნდა და რა უნდა გააკეთოს. სხვებისა, რა მოგახსენოთ. გათავისუფლებას ზოგჯერ რალაც უკიდევანო ამპარტავენება შეეყრება ხოლმე, იყურება აქეთ-იქით გაფვიძული და კნიაზ ვახტან ვახვარის ამბავში უკვირს:

– ა პაჩიმუ ნე კლანიშსია?

მერე რაც ხდება გასაგებია და დრამატული. ძალიან ძნელია იმის აღიარება, რომ კი განთავისუფლდი, მაგრამ წამსვე ბატონობა მოგიწია. ისეც ყოფილა, რომ ბატონი გგონებია თავი და მერე აბა, უთხარი თავს, ერთი ყმა-გლეხი ვყოფილვარო. ხოდა, არი გაქაჩვა, მე ვარ შენი ბატონიო. იმდენი რამეა მანდ, ჯანგოს ეგენი არ ანუხებ, არავის თავის დაკვრა და აღიარება არ უნდა. თორემ ჰა, უპირატესობის ჩვენება მას რომ შეუძლია, ისეთი

უნდა. იმას არ ჰგავს, თბილისის ქუჩის კიდეზე აფრიკელ ბიჭს რომ დასცინოს შვიდმა ზრდასრულმა კაცმა.

ერთი დრო იყო, საქართველოში ყველაზე მომგებიან საქმიანობად ტყვეთა ყიდვა ითვლებოდა. ეგ მთელი კავკასიის სენი ყოფილიყო და იმას ნიშნავდა, რომ ადამიანებს ან იტაცებდნენ, ან პირდაპირ, თავიანთივე ხელქვეითობიდან გაჰყიდდნენ ხოლმე სხვა ქვეყნების მონათა ბაზრებში. იმათგან, ვისაც ბედი გაუღიმებდა, ეგებ სულთანიც გამხდარიყო, ან მეომარი, ან რა ვიცი, შინამოსამსახურესაც ცუდად არ ექცეოდნენო, ასე წავიკითხე. ერთი ასეთი გამყიდველი კი ამბობს კალმასობაში, მე ამ ლატაკებს შანსს ვაძლევ, რომ უკეთ იცხოვრონო. როგორც არ უნდა იყოს, მერე რო დაიცალა ეს ქვეყანა, ცალკე ომებისგან, ცალკე გაყიდვისგან, სოლომონმა კი აკრძალა სიკვდილის შიშით ეს ხელობა, ის გამყიდველებიც ალბათ გადაეჩვივნენ, მაგრამ ასეთი რამეები

უკვალოდ არ გადის. ეგ იმხელა დარტყმა მგონია, რომ ზოგჯერ მეჩვენება, ის მონად გაყიდული, თვით ყველაზე იღბლიანი მამულუქები და ჰარამხანის ქალები ისევ არსებობენ, ისევე, როგორც მათი გამყიდველი ხალხი, რომელსაც, მგონი, გოთაულებს ეძახდნენ სამხრეთ საქართველოში. ჰოდა, მანდ ეგებ ჯანგოც გამოჩნდეს ხოლმე, სულ უბრალო რალაც რომ უნდა მხოლოდ თავისთვის და ერთი სევდიანი, ნანვალები გოგოსთვის, თორემ მონობა რომ არსად მიდის, მაგას ისედაც გაიგებს კაცი.

ტარანტინოსი ის მომწონდა, რომ დიდად კარგები და დიდად ცუდები თითქმის არასდროს ჰყავდა. ეგ მაგარია, როცა ყველას შეგიძლია უთანაგრძნო, ყველას რალაცა უპოვო კარგი და ხელჩასაჭიდი. ჯანგოში ეგრე არ არი, მაგრამ მაინც მაგარია. ვესტერნიც რომ არ გამოდგა, ეგეც არაფერი, ძველი ჯანგოების ყურება შეიძლება, თუ საქმე არაფერი გექნა.

ბიზლიოთაქის ნენდის მსდელოზა

ავტორი ლაშა ზულაძე

შეკითხვა: რომელი ნიგნები უნდა გა-
ვაყოლოთ მარტს?

უპირველეს ყოვლისა, ჯობს ფუჭ
ოცნებებს გამოვემშვიდობოთ და
პრაგმატულები ვიყოთ. ვარსკვლავები
ამას გვიჩვენებენ. ადგილობრივები კი
არა, კოსმოსური. ადგილობრივებს კი
არ ვენდოთ. არც ერთ დონეზე.

მაშ, ასე. რას შეველიოთ...

არა, ვერ დავწერ, ავტორს ეწყინე-
ბა. ჩუმი ვადავადებ. ქართველებს
ვერ შევეხები. მოისვრი ქართველი
ავტორის ნიგნს და მერე ისიც მოის-
ვრის შენსას („რასაც თავსა თვისსა
არა უსურვო, ნურცა სხვას უსურვებ“).
ან რომელიმე ლიტერატურულ ჟიური-
ში აღმოჩნდება და გაბრაზებული, არ
მოგცემს ხმას. ეს კი, არ დავმალავ,
საწყენი იქნება. შესაძლებელია სხვა
ვერსიებიც: შეთვრება და როცა არ
ელი, სწორედ მაშინ შემოგთავაზე-
ბს ზიზლს მუხანათურად, ან მთელი
ცხოვრებით დაგეჟინება და რომელი-
მე წვეულებაზე უჩუმრად ჩაგიგდებს
ბაყაყს სუპში (ყოფილა, სხვათა შორის,
ასეთი შემთხვევა). ყველაზე უარესი
კი, ალბათ, ისაა, კოლეგა ტუალეტში
რომ ჩაკეტავს გარედან: შენ აკაკუ-
ნებ, შევლას ითხოვ, კლაუსტროფო-
ბიული გუდვა გენყება, ის კი ბორო-
ტად ჩურჩულებს: აბა, ის კარგი იყო,
ჩემი ნიგნი რომ მოაშთე თაროდან...

არა, ადგილობრივ ავტორებს ვერ
შევეხები. სხვა თუ არაფერი, ერთმა-
ნეთის მკითხველები ვართ, ბოლოსდა-
ბოლოს. სხვა მკითხველი არც გვყავს.
საქართველოში მარტო მწერალი თუ
ნაიკითხავს სხვა მწერლის ნიგნს, თო-
რემ განსხვავებული პროფესიის ხალხი
ამ მხრივ ნამდვილად არ იჩენს ცხო-
ველ ინტერესს.

თუმცა, ვუყურებ თაროს და მაინც
მეჩვენება ხელები... სიამოვნებით შევა-
მსუბუქებდი ჩემს ბიბლიოთეკას ერთი
პოეტის ორი ნიგნისგან მაინც... საქმე
ისაა, რომ ეს პოეტი წელიწადში, სულ
მცირე, ორჯერ (ვიღაცამ თქვა, ყოველ

ხუთშაბათსო) გამოსცემს თავს ახალ
ნიგნს, მართლაც ახალი კი ამ ნიგნე-
ბში მხოლოდ სამი თუ ოთხი ლექსია –
დანარჩენები გამოგნებელი თავხედო-
ბით გადმოაქვს ძველი ნიგნებიდან...
იცვლება ყდა, კრებულის სათაური,
კონცეფცია (შესავალ ტექსტში), მა-
გრამ ლექსები (იმ ოთხი-ხუთის გარდა)
უხერხულად ძველია...

არ დავმალავ, ამ პოეტის ექვსი ცალი
კრებული მაქვს ასეთი. ვითომ ახალი.

აგერ, ქართველი ნოველისტის ნიგ-
ნებიც... იმავე წესით გამოცემული.
ახალი ნიგნები – ძველი მოთხრობე-
ბით... თითო-თითო ახალდანილი
ნოველით ყველა კრებულში. ღმერთო
ჩემო, ტომეულებს შეადგენ ასე!

მაგრამ, იქნებ რაიმე პოსტმოდერ-
ნისტულ ოინთან გვაქვს საქმე და მე
ვერ მივმხვდარვარ!

ან მარტივად – უბრალოდ, წერა
ეზარებათ. ახალი ნიგნების გამოცემა
კი მაინც უნდათ.

არა, არა, მაინც მოვისვრი. რაც
არის, არის. ყდებს დავაქსეროქსებ და
თაროებს ავაკრავ. რომ არ ეწყინოთ.
თუმცა უკვე ესეც საწყენია, ამას რომ
ვწერ. ვიღაც აუცილებლად მიიღებს
საკუთარ თავზე და საშვილიშვილო
რისხვით აღივსება. განრისხებულ მწე-
რალზე საშინელი სანახავი კი არა-
ფერია. თუმცა, ერთი კია, ამ მხრივ
პოეტებთან უფრო უნდა ვიყოთ ფრთ-
ხილად.

ოდესღაც, ერთმა საკმაოდ კარგმა
პოეტმა ჩემს თვალწინ ჰკითხა მეორე
შერეულ პოეტ-პროზაიკოსს, ჩემზე
რატომ არ წერ (!) თუნდაც კრიტიკულ
რეცენზიასო, და პასუხს არც დალო-
დებია, ისე გადაასხა თავზე ღვინო. ჰო,
გულგრილობა ვერ აპატიო.

დაწერა ამასაც, რა მოხდებოდა,
რეცენზიას რომ არ მიუძღვნი ადა-
მიანს (თუნდაც კრიტიკულს), კი ხარ
ღირსი, როგორც ჩვენი პრეზიდენტი
იტყოდა ხატოვნად, ხელადვე თავზე
დაგანუნონ...

ცნობილია ასაკოვანი (მაგრამ უბე-
რებელი) და ასაკში შესული (თუმცა
ახალგაზრდულობას მოპოტინებული)
პოეტების უცნაური გაბაასების ამბა-
ვიც. ასაკოვანი პოეტი ჩვეული რიხითა
და რალაცნაირი საესტრადო-ძველ-
ბიჭური ბლენძვით ამუნათებდა თანა-
მედროვე ლიტერატორებს და უმცროს
ცნობილ პოეტსაც შეუბღვირა – გა-
ლაკტიონზე როგორ ამბობ, სოფლელი
იყო (თუ რალაც მსგავსი), რის შემ-
დეგაც შენიშვნის ობიექტმა მოულოდ-
ნელად სრულიად დაკარგა ერთგვარი
პოეტური ლიბერალიზმი და მოქადაგე
პოეტს ხმადაბლა, უკვე არქეტეპულად
ძველბიჭური მუქარით მიუგო: შენ,
ბიჭო, მე მართლა პოეტი ხომ არ გგო-
ნივარ, აქვე გაგხვე ცემითო...

ამ სცენის შემსწრეთ სამუდამოდ
დაამახსოვრდათ კლასიკოსი პოეტის
გაფართოებული თვალები (კიდევ
უფრო გადიდებული ისედაც მსხვილ-
შუშებიან სათვალეში) და უცაბედი,
შემრიგებლური და განმაიარლებლად
მშობლიურ-ცრუპენტელური უკანდა-
ხევა: – მამაშენს ვიცნობდი, კაცო, რა
ლაპარაკია ესა...

იმის მოწმეც გახლავართ, როგორ
შეამკო პენ-ცენტრის პრეზიდენტის
არჩევნებზე, ერთმა ცნობილმა რო-
მანისტმა მეორე ცნობილი ტელეფი-
ლოსოფოსი არცთუ სასიამოვნო ეპი-
თეტი: „ყლე ხარ შენ...“ (ჰო, არც
მეტი, არც ნაკლები), რის შემდეგაც,
სახეშენილტვულმა ფილოსოფოსმა
შიშით გადმოხედა დარბაზს და ხელო-
ვნური სიცლით გვამცნო: „არა, არა,
ჩვენ სინამდვილეში ძალიან გვიყვარს
ერთმანეთი, ეს სისულელეა...“, რაზეც,
დაუჯერებელია, მაგრამ მეორედ და
უფრო მკვახედ მიიღო რომანისტისგან:
„არა, შენ მაინც ყლე ხარ“.

მერე დავიშალეთ. სხვა რა უნდა გვე-
ქნა.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიი-
დან რამდენიმე ცნობილი შელანძღვა
მახსოვს:

ნაბოკოვი, მაგალითად, შესაძლებლობას არ უშვებდა, რომ თომას მანისთვის არ მიეყენებინა შეურაცხყოფა: „შარლატანი, ჯამბაზი (?), უნიჭო...“

მწერლების გინების კითხვა თუ გნებავთ (პირდაპირი მნიშვნელობით), ედუარდ ლიმონოვის „მკვდართა წიგნის“ წაკითხვა უნდა სცადოთ; აი, სად არ ინდობენ არც ცოცხლებს და არც მკვდრებს.

ხოლო ტურგენევი ისე არავის გაუცუტურაკებია, როგორც ეს დოსტოევისკიმ ჰქნა თავის „ეშმაკებში“.

ბორის ვიანს კი გული არევია (ასევე პირდაპირი მნიშვნელობით), როცა ჰემინგუეის ერთ-ერთი რომანის შუაწელში მისულა...

არც არისტოფანე იკავებს თავს – რას აღარ უშვრება „ბაყაყებში“ ღვთაებრივ კოლეგებს – ვერიპიდესა და ესქილეს...

და თუ როგორ სცემა მარიო ვარგას-ლიოსამ გაბრიელ გარსია-მარკესი, ეს

ყველამ უწყის (მარკესს ლიოსას ცოლთან ავი ქორაობისგან ვერ შეუკავებია თავი და სილის განწაც უგემნია ძველი მეგობრისგან).

კოლეგის მუშტი პოეტ ევტუშენკოსაც მოხვდა (ბროდსკი ამბობს, ნეტა ჩემი მუშტი ყოფილიყო), თუმცა ახმატოვას ქრესტომათიული შეკითხვა („სადაა თქვენი კბილის ჯაგრისი?“), ალბათ, ამ მუშტზე მტკივნეული უნდა ყოფილიყო მისთვის...

მოკლედ, ბევრი რომ არ ვილაპარაკო, ამ და სხვა მაგალითებით შეგულიანებული ვუახლოვდები თაროს, მაგრამ ცოცხალი გამხვლილი ჯობს, მაინც ვჭოჭმანობ: ღირს კი საერთოდ ბიბლიოთეკის დაცლა? თუნდაც მოსაწყენი და ჩვენიგან შორს მყოფი წიგნებისგან? რა იცი, რა მოგვეწონოს ხვალ და ზეგ და მერე კი სანანებლად გაგვიხდეს საქმე, როცა სპონტანურად დაცარიელებულ თაროს შევხვდავთ. როგორც ერთი გრაფომანი, მაგრამ მაინც ოდნავ მოსაყვარლო

პოეტი იტყოდა, გარშემო ხომ ისედაც სიცარიელეა, ღირს კი სამყაროს კიდევ უფრო დაცლა? თუნდაც მხოლოდ წიგნის თაროსი? ან კი რაღა უნდა მოაკლო ამ თაროს, როცა მხოლოდ ორიოდ რომანი გამოვიდა გასულ წელს, ამდენივე (ან ცოტა ნაკლები) მოთხრობა, ლექსი და პიესა! ასე დუნედ, მგონი, არასდროს უწერიათ ქართველ ავტორებს. ვერც თაროს შესავსებად ვიხსენებ რამეს და ვერც მის დასაცლელად.

ასე რომ, მგონი, პირიქით უნდა ვქნა: ეს შერჩენილი წიგნები (მომწონს თუ არ მომწონს) თაროებს შევანებო და რაც არ უნდა მოხდეს, მაინც ვერ შევძლო მათგან თავის დახსნა, რადგან წიგნებს შურისძიება სჩვევიათ. განსაკუთრებით – გადაადებულებს. რაც მათში ხდება, შესაძლოა შენც თავს გადაგხდეს, ცხადია, ბორხესის აზრით. მე არაფერი მითქვამს. და წიგნებსაც არ შევხებოვარ.


ოღონდ მხოლოდ ამ ეტაპზე...



§1

არსებითი სახელი – გული

ავტორი: დიანა ანთიმიადი



გული რა, ჩვეულებრივი არსებითი სახელია. კონკრეტული, სავესებით კონკრეტული, თანაც საზოგადო. ენაში მისი არსებობა მარტივია, არც იკუმშება, არც განსაკუთრებულად იბრუნვის, მრავლობითიც ჩვეულებრივი აქვს, დიდი არაფერი.

„გული არის გულ-სისხლძარღვთა სისტემის ცენტრალური ორგანო, რომელიც განაპირობებს ორგანიზმში სისხლის უწყვეტ ცირკულაციას“, – დაახლოებით ასე განმარტავს მას სამედიცინო ენციკლოპედია.

სიტყვების ყველაზე დიდი მცველის, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში კი წერია:

„არს გული კაცისა, ვითარცა იტყვის (50, 12 ფსალ.). გ უ ლ ა დ ითქმის საშუალი ქვეყ(ა)ნისა (12, 40 მათე). გ უ ლ ა დ ითქმის პელაგონი ზღვისა (45, 3 ფსალ.). გ უ ლ ა დ ითქმის ხეთა და ხილთა საშუალი“. და აქვე, ამ სემანტიკური წრის სხვა წარმომადგენლებსაც ჩამოთვლის:

„გულვა, განიგულე, გულანი, გულ-გული, გულითადი, გულისობა, დიდ-გულა, გგულობდი, იგულეთ, იგულვა, იგულისწყრომა, იგულმეთქუებენ, ორ-გული, საგულე, უგულებელს-ყოფა, უგულისყურო, ქუეყნისგული, შეგულისიტყუა“.

ითქოს ორგანოა, განა საჰაერო

ბუშტი; უცვლელი უნდა იყოს, თუმცა პირიქით – ადამიანს გული ხან სწყდება, ხან ერევა, ხან უმძიმდება, ამოუჯდება, მოუვა, ნაუვა, უმაგრდება, უწყალდება, უცივდება, უსკდება...

ჰოდა, ვნახოთ, როგორ მოგზაურობს არსებითი სახელი – გული – სხვადასხვა საუკუნეში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა კონტექსტსა და გრძნობაში. მისამართზე <http://www.mygeorgia.ge/gdc/Default.aspx> საძიებო გრაფაში ვწერთ სიტყვას და იწყება...

ამბავი პირველი. დანაშაუბილი გული

„ახლა გურჯისტანსა რომე მუახლოვდით, გულმა დიმიწყო ბანძგალი, მესინია რამე არ დემემართოს. ღმერთო, ერთი დამანახიე ჩემი დიდუანების ნამყოფნი ღერები და მემრე, როიცხა გინდა, წემიყუთი შენთან.“

ახლა გურჯისტანისკენ მივალთ და გული დიდი გუაქ, ჩუენ მემლექეთში მივალთ. ჰამა მე ახლავენ წამოსლას ვჩივი. აქეთ რომ შამოგბრუნდებით და წამულათ, მაშინ მოგვიჭირეფს გულზე, სარფის კარსა რომე გამეცძრავთ, მაშინ ვიქნებით ცოდვა.

რა ვქნათ, ღმერთსა ასე დუუნერი ჩუენთინ. ღმერთმა გააყოლაგოს წასლა-მოსლა და მოგვაყაჟირების

ერთმანები, მალ-მალე გედევდეთ, გადმოვდეთ“, – ეს თურქეთში გადასახლებული ქართველის გულისტკივილია.

„მარენკი ბულვარი სამსე იყო მუჰაჯირებით. ერთი ვინცხაი მოზიკას უკრედა და ჰემაც ამღერიდა. ჰალა მახსოვს ის ლექსი:

„ავდგეთ, ნევდეთ მუჰაჯირათ, რა ლამაზი დარიათ;

ჩუენ რომ გემში ჩავუდებით, ჩუენი გული კდარიათ“...

მუჰაჯირობის, ამ ნებსითი თუ ძალდატანებითი ემიგრანტობის მთელი სირთულე ჩანს ამ ტექსტებში. როდესაც არასწორი პროპაგანდის თუ მუქარის ძალით, დაბნეული და შეშინებული ადამიანები მიდიოდნენ უკეთესი, დაცული მომავლის საძებნელად, მიდიოდნენ და ბევრი მათგანი დანიშნულების ადგილს ცოცხალი ვერ აღწევდა:

„საშინელ სურათს წარმოადგენს თურმე ეს ხალხის გადასახლება. მნახველთ უამბიათ და მოუწერიათ ჩვენთვის, რომ ესენი დედამინას ჰკოცნიან, ხეებს, სახლებს, ყველაფერს სულიერსა და უსულოს, რასაც კი სტოვებენ. ცხარე ცრემლების ღვრით გულდამწვავ ტირილით ეთხოვებიან და ასე მიდიანო. ბევრი, ძალიან ბევრი იხოცება შიმშილისაგან და ვინც კი ადგილამდის მიაღწევს, დიდი სიკეთე არც იმას

ეყრებაო. იქაც უკეთესი ბედი არ მოე-
ლის, იქაც შიმშილი ხვდება, უპატრო-
ნობა... და ამნაირად რამდენიმე თვის
განმავლობაში უკან ბრუნდებიანო. მა-
გრამ ბრუნდება ორში ერთი. დანარჩე-
ნი კი გაჭირვებისა და შიმშილის გამო
იხოცება“. (სერგი მესხი, “დროება”).

„ჩემ წენესა ისე დაპანავებული ქონ-
და გული, რომ იმათან საქართუელო-
სა ვერ გავახსენებდით, იტირებდა
და იტირებდა“, – ესეც ჩვენებურების
ქართულია, თურქეთიდან.

აი, რას ჰქვია დანყვეტილი გული.

ამბავი მეორე.

აჩუქებული ბული

„ერთი გოგოი მიყვარდა. დედაჩე-
მა არ მათხოვინა ის ქალი. ნათლიე-
ბი ვართ. ღამბაშიძის ნათლული იყო
ის გოგოი. სხვა ღამბაშიძე იყო, მარა
არ ქნა, იმიტომა რო ნათესავეები ვარ-
თო. მის შემდეგ ერთი ქალი ვნახე და
დავნიშნე, არც დედა იყო იქა და არც
მამაი, ხოლოთ თავის ოჯახის წევრები
იყვენ. მერე რაძახა ფიქრმა გადამი-
რა, იმ ღამეს ცოტა შემთვრალივით
ვიყაი. სად მქონდა საქმეი და სად
ჩავარდი! მაინც ის გოგოი მიყვარდა
და მაინცა. რას მიქმოდენ! ნიშანი მი-
ვართვი, ოცდახუთი მანეთი მიუტანე.
ვტყუვდები-მეთქი. თვალში აღარ მა-
მენონა. საქმე იყო იმაზედა, რო გული
იყო აჩუმპული – წამხთარი სიყვარუ-
ლისაგანა. იმ ღამეს იქ დავრჩი. პირვე-
ლათ რო იყვილა მამაღმა, გამოვიპარე.

იმასაც სხვა ყვარებოდა, მესამე
დღეს წეყვანა იმასა. მოვედი სახში.
დედაჩემა მითხრა, რომეო – რა ქენიო.
– დავნიშნე-თქო. იმასაც ეჯავრა,
ნახული ყოლებოდა.

ახლა რომელიც მყამს ცოლათა,
მგზავრათ შემხვთა. ეკალას კრეფა-
მდენ და დაუნყე ხუმრობაი, – შენა
უნდობი კაცი ყოფილხარო, ქალები
დაგიტოვნიარო, – გადიკისკისა. რაძახა
შევიდა გულშიდა. მე ვთქვი: გამამად-
გება ესი, იმნაირათ მოიქცა.

მამვალე გოუგზანე და დავნიშნე.
უარი არ უთქვამს.

გამამადგა, როგორ არ გამამადგა.
კაი არი, დაბერდა ახლა თორე... ორ-
ჯელ ვნახე მას უკანა. ცოლის მერეც
მქონდა გულში ი გოგოი ცოტ-ცოტა-

რა“. (მთქმელი-ნიკოლოზ ღამბაშიძე,
ზემო იმერეთი).

ამბავი მესამე.

ბული ბანსაფლვარების ბარამე

ამ ერთი სიტყვის საშუალებით მო-
საძებნ ტექსტებში ბევრი რამაა ისეთი,
რაც გულს არამხოლოდ აგიჩუყებს,
არამედ გაგიჩერებს კიდევ, მაგრამ
საინგილოში მცხოვრები ქალის, გმლა-
ვარის ამბავი ყველაზე, ყველაზე
გულში ჩამწვდომია.

გმლავარი უკვე კარგა ხნის გათხო-
ვილი იყო, როცა მისი სოფლის კოლ-
მეურნეობის აგრონომს, მამით ქარ-
თველსა და დედით აზერბაიჯანელ
ახალგაზრდა კაცს, სულეიმანს შეუ-
ყვარდა. სიყვარული თავიდანვე ცალ-
მხრივი იყო, რა არ სცადა სულეიმანმა,
რა არ შესთავაზა. (მდიდარი კაცი იყო,
მარმარილოს თუ ქვანახშირის ბიზნესი
ჰქონდა ირანში), მაგრამ თავისი ულა-
რიბესი კერა მაინც არ დათმო ქალმა.

სულეიმანმა ოჯახის წევრების და-
ჟინებული თხოვნით ცოლი მოიყვანა.
თუმცა მისი ცოლი, დედის სურვილით
შერთული ქალი, ქმრისგან უარყოფი-
ლი დაჭვნა, გაყვითლდა და მოკვდა.

გმლავარს ქმარი მოუკვდა და სხვა-
გან დასახლებულმა შვილებმაც მია-
ტოვეს.

ჰოდა, ხვდებიან ერთმანეთს ღარიბი
გმლავარი და უმდიდრესი სულეიმანი,
დიდი ხნის მერე, საუბრობენ და ეს
ისეთი მასშტაბის დიალოგია, ყველაზე
დიდ ბელეტრისტსაც რომ შემურდება:

„– დილაარავ! – ერცხო ქნა.
– ჰაა- მეთქ, – ჰაავ! – ჯმა მევეც.
მოვნივა აქრამდინ.

– ყორხმა, თქო, – ნუ გემნიან, მე
ვარავ.

– სულემან შენ... – მე სულემანა
არ ვებნებოდი, სოლომონ ვებნებოდი,
– სოლომონავ, შენ ხარავ-მეთქი?

– ჰოვ, – თქო – მე ვარ – თქო. ...“

უპატრონო ვარო – შესჩვილა კაცმა,
ზეთისხილის ტყეების, მარმარილოს
მადნის, დიდი სიმდიდრის პატრონმა,
ცოლიც მომიკვდაო, შვილიც აღარ
მყავსო, ყველაფერი შენთვის მინდა,
შენზე უკეთესი არავინ მინახავსო...

ქალის საცოდავი და ღარიბული
ქონის წინკარში იჯდა შეყვარებული

კაცი, შესცივდა და ქალმა თავისი ხა-
ლათი მოაფარა:

„...შაჰცივდა, ცივ ეყო. ზღლ ხალათ
ეყო აქ დაკიდებულ, ნოელ შავაგდ
ზედ. ჩემ ხალათ ეყო. ერთ მე ზედ მა-
ქონდა, ერთი თავიზე ზედ შავაგდ...
დაჟდა, კაა-ფინთ ილაპარაკა“. ოპერა-
ცია უნდა გავიკეთოო, თუ გადავრჩი,
ისევ მოვალო, – ბოლოს ასე დაუბარა
და წავიდა.

მართლაც, ისევ დაბრუნდა, ოლონდ
ამჯერად ისეთი მისუსტებული, რომ
დაცვას მოჰყავდა:

„– დილაარავ! – ჯმაა ქნა.

– ჰაა-მეთქ,-გავალ კარ.

– წყალ მამ, თქო. წყალ მევეც, წყალ
დალივა, თქო: კააა, – თქო -ამ კაცმა.

– არ მაკომეხარ, ნუ გემნიანყ.

– მაკოც, -თქო. მეთქი: -მე შენზე
არც მიკოცები ამთოხან, არც ჰედიო-
ხუნშ მოსუვარ-მეთქი. არ მინ-მეთქი.

თავი ჯელ აჰნივა, თურმე მე ექ შინ
დიდ საათ, სურათ მაქონდა, ... თურმე-
ნი საათ ყარაშოლლა მოსპარი, ნოსლი
ოგე მამაზალს.“ (ჩემი სურათი მოუპა-
რავს და თავის საათში შეუნახავსო,
ყვება ქალი).

შემდეგ თავი ქალს ჩააბარა – თქვე-
ნებურად გამაპატიოსნეო და მოკვდა.
საყვარელი ქალის სახლში დალია
სული ან გული გაუსკდა, არ ვიცი.

„ჰოვ, ჰოვ, ჩემ ჯელში. აქ მოსდა,
მოკდო... მე ტამსმუზ ჩააცმუარავ...
იგრევ მაღალ კაც ეყოო, ... გალის-
ტუკი, ცილინდრი, აბრაზორნი კაც
ეყო. აგე ღამაზა ჩოვცომ-დოვხური,
ჯელეზ გავაჰნორ ჩონებურა, პირიც
დავბან, მითამ გამიბანი“, – ჰყვება
უბრალო ჰერელი ქალი, რომელმაც
არ კი იცის, რომ გენიალური რომანის
გმირია.

p.s. ერთგან გმლავარი ამბობს,
გულო მქეიაო სხვანაირად,
გულოაო ჩემი სახელი.

გული რა, ჩვეულებრივი არსები-
თი სახელია. კონკრეტული, სავსე-
ბით კონკრეტული, თანაც საზოგადო.
ენაში მისი არსებობა მარტივია, არც
იკუმშება, არც განსაკუთრებულად
იბრუნვის, მრავლობითიც ჩვეულებრი-
ვი აქვს, დიდი არაფერი.



წიგნების კოჭაბიტასია

ავტორი: ნინო ნატროშვილი
ფოტო: მაკა გობალაძე

გთხოვთ, წარმოიდგინოთ ერთი ჰი-ჩოკისებური სიუჟეტი, რომელიც განსაკუთრებით დააფრთხობს მათ, ვისაც ბუკრიდერები და ელექტრონული წიგნები უყვართ:


ვთქვათ, დადგა დღე, როდესაც თქვენს ფაილებს მესხიერებიდან ამოშლიან, ბუკრიდერებს ჩამოგართმევენ, ერთად შეაქუჩებენ და კოცონზე დაწვანებენ; ან თქვენს თვალწინ დალენავებენ. როგორი რეაქცია გექნებათ? ცხადია, გაოგნდებით და ვერც კი დასვამთ კითხვას – ვინ და რატომ უნდა მოიქცეს ასე? ...რატომ და, მაგალითად, იმიტომ, რომ ლიტერატურაში ტექნოლოგიური პროგრესი შეაჩერონ, ან იმიტომ, რომ ნაბეჭდ წიგნებთან

განსაკუთრებული ემოციური კავშირი აქვთ, ან უბრალოდ მერკანტილური მიზნები ამოძრავებთ: იციან, გაჯეტები მათ პროფესიას და შემოსავლებს მოკლავს.

ეს უტოპიური სცენარი ჩემდა უნებურად წარმოვიდგინე მას მერე, რაც ერთ ნაკლებად ცნობილ ისტორიას გადავანყედი ძალიან ცნობილ ქართულ წიგნზე: ისტორიული წყაროების მიხედვით, როდესაც ვახტანგ მეექვსემ 1712 წელს „ვეფხისტყაოსანი“ პირველად დაბეჭდა, წიგნს, თურმე, დევნა დაუწყეს და, დადასტურებული ინფორმაციით, გაანადგურეს კიდევ.

ასე დაიწყო საქართველოში ნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნების თანაცხო-

ვრება. ისტორიულ წყაროებს სწორედ ამ საკითხის შესასწავლად ჩაუუჯექი. პირველი ნაბეჭდი „ვეფხისტყაოსნის“ განადგურების ამბავმა ანტონ კათალიკოსის სახელამდე მიმიყვანა. თუმცა კორნელი კეკელიძე „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომში ერთ-ერთი პირველი ნაბეჭდი წიგნის განადგურებას სხვა ფაქტორით ხსენის: „ვეფხისტყაოსანის“ დროა გადაისინჯოს საკითხი იმ ბრალდების შესახებ, რომელსაც ანტონს უყენებენ, ვითომ მან დაწვა, თუ მტკვარში ჩაყარა 1712 წელს დაბეჭდილი ცალეები „ვეფხისტყაოსნისა“...რომ „ვეფხისტყაოსანს“ სდევნიდნენ, ის რომ შესაძლოა დაწვეს კიდევაც, ეს მოსალოდნელია და




ერაკლე ბეორის სტამბაში, 1784 წელს დაბეჭდილი წიგნი „ქართხუანის“ რომლის ნახაზარი დაბეჭდილია, ნახაზარი კი – გადართილი

დამონებულები არის, მაგრამ რატომ მაინცდამაინც ეს ამბავი ამ დროს, 1712 წელს დაბეჭდილ ცალებს დაემართა და არა ხელნაწერებს მასობრივად? ვფიქრობთ ასეთი რამ მოხდა ეკონომიკურ ნიადაგზე იმ პირთა მიერ, რომელნიც წიგნების, კერძოდ „ვეფხისტყაოსნის“ გადართული ცხოვრების სახსარს პოულობდნენ. დაბეჭდილი წიგნმა მათ ლუკმაპური გამოაცალა. ეს რომ ასეა, დამონებულება თვით 1712 წლის გამოცემის შესავალში, რომელშიც ნათქვამია: „ამ ბეჭდვამ ახლა მის გამო გაცუდნა ყოველნი მჩმახელნი“. ე.ი. წიგნის დაბეჭდვამ ცუდი გახადა, უხმარყო „მჩმახელთა“ ანუ გადართულთა საქმიანობა. ამ შემთხვევაში განმეორდა ის, რასაც ადგილი ჰქონდა ევროპაში, როდესაც მუშები ქარხანა-ფაბრიკებში მანქანებს ანადგურებდნენ. შემდეგ ეს ფაქტი მიანერეს ანტონს შურითა და მტრობით“, – წერს მეცნიერი.

თუკი ევროპაში ნაბეჭდმა წიგნმა ხელნაწერი სწრაფად ჩაანაცვლა და ფეხიც მალე მოიკიდა, საქართველოში ამ პროცესს თითქმის ორი საუკუნე დასჭირდა. ვახტანგ მეექვსის სტამბამ ცოტა ხანს იარსება და სულ 20 დასახელების წიგნი გამოსცა. მოგვიანებით იგი ერეკლე მეორის სტამბამ შეცვალა, რომელიც ახლანდელი სიონის შორიახლოს მდებარეობდა, თუმცა დიდი დღე არც მას ეწერა: ალა-მაჰმად-ხანმა ცნობილი შემოსევისას პირველ რიგში სწორედ სტამბა გაასწორა მიწასთან, რომლის დროსაც განადგურდა წიგნებიც. ამ მოვლენამ საკმაოდ საინტერესო შედეგები მოიტანა: ხელნაწერი წიგნის კულტურა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე შემორჩა, თუმცა არა იმიტომ, რომ ნაბეჭდ წიგნს უარყოფდნენ, პირიქით. კიდევ ერთი „უცნაურობა“ ისაა, რომ იმდროინდელი წიგნები ერთდროულად ნაბეჭდიც იყო და ხელნაწერიც. საქმე ისაა, რომ იმ პერიოდში საქართველოში არსებული რთული პოლიტიკური ვითარება ნაბეჭდი წიგნების ფართოდ გავრცელებას აფერხებდა. წიგნზე არსებულ მოთხოვნას ეკონომიკური სიდუხჭირის გამო იმდროინდელი სტამბები ვერ აკმაყოფილებდა, ამიტომ თავის ფუნქციას ხელნაწერი კვლავ ინარჩუნებდა, თუმცა ქართველისთვის ნაბეჭდი წიგნი ხელნაწერზე არანაკლებ მნიშვნელოვანი, იშვიათი და ძვირფასი იყო. თანაც იმდენად, რომ გადართულს, მაგალითად ნა-

ბეჭდი „ვეფხისტყაოსანი“ ედო წინ და ნაკლებ გვერდებს ხელნაწერით ავსებდა. ამ გზით გადართულები წიგნების მთლიანობის აღდგენას ცდილობდნენ. თუმცა მიუჩვენებელი თვალი იმდროინდელ დაბეჭდილ და გადართულ წიგნებს შორის განსხვავებას დეტალური დაკვირვების შემდეგ თუ გააჩვენებს. აი, მაგალითად, ვახტანგის სტამბაში 1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ეგზემპლარი სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოდან მხოლოდ ფოტოთი რომ მასხოვს, ახლა ხელთ მიპყრია. წიგნი 31 გვერდამდე ხელნაწერია, მერე ნაბეჭდი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ნანა თარგამაძე, რომელიც ახლა სწორედ ამ საკითხის შესწავლითაა დაკავებული, მიხსნის, რომ მსგავსია ყველაფერი: შრიფტიც, განფენაც, მოყვანილობაც, გაფორმებაც, ფურცელიც, ფერიც, აკინძვაც და ყდაც. წიგნს საკეტებიც კი ისეთივე აქვს, როგორც – ხელნაწერს. „როგორც ჩანს, ნაბეჭდი გვერდების ნაწილი დაიკარგა და გადართულმა მე-18 საუკუნეში აღადგინა. აი ესაა თანამშრომლობა. გადართულები ყოველთვის ცდილობდნენ ნაბეჭდის ფორმატის დაცვას. მას იმდენად ენდობიან, რომ დედნის სახით იყენებენ და მასზე დაყრდნობით ქმნიან ხელნაწერს. სხვათა შორის, ბევრ ანდერძში, რომელიც ხელნაწერ წიგნს ახლავს, აღნიშნულია, რომ ის ზუსტად ნაბეჭდი წიგნის მიბაძვითაა გადართული. მაგალითად,



ვახტანგ მთაწმინდის სახანაში 1710 წელს დაბეჭდილი კონდაცი. რომლის დაზიანებულ ფრაგმენტებში. გადამხარის მოხარხარხაულად აპოს ხელნაწერი ჩაპარული

ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნიდან“ 80-მდე პოემაა გადაწერილი“ – მიხსნის ქალბატონი ნანა.

ნაბეჭდმა წიგნმა ხელნაწერისგან სხვა ტრადიციაც „ისესხა“. ესაა ე.წ. ანდერძი, რომელშიც გადამწერი წიგნის ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს აღნიშნავდა: რა წიგნია, სად გადაიწერა, ვისი დაკვეთით და ვის მიერ. ანდერძი ახლავს ძველ ნაბეჭდ ქართულ წიგნსაც, ოღონდ გადამწერის ნაცვლად, ამ შემთხვევაში მესტამბე წერს, თუ ვინ დაბეჭდა, სად დაბეჭდა და ა.შ. ზოგჯერ ხელნაწერი და ბეჭდური წიგნის კოჰაბიტაცია სხვაგვარადაც ვლინდებოდა. მაგალითად, შრომატევადი სამუშაოს გამო გადამწერები ნაბეჭდი წიგნიდან გრავიურებს ჭრიდნენ და ხელნაწერში პირდაპირ ანებებდნენ: „ეს ხომ უდიდესი შრომა იყო, რომელიც სანთლის შუქზე, ზოგჯერ ძუითაც სრულდებოდა. მთელი პროცესია წიგნის მომზადება, ხაზავდნენ, სანთლავდნენ... ათას ბოდიშს იხდიან ანდერძებში მოსალოდნელი შეცოდებების გამო, სულ იხვენებიან: მაპატიეთ, რომ ვაითუ ასო გამომრჩა, შემინდეთ,

დედანიში ასე ეწერა და მეც ასე გადმოვწერე, მშიოდა ან მცოიოდა და შეიძლება კარგად ვერ დავწერეო“, – ამბობს ქალბატონი ნანა და თან 1629 წელს იტალიაში დაბეჭდილ იტალიურ-ქართულ ლექსიკონსაც მათვალისწინებებს.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან არქივში მივიღივარ. „კოჰაბიტაციის“ ეპოქის წიგნები იქაც მეგულემა. ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის დირექტორის მოადგილე ქეთი ასათიანი ვახტანგ მეექვსის სტამბაში 1710 წელს დაბეჭდილ კონდაცს და ერეკლე მეორის სტამბაში, 1784 წელს დაბეჭდილ წიგნს „კურთხევაში“ მიჩვენებს, რომელშიც გადამწერს ისე მოხერხებულად აქვს ჩანებებული ხელით შესრულებული ფრაგმენტი, რომ ფოტოზე ამის გარჩევა ძნელია. ქეთი ასათიანი წიგნების თანაცხოვრების სხვა ასპექტებზეც მიყვება; იმაზე, რომ არსებობს ხელნაწერში ნაბეჭდი წიგნის ფურცლების გამოყენების მაგალითებიც. შემთხვევები, როცა პირიქით, ხელნაწერი წიგნები შეავსეს დაბეჭდილის ფრაგ-

მენტებით, ან ისინი ყდის საცავი ფურცლის სახით გამოიყენეს: „თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ნაბეჭდ წიგნს პატივს არ სცემდნენ და უდიერად ეკურობოდნენ. არის შემთხვევები, როდესაც ასეთ საცავად ეტრავი ან სხვა ხელნაწერები გამოყენებული. პირველად როცა ვნახე, ვიფიქრე, რომ ეს ნაბეჭდი წიგნები არ სჭირდებოდათ, მაგრამ მერე სხვაგვარად აღვიქვი: გადამწერმა უბრალოდ არ დაკარგა ისინი და ჩვენც ეს ფაქტი არავითარ შემთხვევაში უარყოფითად არ უნდა მივიჩნიოთ. დღეს ჩვენთვის შეიძლება ეს ხელნაწერი უფრო ძვირფასია, მაგრამ იმ პერიოდში სანუკვარი სწორედ ნაბეჭდი იყო“, – მიხსნის ქეთი ასათიანი.

წიგნების კოჰაბიტაციის ეპოქის შესწავლა ჯერ კიდევ გრძელდება. ახალი ცნობების გამოვლენამდე კი საქართველოში იგივე პერიოდი დგება – მორიგი კოჰაბიტაციის ხანა – ოღონდ ამჯერად ნაბეჭდ და ელექტორულ წიგნებს შორის. თუმცა ერთიცაა – თანამედროვე კოჰაბიტაცია ალბათ უფრო სწრაფად დასრულდება, ვიდრე – მე-17 – 19 საუკუნეებში.

FM
სენტი
98.0





იდუგალი ხურა

ავტორი მარსიანი
ილუსტრაციის თათია ნაღარაიშვილი

უკვე მესამე დღე იყო, ჩვენი კატა კარდინალი პირს არაფერს აკარებდა და გაუწყნარებლად, შესაბრაღისად კნაოდა – მისი ერთადერთი კნუტი, ნაცარა ლულუ მდღელარ ფისით საგვს ქვაბში ჩავარდა და ჩახრჩო: მუშებს უყურადღებოდ დაეტოვებინათ ქვაბი ეზოში, მაგნოლიის ძირას და დუქანში გაპარულიყვნენ არაყის გადასაკრავად. ეს ფისი საჭირო იყო ძველ, გაუქმებულ წყალსადენის მილში ჩასასხმელად, სადაც ამ ბოლო ხანებში რალაც საეჭვო, ვინ იცის, ეშმაკეულმა არსებებმა დაიდეს ბინა: ლამამობით მილიდან წკნავილ-ჩხავილი, ლუკლუკი, რატრატი ისმოდა და მცირე, შავბნელი მოჩვენებანიც თარეშობდნენ ტრიფოლიატის მაღალ ღობესთან; გადახსნილ წყალსადენის მილს სწორედ აქ დაელო ავბედითად მიწიდან ამოჩრილი ჟანგიანი ხახა; ფისის ჩასხმა ბაბუამ მოიფიქრა – ფისი, გინა კუპრი ეფექტურად მოქმედებსო ეშმაკეულზე. ყველაფერი წარმატებით დამთავრდებოდა, მუშებს რომ დაუდევრობა არ გამოეჩინათ. კნუტი ლულუ, როგორც ჩანს, მაგნოლიის ხეზე იყო აპარული ჩიტების დასაფრთხობად. იგი ადვილად შეიძლებოდა ხიდან ჩამოვარდნილიყო – ძალიან მსუქანი და მოუქნელი გახლდათ, რადგან ერთთავად რძიან ყავასა და კარაქიან ფუნთუშას მიირთმევდა, თანაც ჯერ კიდევ წოვდა ძუძუს – დედამისს, კარდინალს რძე ბლომად ჰქონდა (ლულუს სამი და-ძმა დაბადების მეორე დღესვე გადააყრევინა ბებია მებობლის ბიჭს და მთელი ასპარეზი ლულუს დარჩა).

განრისხებულმა ბაბუამ მუშები ისე გაყარა, ფულიც არ მიუცია, მაგრამ ამით საბრალო ლულუს არა ეშველა რა; ფისში ამოვლებული და დაფუფქული ინვა მწვანე მოლზე, ღიად დარჩენილი თვალები გადმოკარკოდა და ნადირობიდან ახლახან დაბრუნებული კარდინალი შესაბრაღისი ღნავილით გარს უვლიდა და სუნავდა. ნანადირევი – დიდი მწვანე ხვლიკი იქვე ეგდო (ბოლო ხანებში კარდინალი ცდილობდა ნანადირევეზე მიეჩვია თავის ნაშიერი: თავგებს, ჩიტებს, თრითინებსა და ხვლიკებს უზიდავდა ტყიდან, მაგრამ ლულუ მიანცდამინც დიდი ინტერესით არ ეკიდებოდა ამგვარ საკვებს).

ბაბუამ თქვა, კნუტი რომ დავმარხო, მებობლის ძალღები მინც ამოთხრინან, ამიტომ, რაკი მინც ამ ფისის წერა გახდა, ბარემ ფისს ჩავაყოლოთ წყალსადენის მილშიო. ასეც მოვიქცით. მანამდე კი ბებია მათხში ჩაკეტა კარდინალი, რათა მას ეს ამბავი არ ენახა.

და აი, მესამე დღე ღამდებოდა ამ ამბიდან, მგლოვიარე კარდინალი საჭმელს პირს არ აკარებდა და მტირალა ხმით დაკნაოდა შინ თუ გარეთ. ლოყებზე შავ ზოლებად აჩნდა ცრემლების ნაკვალევი.

სალამოს აგრილდა და ბებია მღუმელში ცეცხლი დაანთო. ლუმელისგან მოშორებით ვიჯექი და წიგნს ვკითხულობდი.

კარდინალი შემოვიდა ღია კარში, ოთახის კუთხეში დაწვა უჭმელობითა და დარდით გამხდარ-გალეული, გამუდმებული ტირილით ხმადაკარგული. ჩუმიად, როგორღაც კატისათვის არაბუნებრივ პოზაში ინვა – თავი იატაკზე ედო და თათები შუბლზე შემოეჭდო. ბებია ძროხების მოსანველად გავიდა, ბაბუა შინ არ იყო; წიგნმა ჩამითრია და კარგა ხანს თავი არ ამიღია, სანამ ფაჩუნი არ შემომესმა. ზანტად გავიხედე ლუმელისაკენ და იქ რალაც მოძრაობა შევნიშნე.

„ვირთხა?“ გავოცდი მერე. ლუმელის ქვეშ პატარა ლანდი მოძრაობდა, მერე სინათლეზე გამოვიდა: ნაცრისფერი იყო, ჩუმი და წყნარი. „ნუთუ არ ეშინია?“ გამიკვირდა. ჩემი თუ არა, კატის ხომ მაინც უნდა შეშინებოდა ვირთხას, ასე სასკარაოზე რომ გამოსულიყო და ლუმელის წინ დაწყობილ შემებს სუნავდა. ყურადღებით დავაკვირდი, თვითონაც გამომხედა: რალაც მეუცხოვა, რალაცის გასახსნებლად შუბლი მოვისრისე; თან კატას გავხედე – ისევ შუბლზე თათებზე მოჭდობილი ინვა კუთხეში. „რა ფერის თვალები აქვთ ვირთხებს?“ გავიფიქრე რატომღაც და შეშებთან მოფუთფუთე პატარა ცხოველს გულდასმით დავაკვირდი. მანაც ისეც გამომხედა და – ნაცრისფერი თვალები ჰქონდა, თუ მხედველობამ არ მიმტყუნა. მერე ისიც გამახსენდა, რომ ვირთხებს შავი, მძივებოვით მოციმციმე თვალები აქვთ. ამას კი – ნაცრისფერი თუ მოცისფრო, მშვიდი; თან დრუნჩიც უფრო მოკლე აქვს, სხვანაირი. კუდი? სად არის ვირთხის სლიპინა, ხვლიკისებური გრძელი კუდი? ამას უფრო მოკლე, ბუთქუნა კუდი აქვს, ბენვიც უფრო მაღალი და მოვერცხლისფრო. არ არის ეს ვირთხა. მაგრამ რა არის? თრითინა არაა, არც ზაზუნა ან თრია. ეს რალაც უცნობი ცხოველი უნდა იყოს... ო! ნახტომით არა, სწრაფი, მსუბუქი ნაბიჯებით მიირბინა ჩემმა კატამ, კარდინალმა და უცხო მხეცუნას პირი სტაცა: ახლა ჭყვილი, ფართხალი, ბლული-ფხუკუნი უნდა ამტყდარიყო, მაგრამ მსგავსიც არაფერი მომხდარა: ნაცრისფერი ცხოველი მშვიდად გატრუნულიყო კარდინალის ყბებში, არც კარდინალი იღებდა ხმას, გარინდული იდგა და ფიქრიანი თვალებით დაჰყურებდა ნადავლს. მერე დაწვა, პირი გაუშვა და თათები შემოხვია, ყნოსვა დაუწყო. მხეცუნა გაბუსუნებული იჯდა მის თათებში და მშვიდად აფახულებდა მოცისფრო თვალებს.

მე არ მეგონა, თუ გაბოროტებული კარდინალი იმნამსვე არ დაფლეთდა ამ უცხო ცხოველს.

„თავი დაუჭერია?“ გავიგონე ბებიას ხმა, ძროხები მოენველა და რძით საგვს ვედრო მოჰქონდა: „არ გაგექცეს, შეგლახა, მაგან შემოგაგინა, მაგან შემოგაგინა!“ თავისებურად შეულოცა ბებია და უცებ გაიკვირვა: „ვირთხაა, ბიჭო?“

„არაა ვირთხა“, მტკიცედ ვთქვი მე.

„უყურე, როგორ გაუბრუებია, არც კი გარბის?“ კიდევ გაცდა ბეზია; მას ეგონა, კარდინალი კატური ჩვეულებისამებრ აწვალვდა და ათამაშებდა მსხვერპლს: „მაგან შემოგაგინა!.. ვირთხაა, აბა რა არის ამხელა?“

ამ დროს ბაბუამაც შემოაბიჯა ოთახში.

„შეხედე, ბაბუა, კარდინალი რაღაც ცხოველი დაიჭირა“.

„ოო!“ დინჯად თქვა ბაბუამ და ყურადღებით დახედა ცხოველს.

„რა არის, ბაბუ?“

„ხურა უნდა იყოს“, თქვა მან და დაიხარა, უკეთ რომ დაეთვალისწინებინა. ნაცრისფერი ცხოველი ქვედა ყბაზე ყნოსავდა მდუმარე, სევდიან კარდინალს: „კი, ნამდვილად ხურაა“.

„ხურა რა არის?“ გამიკვირდა მე. ასეთი არაფერი გამეგონა.

„კაცმა არ იცის დანამდვილებით“, თქვა ბაბუამ, „რამე ცალკე სახეობა არც უნდა იყოს. უფრო მგონია, სხვადასხვა ცხოველის ნაჯვარია, მაგალითად, თრითინასი და ვირთხის, ან სიასამურისა და თახვის, ან იქნებ სულაც კატისა და ზაზუნასი“.

„დაიწყო ამან თეორიები“, თქვა ბებიამ და სამზარეულოში გავიდა.

„ისიც ძნელი სათქმელია, მღრღნელების მოდგმას ეკუთვნის თუ მტაცებლებისას“, განაგრძო ბაბუამ. „ხურა ათასში ერთხელ თუ უნახავს ვინმეს და ზოგიერთებს რომ ჰკითხო, ასეთი ცხოველი საერთოდ არ არსებობს. თუ არ არსებობს, ა, ბატონო!“

„რატომ არ შეჭამს კარდინალი?“

„ხმ“, ჩაახველა ბაბუამ, „მგონი, ლულუს მაგიერი იბოვა საწყალმა“.

კატამ თათებში მომწყვდეულ ხურას თავი რბილად დაადო და თვალები მილულა.

ბაღირა



თეა სიჭინავა

„იშვილებს, ვითომ?“

„იშვილა და ეგ არის“.

„ჩემო შვილო, ჩემო ნაცრისფერო შვილო“, გაიფიქრა კატამ.

„კარგია, რომ ხურა გაჩნდა ჩვენს სახლში“, ჩაილაპარაკა ბაბუამ.

„რატომ, ბაბუა?“

„ამბობენ, ბედნიერება მოაქვსო“.

„შენ თუ გინახავს ადრე ხურა?“

„კი, ერთხელ მოვკარი თვალი, შენსავით თორმეტი წლის რომ ვიყავი“, თქვა ბაბუამ.

„მერე, მოგიტანა ბედნიერება?“

„რა მოგახსენო“, უღვაშებში ჩაიცინა ბაბუამ, „ეს კია, იმ წელიწადს ბებიაშენი გავიცანი და მაგის გულისთივს ორ ბიჭს ცხვირ-პირი ამოვუნაყე“.

მე, ჩემდათავად, იმნამსვე ლუსია გამახსენდა, ალბათ, წელსაც ჩამოვა არდადეგებზე თავის ბებიასთან. ორი კვირის წინ არ იყო წერილი რომ მივწერე და „ლუსიას“ მაგივრად „ლულუ“ ვუნოდე? მომწერა, სახელი ძალიან მომწონს და რომელიღაც ჰოროსკოპის მიხედვით კატის წელიწადს ვარ დაბადებულიო.

კატა კარდინალს ეძინა. ხურა მის თათებში გასუსულიყო.

„შვილო, ჩემო ნაცრისფერთვალება, უწყინარო შვილო...“ სიზმარში ამბობდა კატა.

იმ ღამით მოუსვენარი სიზმრები მქონდა. ფისით ამოვსებული წყალსადენის მილიდან ეშმაკები ამოჰქროდნენ გამაგებით და თავს ესხმოდნენ ჩვენს სახლს. კარდინალი მამაცურად გვიცავდა, მუსრს ავლებდა, მთელ-მთელად ყლაპავდა შეტევაზე გადმოსულ ეშმაკებს. შავ-შავი, კუდეკაუჭა, წვრილრქებიანი პატარა ეშმაკები წქანოდნენ, ყყაოდნენ, საცაგელ წითელ თვალებს აელვარებდნენ და სურდათ წვრილი, ბასრი კბილები და ბრწყალები ყელში ჩაესოთ ლუსიასათვის, რომელიც, არ ვიცი საიდან გაჩნდა ჩვენს დარბაზში მდგარ დივანზე: ლუსია მოკუნტული იწვა, მტრედისფერ თვალებში უკიდევანო შიშის ზღვა ჩასდგომოდა; ძუ ვეფხივივით ბრღვინავდა ჩვენი კატა კარდინალი, ეშმაკთა ლეგიონს მედგრად შერკინებულ. ლუსია დროდადრო სუსტი ხმით მეძახდა: „მანუჩარ, მცია! ქვაბს ცეცხლი შეუნთე! ფისი ადულდება, შიგ ჩამაგდე და გავთბები!..“

არაერთხელ გამომეღვიძა იმ ღამით; ვფიქრობდი კატა კარდინალზე, რომელმაც იდუმალი ხურა იშვილა; ვფიქრობდი შორეულ ლუსიაზე, რომელიც ეშმაკებისაგან უნდა დამეფარა, ალბათ, ოდესმე; ჩამეძინებოდა და ისევ გრძელდებოდა შავბნელი სიზმრები. რომელიღაც წამს გამიელვა თავზარდამცემმა ფიქრმა, რომ თვით ცხოვრება იქცეოდა სიზმრად.

დილით კატას დაფუნყე ძებნა (დანოლის წინ ბებიამ გარეთ რომ გააბრძანა და იმანაც თავისი შვილობილი პირით წაილო სადღაც): ვნახე, კიბის ქვეშ იწვა და, ჰოი, საოცრებავ! გვერდით უჩვეულოდ გაზრდილი ხურა ეწვა. ხურამ წყნარი, მტრედისფერი მზერა მომაპყრო. გაოგნებული ვუტრიალებდი გარს: რა მოხდა, ნუთუ ნუხელ თვალში მეპატარავა ეს ცხოველი, თუ მართლა ასე უცებ, ერთ ღამეში გაიზარდა?

ცოტა ხნის შემდეგ მან თავის დედობილს ძუძუს ნოვა

დაუნყო და თემები ყალყზე დამიდგა: ნოვის დროს აშკარად, თვალდათვალ იზრდებოდა, ფუფუნებოდა! სულ რამდენიმე წუთში იმოდენა გაიზარდა, არაფრით ჩამოუყვარდებოდა თავის დედობილს. ჭეშმარიტად სიზმრად იქცა ცხოვრება!

ეს ამბავი ბაბუას ვამცნე. მან წარბები შეიჭმუხნა, ყალიონი გააბოლა და ხურას დასახედად წამომყვა.

„ოჰო!“ თქვა მან. „ამ ტემპით თუ გაიზარდა, მალე სახლში აღარ დაეტყუა“.

„ბაბუ“, ვედრებით მივმართე. „ასეთი რამე ხომ საერთოდ არ ხდება ქვეყანაზე?“

„თუ არ ხდება, ა, ბატონო!“ თითი ხურას უმიზნა ბაბუამ. „შენ იცი, ჰამლეტმა რა უთხრა ჰორაციოს?“

მომდევნო დღეებში მოვლენები შემდეგნაირად წარიმართა:

ხურა მხოლოდ ლამის თეთრმეტსა და დილის შვიდ საათზე ნოვდა ძუძუს და თვალდათვალ იზრდებოდა ნოვის დროს. მალე წარმოუდგენლად დიდი გახდა. ბებიამ ერთი პირობა პანიკაში ჩავარდნა დააპირა, მაგრამ ბაბუამ ჰიპნოზური სეანსის მაგვარი საუბარი ჩაუტარა, დაარწმუნა, რომ ხურას ზრდა ბედნიერების ზრდას ნიშნავდა და ამით დაამშვიდა. მე-ზობლები დიდიან-პატარიანად მოდიოდნენ ჩვენი სახლის ამ ახალი, უჩვეულო ბინადრის სანახავად. ერთხელ, ბავშვებმა ჯოხით ნვალება დაუპირეს ხურას, მაგრამ კარდინალმა საზარელი ღმერთით ისკუპა, ერთ ბიჭს ხელში ჩააფრინდა და ისე დაასისხლიანა, ყველას დაუკარგა სადისტობის სურვილი. ხურა მთელი დღეები იწვა და თვლებში, ან დერეფანში ზანტად დაბობლავდა. აბსოლუტურად უხმო ცხოველი იყო, სუნ-თქვასაც კი ვერ გაიგონებდით მისას. ისე ჩუმად არსებოდა, როგორც მირაჟი. ყოველ დილით ადრიანად წამოვხტებოდი ლოგინიდან, რათა მისი ზრდის პროცესი არ გამომრჩენოდა. არაფერს ჭამდა, მხოლოდ ძუძუს ნოვდა მეთოდურად, დილის შვიდსა და საღამოს თერთმეტზე; ეგ ზომ უწყინარი რომ არ ყოფილიყო, ბებიაჩემი ალბათ ჭკუაზე შეიშლებოდა ამ სასწაულის შემყურე. ბაბუა კი ამბობდა, ეს არის უნიკალური შემთხვევა, როცა ცხოველური ორგანიზმი საკვებ ნივთიერებას არა მარტო ასი პროცენტით ითვისებს, არამედ ამ ნივთიერების რომელიმე შინაგან თვისებასაც საკუთარ თვისებად აქცევსო. მე ვერ გავიგე, ჩემი ვეტერინარ-ფილოსოფოსი ბაბუა რას გულისხმობდა ამ სიტყვებში. მან სცადა გასაგები ენით აეხსნა:

„ხურა მხოლოდ რძეს ლეზულობს, თანაც უმნიშვნელო რაოდენობით. სამაგიეროდ, ეს რძე მას მთლიანად ერგება. ხომ ხედავ, რამდენი დღეა უკვე აქ არის და ექსკრემენტებს არ გამოყოფს“ (აქ ბაბუას მოუხდა სიტყვა „ექსკრემენტიც“ განემარტა); „მაგრამ საქმე მარტო იმაში კი არაა, მისი ორგანიზმი ამ რძეს ასი პროცენტით რომ ითვისებს. ასე მცირე რაოდენობის საკვები მაინც არ იკმარებდა ამგვარი სწრაფი ზრდისთვის. მაგრამ ხურას ორგანიზმი რძის ერთ თვისებას – გაფუფუნების უნარს – საკუთარ თვისებად აქცევს: ნოვის დროს მისი სხეულის უჯრედები წამოდულულ რძესავით ფუფუნებოდა. ხოლო როცა ნოვის პროცესი მთავრდება, გაფუფუნებული უჯრედები საწყის მდგომარეობას კი არ უბრუნდებიან, არამედ ინარჩუნებენ მიღწეულ მოცულობას. ეს უკვე რძის არსის მეტაფიზიკურ ათვისებას მოასწავებს...“ (აქ ბაბუა

მიხვდა, შორს რომ შეტოპა და ისევე სცადა ჩემს დონემდე დაშვება): „...ხო, მეტაფიზიკური... რა არის, იცი? რძე ხომ თავისი უპირველესი დანიშულებით, არსით ზრდის წყაროა. ხოლო ვინც ან რაც იზრდება, მას აღარ შეუძლია დაბაბუარავდეს (ყოველ შემთხვევაში, იოლად არ შეუძლია ეს): წამოდულული რძე ფუფუნება და მოცულობაში თვალნათლივ იმატებს, მაგრამ როგორც კი ტემპერატურა დაიკლებს, რძე ისევე საწყის მოცულობამდე მცირდება. ხურა კი რძისგან (მასაზრობისგან) განსხვავებით ინარჩუნებს თავის გაფუფუნულობას, გაზრდილ მოცულობას, რადგან იგი მზარდი სიცოცხლეა, შეუქცევადად მზარდი... გაიგე რამე?“

„ესე იგი, რძე ზრდის წყაროა, ხურა – ამ წყაროთი გაზრდილი არსება“, მეც მოვინდომე ბაბუასებურად წამეფილოსოფოსა: „ხურა იზრდება მეტაფიზიკური... ამირანივით“.

„კატის გაზრდილი ლომის არაკი გაგიგონია?“ ბაბუა დაფიქრებით გაჰყურებდა სივრცეს.

მაგრამ ჩვენი ხურა, იმ უმადური ლომისგან განსხვავებით, იოტისოდენა მზაკვრობასა და აგრესიას არ ამჟღავნებდა დედობილის მიმართ, თუმცა კი უკვე მართლა ლომისოდენა გახდა. ბედნიერი კარდინალი ეთამაშებოდა, ეალერსებოდა მას, ხან ზურგზე მოახტებოდა, ხან თათებით ყელზე ჩამოეკიდებოდა, ხანაც მის უზარმაზარ თათებს შორის ჩანოლილი თვლებში და ფიქრობდა: „შვილო, ჩემო ნაცრისფერო, გიგანტურო შვილო“. ხურა ზანტად აფახულებდა მტრედისფერ თვლებს, ერთთავად გაბუსუნებული, უხმო და მელანქოლიური იყო. უკვე უჭირდა ვეება პირით კატის ერთი ციციქნა ძუძუს ნოვა. მერე ლუსია ჩამოვიდა არდადეგებზე (მანამდე წერილით შევატყობინე, რაც ჩვენს თავს ხდებოდა). კარდინალი ნებას ვგაძლევდა მე და ლუსიას, მისი შვილობილისთვის თავზე ხელი გადაგვესვა, ან თუნდაც გვეკოცნა. ლუსიას ვეუბნებოდი, „ხომ ხედავ, ლულუ, ბედნიერება იზრდება, მალე სახლში აღარ დაეტყუა-მეთქი“. ერთხელ ბაბუამ მოჰკრა ყური ამ სიტყვებს და გვითხრა, „საწინააღმდეგო ძალებიც იზრდებიან, რათა წინასწორება დამყარდესო“. ამ სიტყვების აზრს მე და ლუსია ვერ მივხვდით, მთელ დღეებს ხურას სიახლოვეს ვატარებდით, მეზობლის ბავშვები შორიდან გვადევენდნენ თვალს შიშნეული მორიდებით. კარდინალი ჩვენ გარდა არავის აკარებდა თავის შვილობილს. ის დროც დადგა, როცა კეთილვინებთ და „საწინააღმდეგო ძალები“ შევამჩნიეთ: ერთ დილით უბნის რწმუნებული გვესტუმრა: „როგორ ბრძანდებით, მანუწარ ბატონო, გავიგე, რალაც ურჩხულს ზრდით ოჯახშიო“, იქედნური თავაზიანობით მიმართა ბაბუას. ბაბუამ უპასუხა, „გელოდით, რწმუნებულო ბატონო, გელოდითო“ და სტუმარი ხურას დასახედად გაიყვანა ეზოში (საიმდროოდ ხურა უკვე იმოდენა გაიზარდა, დერეფანში მართლა აღარ ეტეოდა და ეზოში, ერთ მოშიშვლებულ ადგილას დაიდო ბინა). შეხედა რწმუნებულმა სპილოსავით უშველებელ ნაცრიფერ ხურას, უძრავად რომ გასცქეროდა აღმოსვლეთს და მშვიდ თვალბში მოწმენდილი ცის ანარეკლი ედგა; შეხედა და ქამარზე ჩამოკიდებული რევოლვერის ბუდისაკენ წაუვიდა ხელი. „ღმერთი არ გაგინყრეს, რწმუნებულო ბატონო, ამ კატამ რამე ავი განზრახვა არ შეგამჩნიოსო“, ხმადაბლა გააფრთხილა ბაბუამ: კატა თავის შვილობილს ქეჩოზე

მოჰქცევოდა და იქიდან უბრიალებდა მომხედურს მწვანედ ანაკვერჩხლებულ თვალებს. რწმუნებულმა ძლივს ამოილულ-ლულა, „ა... რას ბრძანებთ, მანუჩარ ბატონოო?“ და უკან-უკან სვლით გავიდა ეზოდან.

კიდევ რამდენიმე დღემ გაიარა. ჩვენს სახლს ფოტოკოორესპონდენტთა ჯარი ეხვია ყოველდღიურად. წესრიგის დამცველები მოზღვავებულ მაცურებლებს წესრიგისკენ მოუწოდებდნენ. მოდიოდნენ ზოოლოგები და ბაბუაჩემის ნატურალისტურ-მეტაფიზიკურ ახსნა-განმარტებებს მოწინებით ისმენდნენ, თვითონაც ცდილობდნენ რალაც მოსაზრებების ჩამოყალიბებას. მოდიოდნენ მაღალი ადმინისტრაციული მოხელენი, უცხოელი ტურისტები, ელჩები, ხელოვანნი; მხატვრები ხატავდნენ, ფოტოგრაფები სურათებს იღებდნენ, კინოოპერატორებმა ფირზე აღბეჭდეს, როგორ მოუქნელად გაჭირვებით წოვდა კატის პანია ძუძუს და როგორ კატასტროფულად იზრდებოდა დიადი ხურა; გადაიღეს ასეთი კადრიც: მე და ლუსიამ ხურას კიბე მივადგიით, ზურგზე მოვექეციით და კატა კარდინალთან ერთად გამოვიფხვიმეთ იქ. გაზეთები, რადიო და ტელევიზია მთელ მსოფლიოს ამცნობდა მაჩაბელთა ოჯახში მოვლენილი სასწაულის შესახებ. ცხოვრება ჭეშმარიტად სიზმარი გახდა და მე, ამ სიზმარში შთანთქმული, ღამლამობით სიზმრის შიგა სიზმრებში კვლავ ერთი ბენო, შავ-შავ, აბეზარ ეშმაკებს ვხედავდი, რომელნიც ჩემს მეგობარ ლულუს თავს ესხმოდნენ და რომელთაც მედგრად ეომებოდა კატა კარდინალი, ჩვენი ბედნიერების მუდმივი მცველი.

მაგრამ ყველაფერს თავის დასასრული აქვს და ეს ამბავიც ხომ უნდა დასრულებულიყო ოდესმე.

კატა კარდინალს ძუძუ გაუშრა. ამაოდ ელამუნებოდა საბრალო ხურა თავისი უზარმაზარი დრუნჩით დედობილის პანია ძუძუებს: რძის ნატამალიც აღარ შერჩენოდა მათ. უშედეგო ცდის შემდეგ ხურამ თავი ანება ძუძუებს, ერთხანს მიწას ყნოსავდა ზანტი მოძრაობით, მერე თავი აიღო და მტრედისფერი თვალები გაუშტერა ამომავალ მზეს: ამ მზერაში და, საერთოდაც, მთელ მის გარინდებულ, დინოზავრისოდენა ფიგურაში ფატალური განწირულობა და თან სტოიკური სიმშვიდე გამოსჭვიოდა.

„ჩემო შვილო, ჩემო გიგანტურ, მშვიერო შვილო“, ფიქრო-

ბდა კატა კარდინალი.

ბაბუას ვკითხე, „რა ვიღონოთ, ძროხის რძე მივეტანოთ თუ მენველი კატა ვუშოვოთ-მეთქი?“ „ვერაფერსაც ვერ ვიღონებთ, ღვთის ნება უნდა აღსრულდესო“, მიპასუხა.

ორიოდ დღემ განვლო. კარდინალი დამნაშავეს თვალებით შესცქეროდა შვილობილს, მორიდებულად ეალერსებოდა. მშვიერი ხურა კი უძრავად იდგა, ქანდაკებასავით, და თვალსაც აღარ ახამხამებდა. მნახველები ძველებურად ირეოდნენ მის გარშემო, ათასგვარ მოსაზრებას გამოთქვამდნენ, განუწყვეტელი გნისაი იდგა ჩვენს ეზოში და მოთმინებადაკარგული ბებია ხატის წინ სანთლებს ანთებდა: „ღმერთო, მოსვენება მაღირსეო“.

რა მოხდება, თუ ასე მშვიერი დიდხანს დარჩა? – აი, კითხვა, რომელიც არ გვასვენებდა იმ დღეებში.

„გაცოფდება“, დაასკვნა ერთხელაც ჩვენმა რწმუნებულმა. ვილაცხებმა ვედროებით რძე მოიტანეს, იქნებ შიმშილმა აიძულოს დაღვევაო და თუმცა ბაბუა დარწმუნებით ამბობდა, არავითარი აზრი მაგას არა აქვსო, მაინც მიგვატანინეს მე და ლუსიას ის ვედროები ხურასთან. ხურა უძრავად იდგა, უსაზღვრო მტრედისფერი ცა უკრიალებდა აღმოსვლეთისაკენ მიპყრობილ მზერაში.

„მართლა ხომ არ გაცოფდება?“ ზოოლოგებსაც შეეპარათ ეჭვი.

ჩვენი რწმუნებული ზოოლოგთა ნათქვამმა უფრო წაათამაშა. მან თავის შეფს რალაც მოსაზრებანი გაუზიარა საიდუმლოდ.

კატა კარდინალი ხურას ფეხებთან დაძრწოდა ნერვიულად. უცებ ის შედგა, თვალები აუნაკვერჩხლდა, ზურგი აებურძგნა და გამაფრთხილებლად დაიფხუკუნა.

მილიციის შეფი ბაბუას მიადგა. რწმუნებულსაც მის გვერდით ცქმუტავდა.

„ამის ასე დატოვება აღარ შეიძლება“, თქვა შეფმა.
„რას აპირებთ?“ განზე გაიხედა ბაბუამ.
„სპეცრაზმები უნდა გამოვიძახოთ“.
„მერე?“
„ან ცოცხალი უნდა წავიყვანოთ...“
„სად?“

„გერმანელებს უნდათ შტელინგენის ზოოპარკისათვის შეიძინონ“.

„გვარაიან თანხას გამოჰკრავთ ხელს, მანუჩარ ბატონო“, ჩაილაპარაკა რწმუნებულმა.

„თქვენი აზრით, შეძლებთ ცოცხლად დაჭერას და წაყვანას?“ თქვა ბაბუამ და ფატალური გამომეტყველება აღებეჭდა სახეზე.

„სპილოებს თუ იჭერენ...“ ჩაერია ერთი ზოოლოგი.
„ჩემს ეზოში ჯერ არც ერთი სპილო არ დაუჭერიათ“, განაცხადა ბაბუამ. „წარმოიდგინეთ, რა დღემი ჩავარდება ჩემი ცოლი ფატი, თქვენ რომ თქვენი ბულდოზერ-ექსკავატორებით და ტროს-ბაგირებით მაგას ჭიდაობა დაუნყოფთ ამ თაიგულივით ეზოში. ფატის ბალ-ბოსტანი ვერ აიტანს ამას, ბატონებო“.

„მამ, რა ვქნათ, ვაცალოთ გაცოფება და ხალხი საფრთხეში ჩავაგდოთ?“ ხმას აუნია მილიციის შეფმა. „თუ ეგ ვარიანტი

ბალერა



თეა სიჭინავა

არ განყოფილ, ერთი გამოსავალია დარჩა...”

„მოკვლა, ხომ?!“ ბაბუას ხმაში წამით ლითონმა დარეკა: „რა იარაღი გაქვთ მანძი?“

„მილიციელებს ავტომატები აქვთ. ერთი ტყვიამფრქვევიც გვიდგას მანქანაში“.

„ესე იგი, საბრძოლო მზადყოფნაში ხართ, არა?“ თვალები გააკვესა ბაბუაჩემმა და უღვაში ლონივრად აიგრიხა.

„დაიცათ, ნუ ავჩქარდებით“, ჩაერია ზოოლოგი, „გერმანელებს გამაბრუნებელი თოფებიც ექნებათ, ან იშოვიან როგორმე. დააძინებენ და ისე წაიყვანენ“.

სწორედ ამ დროს ხურამ დაიქუხა.

თავიდანვე მოგახსენეთ, რომ იგი აბსოლუტურად უხმო ცხოველი იყო, მის სუნთქვასაც კი ვერ გაიგონებდით ვერასოდეს და, წარმოიდგინეთ, ნაბიჯის ხმასაც არ გამოსცემდა, თითქოს მისი სხეული თავისგან წარმოქმნილ ყოველგვარ რხევას ჰაერისას მეყვსეულად შთანთქავსო.

ცა იმ დღეს მოწმენდილი იყო და ეს ქუხილი მართლაც რომ „მოწმენდილ ცაზე მუხის გავარდნას“ ჰგავდა; ბებიამ წამოიკვილა და ბაბუა რომ არ შეშველებოდა, იქვე აპირებდა ჩაკეცვას. ხალხი ნივილ-კვილით მიანყდა უკან, ავტომატია-ნი მილიციელები სხვებზე არანაკლებ მონდომებით გარბოდნენ. ლუსიას ისე მაგრად შემოეხვია ჩემთვის მკლავები, სული მესუთებოდა.


ხურა აღმოსავლეთისაკენ დაიძრა, თან განუწყვეტილ ბუბუნებდა: ზარბაზნების კანონდასავით გაისმოდა ეს სამყაროს ამავსებელი, მონყვეტილი კლდეებისოდენა ბგერები; მონაცრისფრო-ვერცხლისფერ მთასავით იძვროდა დიადი ხურა, თავს დროდადრო აბრუნებდა ჩვენკენ და მთელი უსაზღვროება და უმანკოება მოწმენდილი ცისა კრიალებდა მის უჩინო მზერაში. იმ ეშმაკებით სავსე წყალსადენ მილს მიაღწია, სადაც მდულარე ფისთან ერთად დაინთქა ჩვენი საბრალო პატარა ლულუ: ხურამ ვეება დრუნჩი მიუახლოვა მილს და წუთით ჩაჩუმდა, გაირინდა; ბაბუა გულსწასვლამდე მისულ ბებიას ჰიპნოზური სიტყვებით ამშვიდებდა, ლუსია ისევე მე მეკვროდა აკანკალებული.

მერე ხურამ იმ მილში შესვლა იწყო... ისევე გაისმა მისი ხმა, ამჯერად შორეული გუგუნი, გვირაბის ექოთი უსაზღვროდ გაგრძელებული; თითქოს უცნაურ კინოკადრს ვუყურებდი: უზარმაზარი ხურა ისე შედიოდა იმ მილში, როგორც ფართო გვირაბში, არადა მილს სულ რაღაც ნახევარმეტრიანი დიამეტრი ჰქონდა: ჩემი ხედვის არეში ეს სურათი სადღაც ძალიან შორს ჩანდა, შორეულდებოდა ექოს გუგუნი, კრიალებდა მაღალი ზეცა, მოდიოდა შუადღე; მერე ხურა მთლიანად შეიმაღლა მილის სიბნელეში, გუგუნიც მიიღია, კატა კარდინალი კი მილთან წრიალებდა და შესაბრალისად კნაოდა.

„ჩემო შვილო, ჩემო დაკარგული შვილო...“ ამგვარი იყო კატის ფიქრი.

წლების შემდეგ, როცა კატა კარდინალი ამქვეყნად უკვე აღარ იყო, მე და ჩემმა ცოლმა ლულუმ (ლუსიას ეს სახელი შერჩა საბოლოოდ) გერმანიაში ვიმოგზაურეთ და შტელინგენის ზოოპარკში ხურას ნატურალური ზომის ქანდაკება ვიხილეთ. ქვის პოსტამენტზე ამოკვეთილი იყო წარწერა:

CHURA. EIN TRAUM AUS GEORGIEN



ტოკ-შოუ

ლიბერალი



სსსი
შოკიდანი
98.5 FM

ყოველ სამუშაო დღეს
საღამოს 7 საათზე

რადიო „ცხელი შოკოლადის“ ეთერში

www.facebook.com/TalkShowLiberali



ბექა ახალაია
პოეტი

ბექა რამდენიმე წელია, რაც ინტერნეტ სივრცეში აქტიურად აქვეყნებს ლექსებს. ჰქონდა რამდენიმე პუბლიკაცია და მკითხველთა გარკვეული ნაწილი მას კარგად იცნობს. მიმართავს სხვადასხვა სალექსო ფორმას და არც ექსპერიმენტებს უფრთხის. აქ წარმოდგენილ ლექსებსაც უჩვეულო ფორმა აქვთ. მაგ., სიტყვის გადატანა, რომელიც ნოვაცია არაა, მაგრამ აქ არ ემორჩილება მართლწერის წესებს. თავად ბექა ამბობს, რომ მისი ასეთი თამამი მიდგომა ერთგვარი პროტესტია პოეზიისადმი მიმართული ჩარჩოებისა და „წარმართობასავით შემორჩენილი იმ აზრის წინააღმდეგ, რომ თავისუფალი ლექსი, თითქოს, პოეზია არ არის“ (ბ. ა.). რაც შეეხება კონვენციურ ლექსებს და ციკლს „ტრამვაი სახელად“ - ავტორის თქმით, ქართულ პოეზიაში ბესიკურ თოთხმეტმარცვლიანზე დიდი მოთხოვნის და ამ საზომით დაწერილი თუ თარგმნილი ბევრი ბრწყინვალე ლექსის მიუხედავად, ბესიკისეული ტაქების კანონიკური შენაცვლება უნიკალურია თავისი ეფფონიით; ამიტომაც, ის ცდილობს ბესიკურის აღდგენას შიდა რითმების გარეშე და ოდნავ სახემეცვლილი ფორმით.

დანარჩენს, საკუთარ თავსა და მისთვის მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ დეტალებზე თავად ავტორი გვიამბობს:

„დავიბადე ჩხორონწყუს რაიონში, 1986 წლის 9 იანვარს. პოლიტიკური ქართველებისადმი ბავშვური თვალის მიდევნების მერე, იქვე შემიყვანეს სკოლაში. ცხრაკლასდამთავრებულის ატესტატით ჩამოვედი თბილისში და სწავლა გავაგრძელე სოხუმის უნივერსიტეტში, პოლიტოლოგიის ფაკულტეტზე... ბავშვობის მოგონებებიდან, რაც ყველაზე თბილად მახსენდება, ეს არის ქვედაჩხორონწყუს მტვრიანი ბიბლიოთეკა... მყავს მეუღლე და მალე გვეყოლება პატარა გოგონა, რომელსაც ტიდას დავარქმევთ... ვწერ ბავშვობიდან და, საკუთრივ ლექსების გარდა, თავგამოდებით ვეძებ პოეზიას პროზაში, კინოში, მუსიკაში, ფერწერაში, ქართულ ფრესკაზე – ყველგან, სადაც, იმედი მაქვს, რომ ვიპოვნი“.

ნეშტები

ჩემო მიცვალებულებო, ბავშვობაში ჩემგან საით-თაოდ, ან წყვილად, მიყოლებით რომ მიდიოდით, – მე ყველას დასანახად ვტიროდი, მერე, ყოყლოჩინობის ასაკში მრცხვენოდა სხვებთან ტირილის, მაგრამ ჩუმად მაინც ვღვრიდი ცრემლებს, ახლა კი, აგერ, რამდენი წელია, ტირილს ველარ ვახერხებ, ვცდილობ, მაგრამ ამაოდ, თუმცა, ვგრძნ-

ობ, რომ გლოვით ვივსები და ერთ დღესაც, თქვენთვის მომზადებულ სიმბოლურ მინაყრილთან ჩამოვვდები და მთელი გულით გამოგიტირებთ. თქვენც ხომ ეს გინდათ?! აბა, რატომ მესიზმრებთ ხოლმე ერთად შეკრებილები, მღუმარენი?! მე სიზმარშივე ვხვდები, რომ ეს სიზმარია და სევდა-შეპარული გიყურებთ ძილის ფსკერზე ჩაცვენილი

თვალებით... მე ვერ შევძელი სიკვდილი – ვცდილობ სიცოცხლეს, მე ვერ შევძელი ქმრობა – ვცდილობ შეყვარებულობას, მე ვერ შევძელი მამობა – ვცდილობ შვილობას, მე ვერ შევძელი...

სიკვდილი დიდია – დედამინისხელა, ჩვენ – ცოცხლებს მისი გვეშინია, სიდიდის შიშით საესე გულელებში ზიზლისთვის არ რჩება ადგილი, ამიტომაც – „სპილენძს“ გვეზიზლება, „ანაკონდა“ კი შიშს გვგვრის... ჩემო მიცვალებულებო, ამ ნაწერში მოგიყარეთ თავი, ეს გადატეხილი სტრიქონები თქვენი ძვლებია და მე დღეიდან, ინდიელივით,

სადაც წავალ, ჩემი მკვდრების ნეშტებს ხურჯინით თან ვატარებ!

სიკომორი

ის გაღმა ნაპირზე დგას, მე გამოღმა. მე ის მიყვარს და ვგრძნობ, მასაც უყვარვარ. მე მისი სახელიც არ ვიცი, არც მან იცის ჩემი. ამ სამიოდ წლის წინ, პირველივე ნახვით შემიყვარდა, როცა გაღმა, მაღლობზე მდგარ სამჭედლოს, უჩვეულოდ ადიდებულმა მდინარემ, ძირი გამოურეცხა და წაიღო. თურმე, შენობის ჩრდილში ცხოვრობდა, ჩუმად, თავისთვის. შევხედე ტანმორჩილს,

მცივანას, მზესდანატრებულს და ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი ბედნიერება, ტოტი დაუქუნიე, მანაც დამიქნია მოკრძალებით, გაკვირვებულმა და გახარებულმა. ვცდილობ, დაველაპარაკო, მაგრამ, მდინარის შხული ახშობს ჩემს ხმას. მე, ყოველ დილით საშინელ ხასიათზე ვარ, ის ყოველ დილით იღიმება, არც დალაპარაკებას ცდილობს, უბრალოდ მიყურებს და იღიმება. მზერ-

ას ბონდის ხიდზე გადავატარებ ხოლმე, რომ მშრალი თვალებით შევხედო და უკეთ გავარჩიო მისი სხეულის ნაკვთები... ღმერთო! სხვებისგან განსხვავებით, მე არ მგონიხარ ღრუბელზე ამოსული, დაგრეხილფესვე-

ბიანი და დაკოჟრილი, უზარმაზარი
მუხა, რომელიც
ჩვენთვის არაფერს აკეთებს. მე მჯერა
შენი. დედა მო-
მიყვამ შენზე, სანამ მოჭრიდნენ, ალბათ
გული უგრძნ-

ობდა. მომიყვამ, რომ არსებობენ
უნაყოფო, წმინდა ხე-
ები და არსებობენ ხეები, რომლებიც
ნაყოფს შეგნებუ-
ლად არ ისხამენ და ეს სიძუნღე ხეების
ერთადერთი ც-
ოდვაა... როცა სიძუნღემ მოიცვა
ცისქვეშეთი, შენ მო-
ვლინე ძე შენი, ხეების ცოდვათა
გამოსასხსნელად. ად-
ამიანებმა მისგან დაამზადეს ჯვარი,
რომელზეც თავი-
ანთი ღვთის ძე აცვეს თავიანთი
ცოდვების გამოსასხს-
ნელად და აღსრულდა
წინასწარმეტყველება
და მიეტევათ ადამი-
ანებს ცოდვები და მ-
იეტევათ ხეებს ცოდ-
ვები წინასწარმეტყვე-
ვლების აღსრულება-
ში შეტანილი წვლი-
ლისთვის და დადა-
სტურდა ერთობა შე-
ნსა და ადამიანების
ღმერთს შორის... სითამამისთვის,
შენგან სასტიკად და-
სჯილებიც მახსოვს, მიუხედავად იმისა,
რომ ისინი ცა-
მდე მართლები იყვნენ, ხოლო შენ, -
მინამდე მტყუყანი, -
მაინც მჯერა შენი. მოახდინე
სასწაული, გადამრგე ვალმა
ნაპირზე!

აი, ბონდის ხიდი, კეთილმა ადამიანებმა
რომ დასწერეს
გამიჯნურებულ ნაპირებს. ჩვენ რას
დაგვწერენ?

სიზმარი
(რკალიდან „ვარიაციები
ფოლკლორულ თემებზე“)

- წუხელის ვნახე უცნაური ერთი
სიზმარი,
დე, ნეტავ რაო?
წუხელის ვნახე უცნაური ერთი
სიზმარი:
ნაქცეულიყო ჩვენი ალვის ხე.
- შენი ტანია, ჩემო ბიჭო, სწორედ ის

არი,
ვაჰ, შენს დედასა!
შენი ტანია, ჩემო ბიჭო, სწორედ ის არი.
ყოველად ძლიერო ღმერთო დაგვიხსენ!

- წუხელის ვნახე უცნაური ერთი
სიზმარი,
დე, ნეტავ რაო?
წუხელის ვნახე უცნაური ერთი
სიზმარი:
ჩამომტყვეოდა ალვას ცოტები.
- ეგ მკლავებია, ჩემო ბიჭო, ეს რა
მითხარი,
ვაჰ, შენს დედასა!
ეგ მკლავებია, ჩემო ბიჭო, ეს რა
მითხარი,
ამბავი გულზე ცეხლის მომღებო.

- წუხელის ვნახე უცნაური ერთი
სიზმარი,
დე, ნეტავ რაო?
წუხელის ვნახე უცნაური ერთი
სიზმარი:
ჩვენს ვაზს ფურცლები ისე ცვიოდა...
- ეგ ქოჩორია, ჩემო ბიჭო, სწორედ ის
არი,
ვაჰ, შენს დედასა!
ეგ ქოჩორია, ჩემო ბიჭო, სწორედ ის
არი,
ალბათ გიხმობენ საიქიოდან...

- წუხელის ვნახე უცნაური ერთი
სიზმარი,
დე, ნეტავ რაო?
წუხელის ვნახე უცნაური ერთი
სიზმარი:
მოაცურებდა წყალი კიდობანს.
- შენი კუბოა, ჩემო ბიჭო, სწორედ ის
არი,
ვაჰ, შენს დედასა!
შენი კუბოა, ჩემო ბიჭო, სწორედ ის
არი.
შენი ცოლ-შვილის ხილვა მინდოდა...

- წუხელის ვნახე უცნაური ერთი
სიზმარი,
დე, ნეტავ რაო?
წუხელის ვნახე უცნაური ერთი
სიზმარი:
ბლაოდა, ახლოს, ტყეში ირემი.
- მამაშენია, ჩემო ბიჭო, სწორედ ის
არი,
ვაჰ, შენს მამასა,
მამაშენია, ჩემო ბიჭო, სწორედ ის არი,
როგორ მეგონა დაიტყირებდი...

- წუხელის ვნახე უცნაური ერთი
სიზმარი,

დე, ნეტავ რაო?
წუხელის ვნახე უცნაური ერთი
სიზმარი:
ძროხის მღავილი გასწვდა საძოვარს.
- დედაშენია, ჩემო ბიჭო, სწორედ ის
არი,
დედა სამინე,
დედაშენია, ჩემო ბიჭო, სწორედ ის არი,
რძე უკვდავების ვინც ვერ განოვა!

ტრამპანი სახელად „ცრემლი“
ის(12) ინვა ზურგზე და თავისთვის
ჩუმად ტიროდა,
წინასწარმეტყველებდა ზღვის ხმაური
სანაპიროდან,
სადაც უღვევი ირეოდა ხალხი კვირა
ღღეს.
წინ იყო მთელი შემოდგომა ზამთრის
პირამდე.
ის(12) ინვა ზურგზე და თავისთვის
ჩუმად ტიროდა.

და ეს დარდის და მწუხარების არ იყო
ცრემლი,
არც სისხარულის, არც აპრილში ატმის
და ტყემლის
სურნელისაგან მოწოლილი, არ იყო
ცემით
გამონადენი, არც სიგიჟის არ იყო
ცრემლი.
წინასწარმეტყველებდა ზღვის ხმაური
სანაპიროდან.

სულ ცოტა ხნის წინ ის(2) მოვიდა,
მანქანა სახლთან
შემოაყენა, გადმოვიდა (ლაიკაც
ახლდა),
ის(12) ჩრდილში იჯდა, უცქეროდა,
პროდუქტის გარდა
მან(2) ყვავილებიც მოიტანა, აუვსო
კალთა
(ხალხი უღვევი ირეოდა ყოველ კვირა
ღღეს).

ის(12) ზურგზე განვა, ის(2) კი ხელებს
უსვამდა ნაზად
მის(12) უსაშველოდ(მთელი რვა თვით)
გაბერილ მუცელს,
მან(2) თქვა: „ეს კმარა, ბედნიერი რომ
იყოს კაცი“,
მას(12) კი, რატომღაც, აუვარდა
ტირილი უცებ...
წინ იყო მთელი შემოდგომა ზამთრის
პირამდე.

ის(12) ინვა ზურგზე და თავისთვის
ჩუმად ტიროდა.

ვინ ჰყვარებია ფიროსმანს და ვის უყვარს ფიროსმანი

გიორგი ლოხანიძე



„ეს მე ვარ – ფიროსმანი“
შორენა ლებანიძე
გამომცემლობა: „არტანუჯი“
2012

ბიოგრაფიული რომანი, ალბათ, მწერლობის ერთ-ერთი ყველაზე რთული ჟანრია, რადგან ავტორს უამრავი შემოქმედებითი პლასტის გამოყენება უნევს და ეს პლასტები ისე უნდა გადადიოდეს ერთმანეთში, რომ მკითხველს სიყალბის განცდა არ შეუქმნას. ამისათვის ავტორი თავის თავში უნდა აერთიანებდეს როგორც ბელეტრისტიკის, ასევე მეცნიერის საუკეთესო თვისებებს და, რაც მთავარია, კარგად იცოდეს არა მხოლოდ რომანის პერსონაჟის ცხოვრების უწვრილესი დეტალები, არამედ, ზოგადად, პერსონაჟის საცხოვრებელი გარემოს, ეპოქის, იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი რეალია.

არ ვიცი, ამ მიზეზის თუ კიდევ სხვა რამ მიზეზთა გამოა, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული მწერლობა თითქმის მე-20 საუკუნის მეორე

ნახევრამდე ბიოგრაფიული რომანების სიუხვით დიდად ვერ დაიკვებინდა. საგანგებოდ არ მიკვლევია, მაგრამ, როგორც დაინტერესებულ მკითხველს, ცოტა ადრეული პერიოდებიდან ამ ჟანრის სულ რამდენიმე ნიმუში (ვთქვათ, კონსტანტინე გამსახურდიას „გიოტეს ცხოვრების რომანი“ და ნიკა აგიაშვილის „სერვანტესი“) მახსენდება.

რა თქმა უნდა, მახსოვს, რომ მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან, ერთ-ერთი რუსული გამოცემის ანალოგიით, გამომცემლობა „ნაკადულში“ არსებობდა სერია „გამორჩენილ ადამიანთა ცხოვრება“, სადაც მრავალი საინტერესო ბიოგრაფიული ნარკვევი დაიბეჭდა. მაგრამ ნარკვევი და არა – რომანი, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ცხოვრებისეული ფაქტების მშრალი აღწერისგან.

სხვათა შორის, სწორედ ხსენებული სერიით გამოიცა ქართული ბიოგრაფიული რომანის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუში – ოთარ ჩხეიძის „ვასილ ბარნოვი“, რომელიც, ჩემი აზრით, ამ ჟანრის შედევრია. დღეს კი თუ ვინმე შეიძლება ბიოგრაფიული რომანის ნამდვილ ოსტატად მივიჩნიოთ, როსტომ ჩხეიძეა, რომელმაც მე-19-20 საუკუნეების გამორჩეულ ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ერთმანეთზე საუკეთესო მხატვრული პორტრეტები დაახვავა და, ფაქტობრივად, განსაზღვრა ბიოგრაფიული რომანის, როგორც ჟანრის, განვითარების მთელი პერსპექტივა.

აქვე საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ნაირა გელაშვილის უბრწყინვალესი რომანები გერმანულ მწერალთა ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მისი „ზრდის ბედნიერება, ანუ პაულა მოდერზონ-ბეკერი, მხატვარი“,

„ელზე ლასკერ შულერი“, „ჰიოლდერლინი“, „ნოვალისი“...

შესავალი საკმარისად გამიგრძელდა, მაგრამ მინდა, კიდევ ერთ საკითხს საგანგებოდ შევეხო. კერძოდ იმას, რომ ქართულ ლიტერატურაში ფიროსმანის ცხოვრებით დაინტერესება ახალი არ არის. ამ 20 წლის წინათ ფიროსმანს ბიოგრაფიული ნარკვევი მიუძღვნა მამია ჩორგოლაშვილმა, სულ ახლახან კი „კავკასიურ სახლში“ გამოიცა თვითონაც შესანიშნავი მხატვრის, თემო ჯაფარიძის ძალზე ღრმა, ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ვრცელი ესე ნიკო ფიროსმანზე – „ნახატის სიჩუმე“, რომელშიც თემო ჯაფარიძე ფიროსმანის სამყაროს სანდო მეგზურად და ინტერპრეტატორად მოგვევლინა. სამწუხაროდ, როგორც საქართველოში ხშირად ხდება, ამ წიგნის გამოცემამაც თითქმის შეუმჩნეველად ჩაიარა.

სხვა რომელიმე ავტორის წიგნი მეც თუ გამომჩნა, ბოდიშს ვიხდი, რადგან ამ წერილის მიზანი სრულეებითაც არ არის ან ფიროსმანზე დაწერილი ნაშრომების, ან, მით უმეტეს, ქართული ბიოგრაფიული რომანის განვითარების ტენდენციათა კვლევა. უბრალოდ, ძალზე მოკლედ მინდოდა, გამომეკვეტა იმ ამოცანის მთელი სირთულე, რასაც ჩვენი საანალიზო წიგნის „ეს მე ვარ – ფიროსმანი“ ავტორი, შორენა ლებანიძე შეეჭიდა.

მკითხველი, რომელიც თაროზე შემოდებულ წიგნს დაინახავს, რომელსაც ყდაზე სათაურად „ეს მე ვარ – ფიროსმანი“ აწერია, შესაძლოა წინდანინვე სკეპტიკურად განეწყოს და ყურადღება აღარც იმას მიაქციოს, რომ წიგნის ავტორი – შორენა ლებანიძე – დღევანდელი ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთი გამორჩეული სახელია.

ამ დაქვეყნების საფუძველი კი, ალბათ, იქნება, რადგან საქმეში გარკვეულ ადამიანს კარგად მოეხსენება, რომ იყო კარგი ჟურნალისტი, სრულებითაც არ გულისხმობს იმას, რომ ასეთივე კარგი მწერალი ხარ და მით უფრო, ურთულესი ჟანრის, ბიოგრაფიული რომანის, დაძლევა არ გაგიჭირდება. ჟურნალისტების კარგ მწერლებად გარდასახვის მაგალითები არსებობს, მაგრამ უფრო მეტია პრეცედენტი, როცა ასეთი გარდასახვა წარუმატებლად დამთავრებულა.

სიხარულით მინდა ვთქვა, რომ პირადად მე ეს ეჭვი შორენა ლებანიძის წიგნის პირველივე გვერდებიდან გამიქარწყლდა.

დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ქართული ჟურნალისტიკის ენა უკიდურესად გაღარიბდა, სხვა ენებიდან მოძალებული კლიშეებით გაივსო. ამ ფონზე სასიამოვნოდ გამაოცა შორენა ლებანიძის „ეს მე ვარ – ფიროსმანი“ ქართულმა. მერწმუნეთ, ასეთ ენას დღეს უკვე ხშირად ვეღარ ნაანყდებით.

აქვე მინდა დავაზუსტო, რომ ენის გაღარიბების საპირწონედ არცთუ იშვიათად გამოყენებული ფრაზა „ძარღვიანი ქართული“ უკიდურესად მაღიზიანებს, რადგან ის, უმთავრესად, არამიზნობრივად დახვავებული არქაიზმების, დიალექტიზმებისა და ქუჩური მეტყველების ერთმანეთში ალუფხულ და გაურკვეველ სიმბიოზს გულისხმობს. ამ „ძარღვიანი ქართულს“ ხშირად დასდევს კონსტანტინე გამსახურდიას უნიჭო მიბაძვით გადმომღერებული პათეტიკა და მაღალფარდოვნება. სიმართლე რომ ვთქვათ, მთელი ეს „ჩიჟი უყვარდაო, დედისიმედს, ბიჟი“ კიდევ უფრო აუტანელია, ვიდრე ტელევიზიით გაგონილი „მოვახდინე გასროლა“, ანდა „ვპატროვლირებდი საკუთარ კვადრატში“...

ამიტომაც ჩემ მიერ საგანგებოდ აღნიშნული „კარგი ქართული“ რაღაც გაურკვეველ „ძარღვებს“ კი არა, ლექსიკისა და სტილის ისეთ უფაქიზეს შეგრძნებას გულისხმობს, როცა ყველა სიტყვა კონოტაციის,

გარემოს, ემოციური და ინტონაციური ველის შესატყვისად არის ჩართული მხატვრული სტილისტიკის ერთიან ქსოვილში.

შორენა ლებანიძის „ეს მე ვარ – ფიროსმანი“ ზემოთქმულის საუკეთესო ნიმუშია. ისეთი შეგრძნება გრჩება, რომ თხრობის ერთიან კალაპოტს ზუსტად საჭირო დროსა და საჭირო ადგილას უერთდება უამრავი წვრილ-წვრილი შენაკადი და ეს შენაკადები, საბოლოოდ, სათქმელის დიდ მდინარედ ყალიბდება, რომელიც მკითხველს ნაფოტივით ატივტივებს თავის ტალღებსა და მორევებს.

საგანგებოდ აღსანიშნავია ის პროფესიული დეტალიც, რაც მწერლისაგან დიდ გამოცდილებას მოითხოვს და რის წინაშეც ხშირად უძღუნნი არიან ხოლმე ძალზე გამოცდილი ლიტერატორებიც. ეს არის რიტმის რეგულაციის საკითხი, ურომლისოდაც ფონს ვერ გავა ვერცერთი ხელოვანი. თუ მუსიკაში რიტმიდან ამოვარდნა, მუსიკალური ტაქტის რღვევა აშკარად საგრძნობია, მწერლობაში ამის მიხედვრა უფრო დახვეწილ სმენას საჭიროებს.

შორენა ლებანიძის „ეს მე ვარ – ფიროსმანი“ კი განსაკუთრებულია ამ თვალსაზრისითაც. წიგნი რიტმული შენაკადების გემოვნებიანი შეხამების, ობერტონებისა და ძირითადი ტონის დახვეწილი ურთიერთმიმართების საუკეთესო ნიმუშია.

იგივე პროფესიონალიზმი ჩანს ფაბულის აგების შემთხვევაშიც. წიგნი, ძირითადად, ერთ – ფიროსმანისა და მისი მეგობრის ცოლის რთულ სასიყვარულო ამბავს გვიყვება. ეს არის თხზულების ღერძი, რომელზეც ოსტატურად ებმება სხვა უამრავი, ერთი შეხედვით, არამთავარი და მეორეული ნარატივი.

შორენა ლებანიძემ ზუსტად იცის, სად განწყვიტოს მთავარი ამბის თხრობა, სად შემოიტანოს მეორეული ელემენტი ისე, რომ მკითხველის ყურადღება მთავარი ამბიდან კი არ გაფანტოს, არამედ კიდევ უფრო გამძაფროს ინტერესს. ამ მხრივ, ლებანიძის „ეს მე ვარ – ფიროსმანი“

ნამდვილ დეტექტივს ემსგავსება, უფრო სწორად, აქვს დეტექტივისათვის დამახასიათებელი ის ნიშანი, როცა ფაბულის განვითარების რამდენიმე შესაძლებლობიდან მხოლოდ წიგნის ბოლოს ირკვევა, „ვინ არის მკვლეელი სინამდვილეში“.

სინამდვილეში, წიგნის დასრულებისას ხვდები, რომ ეს მთავარი ამბავი და ინტრიგა მხოლოდ სატყუარაა, წიგნის მიზანი კი იმ შთაბეჭდილების, ცოდნის, გააზრებების მარჯვე სისტემატიზაციაა, რაც ავტორმა, როგორც ჟურნალისტმა, ფიროსმანის თემაზე მუშაობისას მიიღო.

წიგნიდან ძალიან კარგად ჩანს, როგორ იქცა შორენა ლებანიძისათვის ფიროსმანის ცხოვრება და შემოქმედება ერთი საგაზეთო წერილის თემიდან ბიოგრაფიული რომანის მასალად, რამდენ ადამიანს შეხვდა, რამდენ საკითხს ჩაუღრმავდა, სანამ ამ რომანამდე მივიდოდა.

სხვათა შორის, არც ის არის პატარა ამბავი, რომ ყველა ამ ადამიანისათვის ფიროსმანის შემოქმედების ექსპერტის მოსაზრებები ავტორს ძალზე კეთილსინდისიერად, ამ ადამიანთა პიროვნული და შემოქმედებითი უფლებების სრული დაცვით აქვს წიგნში მოყვანილი.

ერთი მხრივ, ექსპერტთა ამ მოსაზრებების დემონსტრირების, მეორე მხრივ კი, ფიროსმანის შემოქმედებისადმი თვითონ შორენა ლებანიძის ემოციური და სიღრმისეული დამოკიდებულებების გამო, წიგნი არამხოლოდ საინტერესო და დამინტრიგებელი ცხოვრების რომანი, არამედ მხატვრის შემოქმედების მარჯვე გასაღებიც გამოვიდა და მისი ნაკითხვა, სიამოვნებასთან ერთად, მკითხველს ფიროსმანის გააზრების, ან ხელახალი ჩაღრმავების სურვილსაც ალუძრავს.

შორენა ლებანიძის წიგნი – ეს არის თითქოს უკვე ნაცნობი, მაგრამ, ამავე დროს, სრულიად უცნობი ფიროსმანიც.

და იმედს ვიტოვებ, რომ ეს წიგნი მაინც არ ჩაივლის ისე შეუმჩნევლად, როგორც თემო ჯაფარიძის „ნახატის სიჩუმემ“ ჩაიარა...

„ჩაიკა“ სახელად ელისაბედი

ლაიოთ ბაბუნია



„ვინ მოკლა ჩაიკა“
ანა კორძაია-სამადაშვილი
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
2013

სათაური: „ვინ მოკლა ჩაიკა“ – არა, ეს არ არის თოლია (ძერა – მით უმეტეს). „ჩაიკა“ სლენგზე გეგების განუყრელ მეგობარ ქალს ნიშნავს.

ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი, ეს მისი ახალი რომანია.

მოცულობა: დაახლოებით 160 გვერდი.

ყდა: რბილი და გადასარევი.

მოკლე შეფასება ზარმაცი მკითხველისთვის: თუ ეს მწერალი გიყვართ, უჩემოდაც წაიკითხავთ ამ წიგნს და ისიამოვნებთ, თუ არ გიყვართ, აუცილებლად წაიკითხეთ მაინც, რადგან ეს მისი საუკეთესო წიგნია და დიდად სავარაუდოა, მოგეწონებათ.

ჟანრი: დეტექტივი – საიდუმლოებით მოცული მკვლელობით, რომლის გახსნასაც დიდი წვალების ფასად ცდილობს გამომძიებელი, არადა, მკვლელის ვინაობა ყველა დანარ-

ჩენმა გმირმა იცის. რა თქმა უნდა, ჟანრის კანონებს არ დავარღვევ და სიუჟეტს არ მოგიყვებით, წიგნი თავად უნდა წაიკითხოთ – ასე რომ, შევეცდები, სიუჟეტის გამოკლებით გადმოგცეთ შთაბეჭდილებები.

ანა კორძაია-სამადაშვილი (იგივე ა.კ.ს.) ჯერ კიდევ სოფიო კირვალაძეობის (ფსევდონიმი ჰქონდა სულ თავიდან ასეთი) დროიდან მოექცა ყურადღების ცენტრში – რაც უნდა დაწეროს, მომწონებლებსაც და დამწუნებლებსაც თანაბრად აინტერესებს. საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, ანა ძალიან ცოტას წერს. საბედნიეროდ იმიტომ, რომ მის იშვიათ ნაწერებში რიტმი ყოველთვის სწრაფია, თხრობა აჩქარებული და დამუხტული, ბევრი წვრილმანი თუ დეტალი ერთად მოქცეული – ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, დინამიკური. სამწუხაროდ კი იმიტომ, რომ მისი ტექსტები ერთბაშად, სწრაფადვე შემოგეკითხება და ელოდვ შემდეგს კიდევ 2-3 წელიწადს.

ახალი წიგნიც არაა ამ მხრივ გამონაკლისი, ვეჭვობ, ხელიდან გაშვება მოახერხოთ, სანამ არ გაიგებთ, ვინ მოკლა ჩაიკა სახელად ელისაბედი, იგივე ელისო ან ელო. რა თქმა უნდა, ეჭვი მის უახლოეს მეგობარსა და თანამაცხოვრებელზეა – ყოველ შემთხვევაში, გამომძიებელი ასე ფიქრობს და თანაც, მეგობარს მოტივი აქვს – ელისაბედმა მთელი ქონება მას დაუტოვა მემკვიდრეობით. მიდი და ამტკიცე საკუთარი უდანაშაულობა, მაგრამ სანდრო (ასე ქვია ელოს გეი მეგობარს) ამ საქმეში მარტო არაა, მათი საერთო მეგობრების ჭრელი წრე... აი, აქ შევწყვეტ სიუჟეტის მოყოლას, დანარჩენი თავად გაარკვიეთ.

ახლა რომანის უმთავრესი ღირსეობაც უნდა გამოვყოთ – ა.კ.ს.-ს ისედაც არასოდეს უჭირდა ცოცხალი,

„ნამდვილი“ პერსონაჟების შექმნა, მის თითქმის ყველა ტექსტში მოიძებნება მინიმუმ ერთი ისეთი პერსონაჟი, ნებისმიერი მკითხველი მასში პროტოტიპის ძიებას რომ დაიწყებს. ამ მხრივ „ვინ მოკლა ჩაიკა“ ნამდვილი რომანი-გალერეაა. მიუხედავად არც ისე დიდი მოცულობისა, აქ მრავალი ცოცხლად დახატული პერსონაჟია, თავისი ბიოგრაფიით, ქარიშხლიანი წარსულით და ხშირად უიმედო, მაგრამ მაინც საინტერესო ანწყობით. რომანი პირდაპირი გაგებით „დასახლებულია“ თანამედროვე თბილისური ბოჰემის ასე ტიპიური, მაგრამ თან ასე გამორჩეული წარმომადგენლებით. აქ საბოლოოდ გაფორმდა ა.კ.ს.-ს „იოკნაპატოფა“ – ეს თბილისის ძველი უბნებია, სადაც „უცნაური“ ადამიანები ცხოვრობენ, არანაირ სტანდარტში რომ არ ეწერებიან, მაგრამ ეს ამბავი დიდად რომ არ აღარდებთ. ჰო, გაცვეთილი სიტყვაა „ბოჰემა“, მაგრამ ამ გარემოს მაინც ყველაზე ზუსტად აღწერს.

თითოეულ ამ გმირს რომანში წარსულის დიდი შლეიფი მოჰყვება – თუნდაც ყველაზე „უინტერესო“ გმირიც კი ისეთი ბიოგრაფიის პატრონი აღმოჩნდება, და ამას ავტორი ისე სხარტად და ეფექტურად გვიყვება, ნამდვილად გულდასაწყვეტია, რომ რომანი მხოლოდ 160 გვერდია და კიდევ ამდენივე გვერდს არ ითვლის. ესეც მთავარი ნაკლი (თუ ნაკლად ჩავუთვლით) – პერსონაჟებს პოტენციური გაცილებით მეტი აქვთ, ვიდრე ამ რომანმა დაიბოლო. თუმცა, ფინალში ავტორი კი ამბობს, სხვა დროს, სხვა ზღაპარში მოვყვები მათ ამბებსო და იმედი დავიტოვოთ, რომ დეტექტივის ჟანრის კანონები აიძულებს ავტორს, რომანის გაგრძელება, ან სულაც, წინასიტორი დაწეროს. ორივე თანაბრად საინტერესო იქნებოდა.



ჯონ მარელი

მემაშარები

რეჟისორი ირაკლი გოგია

კოპე

მარჯანიშვილის

სახელობის

სახელმწიფო

დრამატული

თეატრი

წიგნები

ძარცვა

პიტერ კერი

მთარგმნელი: ქეთი ქანთარია

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

გამოცემის წელი: 2013

ფასი: 11.90



ავსტრალიელმა მწერალმა პიტერ კერიმ (1943) იგივე მოახერხა, რაც თურქმა ორჰან ფაჰმემა და სამხრეთ აფრიკელმა ჯონ კუტზეემ – თავისი ქვეყანა გეოგრაფიული პერიფერიიდან თანამედროვე ლიტერატურის ცენტრში გადაიტანა. ბუკერის პრემიის ორგზის ლაურეატი რომანისტიკის სახელს ნობელის პრემიის ყველაზე რეალურ და ღირსეულ კანდიდატებს შორის ხშირად ახსენებენ, რადგან, როგორც წესი, პიტერ კერის ყოველი ახალი წიგნი ინგლისურენოვან ლიტერატურულ სამყაროში წლის მოვლენაა.

2006 წელს გამოქვეყნებული რომანი „ძარცვა“ ერთ დროს სახელგანთქმული ავსტრალიელი მხატვრის, მაიკლ ბოუნის, მეტსახელად ბუჩერის ამბავია. ყველასგან დავინწყებული მაიკლი დღეებს მიყრუებულ სოფელში, აუტისტ ძმასთან ერთად ატარებს, სანამ მათ ცხოვრებაში ახალგაზრდა ქალი არ ჩნდება, რომელიც ყველაფერს ცვლის.

სენიორ პრეზიდენტი

მიგელ ანხელ ასტურიასი

მთარგმნელი: ნინო სამუკაშვილი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

გამოცემის წელი: 2013

ფასი: 15.90 ლარი

მიგელ ანხელ ასტურიასი (1899-1974), ცნობილი პოეტი, მწერალი, დრამატურგი, ჟურნალისტი და დიპლომატი, დაიბადა და გაიზარდა გვატემალაში, მაგრამ შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი ემიგრაციაში – სამხრეთ ამე-

რიკასა და ევროპაში გაატარა. „სენიორ პრეზიდენტი“ მხატვრული ნაწარმოებია, მაგრამ გვატემალის სინამდვილეს, ყოველდღიურ ცხოვრებას დოკუმენტური სიზუსტით აღწერს. მასში ბევრი სცენა პირდაპირ რეალობიდანაა აღებული, პერსონაჟებიც, თითქოსდა უნიკალური გმირები, ავტორის თანამედროვეები არიან. ყველა მათგანი სასტიკი წნეხის ქვეშ ცხოვრობს; მათ ირგვლივ მეფობს სისასტიკე, უსამართლობა, ტყუილი, ჭორი, შანტაჟი, მუდმივი თვალთვალი, მუქარა, იძულება, მკვლელობები. რომანი საშინელი სიცხადით გადმოსცემს შიშს, რომელსაც ქვეყანაში გამეფებული დიქტატურის გამო შეუპყრია უკლებლივ ყველა. ამ ყველაფრის რეალისტური აღწერა ლიტერატურულ დრამას ქმნის.

ასტურიასი არაერთი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელია. 1967 წელს მას ნობელის პრემია მიენიჭა ლიტერატურაში, რის შემდეგაც გვატემალელმა მწერალმა მსოფლიოში მოიპოვა აღიარება.

ქალაქის მერის ცოლის საყვარელი

ალექს ჩილვინაძე

გამომცემლობა: სიესტა

გამოცემის წელი: 2013

ფასი: 10.60 ლარი

„9/11 ტრაგედიის შემდეგ, ტერორისტებმა გაავრცელეს მიმართვა: „ჩვენ უფრო მეტად გვიყვარს სიკვდილი, ვიდრე თქვენ – სიცოცხლე“. სიკვდილ-სიცოცხლის დისპოზიცია ასეთი სიმწვავეთ დადგა ჩვენს დროშიც. რა უნდა დაუპირისპიროს არტისტმა ასეთ მომაკვდინებელ სისასტიკეს, სიკვდილის და სიცოცხლის დაუსრულებელ ტავტოლოგიას? ახალი ესთეტიკური პროექტები ჩავარდა. რა იქნება შემდეგ?

ალექს ჩილვინაძის პიესებში ამაზე პასუხს ვერ იპოვით. აბა, რატომ უნდა ნავიკითხოთ? არ ვიცი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ეს მშვენიერი პიესებია – დინამიური, ჩამთრევი, მწვავე“, – პაატა შამუგია.

„მოგზაურობა „ლე კოკაზ ილიუსტრეს“ ფურცლებზე“

ლევან ბრეგაძე

გამომცემლობა: არტანუჯი

გამოცემის წელი: 2013

ფასი: 7 ლარი

ნაშრომში მონოგრაფიულადაა შესწავლილი თბილისში 1889-1902 წლებში გამომავალი ფრანგული ჟურნალი „ლე კოკაზ ილიუსტრე“ და მისი რედაქტორ-გამომცემლის ჟიულ მურიეს მოღვაწეობა კავკასიის ხალხთა კულტურების ევროპაში პოპულარიზაციისათვის. ძირითადი ყურადღება ეთმობა ფრანგულ-ქართული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის საკითხებს.

წიგნი გამოადგებათ კავკასიოლოგებს, ფრანგულ-ქართული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების მკვლევართ, ჟურნალისტებს, მთარგმნელებსა და თარგმანის თეორეტიკოსებს, ფოლკლორისტებს, თეატრის ისტორიკოსებს, ხელოვნებათმცოდნეებსა და ეთნოლოგებს.


ასე

გელა ჩქვანავა

გამომცემლობა: დიოგენე

გამოცემის წელი: 2013

ფასი: 5.90



გელა ჩქვანავა არაერთი რომანისა და მოთხრობათა კრებულის ავტორია, რომელთა უმეტესობა სხვადასხვა ლიტერატურული პრემიითა და ჯილდოთაა აღნიშნული, თუმცა ამის მიუხედავად, ქართველი მკითხველისთვის მწერლის სახელი დღემდე ნაკლებად არის ცნობილი.

რომანი „ასე“ ადამიანისხელა ვირთხების – ვადორინელების ქვეყანაში მოხვედრილი ორი გლეხის ამბავია. მიუხედავად იმისა, რომ წიგნში აღწერილი ქვეყანა და ისტორია თავიდან ბოლომდე მწერლის ფანტაზიის ნაყოფია, მკითხველს მონათხრობის რეალურობის განცდა რომანის ბოლომდე არ ტოვებს.

კერამიკული ნაკეთობანი შუა საუკუნეების საქართველოში

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

გამოცემის წელი: 2013

ფასი: 29 ლარი

ანოტაციებითა და ბიბლიოგრაფიით აღჭურვილ ალბომში, შუასაუკუნეების თიხის ნაკეთობათა კოლექციებია წარმოდგენილი. ამ ექსპონატთა აბსოლუტური უმრავლესობა ამჟამად საქართველოს ეროვნულ მუზეუმში შემაგვალ, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის შუა საუკუნეების ფონდებშია დაცული. კერამიკული ნაწარმის ეს ნიმუშები იშვიათი გამონაკლისის გარდა (შემთხვევითი მონაპოვრები), საქართველოს ტერიტორიაზე XX-XXI საუკუნეებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოხვდა მუზეუმში. ისინი შემოსულია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების არქეოლოგიურად შესწავლილი ნაქალაქარებიდან და ნასოფლარებიდან, სასახლეებიდან, ქარვასლა-ქულბაქებიდან, ეკლესიებიდან, სამონასტრო კომპლექსებიდან, თავდაცვი-

თი ნაგებობებიდან და სხვა ძეგლებიდან. აღსანიშნავია, რომ ამ ნაკეთობათაგან ზოგიერთი გათხრებით გამოვლენილ კერამიკულ სახელოსნოთა ნაშთების ტერიტორიაზე აღმოჩენილი, ნახევარფაბრიკატებთან, სანარმოო მონყობილობებთან და ხელსაწყოებთან ერთად.

უდაბნო

ჯიმ მორისონი

მთარგმნელი: კიტი იოსელიანი

გამომცემლობა: არტანუჯი

გამოცემის წელი: 2013

ფასი: 9 ლარი

The Wilderness. The Lost Writing of Jim Morrison („უდაბნო. ჯიმ მორისონის დაკარგული ჩანაწერები“) – ეს არის ჯიმ მორისონის 1600 გვერდიანი დღიურის რედაქტირებული, შეკრებილი და ხელმეორედ აწყობილი შემოქმედებითი მასალა, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ გამოიცა (1989 წელს). კრებულში შედის ჩანაწერები, ესეები, პიესების შენიშვნები და ინტერპრეტაციები, კინოსცენარები,

ლექსები, ანეკდოტები, სიმღერების ტექსტები და სხვა სახის მხატვრული მასალა.

ედრიან მოულის საიდუმლო დღიური

სიუ ტაუნსენდი

მთარგმნელი: ხათუნა ბასილაშვილი

გამომცემლობა: დიოგენე

გამოცემის წელი: 2013

ფასი: 9.90 ლარი

სიუ ტაუნსენდი 1946 წელს ინგლისში დაიბადა. 15 წლისამ სკოლა მიატოვა. მას მერე ბევრი საქმიანობა გამოიცვალა – ხან ფაბრიკის მუშა იყო, ხანაც მაღაზიის გამყიდველი. 1982 წელს „ედრიან მოულის საიდუმლო დღიური“ გამოქვეყნდა და ავტორი მაშინვე ბრიტანეთის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მწერლად იქცა.

სიუ ტაუნსენდი არაერთი რომანისა და პიესის ავტორია, თუმცა კონან დოილისა და ა. ა. მილნის მსგავსად მისი მთელი შემოქმედება ერთმა პერსონაჟმა დაჩრდილა. ბრიტანეთში ედრიან მოული ისეთივე ცნობილი ვინმეა, როგორც შერლოკ ჰოლმსი ან ვინი პუჭი.



წიგნის სახლი
BOOK & COFFEE HOUSE **ბაზტირონის**

თანამედროვე ქართული და უცხოური გამოცემები

საზოგადოებრივი სივრცე სალონური შეხვედრებისა და საღამოებისთვის

ცნობილი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა

კაფე

Wi-Fi

ბაზტირონის 11^ბ, ტელ: 2 33 28 18
bookandcafe@gmail.com



მხსნელი ძმები



მაილსი 10 თვის იყო, როდესაც ავტრალიელმა ცოლ-ქმარმა პიტმა და დენიმ თავზარდამცემი ამბავი შეიტყვეს: მათ ბიჭს ლეიკემიის იშვიათი ფორმა - იუვენილური მიელომონოციტური ლეიკემია ჰქონდა. ეს სასიკვდილო დაავადებაა, რომლის დროსაც პაციენტს მხოლოდ ძვლის ტვინის ან ტიპლარის სისხლის ტრანსპლანტაცია თუ იხსნის. მედიკოსებმა ძვლის ტვინის დონორის ძებნა დაიწყეს..

გარკვეული პერიოდის შემდეგ ექიმებს სასიამოვნო სიურპრიზი ელოდათ. პიტსა და დენის უფროსი ვაჟიც ჰყავდათ. ჯასპერი მაილსამდე სამი წლით ადრე შეეძინათ. მშობიარობამდე დენიმ ჯერ რეკლამიდან, შემდეგ კი თავისი ექიმისგანაც შეიტყო, რომ ტიპლარის სისხლის შენახვა და მომავალში მისი სხვადასხვა დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყენება შეეძლო. ასეც მოიქცა..

მაილსის ექიმისთვის მართლაც შესანიშნავი სიურპრიზი იყო იმის აღმოჩენა, რომ მშობლებს მეორე შვილის ტიპლარის სისხლი კერძო ბანკ Cryosite-ში ჰქონდათ შენახული. დაავადებასთან საბრძოლველად ეს მართლაც მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა. პიტმა და დენიმ მალევე მიიღეს დადასტურება, რომ ძმების იმუნური სისტემა თავსებადი იყო და ჯასპერის ტიპლარის სისხლი მაილსს ლეიკემიის სამკურნალოდ გამოადგებოდა.

ტრანსპლანტაცია 2010 წლის თებერვალში განხორციელდა. ოპერაციის შემდეგ მშობლებისთვის მტანჯველი ლოდინის დრო დადგა: დაიწყებდა თუ არა აღდგენას მაილსის იმუნური სისტემა, ხომ არ მოიშორებდა მისი ორგანიზმი გადანერგილ უჯრედებს... თუმცა, ცნობილია, როცა დონორი დედამიწვილია, ტრანსპლანტაციის შედეგები უმეტესად წარმატებით მთავრდება, გართულებების შანსი და სიმძიმე კი ასეთ დროს გაცილებით დაბალია, ვიდრე არამონათესავე დონორის შემთხვევაში.

მაილსისთვის პოსტოპერაციულმა პერიოდმა კარგად ჩაიარა და 2 თვეში ბავშვი გაჯანმრთლებული გაეწერა კლინიკიდან. დღეს დენი სიამაყით აღნიშნავს, რომ ჯასპერის ტიპლარის სისხლის შენახვა მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის ყველაზე გონივრული იყო! „ყველა დედას მოვუწოდებ, შეინახოს თავისი შვილის ტიპლარის

სისხლი“, - აცხადებს ის.

იგივეს ამბობს ამერიკელი სუზან ჯერვისი და დასძენს, რომ ამ უჯრედებს სიცოცხლის გადარჩენა ნამდვილად შეუძლიათ. სუზანი საკუთარ ნათქვამს შვილის ისტორიით ადასტურებს: ბრენდინი ლეიკემიას 2 წლის ასაკიდან ებრძოდა. როცა ექიმებმა ბავშვს მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია დაუდგინეს, სუზანი უკვე მეორე შვილს ელოდა. ექიმმა დედას აუხსნა, რომ ახალშობილის ტიპლარის სისხლი შესაძლოა ძმის სამკურნალოდ გამოეყენებინა. სუზანმა ტიპლარის სისხლის უჯრედების შესახებ მანამდე არაფერი იცოდა, თუმცა გადაწყვიტა მედიკოსებისთვის დაეჯერებინა და მათი რჩევის მიხედვით მოქცეულიყო.

ექიმებმა ბრენდინის მკურნალობა დაიწყეს. ქიმიოთერაპიის კურსები სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, რის შედეგადაც დაავადებამ პროგრესი შეწყვიტა და რემისიის ფაზა დაიწყო. პარალელურად, ოჯახში უკვე მესამე პატარაც გაჩნდა. სუზანმა ყოველი შემთხვევისთვის მისი ტიპლარის სისხლიც შეინახა.

სამწუხაროდ, რემისია მხოლოდ ექვს თვეს გაგრძელდა. ბრენდინს სისუსტე დაეწყო, სხეულზე ჩალურჯებები გაუჩნდა, ბავშვი ძვლებში აუტანელ ტკივილს უჩიოდა. მშობლებს ექიმებმა უთხრეს, რომ ბრენდინი სასწრაფოდ ლეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციას საჭიროებდა. უფროსის ძმის ტიპლარის სისხლი თავსებადი არ აღმოჩნდა, თუმცა, სამაგიეროდ, უმცროსი ძმის, 4 თვის დევინის ტიპლარის სისხლი იდეალურად მისადაგებული იყო.

ბრენდინისათვის ტიპლარის სისხლის ტრანსპლანტაციას წინ ინტენსიური ქიმიოთერაპია და დასხივება უძღოდა. ოპერაცია ამერიკაში, ქალაქ ტუსონის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრში ჩატარდა. ტრანსპლანტაციამ იდეალურად ჩაიარა, ბრენდონი განიკურნა და ოპერაციიდან 12 წლის შემდგომაც თავს კარგად გრძნობს. ძმის ლეროვანი უჯრედები მისთვის ყველა შესაძლო უცხო დონორზე უკეთესი და გართულებებისგან თავისუფალი ალტერნატივა იყო! სუზანი ახლა უკვე 4 ბიჭის დედაა. ის ყველა მომავალ დედას ურჩევს, აუცილებლად შეუნახონ ტიპლარის სისხლი თავიანთ შვილებს.

ავტორი ნინო ბერძინიშვილი



THE CROODS

რეჟისორი კირკ დე მიკკო, კრის სანდერსი
ჟანრი ანიმაცია, სათავგადასავლო, კომედია
ანიმაციაში მოქმედება პრეისტორიულ დროში ვითარდება. კრეგს, მიწისძვრით განადგურებული სოფლის დატოვება და ოჯახთან ერთად სამოგზაუროდ წასვლა უწევს, რის შედეგადაც ოჯახი ფანტასტიკურ, ზღაპრულ სამყაროში აღმოჩნდება....



OBLIVION

რეჟისორი ჯომეფ კოსინსკი
როლებში ტომ კრუზი, მორგან ფრიმანი, ოლგა კურილენკო
ჟანრი ფანტასტიკა, ტრილერი, სათავგადასავლო
დედამიწის ზედაპირი საცხოვრებლად გამოუსადეგარია. მოსახლეობა დრუბლებს ზემოთ ცხოვრობს, თუმცა ადამიანთა გარკვეული ჯგუფი მაინც ახერხებს ლანდშაპტზე დაბრუნებას, სადაც ჯერ კიდევ შეიძლება საჭირო საგნების პოვნა



THE BIG WEDDING

რეჟისორი ჯასტინ ბაკემი
როლებში რობერტ დე ნირო, ქეთრინ ჰაიგლი, დიან კიტონი, ამანდა სეიფრიდი, სიუზან სარანდონი
ჟანრი კომედია
უკვე ოცი წელია ისინი ერთმანეთს ვერ იტანენ, მაგრამ რომ არ გაუფუჭონ საერთო ვაჟს პირადი ცხოვრება, რომელსაც როგორ სჩანს მართაც აქვს განზრახული ცოლის მოყვანა, ისინი თანხმდებიან, რომ ყველა საშუალებით ბედნიერი ოჯახის იმიტაცია უნდა შექმნან. ვერავინ, კომმარულ სიზმარშიც კი, ვერ წარმოიდგენდა, თუ ვინ გახდებოდა მათი შვილის რჩეული...



G.I. JOE: RETALIATION

რეჟისორი ჯონ მ. ჩუ
როლებში ჩენინგ ტატუმი, ბრიუს უილისი
ჟანრი მძაფრსიუჟეტიანი, სათავგადასავლო, ტრილერი
ფილმის მეორე ნაწილში რაზმი «G.I. Joe» ისევ უცხადებს ბრძოლას დაჯგუფება "კობრას" და უპირისპირდება მთავრობას.



TRANCE

რეჟისორი დენი ბოილი
როლებში ჯეიმს მაკევეი, ვენსან კასელ
ჟანრი კრიმინალური, დრამა
აუქციონერი სეიმონი ვერ უძლებს ცდუნებას და პროფესიონალ მძარცველებთან ერთად ორგანიზებას უკეთებს მილიონებად შეფასებული უნიკალური ლოტის გატაცებას. თუმცა ძარცვა არ წარიმართება ისე, როგორც ის დასაწყისში ელოდა. აუქციონერს თავში ბლავვი საგანი ხვდება და ის კარგავს მეხსიერებას, არ ახსოვს რა მოხდა და სად გადამალა ძვირფასი ტილო...





SCARY MOVIE 5

რეჟისორი მალკოლმ დ. ლი
როლებში ჩარლი შინი, ლინდსი ლოხანი.
ჟანრი კომედია
ყველასათვის ნაცნობი კომედიური ჟანრის პაროდული ფილმი, სადაც გაშარჟებულია ისეთი ფილმები როგორებიცაა: „პარანორმალური მოვლენები“, „შავი გედი“, „დასაწყისი“ ...

TBC ბანკისა და კინოთეატრ „რუსთაველი“-ს ერთობლივი პროექტი - "TBCINEMA"

განთავსებული პირველი დარბაზის ლოჯიაში, ინდივიდუალური ასასვლელით და მომსახურე ბარით. კომფორტული სავარძლები, მყუდრო გარემო და კინოს ყურების ახალი გამოცდილება.

"TBCINEMA" გაიხსნა





როსა ლეიტონის მღერინა BLUE VALENTINES-ს

პაატა სიკოლიას „ანტიგონე“ მუსიკისა და დრამის თეატრში

ავტორი ლევან ბახრაძე

2500-წლიანი თეატრის ისტორიაში არასდროს ყოფილა დროისა და სივრცის აღრევის, ხელოვნური კონსტრუქციის და რეჟისორული ინტერპრეტაციის ისეთი უსაზღვრო შესაძლებლობა, როგორც XXI საუკუნეში. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში პოსტმოდერნიზმით შთაგონებულმა თუ მონამულმა მრავალმა სახელოვანმა რეჟისორმა (თუნდაც საპატიო პატრის შეროთი დაწყებული, არნახული არაუად შილინგითა და კრისტოფ მარტალერით დამთავრებული) შეძლო „დამარხული“ თუ მკვდრეთით აღმდგარი კლასიკური ტექსტების სცენური ადაპტაცია.

სხვათა შორის, თავის დროზე ამ საპატიო კამპანიაში რობერტ სტურუასაც ჰქონდა ჩანერის მანსი და სურვილი, თუმცა მოგვიანებით ის ბრეტის დრამატურგიას წარმატებით „გადაეყარა“ და მთელი თავისი შემოქმედებითი ვნება პოლიტიკური და კარნავალური თეატრისკენ წარმართა. ჩვენი თეატრისათვის კრიზისული 90-იანი წლებიდან მოყოლებული, დაახლოებით იმავე სარისკო, ციცაბო გზას მიუყვება

რეჟისორი დავით დოიაშვილიც, რომელიც შემოქმედებითი ზიგზაგების მიუხედავად, ლამის კავკასიის დამსახურებული პოსტმოდერნიზმის სტატუსით სარგებლობს. ლოგიკა და ფანტაზია მკარნახობს, რომ რეჟისორ პაატა ციკოლიას მიერ ახლახან განხორციელებული სოფოკლეს „ანტიგონე“ (ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრი) სწორედ პოსტმოდერნულ ვექტორზე მიანიშნებს.

...გამომსახველობითი საშუალებების სიჭრელე და სიანცე, თატრალური სივრცის ათვისების უნარი, სათქმელის თანადროულობა, სიცხადე და ბრუტალური ირონია, კლასიკური თუ თანამედროვე ტექსტისადმი სრულიად უკომპლექსო, თავისუფალი და ერთგვარი ზერელე დამოკიდებულება – ეს ყველაფერი, პაატა ციკოლიას რეჟისორულმა ფანტაზიამ თუ გაბედულებამ ჯერ კიდევ ორი წლის წინ 25-წუთიანი სპექტაკლების ფესტივალ „არდიფესტზე“ შვა. მაშინ, ახალგაზრდა რეჟისორის მიერ დადგმული „Love Rats“ ჟიურის გადაწყვეტილებით საუკეთესო რეჟისურისათვის დააჯილ-

დოვეს. თუმცა ყველაფერი შედარებითია და კონკურსის ექსტრემალურ პირობებში რთულია, გაითვალისწინო რამდენად გაამართლა მაყურებლის, ან ჟიურის მოლოდინი რეჟისორმა. მით უმეტეს, როცა მას არა აქვს გამოცდილება, რომ სათქმელი 25 წუთში ჩაატოს.

პაატა ციკოლიამ „მცირე ფორმატში“ მოახერხა, ზუსტად შეერჩია მსახიობები. ამავე დროს შეენარჩუნებინა სპექტაკლის ცოცხალი რიტმი და გარკვეული როკ-ირონიულობა მიენიჭებინა ცოცხალი მუსიკალური გაფორმებისათვის (ლილი სოლოშვილი, თეო ლომსაძე, სალომე ხომასურიძე, თაკო საკანდელიძე). მნიშვნელოვანი აღმორჩნდა ავანგარდული ყნოსვითა თუ მინიშნებით გამორჩეული ქეთი ნადიბაიძის მხატვრობაც.

სწორედ „არდიფესტის“ შემდეგ შესთავაზა მას დავით დოიაშვილმა მუსიკისა და დრამის თეატრში სპექტაკლის დადგმა. პაატა ციკოლიამ გარკვეული მიზეზების გამო არა ჟან ანუის „ანტიგონე“ აირჩია, არამედ სოფოკლეს კლასიკური ვერსია, რაც გაცილებით



რთული და ხიფათის შემცველია. თუნდაც იმიტომ, რომ კლასიკურ ბერძნულ ტრაგედიას თავისი კანონები აქვს, რომლის დარღვევა მეტ გაბედულებას და უშრეტ რეჟიოსრულ ფანტაზიას მოითხოვს.

პაატა ციკოლია: „ერთი წლით ადრე, როცა „ანტიგონეს“ დადგმას ვინწყებდი, სხვა თემები მალეღებდა, რადგან სხვა დრო იყო. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ რალაც-რალაცები, რამაც პიესის დადგმის სურვილი აღმიძრა, მაინც დარჩა. მაგალითად, ისეთი მარადიული თემები, როგორცაა, პიროვნებისა და თავისუფლების, წესრიგისა და კანონიერების, ძალაუფლებისა და სამართლიანობის დაპირისპირება. რთულია, გადაწყვიტო რა არის სამართლიანი და რა არის უსამართლო. საბოლოოდ ისე გამოდის, რომ ყველა ისჯება სწორედ ამ „სუბიექტური“ სამართლის გამო“.

მხატვარი ქეთი ნადიბაიძე რეჟისორმა „ანტიგონეზე“ მოიწვია. მისი სცენოგრაფიისა და კოსტიუმების წყალობით მუსიკისა და დრამის თეატრის სცენურ სივრცეში ეფექტურად წარმოჩინდა, მაგალითად, ჭუჭყიანი აბაზანა, რომელშიც ანტიგონეს დასჯა-განზანვის რიტუალი უნდა ჩატარდეს; სახრჩობელა და თოკები, როგორც კრეონის დიქტატორული სამეფოს უცილობელი ატრიბუტი; შავი ვარდებით მორთული, ჩამსხვრეული სარკის ჩარჩო თუ კარი,

რომელსაც ანტიგონეს და, ისმენე (ანა ზამბახიძე) ვერაფრით გადალახავს... ეფექტურია, მაგრამ სწორხაზოვანი 30-იანი წლების საბჭოთა წარსულის პირდაპირი შეხსენება – გალიფე შარვლები და თეთრი პერანგები, რომლითაც კორიფე (ანა ნიკოლაიშვილი) და ქოროა შემოსილი (გიორგი ვარდოსანიძე, დევი ბიბილეიშვილი, გიორგი ბახუტაშვილი), ან კრეონის პენსნე და შარვალ-კოსტიუმი.

ხილული სისასტიკის და პლასტიკურად დატვირთული სცენების მიღმა იგრძნობა გადაჭარბებული და ხშირად უმოტივაციო აგრესია, რომელიც სცენიდან უხვად მოედინება. ეს თავისთავად ხელს უშლის ტექსტის აღქმასაც. თუ რეჟისორის ჩანაფიქრი მხოლოდ სახელმწიფოს ძალადობისა და პიროვნების თავისუფლების, სისტემის იდეური დამცველისა (კრეონი) და ამავე სისტემის წინააღმდეგ მებრძოლის (ანტიგონე) დაპირისპირების თემის წარმოჩენას გულისმობდა, მაშინ ამგვარი შავ-თეთრი დისპოზიცია გამართლებულია. არადა დავით გაბუნიას მიერ ადაპტირებული ტექსტი მრავალგანზომილებიანი და გაცილებით საინტერესოა (მას გამოყენებული აქვს სოფოკლეს სხვადასხვა თარგმანები); რაც რეჟისორს შესაძლებლობას აძლევდა, დიალოგებს უფრო მეტად ჩაღრმავებოდა.

თავიდანვე ცხადია, რომ „ანტიგონეში“ პაატა ციკოლია არა არისტოტელ-

ესეულ, „მიმეზისის“ მეთოდს ეყრდნობა, არამედ ბრესტს, ანუ პიესისადმი დისტანციის, დამოკიდებულების, „ღია თამაშის“ ხელოვნებას, რაც ზოგჯერ ზედმეტად პირდაპირ და პრიმიტიულ ხერხად მეჩვენება. რეჟისორი საკუთარ დამოკიდებულებას არ ნიღბავს და ხაზს უსვამს სუბიექტურობას, როგორც ინტერპრეტაციის აუცილებელ ფორმას. ერთგვარი სიჭრელე იკითხება მუსიკალურ გაფორმებაშიც, სადაც კლასიკურ საოპერო არიას ენაცვლება პოპ-მუსიკა, ან მისი პაროდია. მაგალითად, სცენა, როდესაც კრეონი (ალეკო ბეგალიშვილი) ხაზგასმული ირონიით ასრულებს ტომ ვეიტის ცნობილ კომპოზიციას *Blue Valentines*, ანტიგონე კი მიკროფონით მადლობას უხდის მამას. სპექტაკლის ნერვიულ რიტმსა და ჰენდელის არიებს დროდადრო კომპოზიტორ არჩილ გიორგობიანის მუსიკაც არღვევს, რომელიც ცალკე აღებულ სხვა წარმოდგენას უფრო მოუხდებოდა.

ძალაუფლებისა და თავისუფლების მარადიული დაპირისპირების გარდა, „ანტიგონეში“ რეჟისორს ეროსისა და თანატოსის თემაც შემოაქვს, რაც მაყურებლის ემოციის გამძაფრებას უფრო ემსახურება, ვიდრე რელაქსაციას. განსაკუთრებით იმ სცენებში, რომლებიც ანტიგონესა და ევრიდიკეს (ეკა დემეტრაძე) მიმართ ძალადობას უკავშირდება. ძალადობისა და ეროტიზმის მძაფრი სურნელი გასდევს ქოროსაც (გიორგი ვარდოსანიძე, დევი ბიბილეიშვილი, გიორგი ბახუტაშვილი), რომელიც ლამის მთელი წარმოდგენის ინსპირატორია. სწორედ ქოროს პერსონაჟები ქმნიან სამოქმედო სივრცეს, ანუ ძალადობის ველს – წყლით ავსებენ შავი საღებავით მოთხვრილ აბაზანას, ამზადებენ წამებისთვის განკუთვნილ ინსტრუმენტებს, შემოაქვთ სუდარაში გახვეული გვამი...

ღმერთებს სწყურიათ სამართალი, მაგრამ ძალადობის სახელით.

და ზოგჯერ სუსტი, ძალაუფლების ავადმყოფური სურვილით შეპყრობილი კრეონების მსგავსად, ისინიც მღერიან *Blue Valentines*.



გაილივით, თორემ ჩიტი აღარ გამოფრინდება

გიორგი მგელაძის ნაწარები და ფილმები... ავტორის თანხლებით

ავტორი დავით ბუხრიკიძე

არ ვიცი, ცინიკურად უღერს თუ არა, მაგრამ რეჟისორ გიორგი მგელაძის ლიტერატურული დებიუტის (კრებული სახელწოდებით „SMS“) და ოთხი ფილმის ჩვენების შემდეგ, კინოთეატრ „ამირანში“, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ 80მ – 90-იანელთა თაობის ხსოვნის საღამოს დავესწარი. „არა, მეგობარო“, „ატუ ალაბა“, „შვიდი დღე ტიბეტში“ და რეჟისორის ახალი ფილმი „Imago Mundi“ თითქოს გვაბრუნებდა „დაკარგული თაობის“ უმზეო სამყაროში, რომელშიც ბავშვური სიანცისა და ნარკოტიკებთან შეზავებული თავისუფლების სურნელი ჯერ კიდევ ცხადად იგრძნობოდა.

„არა, მეგობარო“ შემდეგ კიდევ ერთხელ მივხვდით, რომ ქართულმა კინომ, მართლაც, თავისი ჟღერადი ფილიბი დაკარგა, რომელიც სწორედ გიორგი მგელაძის ფილმის შემდეგ წავიდა აფხაზეთის ომში. ამ ფილმის შემდეგ ისევ შევიგრძენით 90-იანი წლების ტყვიანარევი სისასტიკე და მოვისმინეთ დათო ევგენიძის საკულტო სიმღერა Emotions, ირაკლი ჩარკვიანის შესრულებით, და ეს გაყინული დროის გამთბარ გავნილს ჰგავდა. ვნახეთ პატარა ნუცა კუხიანიძეც, რომელმაც კოლეგებს, რატომღაც, ნატალი პორტმანი გაახსენა. განვლილი წლების შემდეგ, უკვე გადავავსეთ გიორგი გურგულიას პერსონაჟის ინფანტილურ-ძველბიჭური ფილოსოფია. და იქნებ სრულიად

ნორჩი „ნახცოს“ (პოეტი გაგა ნახუცრიშვილის) გულწფელობაც დავიჯერეთ, რომელიც ფილმის დასაწყისში საკუთარ ლექსს – „არა, მეგობარო“ – კითხულობს.

გიორგი მგელაძის ეს ფილმი მისი თაობის წინასწარმეტყველებას და განაჩენს ჰგავს, ალბათ, უდარდელად გაფლანგული ახალგაზრდობის გამო. „დრომ თითქოს ვალების გადახდა მოვთხოვა და ჩვენც ძალიან ძვირი გადავიხადეთ განვლილი თავისუფლების სანაცვლოდ“, – აღნიშნა დათო ევგენიძემ. სწორედ ამ თავისუფლების მონატრებამ შეკრიბა დარბაზში დაახლოებით 30 – 40 წელს გადაცილებული მაყურებელი, რომელმაც ბევრი რამ შეიგრძნო და გადაფასა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ყოველი მსახიობის გამოჩენას ეკრანზე მაყურებელი ტაშით ხვდებოდა, ხოლო საღამოს შემდეგ, კინოთეატრ „ამირანის“ წინ პატარა დისკუსიაც გაიმართა.

საუბრობდნენ ლევან აბაშიძეზე, ირაკლი ჩარკვიანზე, ტატო კოტეტიშვილზე – ეს სახელები, ძირითადად, „დაკარგული თაობის“ კონტექსტში მოიხსენიებოდა. თუმცა, როგორც გიორგი მგელაძემ თქვა, თავს არ თვლის „დაკარგული თაობის“ ადამიანად, რადგან დაკარგული სიტყვა, მით უმეტეს, თაობა არ არსებობს.

გიორგი მგელაძემ პრეზენტაციაზე შეკრებილ საზოგადოებას განუცხადა, რომ წიგ-

ნი, რომელშიც 28 ნოველა („ჩვეულებრივი მუსიკოსი“, „უდაბნოს გოგო“, „კრიტიკული დღეები“, „ბაბუაჩემი დუელში მოკლეს“, „მწვანე გეტრები...“) და 2 პიესა („გაილივით, ჩიტი გამოფრინდება“, „Imago Mundi“) გააერთიანა, მისი ბიოგრაფიის ნაწილია: „ეს წიგნი თვითონ მე ვარ“; „მე“ რომელიც ყველაფერშია... მართალია, წიგნის რედაქტორსა და გამომცემელს, ბესო ხვედელიძეს მიაჩნია, რომ ეს არის „სარკაზმი და გულწრფელი ქართული პორნო“, მაგრამ უანრობრივადაც და თემატურადაც კრებული გაცილებით მრავალფეროვანია.

ამ კრებულში მტკივნეული და მნიშვნელოვანი თემები ავტორმა სწორედ შეუნიღბავი სარკაზმითა და ხილული სევდით შეკრა და გააზავა. მისი მოთხრობებისა და პიესების პერსონაჟებს რაღაც მძაფრი, ადვილად გასაგები და შავი იუმორით სავსე ნალველი ახრჩობთ. ისინი მძაფრ კონფლიქტებსა და უახლოეს ადამიანებს გაურბიან; ან იქნებ – მათთან აცდენილ დროსაც. თუმცა ისე ქრებიან, რომ საჭირო კითხვებზე პასუხს ვერ იძლევიან.

მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ატუ ალაბა“ რეჟისორმა 1993 წელს გადაიღო, სასტუმრო „თბილისის“ ნანგრევებში. მძაფრი ტიპიკულობით და შეგრძნებებით გაჯერებული ფილმი, სამოქალაქო ომით დასახიჩრებული ქვეყნის მეტაფორას უფრო ჰგავდა. მაშინ

ეკრანზე პირველად გამოჩნდა ნანიკო ხაზარაძე სენსაციის მოყვარული ჟურნალისტის როლში, რომელიც თვითმკვლელობას (გიორგი ნაკაშიძის გმირი დიდი სიმაღლიდან ნანგრევებში ხტობდა) ვიდეოკამერით იღებს. ასევე პირველად ჟღერდა საჯაროდ ნიაზ დიასამიძის სიმღერაც „მინდა, მჯეროდეს“, რომელიც ფილმის გამოსვლის შემდეგ ლამის ჰიტად იქცა.


2000 წელს, დაახლოებით შეიძენიანი პაუზის შემდეგ, გიო მგელაძემ პირველი ფერადი, დოკუმენტური ფილმი – „7 დღე ტიბეტში“ გადაიღო, რომელსაც საფუძვლად დათო ტურაშვილის დოკუმენტური პროზა დაედო. რეჟისორი თითქოს საგანგებოდ გაექცა ყოფიერების აუტანელი სიმძიმით დაღლილ, შავ-თეთრ სამშობლოს და ტიბეტის რიტუალებში ჰპოვა დროებითი თავშესაფარი. მუსიკა ამ ფილმშიც მნიშვნელოვანია, რომელიც სპეციალურად გოგი ძოძუაშვილმა დაწერა. ოპერატორმა გიორგი ბერიძემ კი ტიბეტის მისტიკურ სამყაროს ფერადოვნება შესძინა.

„ამირანში“ გამართულ რეტროსპექტივაში ვერ მოხვდა გიო მგელაძის კიდევ ერთი ფილმი „ჩემი თვითმფრინვი“ – ნაღვლიანი და ფსიქოდელოური ზღაპარი ბავშვობის მეგობრებზე, რომლებიც ბედკრული 90-იანი წლების მღელვარე და ტრაგიკულ დროში ჩაიკარგნენ. საღამო დასრულდა ახალი, ათწუთიანი „Imago mundi“-ის პრემიერით, რომელშიც ერთ-ერთ პერსონაჟს თავად რეჟისორი თამაშობს, ხოლო ახალგაზრდა ქალს – თათია ბარამია. მამაკაცის და ქალის დიალოგი უსიტყვოა. არის მხოლოდ მუსიკა, გვიანი შემოდგომის ბაღი და ყვითელი ფოთლები, რომლის ფონზეც მაყურებელი მხოლოდ ხედავს, მაგრამ ვერ ისმენს, გრძნობს, მაგრამ ვერაფრით ხედება ტრაგიკულ ფინალს: რატომ კლავს ქალი მამაკაცს. რამდენიმე ხანში, ეს ისტორია, სხვა კინონოველებთან გაერთიანდება და საბოლოოდ, შვიდი დამოუკიდებელი ნოველისგან შემდეგარი სრულმეტრაჟიანი ფილმი სექტემბერში გამოვა.

ორიოდე წლის წინ, რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე რეჟისორ-

მა საკუთარი პიესა – „გაილიმეთ, ჩიტი გამოფრინდება“ დადგა. ფინალში არც ძველისძველი ხისფეხებიანი ფოტოაპარატი ჩანდა და არც ჩიტები გამოფრინლან. ავანსცენაზე გამსკრივებული, მარტოსული, უსინარულო პერსონაჟები ნაგვის ურიკას რიგ-რიგობით მიაგორებდნენ და პუბლიკის გამხმევებას საჭიროებდნენ. მაგრამ დარბაზი დაღლილი, ცივი და პირქუში იყო. მას აღარ სურდა ნარკომანების ისტორიების მოსმენა, ან 90-იანელთა განადგურებული თაობის თანაგრძნობა. ის დაიღალა საკუთარი და სხვისი ცოდვების მოსმენით და ამიტომაც მხოლოდ ზრდილობის გამო თუ უკრავდა ტაშს.

მანინ სად გაქრნენ გიო მგელაძის მომხიბლავი და რომანტიკული, თავგადასავლების მოყვარული ჰედონისტები, ლირიკული გმირები? ნუთუ, 80-იანი წლების უდარდელ ნადიმებსა და 90-იანი წლების ნარკოდეპრესიაში ჩარჩნენ?.. რეჟისორის ბოლო ფილმიც სწორედ ამ კითხვებს აღძრავს.




ROOMS HOTELS
 KAZBEGI

#1 V.Gorgasali street, Stepantsminda, Georgia; Tel: +995 32 2 710099; Fax: +995 32 2 720099
 E-mail: roomskazbegi@roomshotel.com; www.roomshotel.com

ბერტოლუჩი ოთხ კედელში

ავტორი ნინო ჩიხაძე



ალბათ, ცოტა რეჟისორს თუ შეუძლია ახალგაზრდების განცდების და შეგრძნებების ისე ხელშესახებად და საინტერესოდ ასახვა, როგორც ბერნარდო ბერტოლუჩის. ჯერ კიდევ 1964 წელს გადაღებულ ერთ-ერთ პირველ ფილმში „რევილუციამდე“, 24 წლის რეჟისორი საოცარი სიზუსტითა და პოეტურობით აღწერს 60-იანი წლების ამბოხის წინა პერიოდს იტალიაში, ახალგაზრდა წყვილის, მარქსისტი ფაბრიციოსა და ბურჟუაზიულ ოჯახში გაზრდილი ჯინას ურთიერთობის ფონზე. მოგვიანებით, ფილმში „ მთვარე“ ის ნარკოდამოკიდებული მოზარდი ბიჭის პრობლემებს და დედასთან მის ურთიერთობას იკვლევს, თან ინცესტის ტაბუდადებული თემა შემოაქვს.

90-იანი წლებიდან რეჟისორი ისევ უბრუნდება ახალგაზრდებს, თუმცა ამჯერად ნაკლები რადიკალურობითა და დრამატიზმით: ის ჯერ „ მოპარულ სილამაზეს“ იღებს, შემდეგ კი ფილმს – „მეოცნებენი“, რომელშიც 1968 წლის პროტესტის ნოსტალგიურ რეტროსპექტივას გვთავაზობს.

თითქმის ათწლიანი პაუზის შემდეგ რეჟისორმა ბოლო ფილმი ისევ ახალგაზრდებს მიუძღვნა: „მე და შენ“ 14 წლის ინტროვერტი ბიჭის და მისი უფროსი დის ამბავს გვიყვება და პერსონაჟების ხასიათის გახსნას და სიუჟეტის განვითარებას, პრაქტიკულად, ოთხ კედელში ჩაკეტილი ახერხებს.

„მიყვარს ახალგაზრდები, მომწონს იმის ყურება, თუ როგორ იზრდებიან ისინი კამერის

წინ“, – ამბობს 73 წლის რეჟისორი, რომელიც უკვე წლებია, ინვალიდის ეტლში ზის ზურგის მიძიმე დაზიანების გამო.

ფილმი, რომელიც ახლახან თბილისის კინოთეატრებშიც გამოვიდა, პირველად გასულ წელს აჩვენეს კანის კინოფესტივალზე. გარკვეულწილად, ეს რეჟისორის შემოქმედების ერთგვარი რეტროსპექტივაცაა: დასაწყისში ლორენცოს დედასთან დიალოგისას „მთვარე“ გახსენდება; და-ძმის ურთიერთობა აუცილებლად მოგაგონებთ „მეოცნებენს“; გარკვეულ პარალელებს ნახავთ, ასევე, ფილმებთან „ალყაში“ და „უკანასკნელი ტანგო პარიზში“.

გარდატეხის ასაკში მყოფ ლორენცოს (ჯაკომო ოლმო ანტინორი) ყველა და ყველაფერი აღიზანებს: მშობლები, თანაკლასელები, ფსიქოთერაპევტი. ერთ დღესაც, როცა მისი კლასი 1 კვირით სათხილამურო კურორტზე მიდის, ლორენცო საკუთარი სახლის სარდაფში ჩაიკეტება. მშობლებს კი ატყუებს, რომ თანაკლასელებთან ერთად არის წასული. MP3 ფლეიერი, ლეპტოპი, ნიგნი, საკვები – მარტოობის ერთი კვირისთვის „პირველად“ მოხმარების საგნებიც თან აქვს...

თუმცა მოულოდნელად მის მყუდროებას უფროსი ნახევარდა არღვევს, რომელიც ჰეროინზე დამოკიდებულებისგან იტანჯება და დროებით ღამის გასათევად ადგილს ეძებს. ფოტოგრაფიით გატაცებული ოლივია (ტეა ფალკო) შეყვარებულთან ერთად ტოსკანაში აპირებს გადასახლებას, თუმცა მისთვის პირობა აქვს მიცემული, რომ მანამდე ნარკოტი-

კებს თავს დაანებებს.

ოლივიაც და ლორენცოც რეალობას გაურბიან. ერთი ნარკოტიკებში ხედავს გამოსავალს, მეორე – იზოლაციაში. თანდათან მათში ერთმანეთის მიმართ ემპათიის განცდა იღვიძებს. ლორენცო ცხოვრებაში პირველად გრძნობს პასუხისმგებლობას ვინმეს მიმართ და აცნობიერებს, რომ ერთადერთია, ვისაც ოლივიას დახმარება შეუძლია. სწორედ ამით იწყება მისი მეტამორფოზაც.

თავის მხრივ, ოლივია სამყაროზე გაბრაზებულ ძმას აძლევს რჩევებს: „ნუ გგონია, რომ თუ ამ სარდაფში ჩაიკეტები, სხვებზე უკეთესი ხარ. უკვე დიდი ხარ, დროა, თვალი გაუსწორო ცხოვრებას“.

ფილმის კულმინაცია, და ალბათ, ყველაზე ემოციური ეპიზოდი, და-ძმის ცეკვის სცენაა, ოლივია დევიდ ბოუვის Space Oddity-ს იტალიურ ვერსიას რთავს და ლორენცოს უმღერის:

„მითხარი, მარტოსული ბიჭო, სად მიდიხარ? საიდან ამდენი ტკივილი? ვიცი, შენ ალბათ დიდი სიყვარული დაკარგე, თუმცა ქალაქი სავსეა სიყვარულით“.

ფილმის ფინალი ძალიან ოპტიმისტური და ინსპირაციულია. ოლივია და ლორენცო ერთკვირიანი იზოლაციის შემდეგ გარეთ გამოდიან და უკვე სრულიად სხვა განწყობით შორდებიან ერთმანეთს: ოლივია ახალი ცხოვრების დასაწყებად მიდის, ლორენცო კი ცხოვრების ახლებურად აღქმას სწავლობს.

ფილმში პრაქტიკულად არ გვხვდება რეჟისორისთვის დამახასიათებელი პერვერსიული და ნატურალისტური სცენები. არადა მთელი ფილმის განმავლობაში გაქვს ამის მოლოდინი. ძირითადი ნაწილი ერთ ოთახშია გადაღებული. თუმცა, მისი ყურება ერთი ნუთითაც არ გბეზრდება – ბერტოლუჩიმ ძალიან კარგად იცის, როგორ შეინარჩუნოს მაყურებელი თუნდაც მხოლოდ პერსონაჟების ხასისა და მოძრაობების ჩვენებით, ვუიარისტული მანიპულაციებით.

„მე და შენ“ ბერტოლუჩის ყველაზე კეთილი, ყველაზე სუფთა ფილმია, რომელიც შესაძლოა, რამდენიმე ეპიზოდში სენტიმენტალურადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ მთავარია, განწყობა, რომელიც ფილმიდან მოდის, ძალიან ხალასი და გადაამღებია – ინფექციასავით გადაამდები.

სხანი შეშრდა სტილი



მიონილა
შემოდგომა
გსოფლიო
კოდიუმიზა

თარგმანი
კრისტინა
ლუბუტანი



თამარ ალავიძე

დღესაც ცხადად მახსოვს ის მღელვარება, რასაც 2011 წლის ნოემბერში განვიცდიდი, „ცხელი შოკოლადის“ „სტილის“ რუბრიკისთვის პირველი სვეტის დაწერისას. მახსოვს, ორი დღე-ღამე მხოლოდ იმის ფიქრში გავატარე, რით დამეწყო, როგორ გამეგრძელებინა და როგორი ყოფილიყო დასასრული.

მღელვარებას ისიც მიმძაფრებდა, რომ ჟურნალის ახალი რუბრიკის წარმატება თუ წარუმატებლობა მთლიანად ჩემზე იყო დამოკიდებული. ერთი რამ, რაც ამ პროცესში მაგულიანდებდა და მამხნევებდა, იყო მონდომება, რომლითაც ამ რუბრიკის კეთება დავინწყე. ამას ნინო ჯაფიაშვილის მხარდაჭერაც ემატებოდა, რომელიც იმ დროს ჟურნალის მთავარი რედაქტორი იყო.

ამ შემართების წყალობით მოხდა, თუ არა, ვერ ვიტყვი, მაგრამ ფაქტია, რომ „სტილი“ გამოგვივიდა. იმ თავდაპირველი „გაოცებული რეაქციებისა“ და კრიტიკის მიუხედავად, 16 თვის განმავლობაში ამ რუბრიკამ უნიკალური აუდიტორია შეიძინა

და ბევრი მკითხველისთვის ნომრის „ტკბილ დესერტად“ იქცა.

გამოგიტყდებით, ამ სვეტისთვის მოზილიზება პირველზე მეტად გამიჭირდა. ალბათ, იმიტომ, რომ ეს ჩემი ბოლო სვეტია. ეს სიტყვა – „ბოლო“ – ხელს მიშლის და ზედმეტი სენტიმენტებიც მოაქვს, მაგრამ ფინიშის ხაზი ემოციების გარეშე, ალბათ, წარმოუდგენელია.

განვლილი პერიოდის შეფასებას არ დავინწყებ – ეს საქმე მკითხველისთვის მიმინდია. ერთი რამ კი ზუსტად ვიცი, მიხარია, რომ ჩემს ცხოვრებაში ეს 16 თვე იყო, პირველ რიგში, იმ ადამიანების გამო, ვისთან ერთადაც ამ დროის განმავლობაში ჟურნალს ვაკეთებდი; და იმ ადამიანების გამოც, ვინც „სტილის“ ისტორიებს და ფოტოპროექტებს ინტერესით ელოდებოდა; და ბოლოს, იმიტომაც, რომ ამ საქმის კეთება მომწონდა.

ასე რომ, სასურველი საქმის კეთებას გისურვებთ ყველას, მხოლოდ, ჩემგან განსხვავებით, უწყვეტ რეჟიმში. შეხვედრამდე!



გსურთ მიიღოთ VIP მომსახურება აეროპორტში? მიმართეთ "primeclass" ის CIP სამსახურს.

"primeclass" ი სთავაზობს თავის სტუმრებს განსაკუთრებულ პრივილეგიებს აეროპორტში შემოსვლისთანავე. CIP აგენტი, მებარგუდთან ერთად დაეხმარება მგზავრებს აეროპორტში არსებული ყველა საჭირო პროცედურის გავლაში, მათ კი შეუძლიათ მოისვენონ "primeclass" CIP დარბაზებში.

Tbilisi | Tel: 322 310 330 | Fax: 322 310 331 | E-mail: primeclass.georgia@tav.aero
Batumi | Tel: 422 235 111 | Fax: 422 235 112 | E-mail: primeclass.batumi@fav.aero
TAV Georgia Operation Services LLC. | www.primeclass.com.tr


primeclass
CIP Service



2013 წლის შემოდგომა მსოფლიო კოდისუბეზა

ავტორი: ბიორბი სარიშვილი-ვახოვასკი

წიგნების მალაზიასთან ჩაელის დროს ტერი ჯოუნსის წიგნის „Fashion now“-ს დანახვა მუდამ ამაღლებულ გრძობას იწვევს ჩემში. ეს არის კრებული, რომელიც სავსეა დიზაინერების მიერ შექმნილი განსაკუთრებულად კრეატიული სამოსის ფოტოებით, ასევე მათი ბიოგრაფიებით, და ზოგადად, მოდის სფეროში მომხდარი საინტერესო ფაქტებით. წიგნი ორი ნაწილისგან შედგება, რაც მუდამ მაფიქრებს, რადგან მესამეც მსურს დაიბეჭდოს. ეს კი მაშინ მოხდება, როდესაც დიზაინერები ჩვენს გაცემას შეძლებენ, შექმნიან რაიმე განსაკუთრებულს, მოდის სახლებში კი საინტერესო ცვლილებები განხორციელდება. ყოველივე ამის შესახებ, როგორც წესი, მოდის კვირეულები გვამცნობენ ხოლმე.

შეიძლება ითქვას, რომ 2013 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციებისადმი მიძღვნილი სეზონი ცვლილებების სეზონი იყო. არაერთმა მოდის სახლმა განიცადა ტრანსფორმაცია, ზოგმა სასიკეთოდ, ზოგიერთმაც – არა, რისი ნათელი მაგალითიც არის Yves Saint Laurent-ის მოდის სახლი: 1961 წელს დაარსებული მოდის სახლი YSL რებრენდინგის ქარცეცხლში მოექცა მას შემდეგ, რაც მთავარი დიზაინერი სტეფანო პილატი ჰედი სლიმანით შეცვალეს. რებრენდინგის ფარგლებში ბრენდის სახელმაც განიცადა ცვლილება და ამიერიდან ის უკვე Saint Laurent Paris-ად მოიხსენიება. დასაინაია, როდესაც თითქმის სამოცწლიან ისტორიას აუქმებ და ასეთ გამოცდას უწყობ ამ ძვირფას მემკვიდრეობას. მიუხედავად იმისა, რომ სტეფანო პილატის შემოქმედება განსაკუთრებული იდენტობით, ანდა რაიმე დამახასიათებელი ნიშნით არ გამოირჩეოდა, სლიმანის გამოჩენამ საქმე კიდევ უფრო გაართულა. მდიდრული სამოსი, ძვირფასი ქსოვილები, ელეგანტური ქალის სილუეტები 90-იანი წლების „გრანჟის“ სტილის ტყავმა შეცვალა. თუ ადრე მეტალის ელემენტებს Versace-ს სამოსზე შენიშნავდით, ახლა იგი Saint Laurent Paris-საც „ამშვენებს“. ჩაშვებული თვალები, განწილი თმა, მძიმე და შავი „baby doll“ კაბები კიდევ უფრო ხაზს უსვამდა კოლექციის „იაფფასიან“ ნაწილს. მოკლედ, ცვლილებებმა არ გაამართლა.

Christian Dior-ის შემთხვევაში კი ყველაფერი პირიქით მოხდა. როგორც იცით, წარმოშობით ბელგიელმა დიზაინერმა რაფ სიმონსმა ჯონ გალიანოს მიერ შექმნილი დიორის სახლი მთლიანად გადააკეთა, თუმცა ამისთვის მას მხოლოდ ესკიზების შექმნა დასჭირდა და არა – ბრენდის ისტორიის გაქრობა. თეატრალიზებული და ექსტრავაგანტური დიორი გახდა ელეგანტური, დახვეწილი და მინიმალისტური სავსე. სიმონსის ინსპირაციის წყარო ენდი უორჰოლის ილუსტრაციები იყო, რომელთა გაცოცხლებაც მან ქსოვილებზე პრინტის გადატანით შეძლო. მყარი, დრეკადი, მძიმე, პრიალა და





KENZO



J.W.ANDERSON

ხავერდოვანი ნაჭრები მოხატული იყო უორჰოლის შემოქმედებით. მოდელთა ფეხებს სადა, წვეტიანი ცხვირის მქონე ფეხსაცმელები ამშვენებდა, ხოლო კაბებს – ასიმეტრიული პეპლუმები, რომელთა სიგრძეც მუხლს ფარავდა. სიმონსმა ფერებშიც არ შეგვზღუდა და საბოლოო ჯამში, მარტივად მოახერხა, რთული, არქიტექტურული კოსტიუმები სადად, ელეგანტურად და დახვეწილად წარმოედგინა.

მსოფლიო მოდის აუდიტორია გაფაციცებით ელოდა 28 იანვარს, რადგან ამ დღეს უნდა გამართულიყო Balenciaga-ს საშემოდგომო ჩვენება, რომელზეც ამერიკელი დიზაინერის ალექსანდრ ვანგის პირველი კოლექცია იქნებოდა წარმოდგენილი. მოდის „პროდიჯის“, ნიკოლა გესკიეს მიერ Balenciaga-ს სახლისთვის 15 წლის განმავლობაში შექმნილი კოლექციები ყველა ჩვენგანს კარგად ახსოვს და ამიტომ, მოლოდინს გესკიეს მიერ დატოვებული ღირსეული მემკვიდრეობა კიდევ უფრო ამძაფრებდა.

მოლოდინი გამართლდა. უწვრილესი მეტალით და ოდნავ ფუტურისტული სამაგრებით გაფორმებული მოსაცმელები, მყარი ქსოვილები, არქივიდან გაცოცხლებული და „გათანამედროვეებული“ ზედატანები, ირიბად დახრილი მხრები და მკლავები, მრუდე ხაზები, სამკუთხა ფორმები, დატეხილი ტყავის ქსოვილები, ძვირფასი ბენჯი, საოცარი სიზუსტით შეკერილი კაბები და რაც მთავარია, უმაღლესი ხარისხი – ეს იყო ის, რაც ჩვენებაზე ვიხილეთ. ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ მოდის ცნობილმა გამოცემა WWD-მ ამ კოლექციას „მაღალი კლასის კოლექცია“ უწოდა და თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ვანგის სადებიუტო ნაშრომია, ვფიქრობ, საუკეთესო მისგან კიდევ წინ გველის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შოუ საიდუმლოდ ჩატარდა ოთხმოცდადღიანი ოთახში, რომელიც სპეციალურად ჩვენებისთვის შეიქმნა.

პოზიტიური აღმოჩნდა Kenzo-ს სახლის ცვლილებებიც. დღეს, მგონი, აღარავინ დაობს იმაზე, რომ სახლის ახალი შემოქმედებითი დიზაინერები – ქეროლ ლიმი და უმბერტო ლეონი საქმეს შეუდარებლად აკეთებენ. მათი მოსვლის დღიდან Kenzo-ს პროგრესი თვალსაჩინოა. 2013 წლის შემოდგომის სეზონისთვის დიზაინერებმა არჩევანი აზიური სტილის კოსტიუმებზე გააკეთეს და იაპონიაში გვამოგზაურეს. გადმოსულმხრებიანი პერანგები, ფერადორნამენტისანი ქსოვილები, მოკლე ქვედაბოლოებისა და სატინის ე.წ. „ბომბერ“ ქურთუკების კომბინაცია, მარტივი მაკიაჟი და შუაზე გადაყოფილი თმა Kenzo-ს ზამთრის კოლექციის შემადგენელი ნაწილებია.

Celine-ის ფრანგული სახლის დიზაინერი ფიბი ფაილო კი ყოველ მორიგ სეზონზე კიდევ უფრო გვარწმუნებს, რომ გენიალური დიზაინერია. 1940-იანი წლების სტილის კოსტიუმების, ამერიკული სპორტული სამოსის და დღევანდელი ფორმების შერწყმით, ფაილომ სრული ჰარმონია დაგვანახა. კუბოკრული ქსოვილები, ბენჯი, გაბაფთული დეტალები და დიდი საყელოები ამ სეზონზე Celine-ის ნიშა გახდა.

მრავალწლიანი ისტორიის მქონე ბრენდების განხილვა ყოველთვის სასიამოვნოა, თუმცა, ახლადგამოჩენილი თუ აღმოჩენილი მოდის სახლებიც არ უნდა დაგვავიწყდეს. მაგალითად, საკულტო სტილის მქონე ტყუპი დების, ოლსენების

მიერ შექმნილი მოდის სახლი The Row. The Row მინიმალიზ-
მით გამოირჩევა, ამავედროულად აღსანიშნავია სამოსისთვის
დამახასიათებელი მაღალი ხარისხი და ტენდენციების შესა-
შური სიზუსტით დაცვა, რაც მათ ნიშად იქცა.

ლონდონის მოდის კვირეულის მთავარი „კოზირი“ კი 1984
წელს დაბადებული ჯონათან უილიამ ანდერსონი (J.W. An-
derson) გახდა. საზოგადოების დიდმა ნაწილმა იგი ცნო-
ბილ ბრიტანულ ბრენდ Topshop-თან თანამშრომლობით
გაიცნო. ანდერსონი თავის შემოქმედებაში მუდამ არღვევს
ბალანსს მამაკაცსა და ქალს შორის. 2013 წლის ზამთრის
კოლექციისთვის მან მოდელები ოდნავ მკაცრი იერსახით
დაგვიხატა და ისინი მასკულიური სილუეტების მქონე კოს-
ტიუმებით შემოსა. ნვეტიანი კუთხეები სამოსზე, მკაცრი
ფორმის ზედატანები და ფართო მკლავები, განიერი შარ-
ვლები, ბენვიანი ზედატანები და თეთრი ფეხსაცმელები –
ეს ყველაფერი იდეალურად ერწყმოდა ერთმანეთს. სწორად
შერჩეული სთაილინგიც თავის საქმეს აკეთებდა და მაყურე-
ბელს ინტერესს უმძაფრებდა.

ბრენდი შამუჯი კი ძვირადღირებული ჩვენებების გამარ-
თვით ვერ დაიკვივნის, მაგრამ კარგი სამოსით ის მაინც
გამოირჩევა. შამუჯი „ლუქბუქების“ საშუალებითაც კი ისე
კარგად ახერხებს სამოსის პრეზენტაციას, რომ შოუს გა-
მართვის შემთხვევაში, ალბათ, საბოლოოდ დაიპყრობდა
კრიტიკოსების გულს. თუმცა ახლად შექმნილ ბრენდს ნინ

დიდი დრო აქვს და მიმართა, რომ წარმატება მის კარზე
აუცილებლად დააკაკუნებს.

არ მინდა გამომჩრქეს არც ლად Houran-ის გამოჩენა მო-
დის ინდუსტრიაში. წარმოშობით იორდანელი ჰურანი 2013
წლის ზამთრისთვის ოთხკუთხედცხვირიან ფეხსაცმელებს,
სწორ ხაზებსა და სხვადასხვა მყარ ქსოვილებთან ტყავის
კომბინაციას, ფუტურისტულ ფორმებსა და ძირითადად
შავ-თეთრის შეხამებას გვთავაზობს. Rad Houran-მა ისიც კი
მოახერხა, წლევეანდელ მაღალი მოდის პარიზის კვირეულზე
პირველი მინიმალისტური უნისექსი კოლექცია წარმოედგი-
ნა.

ალბათ, შეამჩნიეთ, რომ მინიმალიზმი და უნისექსი უკვე
სენივით მოედო მოდას. როგორც ჩანს, ფერები და რთული
კომბინაციები უკან იხევს, მოდის საზოგადოების გაკვირ-
ვება სულ უფრო რთული ხდება, ამიტომაც დიზაინერებს
შთაბეჭდილების მოსახდენად ისევ ერთი ფერის სტრატე-
გიის არჩევა უწევთ.

ეფიქრობ, ზემოთ აღნიშნული მოვლენები, კოლექციე-
ბი და სახელები უკვე საკმარის საფუძველს ქმნის Fashion
Now-ს ნიგნების სერიის მესამე ნაწილის გამოსაცემად.
იქამდე კი ვადევნოთ თვალი მოდის ინდუსტრიის სიახლეე-
ბს და მივხვდებით, თუ როგორი დასასრული ექნება ახალ
კრებულს, რომელსაც, სავარაუდოდ, ისევ ტერი ჯოუნსი
გვაჩუქებს.



სასიამოვნოა თქვენთან შეხვედრა



\$99 ერთ ადამიანზე
ორადგილიან ნომერში


- განთავსება სასტუმროს ორადგილიან ნომერში
- ბუფეტის ტიპის მრავალფეროვანი საუზმე
- აუზი, საუნა, ჯაკუზი, გამაჯანსაღებელი ცენტრი

და

- სრული დღის მქვანე საკონფერენციო შემოთავაზება:
- სათათბირო ოთახი
- ორი ყავის შესვენება
- სადილი

გააპთოთ თქვენი ღონისძიება შერატონში და
ჩვენ დაგორბავთ ხმს თქვენს სახელში!

ერთად დავიცვათ გარემო!



კრისტიან ლუბუტანი და ფეხსაცმლის ფსიქოლოგია

ავტორი: ლორენ კოლინზი
 „ნიუ იორკერი“, 2011 წლის მარტი
 ინგლისურიდან თარგმნა გვანცა ნემსაძემ



მარტის დასაწყისი იყო, შუადღე. ფეხსაცმლის დიზაინერმა კრისტიან ლუბუტანმა გადანყვიტა, წახემსების შემდეგ, Vespa-თი გაეხეირნა. თავზე ჩამოიცვა ჩაფხუტი, სახეზე ჩამოინია შუშა და თავის მუქლურჯ მოტოციკლზე გადაჯდა. მე უკან მივუჯექი. ასე, მსუბუქად ნასვამები, სიჩქარის გადამეტებით გავკროლდით პარიზის გადატვირთულ გზებზე.

ლუბუტანმა ძრავა Rue de Rivoli-სთან გამოართო. ცივი და ნათელი დღე იყო. აუტანელი სუსხის გამო თვალები მიცრემლდებოდა. პარიზის მეორე რაიონში, ერთ-ერთ გადაკვეთაზე, შუქნიშანზე წითელი აინთო. გავჩერდით. კუთხეში ორი ქალი გამოჩნდა და თავისდაუნებურად, ქუჩის სახელდახელო დეფილე მოაწყო: ერთ-ერთი ინვალიდის ეტლს აწვებოდა, მეორე – ეტლში იჯდა, მუხლებზე პლედი ჰქონდა გადაფარებული, მაგრამ მაინც მოუჩანდა მზეზე მოელვარე ოქროსფერი ფეხსაცმელი.

„ამ სცენაში იყო რაღაც ბუნებულისეული“, – ამბობს ლუბუტანი. მსგავსი რამ ადრეც შეემთხვა, როდესაც ერთ-ერთი ხელმძღვანელის დროს (ლუბუტანი საკუთარ ფეხსაცმელებზე ისე არიგებს ავტოგრაფებს, როგორც მწერლები – ნიგნებზე), მასთან ერთი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალბატონი მივიდა და ხელმოსაწერად ლაქის სალამოს ფეხსაცმელი გაუწოდა საშუალო სიმაღლის ქუსლით. „მამინ გავიფიქრე, მე რომ ვიჯდე ეტლში, ალბათ, მომინდება, მეცვას სუპერ-მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი... რა უცნაურია, ისე –

თარგმანი

ადამიანი პარალიზებულია და მაინც ფიქრობს იმაზე, თუ რა უფრო მოუხდება მის ფეხს“.

სიურეალისტების პატივსაცემად, ლუბუტანმა შექმნა ჰიდროდინამიკური მოყვანილობის ქუსლიანი ფეხსაცმელი, ნეკა თითზე გამოზურცული თვალით, შავი და ოქროსფერი მოზაიკური ქერცლით – ფეხი, რომელიც თევზს მოგაგონებთ. მან შექმნა ფეხსაცმლის წყვილი განსხვავებული სიმაღლის მქონე ქუსლებით. კერძო კლიენტისთვის, რომელიც მალაროს მფლობელი იყო, შექმნა ფეხსაცმელები ლალის ქვის ძირებით.

ლუბუტანისთვის ფეხსაცმლის ფიზიკურ მახასიათებელს ნაკლები მნიშვნელობა აქვს, მისთვის მთავარი მისი ფსიქოლოგიური შტრიხებია. „ფეხსაცმელი იმაზე გაცილებით მეტს გთავაზობს, ვიდრე უბრალოდ გადაადგილებას“, – ამბობს ის.

ლუბუტანი წელიწადში ხუთასი ათას წყვილზე მეტ ფეხსაცმელს ჰყიდის. ფასი 395 დოლარიდან (ასე ღირს ესპანური) ექვს ათას დოლარამდე მერყეობს (ასე ღირს ქუსლიანი ფეხსაცმელი „სუპერ-პლატფორმით“, რომელიც ბროლის ათასობით ნატეხითაა მოჭრილი. თითოეულის ლანჩა კაშკაშა, ელვარე წითელი ფერისაა). ლუი მეთოთხმეტის წითელლანჩიანი ფეხსაცმელების მსგავსად, ლუბუტანის ქმნილებებიც გლამურის და პრივილეგიის გამოხატულებაა. ამას გარდა, „წითელი ლანჩა“ ერთგვარი მარკეტინგული ხრიკიც არის იმისათვის, რომ სხვა შემთხვევაში შეუმჩნეველი პროდუქტი, იოლად ცნობადი იყოს.

ტორონტოში მდებარე Bata-ს ფეხსაცმლის მუზეუმის უფროსმა კურატორმა, ელიზაბეტ სემელჰეიმამ მითხრა: „ლუბუტანმა ფეხსაცმლის ის ნაწილი, რომელსაც მანამდე არაფრად აგდებდნენ, არა მარტო ვიზუალურად საინტერესო გახადა, არამედ კომერციულად სასარგებლოც“. მისი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოდელია „Very Prive“ დაკლაკნილი ქუსლით, ღია თითითა და დაფარული პლატფორმით. 2006 წელს, ამ მოდელის გამოშვებამდე, ლუბუტანი თავის მთავარ მეტოქეზე, მანოლო ბლანკზე ნაკლები პოპულარობით სარგებლობდა. „Very Prive“ თანამედროვეობის ისეთივე გამოძახილი იყო, როგორც



iPod-ია – მოდერნიზებული კონტურების მქონე ფეხსაცმელს არაფერი ჰქონდა საერთო ძველმოდურობასთან. კალმის სწრაფი მოძრაობით, ლუბუტანმა მოახერხა, მანოლო ბლანკის ცნობილი ქუსლიანი ფეხსაცმელი – ე.წ. სლინგბეჭი – ექცია ფეხსაცმლად ქალისთვის, რომელიც, პირობითად, მთელ დროს საქველმოქმედო საღამოებზე სიარულსა და იქ ქათმის სალათისა და საზამთროს ბურთულების ჭამაში ატარებს. არა, ლუბუტანის ქალმა შეიძლება შეუკვეთოს ჰამბურგერი ნახევრად უმი ხორციტაც: „მე შევქმნი ფეხსაცმელს ქალისთვის, რომელიც ლანჩზე დადის, თუმცა ეს იქნება ნამდვილად „ბინძური“ ლანჩი, რომელზეც ქალები კაცებზე ლაპარაკით იქცევენ თავს, – ამბობს ლუბუტანი, – მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ არასდროს შევქმნი ფეხსაცმელს ქალისთვის, რომელიც შუადღისას ბრიჯს თამაშობს“.

სოლიდური, ერთფეროვანი მოდის საზოგადოება არ წარმოადგენს ლუბუტანის სამიზნე აუდიტორიას. თავის მოდელებს ის ისეთ სახელებს ურჩევს, რომლებიც ყდერადობით იდეალურად გამოხატავენ ფეხსაცმლის ბუნებას. მაგალითად, „Toutenkaboucle“, ან „Zigou-

nette.“ ერთხელ მან შექმნა სანდალი თასმებით, რომელიც საზომ სანტიმეტრს ჰგავდა. ერთხელ კი ჩექმა ჯიბეებით დაფარა, „საფარის“ ტიპის ქურთუკის მსგავსად და ამ მოდელს „CNN-ის გოგონა“ დაარქვა. მისი ეს ხუმრობები, ზოგჯერ ზღვარსგადასულადაც კი ეჩვენება ბევრს.

თუმცა ლუბუტანს სჯერა, რომ იუმორით ოსტატურად შეიძლება რაიმე ძვირფასის „გაშარჟება“. „კარგი და დახვეწილი გემოვნება უნდა დაიფიქროს, – ამბობს ის, – ჩვენ, ფრანგებს ერთი გამოთქმა გვაქვს, „le petit quelque chose qui fout tout par terre“ – რაც ნიშნავს, რომ არის პატარა წერილმანი, რაც ყველაფერს აფუჭებს. ასე რომ, სრულიად კლასიკური ფორმები შეიძლება გამოიყენო რაიმე თანამედროვე და არასტანდარტული შესაქმნელად“.

ჟურნალ Vogue-ის ევროპელი კონტრიბუტორი-რედაქტორი ჰემიზ ბოულსი ამბობს: „კრისტიანის ფეხსაცმელებში ყოველთვის არის რაღაც „უზნოს“ მოლოდინი. ამ მხრივ, მისი ფეხსაცმელები ცოტა სამიში მოვლენაცაა: თითქოს უფსკრულის პირას იმყოფები, მოსაწყენ, საყოველთაოდ მიღებულ გემოვნებასა და რაღაც „ყირაზე დაყენებულს“



შორის“.

ლუბუტანი ნაკითხი კაცია (უელბეკი, ოუტსი, კაპუშინსკი), ბევრს მოგზაურობს (რამდენიმე წლის წინ, დიან ფონ ფურსტენბერგთან ერთად უზბეკეთში გაატარა შვებულება) და ფრიად განსწავლული მებაღეცაა – ერთხელ, ერთ-ერთ საზეიმო სადილზე კატრინ დენევი დაატყვევა პეონების იშვიათ სახეობებზე გაუთავებელი საუბრით. ანცი, ხუმარა და გულთბილი კაცია, უყვარს ჟილეტები და ყელზე ბაფთები, თავზე ხან ფედორა, ხანაც „ფესკა“ ახურავს. მალავს, მაგრამ პოდოუმისთვის გაჩენილი ტიპაჟია, მისი ფეხსაცმელები კი მინიატურულ სცენებს ჰგავს. ერთ დღეს, პარიზულ სასტუმროში საუზმობისას, ლუბუტანი თავისი „აიფონით“ ერთობოდა. უნდოდა, ახლადნასწავლი ფრაზის შესახებ პატარა ტექსტი აეკრიფა, თან ტელეფონის ფოტოგალერეა გახსნა და დააჭირა რომაულ კაფეში გადაღებულ ფოტოს, რომელზეც ახლადმოღულებული ლატე იყო გამოსახული. ლატეს თავზე გულის ფორმის ქაფი ადგა. „მასხოვს, მაშინ ვკითხე ოფიციანტს – ეს რამეს ნიშნავს-მეთქი, კითხვა შემომიბრუნა, გააჩნია რომელი მხრიდან შეხედავთო, – ჰყვება ლუბუტანი და თან ტელეფონს

ატრიალებს ისე, რომ გულის ფორმის ქაფი ახლა უკანალს ჰგავს, – ვუპასუხე, კარგი, ასე უფრო მომწონს“.

ლუბუტანის სულში ჩასახლებული შოუმენი გიჟდება ყველანაირ სანახაობაზე – რაც უფრო უზნეოა, მით უკეთესი. 2007 წელს მან დევიდ ლინჩთან ერთად მოაწყო შიშველი ქალების ფოტოგამოფენა, რომელთაც ტკივილის-მომგვრელი, უცნაური ფორმის ფეხსაცმელები ეცვათ. „ზოგიერთი, ვინც ამ გამოფენის დასათვალიერებლად მოდიოდა, საფლავიდან ამოსულ ზომბს ჰგავდა, ვამპირებით ხარბად ათვალიერებდნენ გამოფენას“, – იხსენებს ლუბუტანი. საკუთარ სადომაზოხისტურ ბუნებას არ მალავს. „უბრალოდ კრიმინალი უნდა იყო, ან პერვერტი, ჩემი გაცემა რომ შეძლო“, – ამბობს.

ლუბუტანმა მიამბო, რომ ერთხელ რაღაც „გაუგებრობაში“ გაეხვა. თავის ოფისში იჯდა, როდესაც ტელეფონმა დარეკა. პოლიციის ინსპექტორი იყო, დაკითხვაზე იძახებდა, რადგან დაკავებული ქალის ხელჩანთაში ლუბუტანის საბანკო ბარათი აღმოაჩინეს, ამავე დროს, ეჭვმიტანილს მამაკაცისთვის სხეულის ზიანის მიყენებაში ედებოდა ბრალი. ის მსუბუქი ყოფაქცევის ქალი

აღმოჩნდა, ფსიქიკური აშლილობების ისტორიით. მას შემდეგ, რაც ლუბუტანმა პოლიციელი დაარწმუნა, რომ ამ ინციდენტთან მხოლოდ ირიბი კავშირი ჰქონდა (ბარათი მისი ერთ-ერთი ბუტიკიდან იყო) და ყურმილი დაკიდა, ჩამოჯდა და ესკიზის ხატვა დაიწყო. „ვცდილობდი, წარმომედგინა ფეხსაცმელი, როგორც უნდა სცმოდა გოგონას მსგავს სიტუაციაში. და გამოვიდა ფეხსაცმელი, მაღალი ქუსლით და შესახსნელი თასმებით, რომელსაც მაშინ გამოიყენებდა, თუკი მონინდომებდა, ფეხსაცმელი უცებ ვინმესთვის ჩაერთყა თავში“. ამ ოქროსფერ ფეხსაცმელს ლუბუტანმა სახელად „მკვლეელი ქალი“ უწოდა.

პირველი მალაზია მან 1991 წლის ბოლოს გახსნა, გალერეა Vero-Dodat-ში, შემინულ ქარვასლაში, ჟან ჟაკ რუსოს ქუჩაზე. დღეს უკვე ოცდათხუთმეტ მალაზიას ფლობს თექვსმეტ ქვეყანაში. რუსოს ქუჩა კი, პარიზში, მისი ძველი მეგობრის სიტყვებით რომ ვთქვათ, ოფისების, დიზაინ-სტუდიების და საწყობების ბიზანტიურ ლაბირინთად აქვს ქცეული. თავის კოლონიას ხშირად სხვა ქალაქებიდან მართავს. მისი ბოლო გაჩერებები იყო: ჟენევა (სამუშაოდ), ჰავანა (გასართობად), მაიამი (გასართო-

ბად) და რიო დე ჟანეირო (სამუშაოდ და გასართობად), ბოლოს პარიზში ჩავიდა ცოტა ხნით, ვიდრე მალევე მილანისკენ, დელისკენ, მუმბაისა და შანხაისკენ გააგრძელებდა გზას (ძირითადად სამუშაოდ).

ჟან ჟაკ რუსოს ქუჩაზე კი სრულყოფილებამდე აპყავთ მისი შემოქმედება. თანამშრომლები ტროტუარზე, ოფისიდან ოფისში აღმა-დაღმა დაქრიან. მათი ამოცნობა სხვა გამვლელებისგან ფეხსაცმლითაა ძალიან იოლი. თითოეულის ძირი ბოლოსკენ აუცილებლად ნითელია.

როცა ლუბუტანია ქალაქში, ჰაერშიც კი იგრძნობა საზეიმო ფუსფუსი. ერთ კარში ჩნდება, მერე ქრება და მეორედან გამოჰყოფს თავს, გაუთავებლად დარბის ტროტუარებსა და შესახვებებში. ესაა ინდუსტრია, რომელიც საშობაო კალენდარს ჰგავს, თითოეული ფანჯარა შობამდე დარჩენილ დღეს რომ აღნიშნავს.

საკუთარი კომპანია ლუბუტანმა შარლ ჟორდანთან მუშაობის შემდეგ დააარსა. კურატორობდა როჟე ვივიეს გამოფენასაც. ვივიესაგან, რომელიც მოდის ისტორიაში „ფეხსაცმელების ფაბრიკა“ სახელით არის ცნობილი და რომელმაც სასენი ნიშნის – მძიმის ფორმის ქუსლები გამოიგონა, ლუბუტანმა ხელოვნების შეგრძნება შეითვისა. დღესაც კი იგი ფეხსაცმელებს უდგება არა როგორც სამომხმარებლო პროდუქტს, არამედ როგორც მუსიკას. შარლ ჟორდანისგან კი ლუბუტანს ბიზნესის ინდუსტრიული ცოდნა დარჩა. „ეს არ ყოფილა საოცნებო სამყარო, – იხსენებს იგი, – ეს სიძნელეების სამყარო იყო და თავს მის ტყვედ ვგრძნობდი“.

თავიდან ლუბუტანი საკუთარი კომპანიის ერთადერთი თანამშრომელი იყო. ახლა კი, თავად ასაქმებს 420 ადამიანს. თუმცა, მთელ მის კორპორაციას არასდროს დაუკარგავს გამორჩეულად ადამიანური ბუნება. ოფიციალურ ვებგვერდზე შესვლისთანავე, ჩარჩოში ლუბუტანის გამოჭრილი ფიგურა ხტება. ფიგურას არაფერი აცვია, საცურაო კოსტიუმის გარდა, ზურგზე კი ნითელი ზურგჩანთა აქვს მოკიდებული. თანამშრომლები, რომელთაც „ლუბის ანგელოზებს“ უწოდებენ, თავიანთი

საყვარელი სიმღერების სათაურებს LouboutinWorld-ის ტვიტერის გვერდზე წერენ. „ადამიანთა განსაკუთრება ნამლებს არ ვიგონებ, – ამბობს ლუბუტანი, – ამიტომ ვგრძნობ, რომ მთელ ჩემს სისტემას უნდა დაჰკრავდეს იუმორის, ხალისის ელფერი“.

როგორც თვითონ ჰყვება, წლების წინ, ფერაგამო ცდილობდა მის გადაბრუნებას, მაგრამ თავისუფლებაა ის, რასაც ვერასდროს თმობს. ვკითხე, ოდესმე საკუთარი წარმატებებით გადადილობდა თუ უგრძნობდა თავი, რაზეც მიპასუხა: „არ ვიცი, როგორ უნდა იგრძნო თავი უბედურად“. მერე კი მხიარულად დამატა: „როდესაც დაგეგმილი შეხვედრებით ისე ვარ ხოლმე გადატვირთული, რომ საპირფარეოში გასვლასაც ვერ ვახერხებ, აი, მაშინ ვხვდები მხოლოდ, რომ უნდა გავჩერდე“.

მისი ოფისი სავსეა სხვადასხვა მოგზაურობიდან გამოყოლილი სუვენირებით: სფინქსები, თავის ქალები, ობელისკები; ასევე 149 ბოლივუდური პოსტერი, რომლებიც მუმბაიში შეიძინა. აქვეა მისი ცნობილი „მძარცველი ბარბის თოჯინა“, რომელსაც ლატექსის კატის კოსტიუმი და ბალთებით გაფორმებული სანდლები ამშვენებს. ლუბუტანმა საბაზანო ოთახი განცხადებების დაფებით აავსო. ეს დაფები კედლებზე თასმებით დაამაგრა და კედლები ელიზაბეტ დედოფლის, გები სიდობის, ცხენზე ამხედრებული შეიხისა და მარლბოროს კაცის ფოტოებით გააფორმა.

როგორც ამბობენ, შოპინგის სიყვარულით ლუბუტანი ელტონ ჯონისაც კი უწევს ღირსეული მეტოქეობას. ვეგეტიტში, სადაც მას სახლი და ორანჰაინი კრეისერი აქვს, ძველთაძველი ხის კარების რვა ნაჭერი შეიძინა; პორტუგალიაში იყიდა მეთევზის კოტეჯი, ალემპოში – სასახლე და ვანდეში კი – მე-13 საუკუნის სასახლე. მითხრა: „უბრალოდ, ასეთი დაავადება მაქვს, თუკი სადმე თავს კარგად ვგრძნობ, იქ აუცილებლად სახლი უნდა ვიყიდო“.

ლუბუტანის ფეხსაცმელი ესკიზიდან იწყება. ზაფხულის კოლექციებს თბილ ქვეყნებში აკეთებს, ხოლო ზამთრისას – ცივ კლიმატში. „ყოველ ნახატს შემდეგზე გადავყავარ. ეს წინადადებას ჰგავს. რთულია, იფიქრო ზამთარზე, როცა

მზიანი ამინდია, ამიტომ ჩემთვის ბევრს ნიშნავს, როცა შესაბამისი გამოსხივებაც მაქვს“. ბრაზილიაში ყოფნისას ლუბუტანი ნიჭარებზე და ზღვის ტალღებზე ფიქრობდა: „ზღვასთან ახლოს ყოფნა ხატვის სურვილს მიმძაფრებს“, – ამბობს ის. როდესაც ესკიზები საბოლოო სახეს მიიღებს, ისინი იგზავნება ლუბუტანის ქარხანაში, მილანის გარეუბანში. ხელოსანთა გუნდი მუშაობას იწყებს, რომ კრისტიანის ფანტაზიის ნაყოფი სამ განზომილებაში გადაიტანოს. სამი კვირის თავზე, ფეხსაცმელების ნიმუშები პარიზში, ჟან ჟაკ რუსოს გამზირზე იყრის თავს. ლუბუტანის ესკიზები კულინარიულ რეცეპტებს ჰგავს – დასრულებული პროდუქტი, შესაძლოა, უფრო ტკბილი, ან უფრო მწარე გამოვიდეს, ვიდრე ჩაფიქრებული იყო.

ფეხსაცმელი, რომელსაც ლუბუტანი მალაზიებში ჰყიდის, იტალიაში, მისსავე ქარხანაშია დამზადებული. პარიზში კი, ჟან ჟაკ რუსოს ქუჩაზე, პატარა ატელიე აქვს, მნიშვნელოვანი პირადი კლიენტებისთვის. ისინი ხან ყოველდღიურ, ხანაც – უცხო, ორიგინალური სტილის ფეხსაცმელს უკვეთავენ. „ეს საქმე ლაბორატორიაში მუშაობას მაგონებს, – ამბობს ლუბუტანი, – აქ ახალი ცდების ჩატარება შემიძლია“.

ლუბუტანის ინდივიდუალური შეკვეთით დამზადებული ფეხსაცმლის საშუალო ფასი ოთხი ათასი დოლარია. „თუკი მოდელი უკვე არსებობს, მის ჩვეულ ფასს 30 პროცენტი ემატება და სულ ესაა“, – მისხნის. ერთადერთი, რასაც არასდროს ცვლის, ფეხსაცმლის ნითელი ლანჩაა, თუმცა, ზოგჯერ, ქველმოქმედება აიძულებს, რომ ამ წესსაც გადაუხვიოს. მაგალითად, ვარდისფერი ლანჩა შექმნა „ქუქუს კიბოსთან ბრძოლისთვის“, მწვანე კი – „დედამიწის დღისთვის“.

ერთხელ, ენდი ვორჰოლის „ყვავილებით“ შთაგონებულ ლუბუტანს უნდოდა ამ თემაზე ფეხსაცმელი შეექმნა. საჭირო ესკიზების შექმნის შემდეგ, საქმე იტალიურ სტუდიას მიანდო, რომელსაც ფეხსაცმლის პირველი საცდელი მოდელი უნდა დაემზადებინა. იტალიიდან ჩამოსული პირველი მოდელით ლუბუტანი თავიდან კმაყოფილი დარჩა. „მისაროდა, რადგან მოდელი ძალიან ჰგავდა იმას,

რაც დავხატე, – იხსენებს ლუბუტანი, – თუმცა მერე მივხვდი, რომ ესკიზი მაინც უფრო ძლიერი, შთამბეჭდავი იყო და ვერაფრით გამეგო, რატომ. ფეხსაცმელს დიდი, შავი ლანჩა ჰქონდა, იქვე კი, ჩემი თანამშრომელი გოგონა ფრჩხილებზე ისვამდა წითელ ლაქს. მადლობა ღმერთს, რომ ეს დავინახე!“ ლუბუტანმა ასისტენტ გოგონას სასწრაფოდ გამოართვა წითელი ლაქი და საცდელად ჩამოტანილი ფეხსაცმლის ძირს სქლად გადაუსვა. „აი, მაშინ ამონათდა, მაშინ შეიცვალა ყველაფერი და გავიფიქრე – აი, ახლა მივალნიე იმავეს, რასაც – ესკიზში“.

წითელი ფერის გენიალობა იმაშია, რომ ის ლამაზია. ერთხელ, ლონდონში ყოფნისას, ქარმა ლუბუტანის წინ სამ ქალს აუფრიალა კაბა – სამივეს წითელი ძირიანი, ქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა. „ეს ჩემთვის ყველაზე საყვარელი მომენტი იყო“, – იხსენებს ლუბუტანი. იგი ამბობს, რომ წარმოების შემცირების დროსაც კი, როდესაც Net-A-Porter-მა შესაფუთ ქალაქად გაზეთების გამოყენება დაიწყო, Hermès-მა კი – თეთრი ჩანთების, ლუბუტანისგან სისადავე არავის მოუთხოვია.

...საუბარში გართულები, მალევე მივედით პარიზის მეთორმეტე რაიონამდე, იმ სახლის მეზობლად, სადაც ლუბუტანი გაიზარდა. მისი მშობლები როჟე და ირენი დაქორწინების შემდეგ გადმოვიდნენ პარიზში საცხოვრებლად. მამა ხის მეჩუქურთმეა, ირენი კი – დიასახლისი, სამი გოგონას და ერთი – დებზე გაცილებით უმცროსი – ვაჟის დედა. დებს მშობლების მსგავსად ფერმკთალი კანი ჰქონდათ, კრისტიანი კი შესამჩნევად მუქი იყო.

ვინრო ქუჩაზე სეირნობისას, ძველი შენობის წინ შევჩერდით. „ამ ორ ფანჯარას ხომ ხედავთ, ჩემი ძველი ბინაა“, – თქვა მან და მეექვსე სართულზე მდებარე საცხოვრებელ ფართზე მიმითითა. ათი წლის იყო, დედასთვის ცალკე სატელეფონო ხაზის გაყვანა რომ უთხოვია. ახლა იხსენებს, რომ მეგობრების ტელეფონის ნომრებს, საწოლთან ახლოს, იქვე, კედელზე ინერდა. ძველი სასკოლო ბარათი მიუთითებდა, რომ ერთ სემესტრში ლუბუტანს სკოლა 64-ჯერ გაუცდენია. როცა სკოლაში



წასვლის განწყობა არ ჰქონდა, დედას მაგიდასთან დასვამდა და სკოლის გაცდენისთვის „საპატიო მიზეზს“ კარნახით აწერინებდა. დედაც მორჩილად ასრულებდა შვილის თხოვნას.

კრისტიანი თორმეტი წლის იყო, როცა მასზე გაცილებით უფროს მეგობართან ერთად ცალკე საცხოვრებლად გადავიდა.

– როგორ იშოვე მაშინ ფული?- გკითხე.

– ფული არაფერში გჭირდება, როცა თორმეტის ხარ, – მიპასუხა.

ლუბუტანი ოჯახისაგან გამოყოფას გარდაუვალ ფაქტად უფრო ახასიათებს,

ვიდრე ტრავმად. ის ხომ საქმიანი პორტფოლიოს მქონე თინეიჯერი იყო, რომელიც უკვე 12 წლის ასაკში შეხვედრებს მართავდა ბიზნესმენებთან. ამბობს, რომ მშობლებს ხშირად სტუმრობდა, ხან სადილზე, ხანაც – სარეცხის გასარეცხად. მათ კი შვილის საქმიანი ცხოვრების სტილის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ.

სისტემატური გაცდენების გამო, 16 წლის ასაკში სკოლიდან გარიცხეს. თუმცა, მას ეს სულ არ ადარდებდა. „დაახ, მე მინდოდა ფეხსაცმლის დიზაინერი გამოვსულიყავი, მაგრამ არასოდეს მიფიქრია, რომ ეს შეიძლებოდა ჩემი

პროფესია ყოფილიყო. მაგრამ რა იყო ალტერნატივა – ექიმობა? მეტისმეტად ბინძური საქმეა! თვითმფრინავის ბორტგამცილებლობა? მგონი, არა! შემდეგ, ვილაცამ როჟე ვივიეს წიგნი მაჩუქა და მაშინ ნამდვილად მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე იყო“.

...კაცები ხარებივით არიან, – თქვა ლუბუტანმა, – ისინი ვერ უძლებენ ნითელი ლანჩის ცდუნებას“. ამ დროს მისი სახლის მეზობლად მდებარე კაფეში ვსადილობდით, სადაც ლუბუტანმა სისხლიანი ძხვი შეუკვეთა და გატაცებით საუბრობდა ქალისა და მამაკაცის სქესის შესახებ. „ფვიქრობ, ჩემში არის რალაც მცირე ქალური ნაწილი, – მითხრა მან, – როდესაც გოგონები ერთად სხედან, ისინი სრულიად განსხვავებულად ლაპარაკობენ, ვიდრე მაშინ, როდესაც მათ საუბარს მამაკაციც ესწრება. მაგრამ, როცა მე მათთან ერთად ვარ, ეს „მამაკაციური“ მომენტი თითქოს არც არსებობს და ისინი სრულიად შეუზღუდავად გრძნობენ თავს“. ლუბუტანმა სოსისი ჩაკბიჩა და განაგრძო, – არა, არ ფვიქრობ, რომ ქალი ვარ. არც ფილმ „პიანინოს“ ყურებისას მიტირია. უბრალოდ, მაქვს უნარი, ჰარმონიულად გადავადნო ერთმანეთში ვენერას საჭიროებები და მარსის სურვილები. „ჩემი სამუშაოს არსი იმაში მდგომარეობს, რომ სიამოვნება ქალებს კი არა, კაცებს მივანიჭო“. ლუბუტანი თავის ფეხსაცმელებს კაცების სატყუარად მიიჩნევს: კაცებს მოსწონთ მაღალი ქუსლები, ქალებს კი მოსწონთ, როცა ისინი მამაკაცებს მოსწონთ. „კრისტიანი არასდროს ქმნის ისეთ ფეხსაცმელს, რომელიც ქალს რაიმე უპირატესობას მაინც არ მიანიჭებს“, – ამბობს ლუბუტანის სტუდიის დირექტორი ჰიუგო მარშანი. ლუბუტანი ისეთ წყვილსაც კი იცნობს, რომლებიც მას შემდეგ დაქორწინდნენ, რაც მამაკაცი ქალს მისი ფეხსაცმლის ნითელი ლანჩით მონუსხული მიუახლოვდა.

ამ საუბრიდან რამდენიმე დღის შემდეგ, Vende-ს ატალახებულ მდელიოზე ვსეირნობდი და ლუბუტანის გაღვიძებას ველოდი. ძაღლები ყვოდნენ და ჰაერი დამწვარი ხის სუნით იყო გაჟღენთილი. აყვავებული ყავისფერი ჰორტენზიები ქარში ლივლივებდნენ. დაახლოებით

ოცი წუთის შემდეგ, ბაღში ჩავედი და ლუბუტანის სასახლის სამზარეულოში შევედი, სადაც უზარმაზარი გაშვებული ბუხარი იყო. თაროებზე სხვადასხვა ზომის სპილენძის ქოთნები იყო ჩამწკრივებული. კუთხეში უხეში ქსოვილის, ზოლიანი სუფრით განწყობილი პატარა მაგიდა იდგა, რომელიც ნაბლითა და ხახვით სავსე ჯამებს დაეფარა. დაახლოებით ცხრა საათისთვის, ნახევრადმძინარე ლუბუტანიც გამოჩნდა – ფეხებს ძლივს მოათრევდა, Pendleton-ის ფირმის ფლანელის გახუნებული მაისურით, ველვეტის შარვლით და ნითელი „კონვერსებით“.

„დილა მშვიდობისა! როგორ გეძინათ?“ – მკითხა.

წინა ღამით მის სასახლეში დავრჩით, მას შემდეგ, რაც ჩქაროსნული მატარებლით პარიზიდან ნანტში ჩამოვედით. ნანტიდან კი მანქანით დაახლოებით ერთ საათში ლუბუტანის სახლამდე მივალნიეთ, რომელიც სოფელ შამპონთან მდებარეობს. ეს იყო ძველი, გრანდიოზული სახლი, რომელშიც სიცვიც და ესაღვურებინა. სასტუმრო ოთახის კედლები ინგრესის ნახატების კოლექციას დაეკავებინა – აქ ლუბუტანი თავის ზამთრის კოლექციებზე მუშაობს ხოლმე. ფანჯრებზე მუქი იასამინისფერი ფარდები იყო ჩამოფარებული. კედლები კი, როგორც თავად დიზაინერი ამბობს, კვერცხისგულისფერ ყვითლად იყო შეღებილი.

სამზარეულოში შევედით, ლუბუტანმა სახლში დამზადებული ჯემების – ატმის, მსხლის და ქლიავის – ქილები ჩამოიღო მაღალი თაროდან, ერთ-ერთს პლასტმასის თავსახური მოხადა და დანით ცვილის საფარი მოაცილა ქილას. ჯემი სოფლის ახლადგამომცხვარ პურზე გადავუსვით და რძიან ჩაისთან ერთად მივირთვით. ლუბუტანი მოგვიანებით ლანჩისთვის რაიმე კერძის მომზადებას აპირებდა, მაგრამ მისი უძველესი ლუმელი მთლად მწყობრში ვერ აღმოჩნდა. მან iPhone აიღო და ბრუნოს დაურეკა ლუქსოროში (ეგვიპტეში), თან გაიხუმრა, „ეს ლუმელების სასწრაფო დახმარების ცხელი ხაზია ეგვიპტეში“.

შუა საუზმობისას, ლუბუტანის ყურადღება კუთხის მაგიდის სუფრამ

მიიპყრო. კალამი და ფურცელი იქვე მქონდა და უმაღლეს მივანოდე. გამომართვა და ესკიზის ჩახატვა დაიწყო. მაჯის სწრაფი მოძრაობებით ლურჯმა ხაზებმა თანდათან მიიღეს ფეხსაცმლის ფორმა მაღალი და სქელი ლანჩით. მან რამდენჯერმე კიდევ გაუსვა კალამი ფურცელს და ლამაზი, თავისუფლად შეკრული ბაფთა ისე მიახატა ფეხსაცმელს, რომ ფეხის წინა ნაწილი საგულდაგულოდ შეფუთულ სასაჩუქრე ყუთს დაემგავსა.

„აი, ეს ხისგან მოწნული იქნება“, – მითხრა მან.

„რატომ?“

„ასე, ნაჭრის ფეხსაცმლის იერი არ ექნება, რომელიც შეიძლება იაფფასიანად გამოიყურებოდეს. ამასთან, დაწნული ხე დამატებით კონსტრუქციას და სიღრმეს აძლევს ფეხსაცმელს“.

შემდეგ დაიწყო მეორე ბაფთის მოხაზვა კოჭის ირგვლივ და უცებ წამოიძახა, „ამ შემთხვევაში, ეს უბრალოდ დეტალია, უკეთესი იქნება იგი ტყავის მასალის იყოს, ვიდრე ნაჭრის“.

საუზმის შემდეგ ლუბუტანმა ბაღში გასეირნება შემომთავაზა, სადაც, მცენარეების უმეტესობა საკუთარი ხელით დაერგო – სანამ ფეხსაცმლის დიზაინერი გახდებოდა, ის გარკვეული პერიოდი ბაღების დიზაინერთაც იყო დაკავებული. სპორტული ფეხსაცმელი გაიხადა, ჩექმა ჩაიცვა და გარეთ გავედით. ნარგიზები აყვავების პროცესში იყვნენ. კომპის ხე კვირტებით იყო დახუნძლული.

ვარდების ბაღში გადავინაცვლეთ. „აქ ერთგვარი მიქსი უნდა გავაკეთო ვარდისფერი და მენამულისფერი ჯიშებით“, – თქვა მან.

„გამარჯობა!“ – ლუბუტანმა მეზობელ მამაკაცს გასძახა, რომელსაც თავზე ბერეტი ეხურა და ფეხებზე კალშები ეცვა, ხელში კი ფოცხი ეჭირა.

მზე აცხუნებდა, ჩიტების ჭიკჭიკს ძაღლებიც კი გაეჩუმებინა. სადღაც ზამბახის ყვავილების ბაღთან ლუბუტანი დავკარგე. შემოვტრიალდი და დავინახე, პალმის იშვიათი სახეობის ხესთან იდგა ზურგიით და შარდავდა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: ეს იყო le petit quelque chose qui fout tout par terre – პატარა დეტალი, რომელიც ყველაფერს აფუჭებდა.

ცხელი მოკლადი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე



ითბა iOS-ისთვის

იკითხე ყველგან!

იკითხე კომფორტულად!

www.lit.ge

ითბა iOS-ისთვის საშუალებას გაძლევთ მართივად იკითხოთ lit.ge-ს ნიშნები და პერიოდიკა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

პალიკანის გადმოსაწერად, თქვენი მონეტობილტიდან iTunes-ზე მოძიებთ „IOTA READER“





საქართველო
შამკლენი
98.5 FM

www.facebook.com/RadioTskheliShokoladi

98.5

